ფიოდორ დოსტოევსკი.

მამ ია დუმბაძე

ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი
1950

წინასიტყვაობა

60 წლის წინათ, დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების გამო, გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებულ წერილში—„დიდი დანაკლისი“—ნათქვამი იყო: „...ახალგაზრდობა ნათლად დაინახავს ამ შესანიშნავ კაცის ცხოვრებიდან, თუ რის შემძლეა კაცი, რომელსაც წაუმძღვარებია წინ ცხოვრებაში მაღალი და წმინდა აზრი ქვეყნისა და მეცნიერების სამსახურისა“. დიმიტრის საფლავის ერთ გვირგვინზე იკითხებოდა დიდი ილია ჭავჭავაძის მგზნებარე სიტყვები: **„საფლავი შენისთანა კაცისა სალოცავია მამულისა“.**

ქართული პრესა მაშინაც კი აღნიშნავდა, რომ აუცილებლად საჭირო იყო სახელოვანი მოამაგის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის აღწერა. როგორც ჩანს, ამ მოთხოვნის საპასუხოდ ზ. ჭიჭინაძეს 1891 წ. გამოუქვეყნა დ. ბაქრაძის შესახებ პატარა ნაშრომი, რომელიც იმის ჯამსაც კი ვერ იძლეოდა, რაც იმდროინდელი ქართულ-რუსული პრესის ნეკროლოგებში ითქვა. ჭიჭინაძის ბროშურის შემდეგ ამ თემაზე თითო-ოროლა საგაზეთო წერილის გარდა არაფერი გამოქვეყნებულა.

დ. ბაქრაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ მონოგრაფია ჩვენ დავწერეთ ჯერ კიდევ 1939 წ., როდესაც მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის („ენიმკი“) ასპირანტურაში ვსწავლობდით. მონოგრაფიის გარშემო სახელმძღვანელო შენიშვნები მოგვცა აკად. ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც მაშინ საქართველოს ისტორიაში მიღებულ ასპირანტებს სემინარებს უტარებდა. სახელოვანი მეცნიერის შენიშვნების საფუძველზე, რამდენადაც ეს იმ დროს შეგვეძლო, ნაშრომი გადავამუშავეთ.

აკად. ს. ჯანაშიას ინიციატივით, 1940 წ. 13 მარტს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის (ამჟამად ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმი) აუდიტორიაში მოეწყო დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი „ენიმკი“-ს სამეცნიერო სხდომის საჯარო სხდომა, სადაც შესავალი სიტყვით გამოვიდა

აკად. ივ. ჯავახიშვილი. თითქმის ერთსაათიან მოხსენებაში აკად. დემიკოსი საფუძვლიანად შეეხო XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ძირითად მომენტებს და ამ ისტორიოგრაფიის უდიდესი წარმომადგენლის—დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლს. სამწუხაროდ, აღნიშნული სიტყვის სტენოგრამა არ არსებობს.

ამავე სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა აკად. გ. ჩუბინაშვილი, რომელიც უმთავრესად შეეხო დიმიტრი ბაქრაძის, როგორც არქეოლოგის, მოღვაწეობას. ამ მოხსენებაში მოცემული იყო ბაქრაძის მთავარი ნაშრომების ანალიზი. ბოლოს, წაკითხულ იქნა აგრეთვე ჩვენი მოხსენებაც ბაქრაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

აღნიშნულის შემდეგ 10 წელი გავიდა. უკვე 60 წელი სრულდებოდა ბაქრაძის გარდაცვალებიდან და ჩვენც მივიწყებული და მოძველებული მონოგრაფია „არქივიდან" ამოვიღეთ, წინათ შეკრებილი მასალებიც გადავიკითხეთ, ზოგიც ახალი მივუმატეთ და ნაშრომი თითქმის ხელახლა ვაწყეთ.

დიმიტრი ბაქრაძის მოღვაწეობის შესახებ სათანადო მონოგრაფიის შექმნა უკვე ძარგა ხანია, რაც ჩვენი ისტორიული მეცნიერებისათვის მომწიფებულ ამოცანად რჩება. იგი ერთი მთავარი საკითხია XIX ს-ის ქართული ისტორიოგრაფიისა, რომელმაც ახალ საბჭოურ ისტორიოგრაფიას ნიადაგი შეუმზადა.

ბაქრაძის მდიდარი შემოქმედების მოკლე გაცნობაც კი ხელს შეუწყობდა დაინტერესებულ პირებს ჩვენი ისტორიული მეცნიერების ადრეული მიღწევების გათვალისწინებაში. მისი ცხოვრების გზის გაცნობა დააინტერესებდა მკითხველთა ფართო წრესაც, რომელსაც გაუადვილებდა იმის წარმოდგენას, თუ როგორ დიდ როლს თამაშობდა საქართველოს ისტორიის შესწავლა და მასებისათვის გაცნობა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში, როგორ და რა პირობებში მიმდინარეობდა ეროვნულ-კულტურული თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა.

ბაქრაძე, როგორც მეცნიერი—მოღვაწე, დიდად იყო დაფასებული თავისი დროის ქართველი საზოგადოებრიობის მიერ. ამის მიზეზი მარტო ის კი არ ყოფილა, რომ იგი 40 წლის განმავლობაში დაუღალავად შრომობდა ქართული კულტურის განვითარებისათვის, არამედ ისიც იყო, რომ მის მიერ საშოღვაწეოდ არჩეულ სარბიელს—საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლას—იმ დროს, როდესაც ქართველი ხალხი კოლონიური ჩაგვრის

ქვეშ იმყოფებოდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. და იმ ბრძოლაში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა, წარსულის ცოდნა იყო ის ძვირფასი იარაღი, რომლითაც ქართველი ხალხი შეუპოვრად იცავდა **„თავის ეროვნებას, თავის არსებობას“** (ილია).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ დიმიტრი ბაქრაძე, როგორც წარსული ეპოქის მებრძოლი — მოღვაწე, ისტორიის კუთვნილებად დარჩა და მის ამაგს ვიგონებთ, როგორც მხოლოდ წარსული დროის საქართველოს ინტერესებისათვის შეწირულ საქმეს. ესეც ხომ გაამართლებდა მის შესახებ საფუძვლიანი ნაშრომის შექმნას. მაგრამ მარტო ამით როდი იფარგლება მისი ღვაწლი. დ. ბაქრაძეს ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას შესძინა ისეთი ნაშრომებიც, რომლებსაც ახლანდელი მეცნიერული თაობა მადლობით იყენებს და საქართველოს ისტორიის შესწავლაზე მომუშავე შემდგომი თაობანიც ასევე მადლობის გრძნობით გამოიყენებენ.

დ. ბაქრაძის მოღვაწეობას განსაკუთრებით სიმპათიურს ხდის ის გარემოებაც, რომ იგი გამოხატავდა ქართველი ხალხის საუკუნოვან ოცნებას თურქი დამპყრობლების მიერ მიტაცებული ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მიწა-წყლის დაბრუნების შესახებ. მის მოგზაურობათა შედეგად დატოვებულმა წერილებმა სამუდამოდ აღბეჭდეს, რომ ბათუმის, ყარსის, არტაანის, ართვინის, არტანუჯის, ოლთისისა და სხვა ოლქებში, ჯერ კიდევ XIX ს. 70-იან წლებში, ქართულ ენას ალაგ-ალაგ „გაბატონებული მდგომარეობა ჰქონდა“ და იქ მცხოვრებ ქართველთა ენერგიული ბრძოლის შედეგად ამ რაიონებში შემონახული იყო ქართული ხელოვნების უოშვიათესი ძეგლები...

ბაქრაძის მეცნიერული მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული აჭარის იმ მძიმე წარსულთან, როდესაც საქართველოს ამ მშვენიერი კუთხის მოსახლეობა ოსმალთა ბატონობის მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა. ბაქრაძემ თავის ნაშრომებში აღბეჭდა აჭარაში „თურქთა ბარბაროსული თარეშის“ მავნე შედეგები, მათი შეუჩერებელი ბრძოლა ქართული ენისა და კულტურის წინააღმდეგ. მანვე ცხადჰყო, თუ რაოდენ ძლიერი იყო ქართველთა კულტურული ტრადიციები, ეროვნულობის დაცვისათვის მათი ბრძოლა.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დ. ბაქრაძის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის მიმოხილვას. მას არ აქვს სისრულის პრეტენზიები. განსაკუთრებით ეს ითქმის ნაშრომის მეორე ნაწილზე, სადაც მიზნად ვისახავთ ზოგადად გავაცნოთ მკითხველს ბაქრაძის უმთავრესი ნაშრომები, მისი, როგორც ის-

ტორიკოსის, მთავარი დამსახურება და ამით რამდენადმე გავუადვილოთ დაინტერესებულ პირებს ბაქრაძის მეცნიერული მემკვიდრეობის გათვალისწინება. ამავე მიზანს ემსახურება, მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომების აქ დართული სიაც.

მეცნიერული აპარატის სისრულისა და საბუთიანობის უკეთ მოტანის მიზნით შენიშვნები ცალკე გავიტანეთ.

გულთბილ მადლობას მოვახსენებთ აკად. გ. ჩუბინაშვილს, რომელმაც ხელნაწერის სახით გაგვაცნო ზემოაღნიშნულ სხდომაზე წაკითხული მოხსენება.

დავალებული ვართ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ტ. ხუნდაძის მიერ, რომელმაც ამ ნაშრომის რედაქტორობა იკისრა.

ავტორი

თავი I.

დ. ბაქრაძის ცხოვრება და საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობა

1. ა ღ ზ რ დ ა

დიმიტრი ბაქრაძის უახლოეს წინაპრებს სიღატაკესა და მძიმე სოციალური ჩაგვრის პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. მათ თავდაპირველად ხაშურის ახლო მდებარე სოფ. ოსიაურში უცხოვრიათ. მაგრამ დიმიტრის პაპა, ანდრია ბაქრაძე, ლეკთა ერთ-ერთი თარეშის დროს, სხვებთან ერთად მოუტაცნიათ და დაღისტანს გაუყვანიათ. ანდრიას დედა დიდხანს დაეძებდა მოტაცებულ შვილს. დიდის ვაივაგლახით მან მიაგნო მის კვალს და ტყვეობიდან გამოისყიდა. ამის შემდეგ ის, თავის ახალგაზრდა შვილთან ერთად, სოფ. ხაშმის (საგარეჯოს რაიონშია) მონასტერს შეჰკედლებია, რადგან ოსიაურში დასაბრუნებლად არც საჭირო სახსარი ჰქონია და არც ხალისი. ანდრიას დედა ენერგიული ქალი ყოფილა. მისი მზრუნველობით და მონასტრის დახმარებით ანდრიამ შესაფერისი აღზრდა მიიღო და სოფლის მღვდელი გახდა. მის კვალს გაჰყვა მისი შვილი ზაქარიაც. მაგრამ გლეხთაგან გამოსული სოფლის მღვდელი იმ დროს, წოდებრივი თვალსაზრისით, იგივე გლეხი იყო და თითქმის ისეთსავე სოციალურ ჩაგვრას განიცდიდა, როგორსაც ყველა გლეხი. ზაქარია ბაქრაძესაც, რომლის შვილი იყო შემდეგში სახელმოხვეჭილი მოღვაწე—დიმიტრი, თავისი ცხოვრება სიღარიბეში გაუტარებია.

დიმიტრი ბაქრაძე დაიბადა 1826 წ. 26 ოქტომბერს, სოფ. ხაშმში[1]. მისი დედა—ნინო ამავე სოფლის გლეხის, ქოქრაშვილის ქალი იყო. მამა ცდილობდა, რომ თავისი უმცროსი შვილი, დიმიტრი, მღვდლად გამოეყვანა, მაგრამ წადილი ვერ შეისრულა.

პირველი სწავლა-აღზრდის შემდეგ დიმიტრი სასწავლებლად ვინმე ბერს მიაბარეს. ბავშვმა მალე გამოამჟღავნა არაჩვეულებრივი ნიჭი. წიგნების კითხვაში მან გაუსწრო უფროსებს, რომლებსაც იგი ეკლესიაში გამოჰყავდათ. პატარა დიმიტრის

სკამს დაუდგამდნენ ხოლმე, რომ კათედრას მისწვდომოდა და საღვთო წიგნები წაეკითხა[2].

9 წლის იყო დიმიტრი, როცა სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. გაუსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვის შესახებ მალე გაუგია საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს, რომელსაც იგი უნახავს. ამას შედეგად მოჰყვა დიმიტრისადმი განსაკუთრებული ყურადღება.

1841 წელს დ. ბაქრაძემ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სასულიერო სემინარიაში.

სასულიერო სემინარია უფრო ძალდატანებითს ორგანიზაციას ჰგავდა, ვიდრე საგანმანათლებლო დაწესებულებას. „ძველი სკოლა,—ამბობდა ლენინი,—მწიგნობრული სკოლა იყო. ის აიძულებდა ადამიანს შეეძინა უამრავი, სრულებით არასაჭირო, ზედმეტი, მკვდარი ცოდნა, რომელიც ახალგაზრდობას გონებას უღადებდა და აქცევდა ახალგაზრდებს საერთო რანჟირში მოქცეულ მოხელეებად“[3].

სემინარია მეფის მთავრობის სამსახურში მყოფი ეკლესიის მოხელეებს ამზადებდა. ამიტომ აქ მთავარი ყურადღება ექცეოდა „საღვთო სჯულის“, „ღვთისმეტყველების“ შესწავლას. ამასთან ერთად ზოგადი განათლების დისციპლინებსაც ასწავლიდნენ. 1841 სასწავლო წლის პირველ ნახევარში, როდესაც დიმიტრიმ იქ სწავლა დაიწყო, „ღვთისმეტყველებას“ კვირაში 12 საათი ჰქონია დათმობილი, ებრაულ ენას—6, საეკლესიო ისტორიას—6, საღვთო წერილს—2, ბერძნულ ენას—6, და სხვ.[4]

განსაკუთრებით ეშინოდა მთავრობას, რომ მოსწავლეები არ გაცნობოდნენ ახალ მოწინავე აზრებს, არ წაეკითხათ „მავნე“ წიგნები, რომელთაც შეეძლო მათში თავისუფალი, პროგრესული აზროვნების ჩვევების გამომუშავება, არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთების გაღვივება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების შემუშავება და სხვ. ამიტომ სასულიერო სემინარიის ინსპექტორები და ზედამხედველები გაწვრთნილი პოლიციელებივით ჩხრეკდნენ მოსწავლეთა საცხოვრებელ ბინებს, იჭერდნენ კერძო წერილებს და სასტიკად სჯიდნენ მას, ვინც სემინარიის პოლიციურ რეჟიმს ოდნავ დაარღვევდა.

ეს რეჟიმი ავალდებულებდა მოწაფეებს, რომ ისინი ყოველდღე საათობით გარინდებულნი მდგარიყვნენ წირვა-ლოცვებზე. მათ სიტყვა-სიტყვით უნდა გაეზეპირებინათ მოციქულთა ქადაგებანი, ბერძნულ-ლათინური ტექსტები და სხვა, რომ თავისუფალი

ფიქრისა და აზროვნების დრო აღარ დარჩენოდათ და გადაქცეულიყვნენ მეფის მთავრობისა და ეკლესიის ბრმა მსახურებად. მიუხედავად ასეთი უკიდურესი რეჟიმისა, მთავრობა თავის მიზანს ვერ აღწევდა. ბევრ მოსწავლეს ამ სკოლიდან გამოჰქონდა მხოლოდ ის, რაც მასში დადებითი იყო—საჭირო ჩვევები დამოუკიდებელი შემოქმედებითი განვითარებისათვის.

ყველა ახალგაზრდა ვერ იტანდა სემინარიის რეჟიმს, ბევრი ნახევარ გზაზე რჩებოდა; ზოგი გაქცევით შველოდა თავს.

ახალგაზრდა დიმიტრი 5 წლის განმავლობაში სძლევდა ასეთ რეჟიმს. იგი ყოველთვის მოწინავე სემინარელთა რიცხვში იყო და წარჩინებული სწავლისათვის ბევრი ჯილდოც ჰქონია[5].

1846 წ. ივლისში დ. ბაქრაძემ ჩაიბარა „კერძო“ და „საჯარო“ გამოცდები და იგი მიაკუთვნეს „უმაღლესი განყოფილების მოსწავლეთა პირველ რიგს“. ცალკეულ დისციპლინებში, არასრული ცნობებით, მას შემდეგი წარმატება ჰქონია:

ღვთისმეტყველებაში—ფრიადი
ფილოსოფიაში—ფრიად კარგი
სიტყვიერებაში—ფრიად კარგი
საეკლ. წერაში—საკმაოდ კარგი
საეკლესიო ისტორიაში—ფრიად კარგი
სამოქალაქო ისტორიაში—კარგი
რუსეთის ისტორიაში—ფრიად კარგი
საქართველოს ისტორიაში—ფრიად კარგი
ლათინურ ენაში—საკმაოდ კარგი
ბერძნულ ენაში—საკმაოდ კარგი
ოსურ ენაში—ფრიად კარგი[6].

ასეთ წარჩინებასთან ერთად დიმიტრი ახერხებდა, რომ ყოველ კვირას ენახა თავისი საყვარელი დედა. შაბათობით იგი ფეხით მიდიოდა ხაშმში, ხოლო კვირა საღამოს ისევ ბრუნდებოდა, რომ ორშაბათს სემინარიაში დროზე გამოცხადებულიყო. ამგვარად მას უხდებოდა 80-დე კილომეტრის გაევლა თბილისიდან ხაშმამდე და უკან[7].

სემინარიის უკანასკნელ კურსზე ყოფნისას დიმიტრი, როგორც პირველი მოწაფე, სემინარელ ცირაევთან ერთად, გაგზავნილ იქნა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში[8].

სასულიერო აკადემიაშიც თითქმის ისეთივე რეჟიმი იყო, როგორც სასულიერო სემინარიაში. მის ერთ წესდებაში ნათქვამი იყო: „რექტორი ყურადღებას აქცევს აკადემიის სტუდენტების მორალურ და რელიგიურ აღზრდას, მათ აუცილებელ დასწრებას საეკლესიო მსახურებაზე, მარხვათა და ჩვეულებათა წესიერ და-

ცვას, გაკვეთილებზე გამოცხადებას; წესრიგის მცირე დარღვევისათვის აძლევს საყვედურს, უფრო რთულის შესახებ აცნობებს მმართველობას"[9].

1850 წელს დაასრულა დიმიტრიმ სასულიერო აკადემია, ხოლო 1851 წელს მიიღო კანდიდატის წოდება.[10] ამავე წელს იგი თავის სამშობლოში დაბრუნდა.

როგორც დავინახეთ, საქართველოს ეგზარქოსის მონაწილეობით, მისი მხარდაჭერით, დიმიტრის სასულიერო კარიერისათვის ამზადებდნენ. ისიდორე ეგზარქოსი ელოდა მის დაბრუნებას, რომ იგი საეკლესიო სამსახურში მოექცია, მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა. დიმიტრიმ არ ისურვა სასულიერო თანამდებობის მიღება. ეს გარემოება მეფის მთავრობის სასულიერო-საგანმანათლებლო ორგანიზაციების უდავო მარცხს მოასწავებდა. ამ ორგანიზაციების მიერ აღზრდილმა, რომელსაც წლების მანძილზე ეკლესიისა და მეფისადმი ერთგულ სიყვარულს უნერგავდნენ, საეკლესიო სამსახურზე უარი განაცხადა და მის სისტემაში მომუშავე ცბიერსა და უღირს მოხელეებს გმობა დაუწყო[11]. ეს არ მიუთითებდა დიმიტრის ათეისტურ განწყობილებაზე. აქ ჩანდა მხოლოდ სასულიერო მოხელეებისადმი სიძულვილი, რაც, როგორც ჩანს, ჯერ სემინარიისა და შემდეგ სასულიერო აკადემიის რექიმის ნაყოფი იყო.

სასულიერო მოხელეებისადმი სიძულვილის გარდა სხვა მიზეზიც იყო, რის გამოც დიმიტრის მათთან მუშაობა არ სურდა. ეს იყო თვით ეკლესიის როლი იმდროინდელს ეპოქაში. ეკლესია იყო მეფის მთავრობის საუკეთესო იარაღი მასებისათვის თვალის ახვევის საქმეში. გარდა ამისა, მეცნიერების საფუძვლებს ასე თუ ისე გაცნობილი ბაქრაძე განიცდიდა თავისი სამშობლოს—საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას და კარგად ითვალისწინებდა, რომ სასულიერო მოხელის სამოსელში მისი მომავალი პატრიოტული მოღვაწეობის სარბიელი შეზღუდული იქნებოდა.

მაგრამ დიმიტრი ბაქრაძე დაბალი ფენებიდან გამოსული პიროვნება იყო. მას მემკვიდრეობით თითქმის არავითარი ქონება არ მიუღია; უსამსახუროდ დარჩენა მისთვის ულუკმაპუროდ დარჩენას მოასწავებდა. მართლაც, რამდენიმე თვე იგი უშუშევრად დადიოდა და დიდ გაჭირვებას იტანდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი დიმიტრი იწყებს შტატგარეშე მუშაობას სინოდალურ კანტორაში, სადაც მისი თვიური ხელფასი 10 მანეთს უდრიდა[12]. ამავე დროს მან რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილი გამოაქვეყნა გაზ. „კავკაზში", რითაც საზოგადოების

გარკვეული ჯგუფის ყურადღება მიიპყრო. მალე იგი გორის სამაზრო სკოლაში მიიწვიეს მასწავლებლად. ეს მიწვევა მან სიამოვნებით მიიღო იმიტომაც, რომ ამით იგი საბოლოოდ თავს დააღწევდა სასულიერო წოდებას. ასეც მოხდა და 1853 წ. დიმიტრიმ გააფორმა ამ წოდებიდან გამოსვლა[13].

1852 წლიდან 1857 წლამდე ბაქრაძე ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას გორის სამაზრო სასწავლებელში. იქ იგი უფროსი კლასების ერთი მოწინავე მასწავლებელი იყო[14].

2. მოღვაწეობის ასპარეზი

დიმიტრი ბაქრაძე თანდათანობით იწყებდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლას. მთელი მისი მოღვაწეობა ორგანულად უკავშირდება ქართველი ხალხის კულტურისა და ეროვნული ბრძოლის ინტერესებს.

პოლიტიკურად მთლიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში კულტურულ-პოლიტიკური დაცემის პროცესი შეუჩერებლივ ვითარდებოდა. საქართველო იშლებოდა და ეცემოდა როგორც ქვეყნის შიგნით ფეოდალური რეაქციის განვითარების შედეგად, ისე მეზობელი აგრესორების გამუდმებული თავდასხმების გამოც. განსაკუთრებით მომთაბარე ოსმალო თურქების გაძლიერება და შემოტევა, ტყვე-ადამიანებით ვაჭრობა, რაც სისხლიდან სცლიდა საქართველო-ამიერკავკასიას, ამასთანავე ირან-თურქეთისა და მეფის რუსეთის ჰიდილი ამ ქვეყნის დაუფლებისათვის, ასრულებდნენ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში კარგა ხნის წინათ დაწყებულ ტრაგედიას. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო ძველი მდიდარი კულტურის არა მარტო განვითარება, არამედ მისი დაცვაც. მაგრამ ქართველმა ხალხმა გმირული ბრძოლით შეინარჩუნა თავისი ეროვნულობა და ძველი კულტურული ტრადიციები სრული გაქრობისაგან დაიცვა.

მეფის რუსეთის დამპყრობლურ ძალას საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქსაქსული და საშინაო თუ საგარეო ომების წყალობით დანგრეული დაუხვდა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ცარიზმს, რომ ეს ქვეყანა თანდათანობით დაემორჩილებინა და თავის კოლონიად გადაექცია. საქართველო მეფის რუსეთმა გაიხადა ბაზად თავისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის. საქართველო მას სჭირდა როგორც პლაცდარმი მთელი ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის დაპყრობისათვის.

XIX საუკუნის პირველ მესამედში ჩვენი ქვეყნისათვის

თითქმის გრძელდებოდა ძველი შფოთიანი წლები. დამოუკიდებლობის დაკარგვამ, ახალი უცხო რეჟიმის დანერგვამ და სოციალური ჩაგვრის გაძლიერებამ ქვეყანაში აჯანყებები წარმოშვა. ამას თან სდევდა რუსეთის ომები ოსმალეთთან და სპარსეთთან. ომი მიმდინარეობდა საქართველოს საზღვრებთან, რაც დიდ მსხვერპლს იწირავდა და რასაც თან სდევდა საქართველოში უაღრესად მძიმე სასურსათო კრიზისები, შიმშილი, ეპიდემიები და სხვ. ჯერ კიდევ არ ჩანდა ნანატრი მშვიდობიანობა და კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების გაშლისათვის საჭირო პირობები.

ჯერ კიდევ მე-18 ს. 20-იან წლებში, ვახტანგ VI-ის ემიგრაციასთან დაკავშირებით, საქართველოს მოწყდა კულტურულ მოღვაწეთა დიდი და ძლიერი დასი. „ქართლი,—წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი,—ერთბაშად დაიცალა მოწინავე გონებრივ მუშაკთაგან და ქვეყანაში დიდის ხნით შეწყდა ავრე გაცხოველებული კულტურული მოღვაწეობა. რა თქმა უნდა, სამშობლოდან გადახვეწილთ მუშაობა არ შეუწყვეტიათ; მთელი XVIII საუკუნის სიგრძეზე ისინი რუსეთში განაგრძობდნენ სასარგებლო საქმიანობას“15... **მაგრამ „საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის ქართველთა კოლონია კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობას ვერ ქმნიდა“**16. ამის გამოც მე-18 ს. მიწურულისა და XIX ს. დამდეგის ქართლ-კახეთის კულტურული ძალები უმწეოდ გამოიყურებოდნენ; არსებული მცირე ძალებიც კი დაიფანტა აქ მეფის რუსეთის გაბატონების პირველ წლებში. სამეფო სახლის მრავალრიცხოვანი შემადგენლობა, რომელშიც კულტურის წარმომადგენლებიც იყვნენ, ახალმა მმართველობამ რუსეთში გადაასახლა. ეს გარემოებაც კულტურული თაობის ზრდის საქმეს ხელს უშლიდა. ასევე იყო 1832 წ. შეთქმულების დამარცხებასთან დაკავშირებითაც, როდესაც თავადაზნაურული ინტელიგენციის ბევრი საუკეთესო წარმომადგენელი კარგა ხნით მოწყდა სამშობლოს, ხოლო უკეთესი მათგანი—სოლომონ დოდაშვილი ამ შეთქმულებას შეეწირა. რა თქმა უნდა, XIX ს. I ნახევარში ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩანდნენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთა შორის ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავი სიდიადით ბრწყინავს, მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ ქართველი ხალხის დიდი პოტენციალური ენერგიის მაჩვენებელი იყო. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა საერთოდ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ გარდატეხას კულტურული განვითარების გზაზე.

XIX ს. პირველ ათეულ წლებში მეფის მთავრობა თანდათა-

სობით დევნიდა საქართველოში ძველი მმართველობის ელემენტებს, ქართულ კანონებს, და ნერგავდა სამხედრო-რუსული მმართველობის რეჟიმს. მმართველობიდან განიდევნა მკვიდრთა მშობლიური ენა. ახალ მმართველობასა და ხალხს შორის დასაწყისში ერთგვარი ზღუდე იყო ამ ჯართული. მთავრობა უმეტესად საქართველო-ამიერკავკასიაში გზავნიდა ისეთ მოხელეებს, რომლებმაც იქ, რუსეთში, თავი ვერაფრით ისახელეს და რომლებიც გამოუსადეგარნი იყვნენ. ხშირი იყო, როდესაც სამსახურებრივ ბოროტმოქმედთ აქეთკენ გზავნიდნენ, საქართველოს მმართველობაში. ასეთი მოხელეები, და მეფის მმართველობა მთლიანად, საქართველო-ამიერკავკასიის მკვიდრებს ველურებს ეძახდნენ. რა თქმა უნდა, ამ მოხელეებს არ მოსწონდათ, როცა გლეხობა იცავდა საკუთარ ოჯახებს მათი ხელყოფისაგან, იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

დასაწყისში, გამუდმებული საშინაო და საგარეო ომების პირობებში, მეფის რუსეთის მთავრობა საქართველოში ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა თავისი კოლონიური მიზნების რეალიზაციას. ყოველი სერიოზული ნაბიჯი ამ მხრივ დიდ წინააღმდეგობას ჰბადებდა. მიუხედავად ამისა, მაინც, ახალი მმართველობის გვერდით, „კულტურისა და ცივილიზაციის" დანერგვის ნიღაბით, აქეთ ასახლებდნენ რუსეთიდან საიმედო ელემენტებს, რითაც ქმნიდნენ დასაყრდენს და ამზადებდნენ საფუძველს მკვიდრთა გარუსებისათვის. ამავე მიზნით ხსნიდნენ რუსულ სკოლებსაც და ახშობდნენ ქართულს.

„ცარიზმი განაპირა მხარეებში,—წერს ამხანაგი სტალინი,—განზრახ ნერგავდა პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მასები მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა. ცარიზმმა განაპირა მხარეების საუკეთესო ადგილებში განზრახ დაასახლა კოლონიზატორული ელემენტები, რათა ადგილობრივი ნაციონალური მასები ცუდ რაიონებში გაეძევებინა და ნაციონალური შუღლი გაეძლიერებინა. ცარიზმი ავიწროებდა, ზოგჯერ კი პირდაპირ აუქმებდა, ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისათვის, რომ მასები სიბნელეში ჰყოლოდა. ცარიზმი ახშობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველივე ინიციატივას. ბოლოს, ცარიზმი პკლავდა განაპირა მხარეების ხალხთა მასების ყოველგვარ აქტივობას"[17].

ასეთ პირობებში მშობლიურ ქართულ კულტურას, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის გარდა, მზრუნველი არ უჩანდა. ამ დროს, თავადაზნაურული ინტელიგენციის ერთი ნაწილი თავი-

დაწვე შეგუებული იყო მეფის რუსეთის რეჟიმს, მეორე ნაწილი კი უერთდებოდა ამ რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ მასიურ ბრძოლას.

1832 წ. შეთქმულების დამარცხების შემდეგ კარგა ხანს ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი მმართველობისაგან გამიჯნული რჩებოდა. ასე გრძელდებოდა 40-იან წლებამდის, როდესაც ქვეყნის მმართველობაში ერთგვარი გარდატეხა იწყება. მეფის მთავრობა საქართველო-ამიერკავკასიაში მეფისნაცვლად ვორონცოვის დანიშვნით, უფრო ფრთხილსა და მოქნილ პოლიტიკას დაადგა. მეფის რუსეთის მთავარი ამოცანა ამ დროს იგივე იყო, რაც წინათ: ქვეყნის კოლონიური ექსპლოატაციის უზრუნველყოფა და მისი შედუღება რუსეთის იმპერიასთან—გარუსება. ამავე დროს ცეფის რუსეთის დამპყრობლური მიზნები ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში განუხორციელებელი იყო. კავკასიის მთიანეთის დაპყრობისათვის ომი გრძელდებოდა, კონსტანტინოპოლისა და სრუტეების პრობლემა გადაუწყვეტელი რჩებოდა. ასეთ პირობებში ადგილობრივი ძალების გამოყენება ძალზე ხელსაყრელი ჩანდა.

ვორონცოვი შეეცადა მისი წინამოადგილეების მოქმედებაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. ისინი ერთი ხელის დაკვრით, იარაღით ადგილობრივი ძალების სრული უგულებელყოფით, ცდილობდნენ გადაეწყვიტათ მეფის მთავრობის მიერ დასახული ამოცანები. ვორონცოვი უფრო შენიღბულ პოლიტიკას დაადგა: ადგილობრივი თავადაზნაურობისათვის ანგარიშის გაწევა, მათი უფლებების დაცვა, თანდათანობით მოზიდვა და გამოყენება მთავრობის სამსახურში და ასევე თანდათანობით მათი გადაყვანა გარუსების გზაზე. ამ ხერხით მთავრობა ნამდვილად შეიქმნიდა თავის დასაყრდენს და მაღალი ფენების გადმობირებით მასებსაც დაიმორჩილებდა.

ვორონცოვის მიერ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ეროვნულ-კულტურული მოთხოვნებისათვის რამდენადმე ანგარიშის გაწევამ (ქართული თეატრის დაფუძნება, ჟურნ. „ცისკარის“ გამოცემა და სხვ.) ხელი შეუწყო დიდი ხნის განმავლობაში მიძინებული ეროვნული ძალების ამოძრავებას. ვორონცოვის დროს იზრდება საქართველოდან რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სახაზინო ხარჯზე გასაგზავნი ახალგაზრდების კონტინგენტი. ამავე დროს ვორონცოვი აფუძნებდა რუსულ თეატრს, ოპერას, კლუბებს და გარუსებისათვის მოწოდებულ სხვა დაწესებულებებს. თუმცა ისიც მიღწევა იყო, რომ ქართველთა პატრიოტულ მოძრა-

ობას, თეატრისა და პრესის აღდგენას, ვორონცოვი გარეგნულად ხელს უწყობდა, ვიდრე ამ წამოწყებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული მეფის მთავრობის ბატონობისათვის მავნე ხასიათი. მაგრამ ყოველივე ეს, ანუ მოჩვენებითი ხელისშეწყობა, დროებითი იყო. შემდგომში მთავრობა ოფიციალურად თუ არაოფიციალურად სდევნიდა ყოველივეს, რაც კი ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარებას უწყობდა ხელს.

ეროვნულ-კულტურული ინტერესებისათვის მებრძოლი ქართველი ინტელიგენციის საკუთარი ძალების ანაბრად დატოვება მაშინ, როდესაც ქვეყანას მეფის რუსეთი განაგებდა და ფეოდალური ინტელიგენციის დიდი ნაწილი ქონებრივად კოტრდებოდა (განსაკუთრებით საგლეხო რეფორმის შემდეგ), იმას ნიშნავდა, რომ ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს ადგილობრივ მმართველობაში სამსახური უნდა მოეძებნა და თავისი მოღვაწეობა ძალაუნებურად მოხელეობასთან შეეთავსებინა.

ქართული „ფეოდალური ნაციონალიზმი“ თავიდანვე ილაშქრებდა მეფის რუსეთის მიერ რეკლამირებული ლოზუნგის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთს ამიერკავკასიის ხალხების მიმართ „განმათავისუფლებელ“ და „კულტურის დამნერგველ“ მისიას მიაწერდა. ქართველი ინტელიგენცია უმტკიცებდა მთავრობას, რომ ქართველ ერს დიდი კულტურული წარსული ჰქონდა, რომ მას არ სჭირდებოდა კულტურის „ძალად დანერგვა“, ქართველ ინტელიგენციას პირიქით შეეძლო დახმარებოდა რუსეთს ჩამორჩენილ ხალხებში „კულტურის დანერგვის“ მიზნით[18]. ამასთან ერთად სამშობლოს ინტერესებისათვის მებრძოლ ქართველთა გარკვეული ნაწილის წინაშე ისმებოდა მთავრობის პოზიციების გამოყენების საკითხიც. მთავრობაც ხომ თავიდანვე ცდილობდა ადგილობრივი ძალების გამოყენებას. ეს დაკავშირება საფუძვლიანი უნდა ყოფილიყო მოწინავე ქართველთა იმ სწორი შეგნებითაც, რომ რუსეთმა ლახვარი ჩასცა ამიერკავკასიის ხალხებზე თურქეთ-ირანის მტარვალურ ბატონობას, რაც, მეფის რუსეთის რეჟიმთან შედარებით, გაცილებით უფრო სახიფათო და მომაკვდინებელი იყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, როდესაც რუსეთი საბოლოოდ დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, რუსეთის მთავრობის წინაშე მწვავედ დადგა საქართველო-ამიერკავკასიის შესწავლისა და მისი ეკონომიური ათვისების საკითხი, ამ ქვეყნის ნედლეულის ბაზად გადაქცევის საკითხი. აქ ყალიბდებოდა ქვეყნის შემსწავლელი სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებშიც ადგილობრივი კადრების მოზიდვაც ხელსაყრელი ჩანდა. ამით სამშობლოს ინტერესებისათვის მებრძოლ პირებს

ერთგვარი საშუალება ეძლეოდათ შეეთავსებინათ თავიანთი მოღვაწეობა ადგილობრივ მმართველობაში მოხელეობასთან.

უმთავრესად ასეთ პირობებში უხდებოდა დიმიტრი ბაქრაძეს საზოგადოებრივი მოღვაწეობის დაწყება. როგორც ეს ქვემოთ ცხადად გამოჩნდება, მოხელეობა ბაქრაძისათვის მოღვაწეობის მიზანი და საგანი კი არა, არამედ მხოლოდ საარსებო წყარო იყო.

3. მოღვაწეობის საგანი და პირველი ნაბიჯები

კოლონიური ჩაგვრის ხანაში, როდესაც ცარიზმის აგენტები მკვიდრებს უკულტუროებსა და ველურებს ეძახდნენ, განსაკუთრებით მწვავედ იბღალებოდა მოწინავე ინტელიგენციისა და მთლიანად ქართველი ხალხის ეროვნული თავმოყვარეობა. რა თქმა უნდა, ქართული მწერლობის მდგომარეობა იმ დროს მეტად სამწუხაროდ გამოიყურებოდა; ეს მაშინ, როდესაც მეტროპოლიაში ახალი რუსული ლიტერატურის შედევრები ბრწყინავდნენ, ვითარდებოდა მეცნიერების დარგები: ისტორია, ბუნებისმეტყველება და სხვ. ამ მომენტში ქართველ ინტელიგენციას შეეძლო მხოლოდ წარსულით ეამაყნა. სამშობლოს ისტორიის ბრწყინვალე ფურცლების გადმოშლით, მისი გაცნობით რუსი და ევროპელი მკითხველისათვის ეს ინტელიგენცია აისხამდა ეროვნული ბრძოლისათვის ძლიერ იარაღს და აიძულებდა მეფის აგენტებს ეცნოთ ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული კულტურა. ძირითადად ამ მიმართულებით მოღვაწეობდნენ პეტერბურგში გადასახლებული ქართველი ბატონიშვილები—იოანე, დავითი, თეიმურაზი. ამ მიმართულებით მოღვაწეობდა პლატონ იოსელიანი, სულხან ბარათაშვილი და სხვები. მიუხედავად ამისა, ამ ახალ დროში, აღნიშნულ პირთა მიერ გაკეთებული საქმე ძალზე მკრთალად გამოიყურებოდა. უმეტესი მათგანი სამშობლოს მოწყვეტილი იყო. უცხოელი მეცნიერი აკად. მარი ბროსეც, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის, საქართველოდან შორს, პეტერბურგში, მოღვაწეობდა. ამგვარად, ადგილზე, საქართველოში, ვერ იქმნებოდა სამშობლოს ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ მეცნიერთა დასი. ასეთი დასის ადგილობრივ შექმნა გადაუდებელი ამოცანა იყო. ამას მოითხოვდა ქართველი ხალხის ინტერესები. ეს ამოცანა ერთი თუ ათი წლის განმავლობაში ვერ გადაწყდებოდა. კარგა დიდი დრო იყო საჭირო იმისათვის, რომ სათანადო მაგალითით წაქეზებული პირები გამოჩენილიყვნენ და გაზრდილიყვნენ.

დიმიტრი ბაქრაძემ იცოდა, რომ ერის კულტურული მემკვი-

დრეობის აღდგენისათვის ბრძოლა უიარაღო იქნებოდა მისი ისტორიის შესწავლის გარეშე.[19] ამიტომ მან თავისი მოღვაწეობის საგნად შობლიური ხალხის ისტორიის შესწავლა აირჩია და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამ საქმეს მოახმარა. მისი მოღვაწეობის შინაარსი საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის ბრძოლაში, ქართული კულტურის აღორძინებისათვის სამსახურში გამოიხატება.

როგორც თავისი ეპოქის შვილს, დ. ბაქრაძეს, არ ესმოდა კლასობრივი ბრძოლის თეორია. იგი შორს იყო ისტორიის მატერიალისტური გაგებისაგან, ისე როგორც მისი დროის ყველა ისტორიკოსი და მოღვაწე ჩვენში; მიუხედავად ამისა მან დიდი ამაგი დასდო სამშობლო ქვეყანას თავისი ხალხის ისტორიის შესწავლის საქმეში.

დიმიტრი ბაქრაძეს შეგნებული ჰქონდა საზოგადო მოღვაწის მოვალეობა და პასუხისმგებლობა. იგი, კლასობრივობის პრინციპის ერთგვარი უგულებელყოფით, წერდა:

„ადამიანი ეკუთვნის საზოგადოებას. იმის აღზრდას, მიმართულებას და ცხოვრებას უნდა საგნად ჰქონდეს საზოგადოების ინტერესი. ის იმისთვის არ უნდა ზოგავდეს არც თავის ნიჭსა, არც თავის ქონებასა, არც თავის სიცოცხლესა. თუ მომეტებულს ნაწილს ხალხისას ეს საგანი ესმის და იმის გაელენის ქვეშ მოქმედებს ყოველთვის, მაშინ საზოგადოება მტკიცედ არის დამყარებული და მძლეა. კეთილდღეობისა და წარმატების გზაზე დგას. თუ არა, თუ იმათ თავიანთ ცხოვრებაში საგნად აქვთ საკუთარი ინტერესი, წინააღმდეგი საზოგადოების მოთხოვნილებისა, მაშინ საზოგადოების წევრნი არიან სუსტნი და თვით საზოგადოების კავშირი დარღვეულია“[20].

ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას დ. ბაქრაძემ თავისი პირველი ეთნოგრაფიული წერილი დაწერა ჟურნალ „სოვრემენნიკ“-ისათვის («Сборник для жизни Грузии»). „სოვრემენნიკ“-ის რედაქციასთან კავშირის დამყარება თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ ბაქრაძე, რომელიც „გაპირვებულ მდგომარეობაში აღმოსარდა... რუსეთშიაც დაკავშირებული იყო ბატონიშვილების პრივილეგირებულ საზოგადოებასთან კი არა, როგორც მაგ. პლ. იოსელიანი, არამედ მას ურთიერთობა ჰქონდა, ან უკიდურეს შემთხვევაში მიდრეკილება, მაშინ მხოლოდ გაფორმების პროცესში მყოფ რუსეთის სოციალისტური მიმართულების ინტელიგენციასთან“[21]. სულ სხვაა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შორს წავიდა ამ მომენტში ბაქრაძის ეს ურთიერთობა, მაგრამ ერთგვარი კავშირის ფაქტი დადასტურებულია იმით, რომ აღნიშნული

საკმაოდ ვრცელი წერილი გამოქვეყნდა ხსენებულ ჟურნალში 1851 წ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1852-1857 წლებში ბაქრაძე მუშაობდა მასწავლებლად გორის სამაზრო სკოლაში. პედაგოგიური მუშაობის პერიოდში დიმიტრი, როგორც ჩანს, სულ უფრო და უფრო აღრმავებდა თავის ცოდნას. ამ წლების განმავლობაში მან გაზ. „კავკაზ"-ში უკვე ათამდე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილი გამოაქვეყნა[22]. ბაქრაძის ამ წერილებს დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს აკად. მარი ბროსე.

აკად. ბროსემ ჯერ კიდევ პარიზში, ცნობილი ორიენტალისტის სენ-მარტენის ხელმძღვანელობით, დაიწყო მუშაობა. შედარებით მოკლე ხანში მან შეისწავლა ქართული ენაც და 1835 წ. დაასრულა კლაპროტის მიერ დაწყებული ქართული გრამატიკის შედგენა[23]. ფრანგულ ენაზე შედგენილი ეს გრამატიკა იყო ერთადერთი სახელმძღვანელო იმ ევროპელი მეცნიერებისათვის, რომლებიც ქართულ ენას სწავლობდნენ. ამ გრამატიკის წინასიტყვაობაში ბროსე აღნიშნავდა, რომ ე. წ. „აზიურმა საზოგადოებამ", რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობით იყო დაინტერესებული, ადრე იგრძნო, სხვა აღმოსავლური ენების შესწავლასთან ერთად, ქართული ენის შესწავლის აუცილებლობაც[24]. საზოგადოების პერიოდულ გამოცემაში[25] 1827-1836 წლებში გამოჩნდა წერილები ქართველური ენების, ისტორიის, ქრონიკის, ქართული საერო და სასულიერო სამართლის, საბა-ორბელიანის ლექსიკონის, „ვეფხის ტყაოსნის" და სხვათა შესახებ. წერილების ავტორები იყვნენ სენ-მარტენი, შულცი, როტიე, კლაპროტი, ბროსე და სხვები[26]. აღნიშნულებს შორის ბროსე აღმოჩნდა ის ისტორიკოსი, რომელმაც საქართველოს ისტორია თავის უმთავრეს საგნად აირჩია. პეტერბურგში გადმოსახლებისა (1836 წ.) და იქ დამკვიდრების დროს ბროსეს მასწავლებელი იყო თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელმაც მას დიდი დახმარება გაუწია[27].

აკად. ბროსეს კალამს ეკუთვნის მრავალი მეცნიერული ნაშრომი. საქართველოს ისტორიის შესწავლაში მას დიდი დამსახურება მიუძღვის.

დიმიტრი ბაქრაძის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლისას ბროსეს მდიდარი შემოქმედებითი მოღვაწეობა საქართველოს ისტორიაში თითქმის დასრულებული იყო. ერთ წერილში იგი სწერდა ბაქრაძეს 1866 წ.: „ძალიან დავბერდი, და ამისათვის მწადიან რომ ყმაწვილმა ყმამა გაათავოს ჩემგან დაწყებული"-ო.[28]

ბროსეს ქართველი ინტელიგენცია კარგად იცნობდა, როგორც საქართველოში ნამყოფს (1847-48 წ. წ.)[29], რუსეთის

მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს და დიდად სახელმოხვეჭილ მეცნიერს. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ იმ მომენტში ისეთ დამწყებ მეცნიერს, როგორიც ბაქრაძე იყო, ბროსესაგან ბევრი რამის შესწავლა შეეძლო.

ბაქრაძე პირველად დაუკავშირდა ბროსეს 1856 წლის ბოლოს. მან ბროსეს დიმიტრი შეღვინეთუხუცესის ხელით გაუგზავნა თავისი წერილი—„საქართველოს ისტორიის წყაროების შესახებ"[30]. საპასუხო წერილში, 1857 წ. 18 იანვარს, ბროსე თავისებური ქართული ენით სწერდა:

„...ეს სიტყვა ძალიან მესიამოვნა, არა მხოლოდ მისთვის, რომ თქვენ ღირსების მეტი აქებთ ჩემს ნამუშაკევსა და საქართველოს სიძველეთა და ისტორიის მეძიებლობათა ჩემთა. მე ასეთი ქების მოყვარე არა ვარ, რომ მივიჩემო ესოდენი ღირსება, რამდენად აფასებთ დაწერილთა ჩემგან წიგნთა და სიტყვათა: იმით უფრო მომეწონა წერილი თქვენი, რომ ადრიდგანვე გიცნობ, კავკაზში დაბეჭდილთა სხვა-და-სხვათა გამო, და სიხარულით შევიტყე ესე, რომ უკანასკნელ გამოჩნდა საქართველოში თვით ქართველი კაცი, განათლების მოყვარე, რომელსა სურს გამოძიება და გამოცხადება ძველის ყოფა-ქცევისა საქართველოს ხალხთა, და თქვენგან ვისასოებ შეწევნასა: ჩანს თქვენ კარგათა მომზადებული ბრძანდებით, ქართული ენა გეცოდინებათ რასაკვირველია. გისწავლიათ უთუოდ ლატინური, ფრანციცულ წიგნებს წაიკითხავთ: ამათი შეწევნითა, მამულის მოსახსენებელნი და უცხოს მხარისაც შემწედ გექნებიან: ნუ დაიშურებთ, ძიებითა და მოთმინებით მოასწრებთ, და სურვილისა თქვენისა საგანს მიეწევით"...[31]. შემდეგ ბროსე ხაზს უსვამდა ბაქრაძის მიერ არჩეულ სარბიელზე მიღწევის ერთ პირობას: „თქვენ, ბატონო, საქართველოში ცხოვრობთ, ენა კარგად იცით, ქართველი თანა-შემამულე ბრძანდებით. გეადვილებათ საქმე უფრო ვიდრეღა ჩემთვის". როგორც ჩანს, ბროსეს აქ იმის თქმა უნდოდა, რომ ბაქრაძეს, როგორც ქართველ მკვიდრს, მასთან შედარებით უფრო მეტი უნდა გაეკეთებინა.

დამახასიათებელია, რომ უცხოელ ბროსეს საქართველოს ისტორიაზე ხანგრძლივმა მუშაობამ ჩვენი ქვეყნისადმი დიდი სიყვარული აღუძრა. მან აღნიშნულ წერილში საჭიროდაც კი ჩასთვალა, რომ ბაქრაძისათვის მადლობა გადაეხადა საკუთარი სამშობლოს სიყვარულისათვის:

„მეორეთა გმადლობ, ბატონო, ამისათვის რომ საქართველო გიყვარს, და მის ისტორიის და სიტყვიერების მეძიებელი ბრძანდებით...[32]

მის მიერ ჩატარებულ მუშაობას ბროსე ძალზე მცირე წვლილად თვლიდა და ბაქრაძეს უანდერძებდა მომავალ დიდ სამუ-

შაებს: „ჯეშმარიტებით ვაღიარებ, რომ რაც მიქნია იმისი ათ-ჯერ მეტი დარჩა საქნელად შემდგომთა ჩემთა საქართველოს მო-ყვარეთა მიერ“[33].

ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ ბაქრაძეს, რაკი საქართველოში იყო, ბროსესთან შედარებით მეტი შესაძლებლო-ბა ჰქონდა საქართველოს ისტორიის უკეთესი შესწავლა-დამუშა-ვებისათვის. მაგრამ შესაძლებლობა ერთია და მისი გამოყენება მეორე. გარდა იმისა, რომ ბაქრაძე სამეცნიერო ცენტრებს მოწ-ყვეტილი იყო, მას არ შეეძლო ისეთი სისტემატური მეცნიერული მუშაობის წარმოება, როგორც ბროსეს. ბაქრაძე უსახსრობის გა-მო იძულებული იყო მოხელეობასთან შეეთვისებინა თავისი მეც-ნიერული მუშაობა.

1858 წლიდან დიმიტრიმ მუშაობა დაიწყო ქუთაისის გუბერ-ნატორის კანცელარიაში „განსაკუთრებულ დავალებათა მოხე-ლედ[34]. ამ დროს, ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობის ამს-რულებელ გ. ერისთავთან ერთად, ბაქრაძეს მოუხდა პარიზში გამ-გზავრება 6 თვით. ამ მოგზაურობამ ხელი შეუწყო ბაქრაძეს ფრანგული ენის ცოდნის გაღრმავებაში[35].

ქუთაისში მუშაობისას დ. ბაქრაძეს არ შეუწყვეტია თავისი სა-ყვარელი საქმიანობა. იგი ცხოველ კავშირში იმყოფებოდა რუსე-თის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან. როგორც ჩანს, ამ საზოგადოების დახმარებით მან განახორციელა სვანეთში სამეცნიერო მივლინების სურვილი:

„მე მსურდა ამ მხარეში გამგზავრება, სვანების მოქმედებისა და ცხოვრების ხასიათის ადგილზე გამოკვლევა და, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, მათი წარსული ბედის შესწავლა. ამასთან ერთად მე მქონდა გეოგრაფიული საზოგადოების დავა-ლება, რომ შემეკრიბა სათავადო სვანეთში დაცული ხატებისა და სხვათა უძველესი წარწერები. არ შევზღუდე ჩემი მუშაობა მარ-ტო სათავადო სვანეთით, გადავიარე აგრეთვე თავისუფალი სვანე-თიც, გავემართე ცხენის-წყლის სათავის მიმართულებით და მი-ვაღწიე სადადიანო სვანეთის ყველაზე ზემოთ მდებარე სოფელს — ლაშხეთს, საიდანაც ჩითხარის გადასასვლელით გადავედი რა-ჭაში“[36].

ამ მოგზაურობის შედეგად ბაქრაძემ დაგვიტოვა ძვირფასი ნაშრომი—„სვანეთი“, რომლის შესახებ შემდეგ თავში ვისაუბ-რებთ.

დ. ბაქრაძის მოგზაურობით სვანეთში ფორმდებოდა მისი მოღ-ვაწეობის ერთი მთავარი მიმართულება—ისტორიულ-არქეოლო-გიური ხასიათის მასალების ძიება. იმ დროისათვის მასალების მა-

ძიებელს გაცილებით მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, ვიდრე შემდგომ ხანაში, რადგან დროის მანძილზე ფუჭდებოდა და მეცნიერებისათვის დაკარგული ხდებოდა როგორც წერილობითი, ისე ნივთიერი ძეგლები. ამიტომ საისტორიო მასალების ძიება-შეგროვების ეს მიმართულება, რომელიც შემდგომ ხანაში დიმიტრიმ მაღალ საფეხურზე აიყვანა და რომელ საქმიანობაშიც მან მასები ჩააბა, ჩვენი ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის საერთოდ უდიდესი საქმე იყო.

ბაქრაძემ თავიდანვე ბრძოლა გამოუცხადა იმ გარემოებას, რომ საქართველოს ისტორიის შესახებ არსებულ წყაროებზე უარყოფითი შეხედულებების გამო, ამ წყაროებს სრული უგულებელყოფით უყურებდნენ, მათ შეკრებაზეც არავინ ზრუნავდა, რაც მეტად მავნე იყო. ასეთი უარყოფითი შეხედულება ზოგიერთებში საქართველოს ისტორიაზე მუშაობის ხალისს ჰკლავდა. ბაქრაძე მიუთითებდა იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც ასეთი შეხედულება წარმოშვეს და თანაც ასაბუთებდა, მაშინ ცნობილი მეცნიერების დამოწმებით, რომ საქართველოს ისტორიის წყაროების ხელაღებით ათვალწუნება არ შეიძლებოდა, რომ ამ წყაროებს, რომელთაც ღრმა მეცნიერული შესწავლა ესაჭიროებოდა, მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა[37].

4. პატრიოტულ-კულტურული მოძრაობის თაოსანი ქუთაისში

ქუთაისში მუშაობის დროს დიმიტრი გამოვიდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის პატრიოტულ-კულტურული მოძრაობის თაოსნის როლში. მისი ეს თაოსნობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა იოანე ბატონიშვილის ცნობილი თხზულების — „კალმასობის“ გამოცემასთან დაკავშირებით.

ინტელიგენციის სურვილი და მისწრაფება „კალმასობის“ გამოცემისათვის შემთხვევითი როდი იყო. კალმასობა იმ დროს ის ძვირფასი ნაწარმოები იყო, რომლითაც ამ ინტელიგენციას შეეძლო ეამაყნა. ამ თხზულების გამოცემა ხელს შეუწყობდა ქართულ მწერლობასა და ლიტერატურაზე მაშინ ზოგიერთ წრეებში გავრცელებული უარყოფითი შეხედულების გაფანტვას. ამავე დროს, როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ მშობლიურ ენაზე დაწერილი ეს „ენციკლოპედიური თხზულება“, გამოდგებოდა სკოლებში სახელმძღვანელოდ, მომავალი თაობის აღსაზრდელად. მაშინ ასეთი შეხედულება კალმასობაზე მეტად საფუძვლიანი ჩანდა მით უფრო, რომ თავის დროზე (XVIII და XIX ს. ს. მიჯნა) ეს თხზულება უპასუხებდა ახალი კულტურული ცხოვრებისკენ მსწრაფვი „ქართველი ინტელიგენციის გონებრივ ინტერესებს“[38].

გარდა აღნიშნულისა, „კალმასობის“ ქართულად გამოცემით და შემდეგ მისი გაცნობით რუსი მკითხველებისათვის, ქართველი ინტელიგენცია, კოლონიური ჩაგვრის ხანაში შებღალული თავმოყვარეობის გამოც, იწყებდა ბრძოლას, როგორც ტრადიციული ლიტერატურის გამომზეურებისათვის, ისე თავისი ხალხის კულტურულ-შემოქმედებითი აღმავლობისათვის.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორისადმი წერილში, 1861 წ. 6 მარტს, ბაქრაძე გამოხატავდა მოწინავე ქართველთა პროგრესული დასის საგანმანათლებლო მოღვაწეობის მეტად სასარგებლო მიმართულებას:

„ყოველნი კეთილნი დაწყებანი, რომელთაც აქვთ საზოგადო სარგებლობა, ლატარიები, ხელისმოწერანი და თეატრების გამართვანი, ჩვენს დროში აღმოჩნდნენ საჭიროდ საზოგადოებისათვის... დრომ განვლო, როდესაც სახალხო საჭიროების აღსრულებაში მოყვანისათვის, საზოგადოება მიჰმართავდა მთავრობასა და მას მოსთხოვდა შემწეობასა. ასეც უნდა იყოს. მხოლოდ საზოგადოების თვით მზრუნველობა და იმის მხრითვე დაწყება თვისს შესახებთა საქმეთა მისცემს ხალხს მოძრაობასა, დააყენებს განათლების გზაზედა. ჰეშმარიტი განათლება ისე სწავლათ საგნების მითვისებაში არა მდგომარეობს, როგორათაც მიხდომილებაში საზოგადო საჭიროებათა და მათ აღსრულებაში საზოგადოებისაგანვე... ასე იყო ძველს დროებაში. უმეტესი ნაწილი მშვენიერთა ტაძართა და მონასტერთა, აგრეთვე თარგმნილებანი საეკლესიო და საერო წერილთა ქართულს ენაზედ, შეუსრულებია ხალხსა თავის თავად... ამ წესად უნდა დავემყარნეთ აწცა. და ეს არც არის ჩვენთვის ძნელი... საჭიროა მხოლოდ... რამდენიმე კარგათ მომზადებულნი და მზრუნველნი წინამძღოლნი...“[39] ამასთანავე, წერილში აღნიშნული იყო, რომ ქუთაისში დიდი წარმატებით დადგეს წარმოდგენა—„გაყრა“ და მისგან შემოსული ფულით განზრახული ჰქონდათ ერთი „უცნობი“ წიგნის გამოცემა.

„ეს თხზულება,—მიმართავდა ბაქრაძე რედაქტორს,—მთელი ენციკლოპედიაა და არის დაწერილი მშვენიერის ენითა (ამაზე სპეც. წერილში მოგახსენებთ, მანამდის კი) მხოლოდ გეტყვით, „კალმასობა“ ასეთი რამ არის, რომ თვითეულს ქართველს ხელში უნდა ჰქონდეს და სკოლებშიაც უნდა იყოს ხელმძღვანელად...“[40]

აღნიშნულ წერილში მოცემულია ქართული წიგნების გამოცემისათვის სახალხო ფონდის დაფუძნების პროგრამა, რომლის მიხედვით „კალმასობის“ პირველი ტომის გაყიდვის შედეგად შემოსული

ფულით უნდა გამოცემულიყო მისი მეორე ნაწილი, შემდეგ საბა ორბელიანის ლექსიკონი და სხვა წიგნები. ასეთი პროგრამის განხორციელებით, როგორც ბაქრაძე ამბობდა, **„საზოგადოებას მიეცემოდა მოძრაობა განათლებისა“**[41].

მეფის ცენზურის მიერ შეზღუდული იმდროინდელი ქართული ჟურნალის ფურცლებზე მეტის თქმა გაძნელებული იყო. მომწოდებელს თავისი მიმართვა ეიწრო მიზნობრივი თვალსაზრისით უნდა შემოეფარგლა, მას მთავრობისათვის ანგარიში უნდა გაეწია. ამიტომ იყო, რომ იქ, სადაც ლაპარაკია საზოგადოების ინტერესებისათვის მთავრობის ზრუნვის თაობაზე, და იმის გარშემო, რომ ასეთმა „დრომ განვლო“ და ხალხი ახლა ყველგან თვითონ ზრუნავს თავისთავზე, ავტორი ასაბუთებს ასეთი მდგომარეობის ჩვეულებრივობას და გარკვეულად არ აღნიშნავს, რომ ქართველი საზოგადოებრიობა განათლებისა და კულტურის საქმეში საკუთარი ძალების ანაბრად იყო მიტოვებული და მთავრობა ამაზე არ ზრუნავდა. ასეთი აზრი აქ ალეგორიულ ფორმაში ჩანს უდავოდ. ბაქრაძე ამხნევებდა საზოგადოებას წარსულის ძვირფასი მაგალითებით, მოუწოდებდა მას გაერთიანებისაკენ იმ მიზნით, რომ ქართველობას, მიუხედავად მთავრობის უზრუნველობისა, თვითვე დაეწყო „მოძრაობა განათლებისა“. ამ ოფიციალურ მოწოდებას იმ დროისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

აღნიშნული მოწოდებით აღტაცებული „ცისკარის“ რედაქტორი ივ. კერესელიძე სწერდა დ. ბაქრაძეს:

„ჩვენის მშობლიურის ენის ერთგულო თანამშრომელო, საყვარელო დმიტრი!

„ჩვენ ვერა ვპოვებთ სიტყვებს, რომლის საშუალებითაც შეგვეძლოს მადლობის გადახდა ამგვარ კეთილშობილურ და ღირს სახსოვარ აზრის გამოხატვისათვის...[42]

საქმიან მოწოდებას და თაოსნობას ძვირფასი შედეგი მოჰყვა. საზოგადოებისა და ჟურნ. „ცისკარის“ რედაქციის მხარდაჭერით ბაქრაძემ, პირველმა, გამოსცა იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“. წიგნისთვის წამძღვარებული ვრცელი შესავალი—„იოანე ბატონიშვილი და იმისი „კალმასობა“,—რომელსაც იმ დროისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ბაქრაძემ, თანახმად დაპირებისა, ადრე გაუგზავნა „ცისკრის“ რედაქციას; იგი გამოქვეყნდა ჟურნალის 1861 წ. მე-4 ნომერში[43], ხოლო შეძდეგ გაძეორდა „კალმასობის“ 1862 წ. ცალკე გამოცემაში[44].

„შესავალი“, როგორც ჩანს, ავტორის მიერ წინასწარ გამიზნული იყო ქართველ საზოგადოებაში პატრიოტულ-კულტურული,

ეროვნული მოძრაობის გაძლიერებისათვის.

ბაქრაძე აღნიშნავდა, რომ ქართველობა ეკუთვნოდა იმ ხალხთა რიცხვს, რომლებიც განსაცდელის ჟამს იჩენდნენ უდიდეს ნებისყოფას და ძალას. მიუხედავად საქართველოს დაშლისა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, სამცხე-საათაბაგოს გაოსმალებისა, საშინაო მტრობისა და არეულობისა, ტყვეთა სყიდვისა და სხვ., რასაც უნდა გამოეწვია განათლებისა და კულტურის დაცემა, ეროვნული გადაგვარება, ქართველებმა მაინც შესძლეს თავისი ეროვნულობის, სარწმუნოების შენარჩუნება. ბაქრაძე თავისებურად ხსნიდა მიზეზებს იმისა, თუ როგორ შესძლო ქართველობამ ეროვნული სიწმინდის დაცვა:

„თავისუფლების მოყვარეობა და სულის სიმტკიცე ძველადგანვე შეადგენდნენ ჩვენის ტომის უპირველეს ღირსებასა, და ეს იყო მიზეზი, რომ ამერ-იმერნი არასდროს არავის არ დაჰმონებიან. თუმცა მტერნი მრავალჯერ სძლევდნენ და დაიჭერდნენ საქართველოსა, მაგრამ ხანგრძლივსა აქ დაფუძნებასა ვერა ჰპოვებდნენ, რადგანაც კარგად იცოდნენ, რომ ქართველნი, განლტოლვილნი მთების სიმაგრეებში, პოსვენებას არ მისცემდნენ იმათ"[45].

საქართველოს გმირული წარსულიდან სასიქადულო ფაქტების გამომზეურებით, ბაქრაძე ხელს უწყობდა ხალხში სამშობლოსადმი სიყვარულის გაძლიერებას, უკეთესი მომავლის შექმნისათვის ბრძოლის გაჩაღებას:

„ვის არ მოსმენია, რა სიტყვა წარმოსთქვა ფრიდრიხ დიდმა? შესანიშნავი პირი ამ დროისა ერთი მე ვარო, მეორე ირაკლიო. თვით რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორე გასაოცარ მეომარ პირად წარმოადგენს იმას მიწერ-მოწერაში ვოლტერთან. ვის არ ამოუკითხავს, რომ სპარსთა და ოსმალთაგან ირაკლი იყო წოდებული „აშვებულ ლომად", რომ შაჰ-ნადირის სიკვდილის შემდეგ შიშობდნენ, სპარსეთის ტახტი ირაკლიმ არ დაიჭიროსო? რამდენჯერ მომხდარა, რომ 2000 ქართველთ წყობას — 20000 მტერი სრულებით უძლევიათ? სარწმუნეობა?... მთელი ქვეყანა იყო განცვიფრებული ჩვენ წინაპართ სიმტკიცითა სჯულზედ და დაცვითა თვისის აღსარებისა. მოვიგონოთ, რომ უპირველესი რუსეთის მღვდელ-მთავარი მოსკოვისა, მიტროპოლიტი ფილარეტი, რუსეთის მართლმადიდებლობის დასამტკიცებლად უჩვენებს ჩვენს ეკლესიასა, რომელიც შეურყეველად ჰგიებსო მეოთხის საუკუნით"...[46]

ასეთი განცხადებანი იმ დროისათვის, როდესაც ქართველი

ხალხი ნაციონალურ ჩაგვრას განიცდიდა, უაღრესად საჭირო იყო. აქ ჩანდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წაქეზებისათვის ერთგვარი ხერხი, პროტესტი ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ.

ქართველი საზოგადოების წარსული მდიდარი კულტურული ტრადიციების მაგალითების მოტანით ბაქრაძე ამხნევებდა მომავალ თაობას განათლების მიღებისათვის, მეცნიერების დაუფლებისათვის.

იოანე ბატონიშვილის თხზულების მთავარი დამახასიათებელი თვისებების ზოგადი განხილვისას, იქ სადაც „კალმასობაში“ მოთხრობილ საქართველოს დაშლა-დაცემაზეა საუბარი, ბაქრაძე, აღნიშნული თხზულებით აღტაცებული, მიმართავს მკითხველს: „თქვენ ნუგეშობთ მხოლოდ იმით, რომ ამერ-იმერნი არა ჰკარგავენ არც თავისს ხასიათის ძალასა, არც მიდრეკილებასა მეცნიერებისადმი, არც სარწმუნოებრივსა და ზნეობითსა სიმტკიცესა, თქვენ გეხსნებათ გული, როდესაც ჰხედავთ ბრწყინვალე პირთა, რომელნიც მამულის სიყვარულითა, სამხედრო ახოვნებითა და ყოველგვართ მოღვაწეობითა განაცვიფრებენ აზიისა თუ ევროპიისა მფლობელთა ხალხთა“...[47]

ბაქრაძის თაოსნობით „კალმასობის“ გამოცემის ფაქტი იმ დროს ქართველი საზოგადოებრიობის კულტურულ-საგანმანათლებლო და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

1861 წლის ბოლოდან დიმიტრი სწყვეტს მუშაობას ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაში და გადმოდის თბილისში რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრ-თანამშრომლად. ამის შემდეგ დიმიტრის ბევრჯერ მოუხდა სამოხელეო ადგილების გამოცვლა, მაგრამ აღნიშნულ საზოგადოებასთან კავშირი მას არ გაუწყვეტია[48].

5. პროგრესული იდეების მიმდევარი

ბაქრაძე ქართველ საზოგადოებაში დაწყებული მოწინავე მიმდინარეობის წარმომადგენელი იყო. მისი მჭიდრო კავშირი ქართული თეატრისა და პრესის დაძაარსებელ გიორგი ერისთავთან, დიმ. მეღვინეთუხუცესთან, აქტიური მონაწილეობა ქართულ პრესაში, იმის მაჩვენებელია, რომ იგი ეროვნულ-კულტურული მოძრაობის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო[49]. ჭიჭინაძის გადმოცემით, ბაქრაძემ 1866 წ. გაზეთ „დროების“ დაარსებაში დიდი როლი ითამაშა, იგი „დროების“ ერთი „უმთავრესი“ თანამშრომელი იყო[50].

„დროების“ გარშემო შეკრებილი მოწინავე ქართველი ინტელიგენტების დასი, რომელიც ჩვენს ისტორიაში „მეორე დასის“ სახელითაა ცნობილი, გამოხატავდა ახალ პროგრესულ მიმდინარეობას და ცდილობდა შეეფასებინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ახალი მოვლენები.

რუსეთში საგლეხო რეფორმის ჩატარებას მოჰყვა „ნაროდნიკულ-სოციალისტური“ იდეების განვითარება. საქართველოში რეფორმა დაგვიანებით და შეკვეცილი სახითაც ჩატარდა. ახალ სოციალისტურ იდეებს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისეთი ნიადაგი არ ჰქონია, როგორიც რუსეთში. მიუხედავად ამისა, ჩვენი ინტელიგენციის გარკვეული ხაწილი ხარბად ითვისებდა მას, თვალყურს ადევნებდა რუსეთისა და ევროპის მოაზროვნეებს, თავისებურად აღიქვამდა ამ იდეებს და ცდილობდა ჩაეხედა ადგილობრივი ცხოვრების სინამდვილეში.

ქვეყნის ეკონომიურმა განვითარებამ რუსეთში და გლეხთა აჯანყებებმა დააჩქარეს იქ საგლეხო რეფორმის ჩატარება. რუსული კაპიტალის ინტერესები მოითხოვდა ბატონყმობის გაუქმებას კოლონიაში—საქართველო - ამიერკავკასიაში. კერძოდ, საქართველო უნდა გადაქცეულიყო რუსეთის საძრეწველო კაპიტალისათვის ნედლეულის ბაზად, კოლონიური ექსპლოატაციის ობიექტად. ეს გარემოება აყენებდა საკითხს რკინიგზების გაყვანის შესახებ ძავი ქვის საბადოებისაკენ, შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ; საჭირო გახდა და აუცილებელი სარკინიგზო კავშირი ბაქო-ბათუმს შორის... ყოველივე ეს მოითხოვდა თავისუფალ მუშახელს. საქართველოში გლეხთა განთავისუფლებას ახჩარებდა აგრეთვე გლეხთა მოძრაობანი, რომელიც მიმართული იყო კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ერთის მხრით და ბატონყმური ექსპლოატაციის წინააღმდეგ მეორე მხრით. მეფის რუსეთი ფაქტიურად ამიერიდან მხოლოდ იწუებდა ქვეყნის ეკონომიურ დაპყრობას.

მიუხედავად კოლონიური მდგომარეობისა, საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც იწუებოდა გარდატეხა, ახალი ხანა, კაპიტალისტური წუობილების წარმოშობის პერიოდი.

გლეხთა უმიწოდ „განთავისუფლება“, მათი ფაქტიური გადარიცხვა „დროებით ვალდებულთა“ მდგომარეობაში, დაჭირავებული მუშების მასობრივად გაჩენა კაპიტალისტურ წამოწუებებზე —რკინიგზებისა და ნავსადგურების მშენებლობა, მარგანეცის მოპოვება და სხვა მრავალი—ის მოვლენები იყო, რომლებიც წინ უძღოდა ჩვენში ახალი სოციალური ძალის —რევოლუციური პროლეტარიატის წარმოქმნას.

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, განსაკუთრებით „დროების“ ჯგუფი, ხედავდა, რომ საქართველოს ეკონომიური წუობი-

ლება კაპიტალიზმისაკენ მიდიოდა. ევროპის მაგალითის მიხედვით მათ იცოდნენ, რომ ამ ახალ მოვლენას, სიმდიდრის გავრცელებასთან ერთად, მოჰქონდა დიდი სიღარიბე ხალხისათვის; „მაგრამ „დროებას“,—წერს ს. ხუნდაძე,—სურდა პირველის (სიმდიდრის) გავრცელება საქართველოში, ხოლო მეორესი (სიღარიბის) არსებითი წინააღმდეგი იყო. აქედან წარმოსდგა ასოციაციური და კოოპერაციული პროგრამების წამოყენება ჩვენი ინტელიგენციის მიერ 60-70-ან წლებში, ე. ი. კაპიტალიზმი უპროლეტარიატოდ უნდა განვითარებულიყო ჩვენში“[51].

ასეთი ჯგუფის პირველი წარმომადგენელი იყო დიმიტრი ბაქრაძე, რომლის ვრცელი წერილები ქვეყნდებოდა 1866 წ. გაზეთი „დროების“ მე-5 ნომრიდან. წერილების ციკლის სათაურია—„ისტორიული მოძრაობა განათლებისა“[52].

ამ წერილით ბაქრაძე გამოდის მოწინავე აზრების მქადაგებლის როლში, კულტურტრეგერული მისიის შემსრულებლის როლში. ჩვენ აქ არ ვკისრულობთ მის მიერ გამოთქმული თუ გამეორებული აზრების შეფასებას იმ ეპოქის ახალ შეხედულებათა განხილვის ფონზე. აღვნიშნავთ მხოლოდ მისი წერილის ზოგიერთ მომენტებს, რაც ნაწილობრივ დახასიათებს ავტორის სულისკვეთებას, მის მიმართულებას.

წერილში გამოსჭვივის აწმყოთი უკმაყოფილო ადამიანების ძახილი, პროტესტი სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ. ეს პროტესტი გამოთქმულია ძველი საბერძნეთის „სახალხო მმართველობისადმი“, დემოკრატიისადმი, რომანტიკული განწყობილებით. ბაქრაძე მიუთითებს ისტორიული წარსულის ამ ფაქტზე და აღნიშნავს:

„აქ პატივი ედვა ადამიანს, როგორც ადამიანს. შთამომავლობას, შემძლებლობას არ უყურებდნენ. აქ აფასებდნენ ნიჭს, პირადს ღირსებას და ნამსახურობას. აქ თვით ნივთიერი მჭონებლობა იყო ერთგვარი. აქ არ იყენენ არც ძალიან მდიდარნი და არც, მაშასადამე, ძალიან ღარიბნი. ახლა ყველამ ვიცით, რა გზითაც ადამიანი შეიძენს დიდს ქონებას. **ერთი მდიდრდება მრავლის ოფლით და შრომით.** სადაც დიდი სიმდიდრე რამდენისამე ხელშია, იქ მრავალია ღარიბი, ლუკმა პურს მოკლებული. სამაგალითო ყოფა-ცხოვრება იმ ხალხშია, რომელსაც არც მდიდარნი აწუხებენ, არც ღარიბნი“[53].

მომდევნო წერილებში ბაქრაძე შეეცადა მოეცა კაპიტალისტური წყობილების სამართლიანი კრიტიკა, გამოემჟღავნებინა მისი მახინჯი მხარეები:

„...უწინ, ცეხების დროს, ოსტატი თავის შეგირდს ეპყრობო-

და მკაცრად, ახლა ფაბრიკანტი მოჯამაგირეს ისე ეპყრობა, რომ კაცობრიული გრძნობა სიშფოთეში შედის. ჩვენი მაშინები ლუკმა პურს და თავისუფლებას ართმევენ ჩვენს ფეიქრებს, ჩვენს დამრთველებს და პროლეტარიატს ავრცელებენ. ✓ დიდი ზღუდე ჰყოფს ფაბრიკანტს და იმის მუშას. პირველი ატარებს თავის დროს განცხრომაში და ყოველს გვარს სიამოვნებაში, მეორე, რომლის სისხლის ოფლითაც იმას სიმდიდრე შეუძენია, ცხოვრობს, ანუ უკეთა ვთქვათ, მცენარებს ჩირქიანს და ტალახით სავსეს ქოხში; ვიცით, რა გვარია იმისი შრომა? ირიჟრაჟებს თუ არა, ის მიეთრევა, ხანდახან ძალიან შორის გზით, ფაბრიკაში, მთელი დღე თვალს და ხელს ვერ ასვენებს; ერთს მინუტს დროს ძლივს პოულობს, რომ ხმელი ლუკმა პური ან მშრალი კარტოფილი ჩაყლაპოს. დაღამდა, მუშამ თვალი მოატყუა და მეორე დილას ადრიანათ ისევ საქმეს შეუდგა ისა. ასე ატარებს ბედკრული თავის ცხოვრებას... **ის სხვა არ არის რა, როგორც ავტომატი ან რა არის იმისი ჯილდო, ჯამაგირი? მართალია, ეს პირობაზეა დამოკიდებული; მუშას ნება აქვს უარი უთხრას ფაბრიკანტს, თუ პირობა ამას არ დაუჯდა. მაგრამ სად შეუძლიან მუშას თავისის პირობის დადება, როდესაც ცოლშვილი შიმშილით ეხოცება? ფაბრიკანტი შეიცდის, მუშა—ვერა. ერთი სიტყვით, იმან უნდა მიიღოს, რა პირობაც უნდა იყოს.**

თვითეულს უნდა ჰქონდეს ცხოვრების ღონისძიება. მაგრამ ჩვენ რას ვხედავთ ცივილიზაციით მოქადულს ევროპაში?—დიდძალი მუშა ხალხი პირუტყვულს მდგომარეობაშია"[54].

ალნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ბაქრაძე იზიარებდა იმ დროის მოწინავე შეხედულებებს კაპიტალიზმის მახინჯი მხარეების გარშემო. მაშინდელი ევროპის ბურჟუაზიული წყობილების ასეთი ზოგადი გაშუქება, რომელიც ახლაც კი ახასიათებს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის არაადამიანურ მდგომარეობას, არ იყო გამახვილებული კლასობრივი ბრძოლის თეორიის თვალსაზრისით. ეს გასაგებიცაა, რადგან ბაქრაძე და მისი თანამოღვაწეები ჯერ კიდევ რჩებოდნენ თავად-აზნაურული, ბატონყმური საქართველოს შვილებად. ეს ის დრო იყო, როდესაც დაიწყო ამ ძველი წყობილების ნგრევა, დაიწყო ახალი, ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი ეტაპი; ჯერ კიდევ მრავალი წელი იყო საჭირო, ვიდრე ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი ურთიერთობა გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებდა, ვიდრე ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ახალი სოციალური ძალა—რევოლუციური პროლეტარიატი გაფორმდებოდა და იგი საგრძნობ ძალად, ისტორიის წამყვან ძალად გადაიქ-

ცეოდა. ამიტომ გასაგები იყო გაზ. „დროების“ მოწინავე წერილის განცხადება, რომელიც გამოქვეყნდა ბაქრაძის წერილების შემდეგ:

„ჯერ ჩვენს ხალხს არ გამოუცდია პროლეტარიატი. იმედი გვაქვს არც ჩავარდეს ამ მდგომარეობაში, თუ ის თავის კეთილდღეობისათვის ღონისძიებას მიიღებს“[55].

ეს „ღონისძიება“ თავისებურად გამოთქვა ბაქრაძემ აღნიშნულ წერილებში. ეს იყო ე. წ. „ასოციაციების“—„ამხანაგობების“ პრინციპი, რაც უტოპისტი სოციალისტების მოძღვრებიდან მომდინარეობდა. ბაქრაძე აღნიშნავდა, რომ აუცილებლად საჭიროა ჩვენში ამხანაგობათა—გაერთიანებათა ჩამოყალიბება, რომ მუშა განთავისუფლდეს „იმ უღლისაგან, რომელიც მისთვის დაუდგია კაპიტალს“; კოოპერაციების გზით მუშამ უნდა შეიძინოს საწარმოო იარაღები, „მუშას უნდა კაპიტალი. უკაპიტალოდ ის ვერას გაარიგებს“, უამისოდ იგი კაპიტალისტზე იქნება დამოკიდებული. „კაპიტალისტი მტერია მუშა ხალხისა. ის არ უნდა იყოს. როდესაც მუშა ასოციაციების შუამავლობას მიჰმართავს, მაშინ კაპიტალისტი დაჰკარგავს თავის ძალას, შრომა მონობისაგან გამოვა, თავისუფალი გახდება და თვითონვე შეიძენს კაპიტალს“[56]. ბაქრაძის შემდეგ ასოციაციის პრინციპს იცავდნენ ბ. პეტრიაშვილი, გრ. თარხან-მოურავი და სხვები.

აღნიშნული სიტყვებიდან კარგად ჩანს ბაქრაძის მიდრეკილება სოციალისტური წყობილების შექმნისაკენ, მისი მისწრაფება, რომ საწარმოო ძალები გადასულიყო მწარმოებელი კლასის—მუშათა კლასის ხელში, მაგრამ კლასობრივ საზოგადოებაში ასეთი მიზნის მიღწევა „ასოციაციების“ მშვიდობიანი შექმნის გზით, და არა რევოლუციური გზით, რა თქმა უნდა, უტოპიური იყო.

მომდევნო წლებში საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო მეტად იგრძნობოდა გარდატეხა, ახალი ურთიერთობა თვალსაჩინო ადგილს იჭერდა და აღნიშნულ შეხედულებებს ნიადაგს აცლიდა. მიუხედავად ამისა, პრესის ფურცლებზე გამოთქმულ ზემოთ დამოწმებულ აზრებს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აღნიშნულმა წერილმა დიმიტრი ბაქრაძე კიდევ უფრო მჭიდროდ დაუახლოვა მოწინავე ქართველ ინტელიგენციას, რომელთანაც იგი ბოლომდე დარჩა ეროვნულ-კულტურული ინტერესებისათვის ბრძოლის ფრონტზე. საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის ბრძოლა ხომ საზოგადოებრივ-კულტურული მოძრაობის ერთი უაღრესად სერიოზული უბანი იყო და

ამ საქმის თაოსნობა XIX ს. II ნახევრის მთელ მანძილზე ბაქრაძეს ხვდა წილად.

6. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის ცდა

საგაზეთო და საჟურნალო წერილების გამოქვეყნება საქართველოს ისტორიის საკითხებზე იმ დროისათვის, რა თქმა უნდა, დიდი საქმე იყო, მაგრამ ასეთი წერილები ინტელიგენციის მზარდ მოთხოვნებს უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა. საზოგადოება მოითხოვდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს. ამ მხრივ მოთხოვნილებებს ასევე ვერ დააკმაყოფილებდა „ქართლის ცხოვრების“ არსებული გამოცემა, ს. ბარათაშვილის საქართველოს ისტორიის ცალკეული წიგნები რუსულ ენაზე და სხვ.

ახალი დროის მოთხოვნილებების შესაფერისი სახელმძღვანელოს შექმნას ბევრი რამ აბრკოლებდა. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ამ საქმისათვის მზრუნველი ორგანიზაცია და მეცნიერული ძალები არ არსებობდნენ. ამოცანის გადაწყვეტა კი ერთი მკვლევარის ძალას აღემატებოდა. გარდა ამისა, სახელმძღვანელოს შექმნას წინ არ უძღოდა წყაროთმცოდნეობითი საკითხების შესწავლა. არსებული მასალები, თუ მხედველობაში არ მივიღებდით ბროსეს „ქართლის ცხოვრების“ შესავალს ფრანგულ ენაზე, ჯერ კიდევ არ იყო კრიტიკულად შესწავლილი. მიუხედავად ამისა, საქართველოს ისტორიის წიგნის შედგენა მაინც დღის წესრიგში იდგა.

დ. ბაქრაძე 1869 წ. შეუდგა საქართველოს ისტორიის წერას ქართულ ენაზე. განზრახული იყო „ისტორიის“ გამოშვება ხუთ „რვეულად“. „პირველი რვეული“ გამოქვეყნდა გაზ. „დროებაში“, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოიცა[57].

იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ინტერესებს გამოხატავდა ბაქრაძის მიერ 1870 წ. 20 ნოემბერს შედგენილი მოწოდება, რომელიც წამძღვარებული აქვს აღნიშნულ წიგნს. მოწოდებაში ბაქრაძე აღნიშნავდა:

„ყოველი ხალხი, რომელიც განათლების გზას დასდგომია, იმას ცდილობს, რომ თავისი მამულის ისტორია იქონიოს... თითოეულ ტომს თავისი ისტორია უნდა ჰქონდეს უკეთეს საკითხავ წიგნად და ხელთ-მძღვანელად. გამოკვლეული არის, რომ წარსულს დროზეა მჭიდროდ დამყარებული აწინდელი დრო. ვინც ძველის დროს ამბები არ იცის, იმან ახლის დროს მნიშვნელობა არ იცის. **ჩვენ ჩვენს ენაზე ჩვენი ისტორია არა გვაქვს, — ისტო-**

რია ისე დაწერილი, როგორც ახლანდელი დრო და საზოგადოება მოითხოვს. ჩვენ არ ვიცით ჩვენი წარსული სვე და ამიტომ გულგრილად შევცქერით აწინდელს"[58].

როგორც ვხედავთ, ბაქრაძეს სამშობლოს ისტორია მომავლის გამოქედვისათვის ძვირფას იარაღად, საზოგადოებრივი ბრძოლის ერთ საშუალებად მიაჩნდა. აღნიშნული მოწოდება სამშობლოს ისტორიისადმი საზოგადოების სურვილების მარტო გაღვივებას როდი ემსახურებოდა. წიგნის გამოცემისათვის სათანადო თანხა იყო საჭირო და ეს თანხა დაინტერესებულ საზოგადოებას უნდა გაეღო. ამ მხრივ მოწოდებამ მიზანს მიაღწია და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ბაქრაძის ინიციატივას. ხელისმომწერთა რიცხვში იყვნენ თბილისიდან 24 კაცი, ქუთაისიდან—40, ოზურგეთიდან—36.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თვითონ ბაქრაძე ნაშრომისათვის რაიმე გასამრჯელოს მიღებაზე უარს აცხადებდა. მოწოდებაში ნათქვამი იყო: „თუ ვინიცობაა სიის ფული იმოდენა შესდგება, რომ ხელის-მომწერთ დაკმაყოფილების შემდეგ ფული რამ დარჩება, ის ფული ქართულის წიგნების საბეჭდავ ფონდში შევაო"[60].

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ისტორიის გამოცემის საქმეში ბაქრაძემ ნამდვილად ჩააბა საზოგადოება და ის, რაც ადრე კერძო საქმედ ითვლებოდა, ამიერიდან უკვე საზოგადოებრივ საქმედ გადააქცია. მაგრამ ამ სერიოზულმა და მეტად სასარგებლო წამოწყებამ აღნიშნულ ეტაპზე შემდგომ განვითარებას ვერ მიაღწია. ბაქრაძემ თავისი თხზულების მხოლოდ „პირველი რეეულის" გამოშვება შესძლო; ეს იყო, ბაქრაძისეული გეგმით, საქართველოს ისტორიის „შესავალი", პირველი რეეული.

ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი გულთბილად გამოეხმაურა „საქართველო"-ს გამოსვლას. ანტონ ფურცელაძემ ვრცელი წერილი მიუძღვნა ამ მოვლენას, მომეტებულად შეაქო ნაშრომის ავტორი და უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ამ ნაშრომზე პრესაში არაფერი იყო ნათქვამი მაშინ, როცა უღირსი ნაშრომების შესახებ ვრცელი ხოტბა იწერებოდა. ფურცელაძეს, როგორც ჩანს, მიზანში ჰყავდა ამოღებული ჟურნ. „კრებულის" რედაქცია[61].

ქართველი ინტელიგენციის მეორე ნაწილმა მეცნიერულ-კრიტიკული თვალსაზრისით შეაფასა ბაქრაძის ნაშრომი. ეს გამოხატა ნ. ნიკოლაძემ თავის წერილში — „ჩვენი მწერლობა", რითაც იგი ძირითადად თავს ესხმოდა ანტ. ფურცელაძის ლიტერატუ-

რულ საქმიანობას და ამავე დროს იძლეოდა მეტად საყურადღებო მითითებებს, რომლებიც ქართული მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის მაშინ მეტად საჭირო იყო[62].

ნიკოლაძე მოკრძალებით აღნიშნავდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბაქრაძის დიდ დამსახურებას და დასძენდა, რომ ეურნ. „კრებულმა" თავი შეიკავა მისი „საქართველოს" კრიტიკული განხილვისაგან, რადგან ეს განხილვა მეტად მკაცრი და ბაქრაძისათვის შეუფერებელი გამოდიოდა.[63]

ნ. ნიკოლაძე სავსებით მართებულად ფიქრობდა, რომ საქართველოს ღირსეული ისტორიის დაწერა ჯერ კიდევ ნაადრევი იყო, ვიდრე სათანადო მასალები შეგროვებული და სათანადოდ შესწავლილი არ იქნებოდა, მაგრამ იგი უკიდურესობაში ვარდებოდა, როცა აღნიშნავდა, რომ ამ მხრივ ყოველი ცდა „უსარგებლო" იყო. მის გამოსვლას ეტყობოდა აღნიშნულ ეტაპზე საქართველოს ისტორიის შედგენის ცდების ხელაღებით უარყოფა. ასეთი გამოსვლა მაშინ მეტად სახიფათო ჩანდა და ხელს შეუშლიდა იმ ახალდაწყებული მოძრაობის განვითარებას, რომელიც საქართველოს ისტორიის წიგნის შექმნას ისახავდა მიზნად. ბაქრაძესაც კარგად ესმოდა, თუ რა იყო საჭირო ღირსეული სახელმძღვანელოს შექმნისათვის, მაგრამ ისეთი ხასიათის ნაშრომების შედგენა და გამოცემა, როგორიც „საქართველოა", იმ დროისათვის მეტად სასარგებლო იყო და მეცნიერების განვითარებას ხელს უწყობდა. ასეთი და მსგავსი ნაშრომების გამოქვეყნება ავლენდა ამ საქმის მიმბაძველებს, ამახვილებდა სამშობლოს ისტორიისადმი მასების ინტერესს და, თუ მეცნიერული ინტელიგენციის სურვილებს მთლიანად არა, საშუალო მკითხველთა მოზღვავებულ სურვილებს მაინც აკმაყოფილებდა. ნიკოლაძის გამოსვლა ერთი მიზეზთაგანი უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ბაქრაძის „პირველ რვეულს" შემდგომი რვეულები არ მოჰყოლია. ამის მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ საქართველოს ისტორიის კურსის დაწერისათვის ბაქრაძე მზად არ ყოფილა და მუშაობის პროცესში მის წინაშე დაისვა მეტად სერიოზული საკითხები, რომელთა გაშუქება ჯერ კიდევ მრავალწლოვან დაძაბულ მუშაობას მოითხოვდა.

ზემოთ აღნიშნულ წიგნზე მუშაობით და მისი გაძღვეყნებით ბაქრაძე, რა თქმა უნდა, არ დაკმაყოფილებულა. მას თავი არ მიუნებებია საისტორიო კვლევა-ძიებაში მის მიერ არჩეული მთავარი მიმართულებისათვის, რომელიც საქართველოს ისტორიის

მასალების ძიებაში გამოიხატებოდა. ისტორიის სახელმძღვანელოზე მუშაობას ბაქრაძის ასეთი მიმართულება კიდევ მეტად უნდა გაეცხოველებინა და ეს ასეც მოხდა.

7. მოგზაურობა გურიასა და აბარაში

დ. ბაქრაძე თავიდანვე იყო დარწმუნებული, რომ საქართველოს ისტორიისათვის მასალების შეგროვება ისტორიულ-არქეოლოგიური მოგზაურობის საშუალებით უნდა მომხდარიყო. საამისო მაგალითი მას მიღებული ჰქონდა ჯერ პლატონ იოსელიანისაგან, შემდეგ კი აკად. ბროსესაგან, რომელმაც 1847-1848 წლებში იმოგზაურა საქართველოში და მანამდე უცნობი ბევრი მასალა მეცნიერებისათვის მისაწვდომი გახადა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1860 წ. ბაქრაძე იყო სვანეთში, სადაც მეტად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. მაგრამ მისი ეს მოგზაურობა მოხდა გეოგრაფიული საზოგადოების მხარდაჭერით, ამ საზოგადოების ხარჯზე. თვით ბაქრაძეს არ გააჩნდა სამეცნიერო მოგზაურობისათვის საჭირო სახსრები. ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ მომდევნო წლებში მას არ მიეცა საშუალება განეგრძო ეს საუკეთესო წამოწყება. თუმცა მას თავის მხრივ ცდა არ დაუკლია, რომ მოეპოვებინა ადგილობრივი ხელისუფლების დახმარება მიზნის განხორციელებაში. მეფის მთავრობა, როგორც ვიცით, მხოლოდ იმდენად დაუჭერდა მხარს ბაქრაძის ინიციატივას, რამდენადაც მისი საქმიანობა მთავრობის დამპყრობლურ მიზნებს შეესაბამებოდა. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაც ამ მთავრობის სამსახურში იყო. ეს გარემოება დიდად აბრკოლებდა საქმის წარმატებას. ასეთ პირობებში ბაქრაძე მაინც ახერხებდა ხელისუფლების დაინტერესებას და მის წინაშე გამოჰქონდა მეცნიერული მნიშვნელობის ისეთი საკითხები, რომელთადმი მთავრობის ინტერესი უცილობელი ჩანდა.

ჯერ კიდევ 1866 წელს, აკად. ბროსესადმი წერილში, ბაქრაძე აყენებდა არქეოლოგიურ მოგზაურობათა გეგმას და ითხოვდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის შემწეობას. საპასუხო წერილში მას ბროსე სწერდა: „თუ განგრძელდა სურვილი ესე თქვენი, დაწერეთ პლანი, როდისა და რა და რა ადგილებში მიმოსვლა გინდა, რა იმედი გაქვს პოვნად აქაიქა რაისამე ღირს სახსენებლისა, რამდენი ფული ამაზე მოუნდება: პლანი გაგზავნეთ პირდაპირ აკადემიაში, ჩვენ განვიხილავთ და გიპასუხებთ“[64]. ამ მიმოწერას შედეგი არ მოჰყოლია. მხოლოდ 7 წლის შემდეგ, როდესაც საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში მეტად შესამჩნევი გახდა დიდი ცვლილებები, ბაქრაძემ კვლავ უფრო საფუძ-

ვლიანად დასვა საკითხი არქეოლოგიურ მოგზაურობათა შესახებ. მომენტიც მოხერხებულად იყო შერჩეული.

ამ დროს ფოთი-თბილისის რკინიგზაზე უკვე რეგულარული მიმოსვლა წარმოებდა. გაცხარებით გრძელდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის გაფართოება. მეფის რუსეთი უკვე უშუალოდ ემუქრებოდა ოსმალეთს და ყირიმის ომში ნაგემები დამარცხების გამოსწორებისა და კონსტანტინოპოლის დაპყრობის ძველ გეგმებს სინჯავდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის წინაშე, უფრო ცხოვლად, ვიდრე წინათ, უნდა დასმულიყო ადგილობრივი მოსახლეობის მზარდაჭერისა და ქართველი ინტელიგენციის გამოყენების საკითხი. ამასთანავე საჭირო იქნებოდა ამ ინტელიგენციის მოთხოვნებისთვის ანგარიშის გაწევა. ამ მომენტში მოწინავე ქართველებს არ შეიძლებოდა ხელახლა არ წამოეყენებინათ რუსეთის წინაშე ოსმალების მიერ მიტაცებული ქართული რაიონების შემოერთების საკითხი; მით უფრო, რომ ასეთი მოთხოვნები ადრითგანვე უპასუხებდა მეფის რუსეთის დამპყრობლურ მიზნებს.

1873 წ. ბაქრაძემ ვრცელი წერილი წარუდგინა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას. ამ წერილს ეტყობოდა, რომ მისი ავტორი ახალ ვითარებას რამდენადმე ითვალისწინებდა.

წერილში ბაქრაძე აღნიშნავდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეცნიერებისათვის კავკასიას, „მსოფლიოს ამ საუკეთესო კუთხეს“, სადაც ყველაზე უფრო მეტად იყო შემონახული უძველესი წარსულის კვალი. ბაქრაძე მიუთითებდა აგრეთვე რომ კავკასიაში საერთოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა საქართველოს:

„თუ საერთოდ კავკასია იმსახურებს მეცნიერების განსაკუთრებულ ყურადღებას, მაშინ ამ მხრივ უპირატესობა უნდა მიეცეს ამიერკავკასიის იმ მხარეს, რომელსაც საქართველო შეადგენს“.

„...საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა, რომელსაც მეოთხედი საუკუნის წინათ საფუძველი ჩაუყარა აკად. ბროსემ, როგორც ჩანს, მისივე შრომით დამთავრდა. ამასთანავე, თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ მეცნიერული საზოგადოებისათვის ცნობილნი ჟან სენ-მარტენი, დუბუა დე მონპერო და ვივიან დე სენ-მარტენი ქართული დამწერლობის ძეგლებს სთვლიან სერიოზულ წყაროებად არა მარტო კავკასიის, არამედ მთელი ისტორიისათვის, მაშინ არ შეიძლება მწუხარებით არ აღვნიშნოთ, რომ ცხოვრება ქართველი ერისა, რომელიც, დუბუას გამოთქმით, „უხსოვარი დროიდან სდარაჯობს კავკასიის ყელს და პირდაპირ ურთიერთობაშია

ყველა ცნობილ ხალხთან", აქამდის არა საკმაოდაა გამოკვლეული..."[65] ბაქრაძე მიაქცევდა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ საქართველოში არსებული ხელოვნების უიშვიათესი ძეგლები მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ხელუხლებელი იყო. ამასთან ერთად, ისტორიისათვის უძვირფასესი მასალა, რომლის მოპოვება ჯერ კიდევ უკეთესი სისრულით შეიძლებოდა, თანდათანობით ქრებოდა ასპარეზიდან. ეკლესია-მონასტრებსა და კერძო სახლებში მყოფ სიგელ-გუჯრებს ან პირდაპირ სპობდნენ, ან ეს საბუთები ლპებოდა და უვარგისი ხდებოდა. ის წარწერებიც კი, რომლებიც ბროსემ 1847-1848 წ. წ. მოგზაურობის დროს გადმოიღო, ამ მომენტისთვის (1873 წ.) თითქმის აღარ იკითხებოდა. ამის მიზეზი იყო როგორც დრო, ისე მკვიდრთა გაუფრთხილებლობაც. ბაქრაძემ სვანეთში თვითონ ნახა გაძარცული, წარწერებჩამოგლეჯილი ხატები, მან შენიშნა ახალციხის მაზრაში შემოსული უცხო თურქული მოსახლეობის ვერაგული დამოკიდებულება ქართული ხელოვნების საამაყო ძეგლების მიმართ, როცა ეს მოსახლეობა თავიანთი სადგომების ასაშენებლად პირდაპირ არღვევდა ეკლესია-მონასტრების ნაშთებს და საცხოვრებელი სახლების კედლებში ატანებდა საუკეთესო ჩუქურთმებიანსა და წარწერებიან ქვებს. იქვე ბაქრაძე დასძენდა, რომ მეტად სახიფათო იყო ამის შემდეგ კიდევ დაგვიანება ისტორიულ-არქეოლოგიური მასალების შეკრებაში[66].

გარდა აღნიშნულისა, ბაქრაძეს უნდა დაესაბუთებინა არქეოლოგიური მოგზაურობის მოწყობის აუცილებლობა საქართველოს ყველა რაიონში და გამოეყო უფრო მეტი მნიშვნელობის, თუნდაც პოლიტიკური მნიშვნელობის, რაიონები. იგი დაწვრილებით ჩამოთვლიდა ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან უბანს იმ ადგილების გამოკლებით, რომლებიც უკვე მოვლილი ჰქონდა ბროსეს. ამასთანავე ბაქრაძე დიდ ყურადღებას მიაქცევდა მდ. მტკვრის ზემო წელისა და ჭოროხის აუზის, ძველი სამცხე-საათაბაგოს იმ ტერიტორიის შესწავლას, რომელიც მიტაცებული ჰქონდათ თურქ დამპყრობლებს.

დ. ბაქრაძე სამცხე-საათაბაგოს თვლიდა „არქეოლოგიური თვალსაზრისით ყველაზედ უფრო მდიდარ რაიონად". იგი აღნიშნავდა: „ახლანდელი „თურქული საქართველო", ჩვენს ახალციხის მაზრასთან ერთად, ქართულს წყაროებში ცნობილია მესხეთის, ზემო-ქართლისა და სამცხე-საათაბაგოს სახელით. მან... თავისი კულტურით გაუსწრო საქართველოს სხვა ნაწილებს. საქართველოს საუკეთესო ადრო მწერლები, საეკლესიო წიგნების... მთარგმ-

ნელთა უმეტესობა ზემო ქართლიდან იყვნენ. ყველაზედ უფრო განვითარებული ქართული ენა ზემო ქართლის ენა იყო. ქართული ენა აქამდის ისმის მთელ „თურქულ საქართველოში“ ვიდრე ბაიბურთამდე და ტრაპეზუნტის საზღვრამდე. ზემო ქართლი იყო VIII ს. ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის აკვანი და ცენტრი, რომელშაც საქართველოს მისცა გაერთიანება და ძლევამოსილება... ქართული წყაროები აქ მიუთითებენ საეკლესიო არქიტექტურის მრავალ ძეგლს, რომელთაც, როგორც ცნობილია, აქამდის იცავს ნახევრადმაჰმადიანური და ნახევრადქრისტიანული მოსახლეობა. თურქული საქართველოს რამდენიმე წარწერა მხოლოდ გზად გავლისას გადმოიღეს აბიხმა, ხანიკოვმა, კოხმა და ნერესეს სარგისიანმა... მხითარისტი სარგისიანი, რომელმაც 1843-1853 წ. წ. ნახა ჭოროხის ხეობა, გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „მას არ ჰქონდა შესაძლებლობა გადმოეღო მის მიერ ხილული უამრავი ქართული წარწერა“.[67]

აღნიშნულიც კი საკმაო იყო მთავრობისა და აკადემიის ყურადღების გასამახვილებლად, მაგრამ ბაქრაძე არც ამით კმაყოფილდებოდა. მას მოჰყავდა ძველთაგანვე მთავრობის ხარჯებით და „მთავრობისავე უშუალო მონაწილეობით“ მოწყობილ სამეცნიერო მივლინებათა მაგალითები. იგი იხსენიებდა კავკასიაში რაინეგსის, გულდენშტეტის, კლაპროტის, შეგრენის, ბროსეს, აბიხისა და დუბუას მოგზაურობებს, რომლებიც (დუბუასი ნაწილობრივ) მთავრობის ხარჯზე მოეწყო.

მოტანილი საბუთიანობის საფუძველზე მეცნიერებათა აკადემიას მხოლოდ ის-ღა დარჩენოდა, რომ მისალმებოდა ბაქრაძის მეტად სასარგებლო წამოწყებას. კიდევ მეტი, აკადემიამ ეხლა ეს საქმე საკუთარ ინიციატივად გამოაცხადა და ამის შესახებ თვით ბაქრაძე, როგორც ჩანს, იძულებით მიუთითებდა, რომ მისი მოგზაურობა მოხდა „საიმპერატორო აკადემიის ინიციატივით“[68] და ამავე „აკადემიის დავალებით“[69]. გასაგები იყო აგრეთვე, რომ აკადემიამ უპირველეს ყოვლისა თანხმობა გამოაცხადა ოზურგეთის მაზრასა და სამხრეთ-საქართველოში მოგზაურობაზე, ანუ უმთავრესად იმ რაიონებში, რომლებიც მიტაცებული ჰქონდა თურქეთს.

1873 წ. 28 ივლისს ბაქრაძე თბილისიდან გავიდა. მან, როგორც თვით წერდა, პირველად იმგზავრა თბილისი—ფოთის რკინიგზით ვიდრე ქუთაისამდე. მგზავრობას მოუნდა 12 საათი.[70] 3 დღის განმავლობაში იგი იყო ქუთაისში, სადაც, მიუხედავად ძალზე ცუდი ამინდებისა (სიცხე, ჭარი და წვიმებიც) საინტერესო დაკვირვებები მოახდინა, შემდეგ კი ჩავიდა ოზურგეთში. მას

განზრახული ჰქონდა გურიის არქეოლოგიური შესწავლის შემდეგ გადასულიყო აჭარაში. მაგრამ ეს გეგმა მან, გურიაში ნაცნობების რჩევით, შესცვალა, რადგან ზემო აჭარაში მოსალოდნელი ადრე აცივება მის მუშაობას ხელს შეუშლიდა. ამიტომ იგი ქობულეთის გზით და მენაპირე პატრულის თანხლებით ბათუმისაკენ წავიდა, რომ ბათუმის ფაშისაგან აჭარაში მოგზაურობის ნებართვა მიეღო.

ბათუმისაკენ მიმავალ ბაქრაძეს ამ დროს თან სდევდა განუწყვეტელი კოკისპირული წვიმები. მისი მდგომარეობა გართულებული იყო იმითაც, რომ ახლა იგი შედიოდა ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფ ბათუმში.

ამ დროისათვის საქართველოსა და თურქეთს შორის საზღვარი გადიოდა მდ. ჩოლოქზე, რომლის სამხრეთით მდებარე ქართული პროვინციები: ქობულეთი, აჭარა, ჯანეთი, მთელი ჭოროხის ხეობა, მტკვრის ზემო წელი, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, მთელი ძველი სამცხე-საათაბაგოს უდიდესი ნაწილი ვიდრე ერზინჯანამდე (ერზინკა—ახლანდელ ოსმალეთში) ოსმალთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა.

იმ დროინდელი ბათუმი იყო „ლაზისტანის საფაშოს“ (ჯანეთის) მთავარი ქალაქი, სადაც იჯდა მუტესარიფი ანუ გუბერნატორი, რომელიც ტრაპიზონის გენერალ-გუბერნატორის მეშვეობით სულთანს ემორჩილებოდა. მიუხედავად თურქთა თითქმის $2^1/_2$ საუკუნის ბარბაროსული ბატონობისა, აჭარელ ქართველობას შენარჩუნებული ჰქონდა თავისი მშობლიური ენა. ასე რომ, როდესაც ბაქრაძე იქ ჩავიდა, მის გარშემო ქართველთა გარკვეულმა ჯგუფმა თავი მოიყარა და სამშობლოს წარსულით დაინტერესებულ პირს დახმარება აღმოუჩინა.

ამ დროისთვის უკვე გამუსლიმანებული აჭარელი თავად-აზნაურობის ერთ ნაწილს ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდა გარკვეული პრივილეგიები ადგილობრივ მმართველობაში, მაგრამ ეს პრივილეგიები, როგორც ჩანს, უკანასკნელი დროისთვის მეტად შეიკვეცა და ამ ნაწილს ცენტრალური ხელისუფლება არც თუ ისე ენდობოდა. ამის ერთი ნიშანი ის იყო, რომ ჯანეთის ფაშად ამ დროს კონსტანტინოპოლელი თურქი იჯდა, რომელიც უკვე 2 წელი იყო რაც საფაშოს მართავდა. საკუთრივ ბათუმის უბნის უფროსად კი ლაზი იყო, რომელიც „თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულ ენაზე“[71]. ამ ლაზმა წარუდგინა დიმიტრი ფაშას—70 წლის მოხუცს, რომელმაც იგი გარეგნული თავაზიანობით მიიღო ამ შეხვედრის შესახებ ბაქრაძე გადმოგვცემს:

„ჩვენს შორის საინტერესო საუბარი გაიმართა. მის კითხვაზე, ჩემი ჩამოსვლის მიზნის შესახებ, მე განვუმარტე, რომ გამო

გზავნილი ვარ ჩურუქ-სუს (ქობულეთის, მ. დ.), აჭარის და ჭოროხის აუზის უძველესი ძეგლების შესასწავლად. მას გაუკვირდა, რომ ჩვენ ასეთ უბრალო საქმეებს ვკიდებთ ხელს. „და რა სარგებლობა იქნება აქედან?—შემეკითხა ფაშა"...[72] ასე ვიწრო იყო ოსმალეთის სახელმწიფოს ამ მსხვილი მოხელის თვალსაწიერი. ბაქრაძის ახსნა-განმარტებით ფაშა ვერ დაკმაყოფილდა. მან განუცხადა დიმიტრის, რომ მისი მოგზაურობის შესახებ ნებართვა კონსტანტინოპოლიდან უნდა ყოფილიყო. ამასთანავე ფაშა აცხადებდა, რომ საკითხი მეჯლისში უნდა განეხილათ. მას ამ გადაწყვეტილებაზე ხელი ვერ ააღებინა ვერც რუსეთის ვიცე-კონსულმა ჯუდიჩმა, თუმცა ამ უკანასკნელმა შემდეგში მაინც ერთგვარი გავლენა იქონია ფაშაზე, რომ საკითხი მეჯლისში დადებითად გადაწყვეტილიყო. ამასთან ერთად მეჯლისის უფროსმა წევრმა—ჰასან-აღამ დიდი როლი შეასრულა დიმიტრის სასარგებლოდ. ეს იყო ლაზი, მისი განცხადებით, მოურავიშვილი. იგი, ბაქრაძის თქმით, თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულად; ოდესღაც ითვლებოდა სამსუნის კაიმაკამად, მუშაობდა თურქეთის ვიცე-კონსულად ფოთში და კონსულად თბილისში.

ჰასან-აღა მოურავიშვილმა ბათუმში დაყოვნებულ ბაქრაძეს უაღრესად საინტერესო ცნობები მიაწოდა ჭანეთის ისტორიული წარსულის შესახებ. მისივე დახმარებით დიმიტრიმ, თითქმის ერთი კვირის ლოდინის შემდეგ, მიიღო მოგზაურობის ნებართვა და 10 აგვისტოს ბათუმიდან გავიდა.

თავის შენიშვნებში ბაქრაძე განსაკუთრებული გულისტკივილით აღწერს აჭარელთა მძიმე ხვედრს. ძველი ქართული კულტურისა და ცივილიზაციის აკვანის — სამხრეთი საქართველოს ეს მშვენიერი ნაწილი, რომელიც ოდესღაც ბრწყინავდა თავისი მეურნეობით, გზებით, ხიდებით, ძვირფასი ეკლესია-მონასტრებით, განათლების კერებითა და სხვ., ოსმალეთა ბატონობის ხელში დაცემული და განადგურებული იყო. მოსახლეობა ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში გაყვანილი გზებითა და ხიდებით სარგებლობდა. მთლიანად გადაშენებულიყო ძევენახეობა, ძველი ქართული სკოლების ნაცვლად ახლა მეჩეთებში თითო-ოროლა ახალგაზრდას ასწავლიდნენ თურქულ წერა-კითხვას, მათი განათლების ერთადერთი წყარო ყურანი იყო. განდევნილი ქრისტიანული სარწმუნოების ნაცვლად დანერგილი ისლამი ახშობდა ყოველგვარ სულ აზროვნებას. მძიმე ოსმალურ ტერორისტულ რეჟიმს წყობილებიდან გამოჰყავდა ათასობით ქართველი, რომელიც ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ეწირებოდა. აჭარლები მოუთმენლად ელოდნენ იმ დღეს, როდე-

საც ისინი დაუბრუნდებოდნენ თავის დედა-სამშობლოს—საქართველოს ერთიან ოჯახს. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ოსმალეთის მიერ მიტაცებული და სრული გადაგვარების გზაზე შეყენებული სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა.

სახელოვანი მეცნიერი მეტად აღაშფოთა თურქეთის მიერ მიტაცებული ქართველი მოსახლეობის აუტანელმა მდგომარეობამ. იგი მოგვითხრობს ოსმალთა მიერ აჭარის ავაზაკური დაპყრობის ისტორიულ ფაქტებს და დასძენს:

„...დაახლოებით ორნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც აჭარა თურქთა ბატონობის ქვეშ მოექცა. ამ ბარბაროსების მმართველობის სისტემას მათ მიერ დაპყრობილ ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე მიზანი ჰქონდა: ისლამის გავრცელება და ეროვნულობის მოსპობა. მატიანე გვიჩვენებს, თუ როგორი დაუნდობელი ომი გამოუცხადეს თურქებმა დაპყრობილ ქართულ რაიონებში ქართველთა ქრისტიანულ სარწმუნოებას, ენასა და ჩვეულებებს"... ასეთი დევნა-შევიწროების, გადასახადის გაზრდისა და შეურაცხყოფის მიუხედავად ვერაგმა და უკულტურო დამპყრობლებმა მაინც ვერ შესძლეს მკვიდრთა საბოლოო გადაგვარება. დიმიტრი შენიშნავდა: „ქართული ენა აჭარასა და ქობულეთში ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის ძალას... კიდევ მეტი, ქართული მიწერ-მოწერა ახლაც ხმარებაშია"-ო.[73]

აგვისტოს ბოლოსთვის დიმიტრი ამთავრებს აჭარის ისტორიულ-არქეოლოგიურ დაზვერვას და გადადის გურიაში. აქ მისი მოღვაწეობის ასპარეზი უფრო ფართოა. დიმიტრის მეტად ენერგიული ხელისშემწყობნი აღმოაჩნდნენ, ეპისკოპოსი გაბრიელ ჯიქოძე, გრიგოლ დავითის-ძე და დიმიტრი ქაიხოსროს-ძე გურიელები, დიმიტრის სემინარიისდროინდელი ამხანაგი—სიმონ ჯიქოძე და სხვ.

დროისა და სახსრების შეზღუდულობა საშუალებას არ აძლევდა ბაქრაძეს ამჯერად კიდევ უფრო მეტად გაეფართოვებინა თავისი მივლინების ასპარეზი. თუმცა ერთი მივლინების მარშრუტით იმაზე მეტის გაკეთება, რაც მან გააკეთა, ფიზიკურადაც შეუძლებელი იყო.

გურია-აჭარაში მოგზაურობის შედეგად ბაქრაძემ დაწერა კაპიტალური ნაშრომი—„Археологическое путешествие по Гурии и Аджаре», რომელიც გადაეცა გამოსაქვეყნებლად პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას. ამ ნაშრომის გაცნობის შემდეგ აკად. ბროსე აკადემიის 1876 წ. 14 მარტის სხდომაზე აცხადებდა, რომ ბაქრაძემ დაამტკიცა მასზე დაკისრებული „საქმის ღრმა ცოდნა", გამოამჟღავნა მეცნიერული კვლევისათვის საჭირო დიდი

„ანალიზური ნიჭი. მისი აზრი, ყოველთვის შეურყეველი მეხსიერებისა და დიდი ხნის ნაკითხობის შედეგია. მას საოცრად ახსოვს ყოველივე წვრილმანიც კი". მეტად საინტერესო და საბუთიან მტკიცებათა გვერდით, „ბაქრაძემ გაუწია მეცნიერებას ერთი დიდი სამსახურიც: მან გადმოიღო ყოველი წვრილმანი ნიშნები და წარწერები ძველი ტაძრებისა, რომლების აგება სასახელოა ბაგრატიონთათვის".

„გაუგებარი ძველი ასოების, ქარაგმიანი სიტყვების, და წამლილი ნაწერების გარკვევასა და წაკითხვაში, რაშიც დიდი მცოდნეები მოთმინებიდან გამოდიოდნენ და ვერას იგებდნენ, ბაქრაძე სწორედ სასწაულთმოქმედია... და უნდა სიმართლით ვაღიარო, რომ მისი ახსნა ყოველთვის ნამდვილი და შეუცდომელი გამომდგარა". საკმაოდ ვრცელ სიტყვას ბროსე ასე ამთავრებდა:

„ნიჭით, ცოდნით და მეცადინეობით ბაქრაძემ სრულიად დააკმაყოფილა სურვილი მეცნიერებათა აკადემიისა. ამის გამო იმედი მაქვს, რომ აკადემია მიანდობს თავის მუდმივ მდივანს, გამოაცხადოს აკადემიის სახელით ბაქრაძეს მადლობა ჩანებული შრომისათვის; გადასცეს, რომ აკადემიის წევრები უცხადებენ მას თავის პატივისცემას და სრულს კმაყოფილებას. შემდეგ იმ სიამოვნებისა, რომელიც მე მივიღე ამ მშვენიერი წიგნის წაკითხვით, ვსიამოვნებ ახლა მით, რომ აკადემია დააფასებს და დააჯილდოებს ღირსეულს შრომას და დიდ მეცადინეობას..."[74]

გურია-აჭარაში მოგზაურობა იყო დიმიტრის მიერ შედგენილი საერთო გეგმის ერთი ნაწილი. ეს გეგმა მიზნად ისახავდა მთლიანად საქართველოს არქეოლოგიურ შესწავლას და უპირველეს ყოვლისა იმ რაიონების გამოკვლევას, რომლებიც ჯერ კიდევ თურქთა ბატონობის ქვეშ იყვნენ. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაქრაძე გეგმის თანდათანობითი და სისტემატური განხორციელების საშუალებას მოკლებული იყო. მიველინების შედეგად მოპოვებული დიდძალი მასალის კამერულ დამუშავებას დიდი დრო სჭირდებოდა. ამისათვის, რა თქმა უნდა, დიმიტრის ხელფასს არავინ მისცემდა და არსებობის საკითხი მას ისევ მოხელეობასთან აკავშირებდა.

8. თანამშრომლობა საარქეოგრაფიო კომისიასა და ცენზურაში

1873-1875 წლებში დიმიტრი ცნობილ ჟურნალისტ ნიკოლოზ ბერძნიშვილთან ერთად თანამშრომლობდა კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიაში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველო-ამიერკავკასიაში მეფის რუსეთის გაბატონების დროიდან მო-

ყოლებული საარქივო საბუთების გამოცემას. ეს კომისია სცემდა უმთავრესად ისეთ საბუთებს, რომლებიც ამართლებდნენ მეფის მთავრობის დამპყრობლურ პოლიტიკას და აღწერდნენ საქართველო—ამიერკავკასიის ხალხების საშინაო ცხოვრებას კი არა, არამედ ამ მთავრობის ბატონობის ისტორიასა და მასთან დაკავშირებულ ომებს. ბაქრაძისა და ნ. ბერძნიშვილის თანამშრომლობა აღნიშნულ კომისიას სჭირდებოდა ქართული საბუთების თარგმანებისათვის. მიუხედავად ასეთი ტენდენციური მიმართულებისა, კომისიის მიერ გამოქვეყნებული „აქტების" [75] დიდტანიან ტომებში, როგორც ჩანს, ბაქრაძისა და ბერძნიშვილის საქმიანობის წყალობით, შევიდა საქართველოს ისტორიული წარსულისათვის მეტად საყურადღებო მრავალი საბუთი. ასეთი საბუთების გაცნობა და მათი გამოქვეყნება საქართველოს ისტორიით დაინტერესებული პირისათვის საჭირო იყო და ბაქრაძის აქ თანამშრომლობა მისი საერთო მოღვაწეობის პროფილს შეესაბამებოდა. დიმიტრიმ მონაწილეობა მიიღო „აქტების" პირველი ტომების გამოცემაში. ამის შემდეგ აღნიშნულ კომისიაში მისი, როგორც ძირითადად ქართული საბუთების გამომცემლის, საქმიანობა თითქოს ამოწურული ჩანდა. აქ მუშაობის დროს დაასრულა მან მეორე კაპიტალური ნაშრომი — «Кавказ в древних памятниках христианства», რომელიც გამოქვეყნდა „აქტების" მეხუთე და მეექვსე ტომებში. ამ ნაშრომისათვის დიმიტრი რუსეთის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვა.[76]

70-ან წლებში მეფის მთავრობამ საქართველოში საჭიროდ სცნო ქართული პერიოდული პრესისათვის განსაკუთრებული ცენზორის საშტატო ერთეულის შემოღება. ეს ერთგვარად დასაბუთებული იყო კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიმართვაში მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოსადმი: „...უკანასკნელ დროს, თუ ლიტერატურის განვითარებამ არა, **ქართული პერიოდული გამოცემების მიმართულებამ** მნიშვნელოვნად გაზარდა ცენზურის შრომა"...[77]

ამ დროს ქართული გამოცემების ცენზორობა დაკისრებული ჰქონდა, შეთავსებით, უფროს ცენზორ მელიქ-მეგრაბოვს, რომელსაც ქართული ენა, როგორც ჩანს, ნაკლებად ესმოდა და ყოველი წერილი, რომელშიც კარგად ვერ ერკვეოდა, მოუღებლად მიაჩნდა. ეს გარემოება, საერთოდ მეფის ცენზურის მოწოდებასთან ერთად, კიდევ მეტად აფერხებდა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეს, მით უფრო იმ მომენტში, როდესაც პრესაში „ახალი მიმართულებით" დაწინაურებული მთავრობა ამ პრესის ნამდვილი ჯალათის როლს ასრულებდა.

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში, თუ ცენზურის კომიტეტში ქართული კულტურის მოამაგე ვინმე ადგილს დაიჭერდა, ეს ქართული პრესისათვის უაღრესად ხელსაყრელი და მდგომარეობის შემამსუბუქებელი მოვლენა უნდა ყოფილიყო. ჩანს, რომ დიმიტრიმ თვითონ გამოთქვა სურვილი უხელფასოდაც კი ეკისრა ქართული გამოცემების ცენზორობა.[78] ასეთ განცხადებაში, არ შეიძლებოდა არ დაგვენახა ქართული ლიტერატურის მოამაგის ერთგვარი ინტერესები. ეჭვს გარეშეა, რომ ბაქრაძეს სურდა ცენზურის ტრიბუნის გამოყენება, რამდენადაც ეს შეიძლებოდა, მშობლიური ლიტერატურის ინტერესებისათვის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ „დროების“ დაარსების ერთი თაოსანი და „დროების“ ჯგუფთან ორგანულად დაკავშირებული დიმიტრი საცენზურო კომიტეტში ამ ჯგუფის წარმომადგენლობითაც უნდა წასულიყო.

მეფის ცენზურისა და ქართული პრესის ურთიერთობის ცოტა უფრო გვიანდელი პერიოდის მონაწილე პროფ. გ. ნათაძე გადმოგვცემს: „ცნობილია, თუ რამდენი ბრძოლა გადაიტანა ქართულმა პერიოდულმა გამოცემებმა ცენზორებთან. ზოგიერთი მათგანი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიავით, შლიდა რა ნამდვილ უწყინარ სიტყვებსა და ფრაზებს, თუ ისინი მას რაიმე მიზეზის გამო საეჭვოდ მოეჩვენებოდა. აქ ქართული ლიტერატურისადმი, რედაქტორებისადმი და ავტორებისადმი პირად განწყობილებასა და შეხედულებას დიდი გავლენა ჰქონდა. იმდროინდელი ქართული ჟურნალისტიკის მოღვაწეთა შორის აქამდის არაა დავიწყებული ისარლოვის—ერთი ყველაზედ უფრო ავი ცენზორთაგანის — სახელი. მახსოვს, ძველს ქართულს პრესაში ჩემი მონაწილეობის პერიოდში, თუ როგორი აღელვებით უცდიდნენ რედაქციები ცენზურისაგან თავისი გაზეთების ფოლიანტების მიღებას... საჭირო იყო, რომ რედაქციას ჰქონოდა ცენზურის მიერ ამოშლილი ადგილების შესავსებად სათადარიგო წერილები. ასეთ პირობებში ცენზორის პიროვნებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თავისთავად „კარგი ცენზორის“ ცნება გაუგებრობის ნაყოფია. ავტორების და გამომცემლობის თვალსაზრისით, ცენზორი არ შეიძლებოდა ყოფილიყო კარგი იმიტომაც, რომ იგი ცენზორი იყო, მაგრამ ამით არანაკლებ შეიძლებოდა მოლაპარაკება „კარგ“ ცენზორთან, თავის დაღწევა ისეთი უწყინარი სიტყვების ამოშლისაგან, როგორიც იყო მაგ. „საქართველო“, რასაც ხშირად ადგილი ჰქონდა, და კონტრაბანდული გზით, ეზოპური ენით, ზოგიერთი აკრძალული წერილის გაშვებაც. ყოველივე ეს ქმნიდა ისეთ მდგომარეობას, რომ ქართული ენის ცენზორად გახდომა ქართველი საზოგადოებრივი მოღვაწისათვის სასირცხვილოდ კი არა, არამედ

დამსახურებად ითვლებოდა, იწერებოდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის აქტივში იმ აუცილებელი პირობით, რომ იგი კარგი ცენზორი უნდა ყოფილიყო. ასეთ პირობებში გამომცემლები და რედაქტორები ზოგჯერ „დათმობის“ გზითაც მიდიოდნენ, რომ შეენარჩუნებინათ ქართველი ცენზორის რეპუტაცია უფროსობის წინაშე. ქართველი საზოგადოებრიობისათვის დიდ მიღწევად ითვლებოდა, რომ რამდენადმე ცნობილი საზოგადოებრივი მოღვაწე ინიშნებოდა ქართული ენის ცენზორის თანამდებობაზე“[79].

ზემოთ უკვე აღნიშნულ მოხსენებაში, სადაც საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ქართული ენის უმცროსი ცენზორის შტატის შექმნას მოითხოვდა, ნათქვამი იყო, რომ უმაღლესი განათლების მქონე დიმიტრი ბაქრაძე, როგორც ერთი „უკეთესთაგანი ქართველ მწერლებში“, „სარგებლობდა მათ შორის დიდი აუტორიტეტითა და პატივისცემით“.[80]

საცენზურო კომიტეტში დიმიტრი მუშაობდა 1875-1879 წლებში ქართული ენის უმცროსი ცენზორის თანამდებობაზე. ამ ხნის განმავლობაში იგი შესაძლებლობის ფარგლებში არბილებდა ცენზურის შეტევებს ქართული გამოცემების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, იგი უძლური იყო მეტი თავისუფლება მიენიჭებინა ამ გამოცემებისათვის, თუმცა ასე საკითხის დასმაც მეფის მთავრობის ბატონობის ხანისათვის უმართებულო იქნებოდა[81].

გასაგები იყო, რომ ბაქრაძე დიდხანს ვერ შერჩა საცენზურო კომიტეტს. თუ გავიხსენებთ მის მუშაობას თბილისის სასამართლო პალატაში, სადაც იგი თავისი კლიენტების ექსპლოატაციის საგნად იყო გადაქცეული, ცხადი გახდება, რომ აქაც, „დამჯერე და ყველას შემწყალე“ დიმიტრი, მალე მთავრობის უნდობლობას დაიმსახურებდა. იგი ვერ გასცილდა უმცროსი ცენზორის თანამდებობას, მაშინ, როდესაც უფროსის ადგილი კომიტეტში ბევრჯერ განთავისუფლდა. ბაქრაძემაც ეს სამუშაო მიატოვა[81].

საარქეოგრაფიო კომისიაში და საცენზურო კომიტეტში მუშაობის პერიოდში ბაქრაძეს ოდნავადაც არ შეუწყვეტია ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა. გარდა კაპიტალური ნაშრომის გამოცემისა („კავკასიის ძველი ქრისტიანული ძეგლები“), ბაქრაძე პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოღიოდა, უაღრესად აქტუალური მეცნიერული საკითხების გარშემო.

9. მოგზაურობა თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ რაიონებში

როგორც ვიცით, გურია-აჭარაში მოგზაურობის შედეგად შედგენილი კაპიტალური ნაშრომი ბაქრაძემ გადასცა გამოსაქვეყნე-

ბლად (როგორც ჩანს დაგვიანებით) პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას[83]. ეს წიგნი ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული, როდესაც 1875 წ. გამოვიდა ყაზბეგის ნაშრომი — „Три месяца в Турецкой Грузии". ამ ნაშრომის გამოქვეყნება მაშინ უდავოდ დიდი მოვლენა იყო. მას მაღალი შეფასება მისცეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ და გეოგრაფიულმა საზოგადოებამ. დიდი სიმპათიებით შეხვდა ამ ნაშრომს ქართველი საზოგადოება: ეს გასაგებიც იყო, რადგან იგი პოპულარული ენით აღწერდა სამხრეთ საქართველოს ქართველი მოსახლეობის მწვავე ხვედრს და ამახვილებდა ქართველთა მრავალწლოვან ოცნებას დაკარგული რაიონების შემოერთების შესახებ.

1877 წ. იანვრის გაზ. „კავკაზის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ ვრცელ წერილებში ბაქრაძე იძლეოდა ყაზბეგის ხსენებული ნაშრომის დეტალურ განხილვას. ეს წერილები ქვეყნდებოდა იმ პერიოდში, როდესაც მეფის რუსეთი იწყებდა ომს ოსმალეთთან და მომავალი ომი ერთგვარი განთავისუფლების იმედს აძლევდა ოსმალთა მიერ დამონებული სამხრეთის ქართველობას და სხვა ქრისტიანებს. ასეთ პირობებში ბაქრაძის წერილებს, ოფიციალური პრესის ფურცლებზე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ყაზბეგის ნაშრომი იყო კეთილსინდისიერი დამკვირვებლის მიერ ჩატარებული მუშაობის ნაყოფი. მაგრამ მას აკლდა სათანადო მეცნიერული საბუთიანობა და სისრულე. ამ ხარვეზის შევსებასაც ისახავდა მიზნად ბაქრაძის საგაზეთო წერილები.

თავის წერილებში დიმიტრი ურყევი საბუთიანობით ხდიდა ნიღაბს თურქების ბარბაროსულ პოლიტიკას მათ მიერ დაპყრობილ ქართულ რაიონებში.

დიმიტრი ბაქრაძე პირველი იყო, რომელიც მეცნიერულად ასაბუთებდა ქართველი ხალხის პრეტენზიებს თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე. ამ პრეტენზიებს იყენებდა მეფის რუსეთი თავისი დამპყრობლური მიზნებისათვის.

1877-1878 წ. წ. რუსეთ-ოსმალეთის ომი დასრულდა რუსეთის სრული გამარჯვებით. ბერლინის ტრაქტატით რუსეთის ხელში გადავიდა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ე. ი. აჭარა-ქობულეთის, კოლა-არტაანის, ერუშეთის, შავშეთის, ყარსისა და სხვა რაიონები—ძველი სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი. ქართველი საზოგადოება დიდი ზეიმით შეხვდა ამ მოვლენას. ამასთან დაკავშირებით მეტად მოხდენილი და, როგორც ჩანს, წინასწარ გამიზნული დამთხვევა იყო ბაქრაძის წიგნის — „Археологическое путешествие по Гурии и Аджаре" — გამოცემა პეტერბურგში. ეს იყო ძვირფასი საჩუქარი ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებული

აჭარისათვის და ამ მოვლენასთან დაკავშირებული დიდი შენაძენი ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის.

ახალი ოლქების შემოერთებასთან დაკავშირებით მთავრობა შეუდგა სახელმწიფო საზღვრის ტოპოგრაფიულ გადაღებას, დაიწყო მცხოვრებთა მიწათმფლობელობის შესწავლაც. დიმიტრი ბაქრაძე ბათუმის ოლქის მცხოვრებთა მიწათმფლობელობის შემსწავლელი კომისიის წევრად დაინიშნა. მას საშუალება მიეცა ხელმეორედ გაცნობოდა არა მარტო აჭარა-ქობულეთის რაიონებს, არამედ ამ ოლქში შემავალ სხვა უბნებსაც, როგორც მაგ., გონიის, შავშეთ-იმერხევის, არტანუჯისა და ართვინის უბნებს, მურღულის ხეობის ჩათვლით.

ბაქრაძე იგონებდა თავის წარსულ მოგზაურობას აჭარაში, როცა მას თურქულმა მმართველობამ დიდი დაბრკოლება შეუქმნა, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები მას ეჭვის თვალით უყურებდნენ და ხელს უშლიდნენ ამ რაიონის გულდამშვიდებით შესწავლაში[84].

1879 წ. დიმიტრის, როგორც ჩანს, აკადემიის დავალებაც ჰქონდა, რომ გაეგრძელებინა ადრე დაწყებული სამხრეთი საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის საქმე. ამ დროისთვის, 1879 წ., იგი უკვე არჩეულ იყო საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად[85]. ამის საფუძველი გახდა დ. ბაქრაძის მრავალწლოვანი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა, უმთავრესად კი მისი ძვირფასი ნაშრომი გურია-აჭარის შესახებ.

აღნიშნული წლის შემოდგომაზე დიმიტრიმ მოიარა ბათუმის ოლქის უმთავრესი აღგილები. მან შეისწავლა საეკლესიო არქიტექტურის უმშვენიერესი ძეგლები: ტბეთი (შავშეთში), ოპიზა (იმერხევში), ანჩა (გურჯი-ხევის სახღვარზე) და დოლისყანა (არტანუჯისა და შავშეთის შუა). ამავე დროს ბაქრაძე არ ივიწყებდა, რომ, მიუხედავად ძველი საქართველოს საგრძნობი ნაწილის შემოერთებისა რუსეთის მიერ, ოსმალთა ბატონობის ქვეშ ჯერ კიდევ რჩებოდა ძველი სამცხე-საათაბაგოს ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი. იგი წერდა:

„მეცნიერული ინტერესი, რომელსაც იწვევს ძველი საათაბაგო, შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას არა მარტო ბათუმის ოლქის შესწავლით, არამედ საათაბაგოს იმ ორი ოლქით (არტანისა და ოლთისისა), რომლებიც შევიდა ყარსის ოლქში და, ასევე თანაბრად, ჩოროხის აუზისა და ლაზისტანის იმ ნაწილების შესწავლით, რომელნიც ახლაც რჩებიან ოურქეთის ხელისუფლების ქვეშ".[86]

დ. ბაქრაძე კმაყოფილებით შენიშნავდა, რომ აღნიშნულ რაიო-

ნებში ქართველობამ, მიუხედავად გამათურქებელი ტერორისტული რეჟიმისა, შესძლო თავისი დედაენის შენარჩუნება, რომ თურქული ენა უძლური აღმოჩნდა მისი სრული განდევნისათვის:

„ქართული ენა მთლიანად დაცულია იმერ-ხევის ზემო ნაწილებსა და ყვირილა-წყლის ხეობის გასწვრივ, რომელიც შავშეთის ჩრდილო ნაწილს შეადგენს, ანუ იმ ადგილებში, რომელთაც მუდმივი ურთიერთობა აქვთ აჭარასთან; შემდეგ იგი ქრება შავშეთის დასავლეთ ნახევარში, ისევ ჩნდება, თუმცა სუსტად, არტაანის უბანში, გურჯი-ხევში... იგი ჩანს კიდევ ართვინს ქვემოთ... გაბატონებულია მთელს სივრცეზე, რომელიც ართვინის უბნის ქვემოთაა, მურღულისა და მაჭახელის რაიონებსა და ჭოროხის ნაპირის გაყოლებით, მარადიდის უბანში. ჩვენ არას ვამბობთ ბათუმისა და კინტრიშის, ისევე როგორც აჭარის, რაიონებზე, რომლებიც, აფხაზებისა და ჩერქეზების გამოკლებით, მხოლოდ ქართველი ტომითაა დასახლებული“[87]... საყურადღებოა აგრეთვე, რომ არტანუჯსა და ართვინში ბაქრაძემ ნახა კათოლიკე-სომხები, რომელთაც დედა-ენა დაჰვიწყნოდათ და თითქმის ქართულად მეტყველებდნენ. ბათუმში მყოფმა თბილისელმა სომხებმაც დაუდასტურეს ბაქრაძეს, რომ იქაურ სომეხ-კათოლიკებთან საუბარი მხოლოდ ქართული ენის მეშვეობით თუ შეიძლებოდა[88].

იმავე დროს ბაქრაძემ შენიშნა უკულტურო თურქების ძალადობის ფაქტები. დაპყრობილ ქართულ რაიონებში ოსმალებმა განადგურეს მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ქართული ხელოვნების უიშვიათესი ძეგლები:

„ანჩის ტაძარი,—წერდა ბაქრაძე 1879 წ.,—რომელსაც ეკუთვნოდა თბილისში მყოფი ანჩისხატი, თითქმის მთლიანად დანგრეულია და მისი ორნამენტიანი ქვებისაგან სოფელ ანჩაში მეჩეთია აშენებული“. „ოპიზაში, რომელიც ძველ ნაგებობათა მთელი მასისაგან შედგება, ეკლესიის შიგნით, ძლივსღა ჩანს მისი მაშენებლის აშოტ კურაპალატის (IX ს.) სურათი“. იქვე იკითხებოდა წარწერა, რომელშიც ნათქვამი იყო რომ აშოტი ოპიზის მონასტერს 4 წლის განმავლობაში აშენებდა[89]. ბაქრაძემ მოიარა და შეისწავლა არტაანის, ართვინის, არტანუჯის რაიონები. მან ისტორიისათვის მრავალი ძვირფასი ფაქტი აღნუსხა. მანვე სპეციალურად შეისწავლა ყარსის ოლქიც. კერძოდ ქ. ყარსისა და მისი სანახების შესახებ ბაქრაძემ სპეციალური ნარკვევი გამოაქვეყნა. იგი უეჭველი მეცნიერული საბუთიანობით ამტკიცებდა აგრეთვე, რომ ყარსის, არტაანისა და ოლთისის რაიონები, სხვებ-

თან ერთად, ძველი საქართველოს განუყოფელი რაიონები იყვნენ[90]. ამის შესახებ საუბარი ქვემოთ გვექნება.

ბაქრაძის მოგზაურობათა შესახებ ორიოდე წერილი „დროებაშიაც“ დაიბეჭდა. მაგრამ არტანუჯიდან, ოსმალთა კლანჭებისაგან დახსნილი ქართველების სახელით, ბაქრაძეს ერთგვარ საყვედურს უთვლიდნენ, რომ იგი უმეტესად რუსულად წერდა. საინტერესოა „დროებაში“ გამოქვეყნებული, არტანუჯიდან გამოგზავნილი წერილი (ს. ბავრელისა). წერილში ნათქვამი იყო:

„ჩვენი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე მოგზაურობს ამ ახალ ქვეყნებში და ჩხრეკავს ძველ ნაშთებს. არტანუჯში, შავშეთში იყო და წავიდა ართვინში. სასიამოვნო სანახავია, როგორ, თითქმის მოხუცებული, მაგრამ მარდი როგორც თხუთმეტი წლის ახალგაზრდა, დარბის კედლებზე, უვალ ალაგებზე, ყველაფერში ეტყობა უფ. ბაქრაძეს, რომ თავისი საქმის არშიყია...“

„მაგრამ ერთი შენიშვნა... რუსულად კი არა, ქართულად წერონ, ეს ჩვენთვის უფრო სასარგებლო იქნება“.

„ჩვენ დიდნი თუ პატარანი წავიკითხავთ, გავიგებთ, თუ რა ძვირფასი ადგილები და ხალხი გვეკარგებოდა აქნობამდი... ჩვენი ჩამომავალნიც გულმხურვალეთ წაიკითხავენ და გახდიან წარსულს დროშად, გამოიღვიძებენ, მოიგონებენ, გაიგებენ, რომ ერთხელ საქართველო ყოფილა აყვავებული, ჰყოლია გმირი და ერთგული შვილები და მერე გაჩენილან ჩვენისთანა ჩანჩურ ივანიჩები“[91]...

მოტანილი სიტყვები, გარდა იმისა, რომ დასახული მიზნის შესრულებისათვის ბაქრაძის თავდადებულ გატაცებაზე მიუთითებდა, გამოხატავდა საყვედურს იმის შესახებ, რომ ბაქრაძის წერილები ხშირად რუსულ ენაზე იწერებოდა. ეს გარემოება აიხსნებოდა ბაქრაძის ანგარიშგებით რუსეთის სამეცნიერო დაწესებულებებისადმი. მაგრამ იმავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს ისტორიიდან ცალკეულ მონოგრაფიებს ბაქრაძე ყოველთვის ქართულად წერდა და ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენისათვის მისი თავდადებული მუშაობა ასეთი სახელმძღვანელოს მშობლიურ ენაზე შექმნას ითვალისწინებდა. ეს გასაგებიც იყო.

ღნიშნულ კორესპონდენციაში არ შეიძლება არ დავინახოთ ქართველთა გარკვეული ჯგუფის რომანტიკული განწყობილება საამაყო წარსულისადმი და მისი დაპირისპირება იმ დროს კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი, ჩაძორჩენილი, ქვეყნისადმი. იქვე

ნანდა ახალი საბრძოლო მოთხოვნილებაც, რომ წარსულის გამამხნევებელი გმირული მაგალითებით ებრძოლათ უკეთესი მომავლის შესაქმნელად. მოტანილი კორესპონდენციის მაგალითი გვაჩვენებს აგრეთვე, თუ რა ძალა ჰქონდა მაშინ სამშობლოს ისტორიის საკითხების მასებისათვის გაცნობას.

10. დ. ბაქრაძე და რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობა თბილისში

ამ დროისთვის თბილისი, როგორც რუსეთის ბატონობის ცენტრი კავკასიაში, წარმოადგენდა საქართველო-ამიერკავკასიის მეცნიერულ ცენტრსაც. აქ მოშრავლდნენ როგორც ქართველი, ისე რუსი და სომეხი მეცნიერები, რომელთა შორის იყვნენ პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, ბერჟე, ვეიდენბაუმი, ზაგურსკი, ერიცოვი, ბაიერნი და სხვ. მშობლიურ ქალაქს დაუკავშირდნენ აგრეთვე პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი პროფესორ-მასწავლებლები დ. ჩუბინაშვილი, ილ. ოქრომჭედლიშვილი, ალ. ცაგარელი; ბაქრაძის უშუალო თაოსნობით და ხელმძღვანელობით ებმებოდნენ სამეცნიერო მუშაობაში გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, მოსე ჯანაშვილი და სხვები.

თბილისში მოღვაწე, როგორც რუს, ისე სომეხ და ქართველ მეცნიერებს შორის უპირველესი და წამყვანი ადგილი სამართლიანად მოპოვებული ჰქონდა დიმიტრი ბაქრაძეს. ბაქრაძისა და მასთან ერთად დასახელებული მეცნიერების მრავალწლოვანმა ნაყოფიერმა მუშაობამ ცნობილი რუსი მეცნიერები დიდად დააინტერესა საქართველო-ამიერკავკასიის ისტორია-არქეოლოგიის საკითხებით. ეს ქვეყანა, როგორც წინააზიურ სამყაროსთან უშუალოდ დაკავშირებული, ადამიანთა ბინადრობისა და ცივილიზაციის უძველესი კერა, სულ უფრო და უფრო იპყრობდა აგრეთვე ევროპის მეცნიერთა ყურადღებას.

ცალკეულ მეცნიერთა ინდივიდუალურმა საქმიანობამ აქ მალე გადალახა ერთგვარი კარჩაკეტილობა და ეს მეცნიერები ერთმანეთთან დააკავშირა. ამავე დროს ეს კავშირი, ცალკეული პირების ინიციატივით რომ იწყებოდა და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების სახით რომ ფორმდებოდა, უსახსრობისა და მთავრობისაგან მხარდაუჭერლობის გამო სათანადო განვითარებას ვერ აღწევდა. მიუხედავად ამისა ასეთ წამოწყებებს დიდი შედეგი მოსდევდა.

1874 წ. ბაქრაძის უახლოესი მონაწილეობით ჩამოყალიბდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“, რომლის ნამდვილ წევრთა შორის იყვნენ პ. იოსელიანი (გარდ. 1875 წ.),

დ. ბაქრაძე, გ. დ. ორბელიანი, რ. ერისთავი, ალ. ბერძე, პ. უსლარი და სხვ. ეს საზოგადოება არსებობდა ძირითადად საწევრო ანარიცხების ხარჯზე; ზოგჯერ მას მეფისნაცვალიც აძლევდა „შეწირულებას“.

აღნიშნულმა საზოგადოებამ 1875 წ. გამოსცა თავისი ნაშრომების პირველი წიგნი, რომელშიც შევიდა დ. ბაქრაძის ნაშრომი — „კავკასიის ძველი ქრისტიანული ძეგლები“, ცნობა მცხეთაში აღმოჩენილი 75 წ. (ახ. წ. აღ.) ბერძნული წარწერის შესახებ და საზოგადოების მდივნის წლიური ანგარიში. ამ ანგარიშში მოხსენებულია 1874 წ. საზოგადოების სხდომაზე ბაქრაძის გამოსვლის შესახებ. თავის სიტყვაში ბაქრაძეს საფუძვლიანად დაუსაბუთებია, თუ როგორი გზით უნდა წასულიყო საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ანგარიშში ნათქვამია:

„კომიტეტის წევრმა დ. ზ. ბაქრაძემ წაიკითხა მოხსენება იმის შესახებ, თუ სად უნდა ჩატარდეს გათხრები 1874 წელს, სახელდობრ რომელი პუნქტებისაკენ უნდა წარიმართოს არქეოლოგიური ძიებანი და სად უნდა მოველოდეთ უკეთეს შედეგებს. ამ მიზნით ბაქრაძე, გამოდის რა იმ მოსაზრებიდან, რომ უპირატესად კავკასიის ადრინდელი ეპოქები უნდა იყოს მეცნიერული კვლევის საგნად, რადგან ეს ეპოქები ჩვენთვის ყველაზედ უფრო ნაკლებად ცნობილია, უძველესი და უახლოესი მწერლების მონაცემების საფუძველზე იძლევა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ძველი ბერძნული კოლონიზაციის ისტორიულ მიმოხილვას. შემდეგ ბაქრაძე შეჩერდა ორ პუნქტზე, რომელიც, მისი აზრით, არქეოლოგიური გამოკვლევისათვის საუკეთესო პირობას იძლევა, ესაა სამთავრო—მცხეთაში და ვაშლისარი—გურიაში“92.

„საზოგადოებამ“ შესძლო კიდევ მეორე წიგნის გამოქვეყნება (1877 წ.). მისი მეცნიერული მოღვაწეობა თითქმის ამით სრულდებოდა. მან გარკვეული როლი ითამაშა საქართველო-ამიერკავკასიის არქეოლოგიური შესწავლის საქმეში. მარტო ის რად ღირდა, რომ ამ საზოგადოებამ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე დასვა საკითხი, რომ თბილისში ჩატარებულიყო არქეოლოგიური ყრილობა.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ დიდმნიშვნელოვან ინიციატივას მთავრობამ მხარი დაუჭირა და სათანადო სარჯების გაღებაც იკისრა. მეფის მთავრობას, ამ ეტაპზე კიდევ უფრო მეტად, ვიდრე წინათ, სჭიროდა ქვეყნის მეცნიერული შესწავლა, რაც ხელს შეუწყობდა კოლონიის ეკონომიური ექსპლოატაციის შემდგომ განვითარებას. თბილისში ყრილობის ჩატარებას ენერგიულად გამოეხმაურა აკადემიის პრეზიდენტი უვაროვი, რომლის

თავმჯდომარეობით მოსკოვში ჩამოყალიბდა მოსამზადებელი კომიტეტიც.

რა თქმა უნდა, ასეთი წამოწყება მხარდაჭერას ვერ მოიპოვებდა, რომ თბილისში პლატონ იოსელიანისა და განსაკუთრებით დიმიტრი ბაქრაძის, ისე როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული პირების, მოღვაწეობის შედეგად სათანადო ნიადაგი მომზადებული არ ყოფილიყო.

ყრილობის მოსამზადებელი მოსკოვის კომიტეტის ოქმებში ხშირადაა აღნიშნული ბაქრაძის ღვაწლი საქართველოსა და კავკასიის ისტორიის შესწავლის საქმეში. პრეზიდენტი უვაროვი თავის ერთ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ბაქრაძემ გურიასა და აჭარაში არქეოლოგიური მოგზაურობის შედეგად ფრიად საინტერესო და მდიდარი მასალა შეკრიბა. „ეჭვს გარეშეა, — ნათქვამი იყო კომიტეტის ოქმებში, — რომ ახალგაზრდა ქართველებს შორის მოიძებნებოდა თავისი სამშობლოს ისეთი მოსიყვარულე, რომელიც ხელს მოჰკიდებდა არსებული საუკეთესო მასალების შესწავლის საქმეს დ. ბაქრაძის, ან კიდევ ისეთი პირის ხელმძღვანელობით, რომელსაც ესმის ასეთი შესწავლის სირთულე“[93].

1878 წ. თბილისში არჩეულ იქნა ყრილობის მოსამზადებელი ადგილობრივი კომიტეტი ბაქრაძის თავმჯდომარეობით. მოსამზადებელი მუშაობის მთავარი სიმძიმე ამ კომისიას დააწვა. კომისიას უნდა შეეკრიბა კავკასიის ისტორია-არქეოლოგიის შესახებ მასალები, მოეხდინა მოპოვებული მასალის დამუშავება, ჩაება ყრილობის მუშაობაში ადგილობრივ მეცნიერთა კადრები. მას განუწყვეტელი კავშირი უნდა დაემყარებინა ყრილობის მომწყობ მოსკოვის კომიტეტთან და კავკასიაში არსებულ სათანადო დაწესებულებებთან და პირებთან. მართლაც, თბილისის მეცნიერული ინტელიგენციის წარმომადგენლები ხალისით ჩაებნენ ამ საქმეში. კავკასიის სასწავლო ოლქის პერიოდულმა გამოცემამ („**Сборник сведений для описания местностей и племен Кавказа**“) ყრილობის მოსამზადებელ მუშაობაში ჩაითრია ადგილობრივი მასწავლებლები. გამოქვეყნდა სათანადო პროგრამაც, რომლის საფუძველზე უნდა მომხდარიყო მასალების ადგილებზე შეგროვება და სხვ. ერთი სიტყვით, არქეოლოგიური ყრილობისათვის სამზადისმა ჩქარი ტემპებით განავითარა საქართველო-ამიერკავკასიის წარსულის შესწავლის საქმე[94].

ადგილობრივმა კომიტეტმა ბაქრაძის ხელმძღვანელობით გაწეული დიდი საქმიანობის შედეგად შეაგროვა მრავალი მასალა, რომელიც მოსკოვის კომიტეტს გადაეგზავნა.

ბაქრაძე ცდილობდა, რომ ყრილობა არ შეზღუდულიყო

საერთო არქეოლოგიური საკითხებით და მისი სიმძიმის ცენტრი საქართველოს ისტორიის საკითხებზე გადაეტანა. მოსკოვის კომიტეტისადმი გაგზავნილ ერთ მოხსენებაში იგი ამახვილებდა ყურადღებას ქართული წერილობითი ძეგლების საკითხებზე და აღნიშნავდა, რომ არსებულ ძეგლებში მოიპოვებოდა მეცნიერებისათვის მეტად საყურადღებო მასალა, რომელიც შუქს ჰფენდა საქართველოს ურთიერთობას რომთან და ბიზანტიასთან. აქვე მიუთითებდა ბათუმში მის მიერ ნახული ერთი ხელნაწერის შესახებ, რომელიც მისივე აზრით, გულისხმობდა ქალალდის ხმარებას მე-13 ს. საქართველოში. [95]

ბაქრაძეს განზრახული ჰქონდა ყრილობისათვის წარედგინა განსაკუთრებული მოხსენება სოგელ-გუჯრების შესწავლის აუცილებლობისა და კავკასიის იმ რაიონების გამოკვლევის შესახებ, რომლებიც მაშინ ნაკლებად იყვნენ ცნობილი. ამავე დროს იგი ერთ სერიოზულ საკითხად აყენებდა საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის პრობლემას, თუ რა დროიდან დაიწყო ეს ურთიერთობა, რა პირობებმა შეუწყვეს ხელი ამ ორი ქვეყნის თანდათანობით დაახლოვებას და საერთოდ რაა ცნობილი ამ საკითხის შესახებ ქართულ წყაროებში.

ადგილობრივი კომიტეტის სხდომებზე თბილისში ბაქრაძემ რამდენიმე საყურადღებო მოხსენება წაიკითხა. [96] მანვე ყრილობის მოსამზადებელ მუშაობაში ჩაება გ. წერეთელი, რ. ერისთავი, პ. უმიკაშვილი, დ. ფურცელაძე და სხვები. ამ მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პროფ. დ. ჩუბინაშვილმა, პროფ. ილ. ოქრომჭედლიშვილმა და ალ. ცაგარელმა, რომელიც ამ დროს ბაქრაძის უახლოეს თანაშემწედ ითვლებოდა.

გ. წერეთელი ადგილობრივი კომიტეტის დავალებით გაიგზავნა გელათის მონასტრის სიძველეთა შესასწავლად, რის შედეგადაც მან კომიტეტს წარუდგინა მოხსენება — „О некоторых древностях в Гелатском Монастыре“ [97]. რ. ერისთავმა იკისრა წარმოედგინა გამოკვლევა იმ მიზეზების შესახებ, რომლებიც წარსულში იწვევდნენ ქართველების მიერ მიუვალ ადგილებში სიმაგრეების აგებას [98]. მანვე იკისრა ზოგიერთი უცნობი წარწერის გადმოღებაც.

მე-5 არქეოლოგიური ყრილობა გაიხსნა თბილისში 1881 წ. 3 სექტემბერს. ყრილობის ენისა და წერილობითი ძეგლების განყოფილების თავმჯდომარედ დამტკიცებული იყო უკვე სახელოვანი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე, განყოფილების მდივნად — ალ. ცაგარელი.

მეტად საყურადღებო მოვლენა იყო, რომ რუსეთის V არქეო-

ლოგიურ ყრილობაზე ქართველი მეცნიერები, ბაქრაძის წინამძღოლობით, სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდნენ და ყრილობის ერთ სერიოზულ განყოფილებას ქართველი მეცნიერი თავმჯდომარეობდა. ეს ახალი დროის ახალი მოვლენა იყო და ეროვნულ-კულტურული მეცნიერული ძალების შეუჩერებელ დაწინაურებაზე მიუთითებდა.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყრილობაზე ბაქრაძის მიერ წაკითხული მოხსენება — „Грузинская палеография".

ყრილობაზე დამსწრე უცხო მეცნიერთათვის ბაქრაძის წინამძღოლობით მოეწყო ექსკურსია მცხეთაში, ქუთაისში და გელათში[99].

არქეოლოგიური ყრილობის შემდეგ, ბაქრაძის თაოსნობით და ვეიდენბაუმის უახლოესი თანამშრომლობით, ხდება „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების" რეორგანიზაცია. თავის ერთ მოხსენებაში ბაქრაძე იძლეოდა აღნიშნული საზოგადოების მოღვაწეობის მიმოხილვას, საიდანაც ჩანს, რომ „საზოგადოებამ" მეტად სასარგებლო საქმე გააკეთა. მაგრამ უსახსრობა, მეცნიერთა კადრების ნაკლებობა და სხვა ის მიზეზები იყო, რომელმაც მისი მოღვაწეობა თითქმის გაქრობამდის მიიყვანა. რეორგანიზაცია მუშაობის გამოცოცხლებას ისახავდა მიზნად; 1881 წ. 25 ნოემბრის წესდების მიხედვით მას ეწოდა „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება". ამით თავიდან აცილებულ იქნა ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა მის სახელწოდებასა და მოღვაწეობის შინაარსს შორის. ახალი წესდება, ძველი „საზოგადოების" 1873 წ. 23 მარტის წესდებასთან შედარებით, მნიშვნელოვნად აფართოებდა მისი მოღვაწეობის მასშტაბს.

11. ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი. ბრძოლა ისტორიის ფალსიფიკატორებთან

თანდათანობით იზრდებოდა ბაქრაძის ავტორიტეტი ქართველ საზოგადოებაში. არქეოლოგიურ ყრილობაზე რუსეთის მეცნიერთა მიერ დიმიტრის დიდი დაფასება კიდევ მეტად სიმპათიურს ხდიდა მისდამი შეხედულებას. მან მოწინავე ქართველი ინტელიგენციის უეჭველი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა.

ბაქრაძე თავისი დროის უკუღმართობისადმი პროტესტანტული სულისკვეთებით იყო აღჭურვილი. არსებული სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის პირობებში იგი ხედავდა, თუ როგორ დახშული იყო ფართო მასებისათვის გზა კულტურისა და განათლებისაკენ. იგი ოცნებობდა კოლონიური ჩაგვრის ქვეშ მყოფი თავისი სამშობლოს წარსულზე და მის მომავალზე. სამშობლოს ისტორი-

აზე მუშაობა მას, როგორც ჩანს, სულიერ სიმშვიდეს ჰგვრიდა, აწმყოსადმი გულისტკივილს უყუჩებდა. ლუკმაპურისათვის სხვა დასხვა თანამდებობაზე მომუშავეს, ძირითადად მხოლოდ საღამოობით შეეძლო მეცნიერული მუშაობის წარმოება. ხშირად იგი ღამეებს ტეხდა, რომ ნიშანში ამოღებული საგანი ბოლომდის მიეყვანა. „ამგვარი შრომის დროს, — წერდა მოსე ჯანაშვილი,— ხშირად შევსწრებივარ განსვენებულს და როცა მიკითხავს — „ბატონო დიმიტრი, ამდენი შრომა რატომ არ გღალავთ?“,—უპასუხნია: „რა ექნა! წარსული კაცს ისე აყვარებს თავს, **ისტორიაში იმდენი კეთილშობილი, მამულისა და ქვეყნის ერთგულებაში გამობრძმედილი პირნი არიან,** ისეთი მტკიცე ხასიათისანი, თავმდაბალნი, უშურველნი და უმწიკვლონი, რომ მათთვის თვალი ვერ მომიშორებია; **მათთან ყოფნა, მათთან საუბარი და მათთან გულის ძგერა მავიწყებს ჩემი ხორცის დაქანცვა-ტკივილსა, მცირე დროს განმავლობაში მაინც მაშორებს დღევანდელ ორპირობითა და ცბიერებით აღსავსე აწმყოს“..**[100]

დიდ მეცნიერულ ავტორიტეტთან ერთად, მაღალი ადამიანური თვისებები ხელს უწყობდა დიმიტრის გამხდარიყო ქართველი ხალხის სახელოვანი საზოგადოებრივი მოღვაწე. მისი მრავალწლოვანი საქმიანობა სამშობლოს წარსულის შესწავლისათვის უკვე დიდ ნაყოფს ისხამდა და ასევე დიდად ხელს უწყობდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაღვივებას. ამავე დროს, მეცნიერული საკითხების გამოტანა ქართველ საზოგადოებაში ქართული სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების შექმნისა და მეცნიერთა ახალი კადრების აღზრდის სურვილებს ჰბადებდა. ეს მისწრაფებანი გზ. „დროების“ ფურცლებზე მკვეთრად გამოხატა გრ. ყიფშიძემ—წერილში „ბ-ნ დიმიტრი ბაქრაძისადმი“. იგი წერდა:

„...სწავლისა და ძიების სურვილმა მიმართა ჩვენი თვალი და გონება ჩვენს ახლანდელ მდგომარეობაზედ, რომლის შეგნებისათვის ძლიერ საჭიროა წარსულ დროთა გამოკვლევა და შესწავლა. წავიდა ის დრო, როდესაც გამოუკვეველი ჩვენი გონება ვერას ახერხებდა და არ იცოდა, რისთვის მოეკიდნა ხელი. დღეს გამოფხიზლებულს ნაწილს საზოგადოებისას ნათლად აქვს დახატული და შეგნებული ის პირობანი, რომელთა შორისაც შეიძლება რიგიანად იწარმოვოს ჩვენმა წარმატებამ და განვითარებამ. ერთ ამგვარ პირობად იგი აღიარებს წარსულის ჩვენის თავგარდასავლის ცოდნას, საქართველოს ისტორიის შემეცნებას“... უამისოდ დღევანდელ მდგომარეობას ვერ წარმოვიდგენთ და მომავალსაც „ბრმად შევხედავთ“.

„...დღეს ჩვენ ქართველებში თქვენ გვეგულებით და ხართ

კიდეც ზედმიწევნით შემმეცნებელი წარსულის ჩვენის ცხოვრებისა...", მაგრამ „თითქმის ერთს ვერა ვხედავთ, რომ თქვენს კვალს ადგეს და თქვენს საგანს სწავლობდეს თქვენივე ხელმძღვანელობით, თუმცა თქვენ, დარწმუნებული ვართ, ამ ხელმძღვანელობისათვის არ დაზოგავდით შრომას და დროს". ეს გარემოება იმით კი არაა გამოწვეული, რომ არ ვართ მოწადინებული და არ გვესმის „დიდი მნიშვნელობა მისი ეროვნულის ცნობიერების განმტკიცებისათვის, არამედ იმ მიზეზით, რომ არ ვიცით, როგორ დავიწყოთ ეს შესწავლა, არ გვყავს ხელმძღვანელი"... „დღეს მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ თქვენის დიდის ისტორიულის მომზადებით, დიდის ერუდიციით, მრავლად შეძენილის ფაქტებით, აგვინთოთ ის მეცნიერული ფანარი ხელმძღვანელობისა და გაგვინათოთ გზა წარსულის გამოძიებისა".

„...აქ უნივერსიტეტი არა გვაქვს, აქ პროფესორები არა გვყავს, ლექტორები არ მოიძებნებიან", ამიტომ თქვენ უნდა დააკმაყოფილოთ ჩვენი თხოვნა, „რომ თვეში ერთხელ, ან სამსა და ორ კვირაში ერთხელ ისაუბრებთ ერთს ან ორის საათის განმავლობაში ჩვენთან... ეს გვარი „საისტორიო საუბარნი", ცოდნის გარდა მსმენელს მისცემს შეძლებას ცხოველ ურთიერთობაში იყვეს მეცნიერების წარმომადგენლებთან..." დასასრულ, ნათქვამი იყო, რომ ამ გზით დაინტერესებული პირები შეითვისებდნენ მეცნიერულ-კვლევითი ძუშაობის ხერხებს[101].

წერილიდან ცხადად ჩანდა, რომ საუნივერსიტეტო განათლებასა და მეცნიერული კვლევა-ძიების ხერხების შესწავლას ჰოწყურებული ახალგაზრდობა გასაქანს ეძებდა. ეს იყო ერთგვარი მოწოდება, სადაც ნათლად ხაზგასმული ეროვნული ბრძოლის მოტივი, რა თქმა უნდა, არ გამოეპარებოდა მეფის მთავრობის აგენტებს, რომელთაც ადრითგანვე ეშინოდათ, რომ უმაღლესი სასწავლებლის, თუ სამეცნიერო ქართული დაწესებულებების აქ შექმნა მკვიდრებს გაათვითცნობიერებდა და განმათავისუფლებელ იდეებს გაუძლიერებდა. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი ძირშივე ახშობდა მოწინავე ქართველთა ყოველგვარ პროგრესულ ინიციატივას, ასეთი იდეები საქართველოში თავიდანვე ცოცხლობდა და ვითარდებოდა.

„საისტორიო-სასაუბრო" მუდმივი დაწესებულებების შექმნა, რაც ასე მარტივად ჰქონდა წარმოდგენილი გრ. ყიფშიძეს, იმ დროინდელ პირობებში ძალზე ძნელი საქმე იყო. სხვას რომ თავი დავანებოთ, მეცნიერულ-კვლევითი ხერხების გამომუშავება, კადრების მომზადება, უმაღლესი სასწავლებლის საკითხს უკავშირდებოდა. რაც შეეხებოდა ცალკეულ საუბრებს, ასეთებს ბაქ-

რაძე ხშირად ატარებდა, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამკითხველოში, ისე სხვაგანაც.

ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, მას ბაქრაძესთან განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა 1878 წლიდან. იგი ხშირად დადიოდა საკონსულტაციოდ დიმიტრისთან, რომელთანაც მიჰყავდა სხვებიც, ვისაც კი აინტერესებდა საქართველოს ისტორიიდან სხვადასხვა კითხვებზე პასუხის მიღება. მისივე გადმოცემით, დიმიტრის „ძალიან უყვარდა მოზრდილი თაობა"[102]. ჯერ კიდევ ბაქრაძის სიცოცხლეში გამოაჩინა თავისი მეცნიერული ტალანტი ნ. ურბნელმა (ხიზანაშვილი), რომლითაც ბაქრაძე, და ნიკოლაძეც, კმაყოფილნი იყვნენ. „ბაქრაძე სიხარულით უყურებდა ხიზანაშვილის მეცადინეობას და ამბობდა—„დიდი მკვლევარი იქნება"-ო[103].

გასაგებია, რომ ბაქრაძისთანა საზოგადო მოღვაწე იდეურად და საქმითაც მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ეროვნულ - კულტურული ბრძოლის მესაჭე ილია ჭავჭავაძესთან. ქართველი ხალხის ეს „უგვირგვინო მეფე" თავის მოღვაწეობაში აერთიანებდა ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლის თითქმის ყველა უბანს. მისი ყურადღების ცენტრში იყო საქართველოს ისტორიაც, რომლის შესწავლა და ხალხისათვის გაცნობა ილიას სამართლიანად მიაჩნდა იმ დროისთვის კოლოსალური მნიშვნელობის საქმედ.

ილიასთან დიმიტრის დაკავშირება ადრითგანვე დაიწყო. ჯერ კიდევ 1877 წლიდან ბაქრაძე თანამშრომლობდა ილიასთან ერთად „ღარიბთა შვილების აღმზრდელ" საზოგადოებაში[104]. ილიასთან ერთად ბაქრაძესაც გარკვეული ღვაწლი მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსებასა და მის საქმიანობაში[105].

დიმიტრი ბაქრაძე მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძის ბრძოლას ქართული ენის სიწმინდისათვის. ამ უბანზე ბრძოლას უდიდესი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა.

„ენა,—წერს აკად. ა. შანიძე,—რომელზედაც წინა საუკუნეებში შექმნილია მრავალი განძი უიშვიათესი კულტურული ღირებულებისა, ილიას სალიტერატურო სარბიელზე გამოსვლისას დაძაბუნებისა და დაკნინების გზაზე იყო დამდგარი"[106].

ჯერ კიდევ მესამოცე წლებში, როგორც აკად. ა. ჩიქობავა შენიშნავს, „ანტონის სკოლის მიმდევართა შორის ენის საკითხში რევიზიონისტულმა მიდრეკილებამ იჩინა თავი"[107].

ასეთი რევიზიონისტული განწყობილება თავისებურად გამოთქვა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელიც გამოეხმაურა ალ. ჯამბაკურ-

ორბელიანის წერილს—„ქართული უბნობა ანუ წერა“. ბაქრაძე დაეთანხმა მას იმაში, რომ საჭირო იყო მწერლობაში ერთი ენის დადგენა (ეკლესიურს, დარბაისლურსა და გლეხკაცის ენებს შორის) და თავის მხრით დასძინა, რომ საჭირო იყო „უკეთესი საზოგადოების ენის“ დაკანონება“[108].

ეს გამოსვლა ეკუთვნის 1860 წელს, როდესაც ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში იმყოფებოდა და მის მიერ ჯერ კიდევ არ იყო გაჩაღებული ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლა.

ანტონის მიმართ აღნიშნულ რევიზიონისტულ შეხედულებაში ჩაქსოვილი იყო ის პროგრესული ელემენტი, რითაც ბაქრაძე ცოცხალი ხალხური და უკეთესი მეტყველებისაკენ ილტვოდა.

1874 წ. თავის ერთ მონოგრაფიაში ბაქრაძე გამოდიოდა ენასა და ლიტერატურაში დახავსებული და უსარგებლო, ახალი დროისთვის შეუფერებელი გადმონაშთების წინააღმდეგ. იგი ხაზს უსვამდა ქართული ენის გაწმენდის აუცილებლობას; ბრძოლას უცხადებდა ევროპული ენების კონსტრუქციებისადმი მავნე მიმბაძველობას და ამასთან დაკავშირებით თანაუგრძნობდა ნ. ბერძნიშვილს, რომელიც თავის დროზე ენერგიულად იბრძოდა ქართველი ხალხის თავისთავადი და მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების განვითარებისათვის.

ბერძნიშვილი და მასთან ერთად ბაქრაძე იბრძოდნენ იმის წინააღმდეგ, რომ ქართული ჟურნალები ხელს ჰკიდებდნენ მხოლოდ თარგმანებს და ივიწყებდნენ საკუთარ ლიტერატურას.

„ჩვენ გვაქვს საკუთარი ელემენტი,—ხაზს უსვამდა ბაქრაძე ბერძნიშვილის შენიშვნას.—რომელიც მოითხოვს ზუსტ შესწავლას და განვითარებას, გვყავს საკუთარი პოეტები, პროზაიკოსები, რომანისტები... ახალგაზრდა ჟურნალმა... ხელი უნდა მოჰკიდოს მშობლიური ცხოვრების შესწავლას, ჩვენი დიდი პოეტების, რუსთაველის, ჩახრუხაძის შესწავლას, ჩვენი ისტორიისა და ეთნოგრაფიის დამუშავებას და მას უეჭველი მიღწევა მოელის მისთვის არჩეულ საქებარ სარბიელზე“[109].

აღნიშნულის შემდეგ ცხადია, რომ დიმიტრი ალტაცებული იქნებოდა ილია ჭავჭავაძის მთელი მოღვაწეობით და განსაკუთრებით მისი ენით, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ მომხრეებს პოულობდა. დიმიტრი უკვე ყველას მოუწოდებდა, რომ მიებაძათ სახელოვანი მგოსნისათვის, „ილია ჭავჭავაძის ენას ნამდვილ საჭირო ენად თვლიდა“[110].

დიმიტრი განუწყვეტლივ თანამშრომლობდა როგორც გაზ. „დროებაში“, ისე „ივერიაში“. ეს რედაქციები მის წერილებს განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ. იმ დროიდან, როდესაც

„ივერია“, თავისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძით, ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებდა, ბაქრაძე იყო არა მარტო უბრალო კორესპონდენტი „ივერიისა“, არამედ ილია ჭავჭავაძის უახლოესი თანამებრძოლიც.

„ივერიის“ რედაქციაში ხშირად იმართებოდა კრებები; ი. მანსვეტაშვილის გადმოცემით, ამ კრებებზე ნახავდით ა. წერეთელს, დ. ბაქრაძეს, გ. წერეთელს, ი. გოგებაშვილს, რ. ერისთავს, ა. ფურცელაძეს, პ. უმიკაშვილსა და სხვებს. კრებებზე „ბევრი საყურადღებო ფიქრი და აზრი გამოთქმულა ამა თუ იმ საგნის შესახებ, მაგრამ თავი და თავი ჩვენი გულისწუხილი მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის სვე-ბედზე, რა იყო საქართველო წარსულში, რა არის დღეს და რა მოელის მერმისში? აი, საჭირბოროტო საკითხი, ის დღის ვარამი, რომელსაც თავს დავსტრიალებდით და რომლის გარშემო ცხარე სჯა-ბაასი იმართებოდა“[111].

დიდ ილიასთან დიმიტრის ახლო ურთიერთობის გაბმას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ილიას ყურადღების ცენტრში საქართველოს ისტორიაც იყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში ილიას დიდი ღვაწლის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა:

„ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ მხოლოდ, რომ ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 ს. ამბების შესწავლას და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება ისიც აღნიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შექმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს“[112].

განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ილიასა და დ. ბაქრაძის თანამშრომლობა ქართველი ხალხის ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა, რომ იმ დროისთვისაც ასეთი ბრძოლა ვიწრო ნაციონალისტურ ჩარჩოებამდე დაგვეყვანა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ილია და ბაქრაძე, მაგ. სომხური სავაჭრო კაპიტალის ინტერესების გამომხატველ ელემენტებთან თუ დიდმპყრობელური რუსული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებთან პოლემიკაში, სავსებით თავისუფალნი იყვნენ ნაციონალისტური მიდრეკილებებისაგან, მაგრამ ისინი რომ შესანიშნავად ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან მთლიანად ხალხს და ამ ხალხის წარმომადგენელ ზოგიერთ ელემენტებს, ეს უცილობლად დადასტურებულია.

განსაკუთრებით XIX ს. 70-იან წლებიდან ამიერკავკასიაში კაპიტალიზმი შეუჩერებლივ ვითარდებოდა და ამ პროცესში სომხური სავაჭრო ბურჟუაზია გაბატონებულ ადგილს იკავებდა. ეს ახალი ძალა, როგორც ეს პროფ. ნათაძემ შენიშნა, თანდათანობით იკაფავდა გზას რუსულ ადმინისტრაციაში. ქართველი თავადაზნაურობა უკვე საგრძნობი საშიშროების წინაშე დგებოდა. მას ეშინოდა, რომ ეს ძალა მის ადგილს დაიჭერდა[113]. ეს შიში უსაფუძვლო არ იყო. ასეთმა წინააღმდეგობამ ერთგვარი ნიადაგი შეუქმნა მეცნიერულ დავას ამ ორ ბანაკს შორის.

დავა წარმოებდა უმთავრესად იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ ამიერკავკასიაში უფრო ძველი კულტურისა და სახელმწიფოებრიობის მატარებლები, ქართველები თუ სომხები. ეს საკითხი განსაკუთრებით სადავოდ გამოიტანეს სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა. ამასთან ერთად დავა იყო სამხრეთ საქართველოს უძველეს ტერიტორიებზე, რომლებიც მიტაცებული ჰქონდათ ოსმალებს და რომელთა ნაწილი რუსეთმა შემოიერთა 1878 წელს. ქართული ისტორიული წყაროებისადმი მეტად უდიერი დამოკიდებულება ჩანდა ზოგიერთი მეცნიერების მხრიდან და სხვ. ყოველივე ამაში ნათლად ისმოდა სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენელთა პრეტენზიები; ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ქართველებთან შედარებით სომეხი ხალხის „ისტორიული უპირატესობა" ამიერკავკასიაში. ასეთ მიმართულებას შედეგად მოსდევდა ქართველი ხალხის ისტორიის გაყალბება. ეს გარემოება კი მოწინავე ქართველ ინტელიგენციაში (ძირითადად თავადაზნაურულ ინტელიგენციაში) აღშფოთებას იწვევდა. რაც შეეხებოდა სომეხსა და ქართველ ხალხებს, მათ შორის უძველესი ხანიდან მოყოლებული ისტორიული თანამეზობლობის მთელს სიგრძეზე წინააღმდეგობა არ ყოფილა.

ბაქრაძეს, როგორც XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ წარმომადგენელს, პასუხი უნდა გაეცა საქართველოს ისტორიის ყველა გამყალბებლისათვის. ამ შემთხვევაში მისი და დიდი ილიას გამოსვლები ისტორიის საკითხებზე, როგორც ჩანს, ურთიერთ შეთანხმებითა და თანამშრომლობით ხდებოდა.

1883 წ. დაიბეჭდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი პატკანოვის წერილი — «О древней грузинской хронике»[114], რითაც მან ხელაღებით უარყო ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელობა საქართველოს უძველესი ისტორიისათვის; იგი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ქართველობა მოკლებული იყო უძველეს ისტორიას.

პროფ. პატკანოვი მაშინ საკმაოდ ცნობილი მეცნიერი იყო და მის სიტყვას გასაგალი ჰქონდა; ამიტომ აღნიშნული უსაფუძვლო წერილის უპასუხოდ და განუხილველად დატოვება არ შეიძლებოდა. ეს ამოცანა ბაქრაძემ ბრწყინვალედ შეასრულა. ამასთან მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბაქრაძე, რომელიც სახუნივერსიტეტო ცენტრს მოწყვეტილი იყო და თბილისში დამოუკიდებლად ეწეოდა მეცნიერულ საქმიანობას, თავისი ისტორიული აზროვნებითა და ფართო თვალსაწიერით გაცილებით მაღლა აღმოჩნდა, ვიდრე იმ დროს სახელმოხვეჭილი პროფესორი. ეს მან უცილობლად დაამტკიცა თავის წერილით — „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“[115].

ბაქრაძემ დაამტკიცა, რომ პროფ. პატკანოვი არ იყო „გულწრფელი მეძიებელი ისტორიული სიმართლისა“, იგი არათანაბარი ობიექტურობით ეკიდებოდა სომხურ და ქართულ წყაროებს. ბაქრაძე მიუთითებდა არამეცნიერული მიკერძების მავნებლობაზე და აღნიშნავდა: „ჩვენთვის ერთგვარ ძვირფასია როგორათაც სომხური, აგრეთვე ქართული წყაროები; ჩვენის ფიქრით, ერთმა მეორე უნდა შეასწოროს და შეავსოს... ამ პროგრამას არ ადგას ბ. პატკანოვი. ის დასკვნილს ქართულ აზრს ან უჩუმდება, ან თუ იგი მოჰყავს, მოჰყავს გადასხვაფერებით, იმ გვარად, რომ ბინდი დასდოს მის წინააღმდეგს აზრს, ქართულს ისტორიულ წყაროს, თვით ჩვენ წინაპართ ხასიათს“[116].

აღნიშნულ სიტყვებს სდევს საფუძვლიანი და არსებული საბუთებით გამაგრებული მსჯელობა. ბაქრაძის კრიტიკის მთელი სიძლიერე და დამაჯერებლობა მის მიერ მოტანილ ურყევ საბუთიანობაში ჩანს.

მაგალითად, ყოველგვარ საბუთიანობას მოკლებული იყო პატკანოვის მითითება იმის შესახებ, რომ ტარ (სომხურად ტაიკი, ჰოროხის ხეობაში) სომხეთისა იყო. ამ უსაფუძვლო „მტკიცებას“ ბაქრაძემ დაუპირისპირა ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობები (911-959) და ამ რაიონში მყოფი ძველი ქართული ეკლესიების წარწერები, რომელთა ნაწილი სარგისიანმა გადმოიღო, ხოლო ნაწილი თვით ბაქრაძემ[117]. ჰანეთსაც კი პატკანოვი სომხეთის ძველ საკუთრებად თვლიდა!

მაგრამ კიდევ უფრო შორს მიდიოდა პატკანოვის უსაფუძვლო მსჯელობა. მის მიერ ისტორიული მოვლენების შეფასება არა მეცნიერული ჩანდა. მან „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ერთი ზღაპრული თქმულება ისტორიულ ჭეშმარიტებად იცნო და

ბის საფუძველზე ქართველობას ფანატიკოსობა დასწამა. საკითხი ეხებოდა ქართველთა და სომეხთა სამღვდელო დასების სარწმუნოებრივ განხეთქილებას, როდესაც ჰეშმარიტი სარწმუნოების დამტკიცება ეკლესიის მესვეურებმა თითქოს ძალის მიერ გადაყლაპული ლუკმის მიხედვით დაამტკიცეს[118]. ამის შესახებ ბაქრაძე შენიშნავდა:

„ბ. პატკანოვს მთელი ეს ზღაპარი შემოაქვს თავის შენიშვნაში და დასასრულ ამბობს: „მე ამ შემთხვევას ვუჩვენებო, როგორათაც დასამტკიცებელს საბუთს ქართველების ფანატიზმისას. ამგვარი საბუთები, — განაგრძობდა ბაქრაძე,—ჩვენ შეგვიძლიან სხვებიც ვუჩვენოთ ბ. პატკანოვს „ქართლის ცხოვრებაში“ სომხების შესახებ, და თვით სომხურ ისტორიაში ჩვენს შესახებ; მაგრამ ნუთუ იგინი უმტკიცებენ სომხის მეცნიერს ქართველების ფანატიკობას, ანუ ქართველების მეცნიერს სომხების ფანატიკობასჲ“[119].

აქ ბაქრაძე უკვე უცილობლად გამოდიოდა ნამდვილი მიუდგომელი, ობიექტური, მეცნიერის როლში, იძლეოდა იმ დროისათვის მეტად იშვიათ და სამაგალითო ნიმუშს იმისა, თუ როგორ დიდი პატივისცემითა და პასუხისმგებლობით უნდა მოეკურას მეცნიერი მუშაკი, განსაკუთრებით ისტორიკოსი, ამა თუ იმ ერის ისტორიას, თავისი სამშობლოს მეზობელი ხალხის ისტორიას, მეზობელ ხალხებს. ბაქრაძე ფაქტიურად გამოდიოდა პროფ. პატკანოვისა და მისთანა უპასუხისმგებლო მეცნიერთა მასწავლებლის როლში, როდესაც აღნიშნავდა, რომ ზემოთ მოტანილი და მისი მსგავსი მრავალი ფაქტი მიუთითებდა მხოლოდ ცალკეული სამღვდელო დასების ფანატიკოსობაზე და ასეთი ფაქტების მიხედვით არ შეიძლებოდა, რომ მთელი ერისათვის დაგვეწამებინა ფანატიკოსობა, გამოგვეტანა დასკვნა, რომ თითქოს ქართველობა და სომხობა ერთმანეთს დაშორდნენ. ბაქრაძე აღნიშნავდა, რომ მსგავსი ფაქტები მართლაც ამტკიცებდა ფანატიკოსობას, „მაგრამ ვისას?—სამღვდელო დასისას: ისიც, ჩვენის ფიქრით, მცირედის ნაწილისას. გარეშე **ამ დასისა ფანატიკობას საქმე არ აქვს. ჩვენ არ ვიცით მაგალითი, რომ ოდესმე სომხობას და ქართველობას ძველებური დამოკიდებულება ერთმანეთში შეეწუვიტოს**“[120].

გარდა აღნიშნულისა აქ მეტად საყურადღებოა დ. ბაქრაძის მითითება, რომ ფანატიკობა მხოლოდ სამღვდელო დასებს შეიძლება ახასიათებდეს და **„გარეშე ამ დასისა ფანატიკობას საქმე არ აქვს“.**

როგორც დავინახეთ, ბაქრაძემ მთელი სიცხადით აღნიშნა, რომ ქართველთა და სომეხთა სამღვდელო დასებს შორის განხე-

თქილება და მათი ერთმანეთისაგან დაშორება არავითარ შემთხვევაში არ მიუთითებდა ქართველობისა და სომხობის ერთმანეთისაგან დაშორებაზე, რომ ამ ორ ერს ისტორიის მთელს მანძილზე ერთმანეთთან მეზობლური კავშირი არ გაუწყვეტია. ბაქრაძის ფართო ისტორიულ თვალთხედვაზე მიუთითებდა მისი გალაშქრება იმ მეცნიერთა წინააღმდეგ, რომლებიც იმეორებდნენ „ვითომც ქართველებმა დასტოვეს ჭეშმარიტი აღსარება და იმის გამო იგინი დაჰშორდნენ სომხობას“[121]. ბაქრაძის სწორი მოსაზრებით, ასეთ განცხადებებს ისტორიულ მოვლენათა მეცნიერულ შეფასებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია.

პატკანოვის „კვლევით“ აღშფოთებული ბაქრაძე რამდენადმე აჭარბებდა, როდესაც თვლიდა, რომ ასეთი სენი სჭირდა იმ დროის ყველა სომეხ მეცნიერს. რა თქმა უნდა, პატკანოვს ყველა არ ჰბაძავდა.

უსაფუძვლო იყო პროფ. პატკანოვის დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის წყაროებისადმი, რომლებსაც იგი ხელაღებით აყალბებდა[122].

როგორც ბაქრაძე მიუთითებს, თავის წერილში პატკანოვმა ერთ მიზნად დაისახა გამოძიება იმისა, შეეხება თუ არა ქართული წყარო იმ დროს, რა დროსაც ევროპელი მეცნიერები მიუთითებდნენ ქართველ ტომებს ვანის ლურსმულ წარწერებში, ან ძველად იყვნენ თუ არა ქართველები წინა-აზიასა და ამიერკავკასიაში, სომხების გამოჩენამდე. პატკანოვი აცხადებდა, რომ ქართულ მწერლობაში არაფერი იყო ნათქვამი ქართველთა უძველესი ბინადრობის შესახებ, ეს მწერლობა არ იძლეოდა გადმოცემას „შემდეგ ისტორიულ დროზედაც“, „და თუ იძლეოდა ისიც ერთად ერთს შრომაში, „სომხურ ქრონიკაში“, რომელიც, პატკანოვის აზრით, თუმცა ქართულიდან უნდა ყოფილიყო ნათარგმნი, მაგრამ მისი დედანი შეადგინა „უსწავლელმა და უმეცარმა სომეხმა მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც ქართველებმა იგრძნესო ისტორიის საჭიროება. დანარჩენი ცნობები ძველ საქართველოზე იპოებაო მხოლოდ სომხურს ისტორიულ მწერლობაში. ვახტანგზე ადრინდელს „ქართლის ცხოვრებაზე“ არავითარი ცნობა არა არისრაო“[123]. დ. ბაქრაძემ გამოამჟღავნა აღნიშნული განცხადების მთელი სიყალბე:

„...რამ აფიქრებინა ბ. პატკანოვს, ვითომც ქართველი ერი ისეთ ველურ მდგომარეობაში იყო, რომ ვერა გრძნობდა საჭიროებას ისტორიისას მეთორმეტე საუკუნემდე და აქაც კი, თუ არ ისიც უმეცარის სომხის შემწეობით, მან ვერ შესძლო თავისი ისტორია თვითონვე შეედგინა; — ის ერი, რომელსაც სტრაბონი

პირველი საუკუნის დამდეგს აღყვავებულ მდგომარეობაში გვიჩვენებს, რომელმაც გასაოცარის ხელოვნების ეკლესიებით და მონასტრებით მოჰფინა ძველის დროიდგანვე თავისი მხარე, რომელმაც გაავსო როგორც საქართველო, აგრეთვე საბერძნეთი და პალესტინა ქართულის სამკაულებით და ძანესკრიპტებით და რომელმაც ისეთი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა, რომ ძველადვე ამ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ითარგმნა ქართულად... ვისრამიანი და თვით ქართულ ენაზე დაიწერა დიდებული პოემა „ვეფხის ტყაოსანი", რომელიც თავისთავად უჩვენებს არამარტო ეროვნების განვითარებულ წარმატებას, არამედ პოეტურის ხელოვნების აღყვავებულ მდგომარეობასაც?"[124].

ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო პატკანოვის განცხადება, რომ თითქოს „ქართლის ცხოვრება" მე-18 ს. შემოქმედებას წარმოადგენდა. ახლა, ჩვენი დროისათვის, როდესაც ისტორიული მეცნიერება ჩვენში განვითარების მწვერვალზეა ასული, ასეთი განცხადებები მეტად უსუსურად გამოიყურებიან. მაგრამ სულ სხვა იყო მაშინ, როდესაც ბაქრაძე მოღვაწეობდა და როდესაც ქართული ისტორიული წყაროები სათანადოდ დაფასებული და კრიტიკულად შესწავლილი არ ყოფილა.

პატკანოვის „მტკიცება" არ ეფუძნებრდა „ქართლის ცხოვრების" მეცნიერულ შესწავლას[125]. მისი გაბათილება ბაქრაძისათვის ძნელი არ ყოფილა. მას შეეძლო წარედგინა პატკანოვისათვის მე-18 საუკუნეზე ადრინდელი ვარიანტები „ქართლის ცხოვრებისა". ერთი ასეთი იყო მაშინ ბაქრაძის მიერვე აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრების" მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, 1636-1646 წლებში გადაწერილი. მაგრამ ქართლის ცხოვრების მე-17 ს. ვარიანტზე მითითება საკმაო არ იყო. უნდა დამტკიცებულიყო მასში შესულ ავტორთა თხზულებების სიძველე. ამ მხრივაც ბაქრაძის მტკიცება იმ დროისთვის მეტად პროგრესული და საფუძვლიანი იყო.

ბაქრაძემ ამხილა აგრეთვე პატკანოვის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება მის მიერვე დამოწმებული წყაროებისადმი (სტეფანოზ ორბელიანი, ლანგლუა).[127]

პატკანოვმა აკად. ბროსესა და სენ-მარტენის დადებითს აზრს „ქართლის ცხოვრებაზე" დაუპირისპირა აზრი ბოტანიკოს კოხისა და ჟურნალისტი სენკოვსკისა, რომელთაც,—ბაქრაძის სიტყვებით,—არავითარი ცოდნა არა ჰქონდათ ჩვენს ისტორიაზე და, მაშასადამე, არც სჯა შეეძლოთ „ქართლის ცხოვრებაზე". ამასთანავე, დიდმპყრობლური შოვინისტების წარმომადგენელმა სენკოვსკიმ იმდენი უვიცობა გამოიჩინა, რომ „არა თუ უარყოფ-

და ქართულ ისტორიას, არამედ იმასაც კი ამტკიცებდა, ვითომც ქართველი ტომი არ არსებობდა საქართველოში ჲე-12 საუკუნემდე"... [128]

პატკანოვის გამოსვლამ, რამაც ერთგვარად შელახა ქართველი ინტელიგენციის ეროვნული თავმოყვარეობა, ერთხელ კიდევ მწვავედ დასვა საკითხი საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის აუცილებლობის შესახებ. ამ ინტელიგენციამ, როგორც ეს თავისებურად გამოთქვა ბაქრაძემ, მტკივნეულად იგრძნო, რომ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სათანადოდ დამუშავებული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, რომ ამ მიმართებით მუშაობა არაორგანიზებული და არადამაკმაყოფილებელი იყო. ბაქრაძის აღნიშნულ წერილს ბოლოში ერთვოდა მისი მეტად საგულისხმო მოწოდება ქართველი ხალხისადმი:

„ბევრი შრომა გვჭირდება საქართველოს წარსულის ცხოვრების გამოკვლევისათვის. ჩვენ უნდა გამოვიძიოთ და ცნობაში მოვიყვანოთ სადაც კი, საქართველოში, თუ იმის გარეშე, კერძო სახლებში თუ მონასტრებში, დაცულია ჩვენი ხრონიკები. ჩვენ უნდა გადმოვიწეროთ, თუ გადმოვხაზოთ ძველის ეკლესიების კედლებიდამ, მანუსკრიპტებიდამ და საეკლესიო სამკაულებიდამ ისტორიული მინაწერები, რომელნიც ბლომად მოიპოვებიან და რომელნიც რამდენადაც დრო გადის, იმდენად ჩვენი დაუდევნელობით იღუპებიან. ჩვენ უნდა შევისწავლოთ შინაარსნი გუჯრებისა და სიგელებისა, რომელნიც გასაოცარს სიმრავლეს შეადგენენ ამიერ-იმიერის საქართველოს კეთილშობილთ სახლებში... ჩვენ უნდა გავიცნოთ ჩვენ წინა-პართ ნაწარმოები, საეკლესიო და საერო, რომელნიც ჩვენის წარსულის ყოფა-ცხოვრებას და ეკონომიურ მდგომარეობას გამოგვიხატავენ, ანუ გვიჩვენებენ წარმატებას სხვადასხვა ხელოვნებაში, ხელ-საქმობაში, არხიტექტურაში, მანუსკრიპტების მინიატურებში და ტაძრების მხატვრობაში, რომელთა შესწავლით შეგვიძლიან, სხვათა შორის, შევიგნოთ, რა დროს, სადა და სად, რა და რა ტან-საცმელი გექონია. ჩვენ უნდა ჩვენი წყაროები შევავსოთ უცხო ტომთა წყაროებით, სომხურით, სირიულით, ბერძნულით, რომაულით და სხვ. როდესაც ყველა ეს ცნობები გვექნება შემოკრებილი და შესწავლილი, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ნამდვილის საქართველოს ისტორიის შედგენა. აი, ჩემის აზრით, **ჩვენის ისტორიის შესწავლის პროგრამა**. მართალია, ძნელია ეს საქმე, ძნელია გაფანტულისა და მიმალულის მასალის შემოკრეფა; ძნელია იმათი მეცნიერული შემუშავება ჩვენის მოუმზადებლობის გამო ამგვარის მოღვაწეობისათვის, ჩვენის უღონისძიე-

ბობის გამო. მაგრამ, თუ საზოგადოდ ვგრძნობთ საკუთარის ისტორიის შესწავლის საჭიროებას, ყველა დამაბრკოლებელ შემთხვევათა თავიდან აცილება ადვილია. არის ჩვენში ყმაწვილკაცობა თბილისში და თბილისს გარეთ, საზოგადო სწავლით შეიარაღებული. განსაკუთრებულის ანუ სპეციალურის მომზადებისათვის საჭიროა მხოლოდ შრომა... თავდაპირველად კი **აუცილებელი საჭიროებაა, რომ საზოგადოება შესდგეს, რომ ამ საზოგადოებამ წესდება შეადგინოს და იმის (წესდების) ხელმძღვანელობით ხელი მიჰყოს შრომას. უამისოდ საუბარი საუბრად დარჩება და საქმეს წინ ვერ წავწევთ ვერასდროს**"[129].

აღნიშნული მოწოდება,. რომელიც ბაქრაძემ ზემოთ ხსენებულ წერილს დაურთო, წარმოადგენდა საქართველოს ისტორიის შედგენისათვის საბრძოლო მეცნიერულ პროგრამას.

ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რაოდენ დიდი როლი უნდა შეესრულებინა ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში, განსაკუთრებით მეცნიერული ინტელიგენციის სფეროში, ბაქრაძის კრიტიკულ წერილს და მასთან ერთად მის მოწოდებას. რამდენ ახალგაზრდას დააფიქრებდა იგი და რამდენს კიდევ აღუძრავდა ცხოველ სურვილს სამშობლოს ისტორიის გამოკვლევისათვის.

დ. ბაქრაძე კარგად გრძნობდა, რომ ასეთ მოწოდებებსაც შეეძლო უკვალოდ ჩაევლო, თუ რეალური ნაბიჯი არ გადაიდგმებოდა, თუ საზოგადოება საკუთარი ინიციატივითა და საკუთარი სახსრებით ხელში არ აიღებდა ისეთი სამეცნიერო დაწესებულებების შექმნის საქმეს, რომელიც საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის ფართო მუშაობას გაშლიდა. მაგრამ ეს საკითხი ხომ მარტო მოწინავე ინტელიგენტების სურვილით ვერ გადაწყდებოდა. მეცნიერული სკოლის შექმნისას თავს იჩენდა მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკა. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ დროს აღნიშნული მეცნიერული საზოგადოების შექმნისათვის ჩვენი ინტელიგენცია ჯერ კიდევ არ იყო მზად. მაგრამ ნაკლები მომზადებისა და ნაკლები ბაზის ნიადაგზეც აუცილებლად საჭირო იყო სათანადო ორგანიზაციის შექმნა, რადგან ასეთის გარეშე ახალი თაობის ზრდის საქმე ყოველთვის დამუხრუჭებული იქნებოდა. ვერც საზოგადოების შემოწირულებებით შეიქმნებოდა სათანადო ბაზა. ერთი სიტყვით, საჭირო იყო მთავრობისაგან მატერიალური მხარდაჭერა, რასაც იმედი არ უჩანდა. ყოველივე ეს იყო იმის მიზეზი, რომ ბაქრაძის დროს და მისი სიკვდილის შემდეგაც კარგა ხანს, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ჩვენში საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა ფაქტიურად ცალკეული პირების, კერძო ინი-

ციატივის საქმედ რჩებოდა.

ბაქრაძის აღნიშნული წერილი გამოქვეყნდა „ივერიისა“ და „დროების“ ფურცლებზე, გამოიცა შემდეგ ცალკე ბროშურადაც. ეს წერილი ქართულიდან სომხურად თარგმნა ივანე გვარამაძემ[130].

ილია ჭავჭავაძე საერთოდ დიდად კმაყოფილი იყო დიმიტრი ბაქრაძის მოღვაწეობით, და მან დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა ბაქრაძის მიერ პატკანოვისათვის გაცემულ გამანადგურებელ პასუხს. თავის „ქვათა ღაღადში“ ილიამ, მისთვის ჩვეული, იმ დროისათვის უძლიერესი პოლემიკური სტილით და ღრმად ჩამწვდომი აზროვნებით, კრიტიკის ულმობელ ცეცხლში გაატარა ქართველი ხალხის ისტორიის გამყალბებელთა უპასუხისმგებლო ნაშრომები. ილიამაც თავის მხრივ შესაფერისი წილი მიუზღო პატკანოვს; მან ბაქრაძის ხსენებულ წერილში მოტანილი საბუთების საფუძველზე ახლებურად აამეტყველა ისტორიული ფაქტები და კიდევ უფრო ნათელი გახდა პატკანოვისა და მისთანა მეცნიერების მტკიცებათა მთელი უსაფუძვლობა. მრავალი ფაქტის მოყვანის შემდეგ ილია დასძენდა: „ვინც განგებ გონება დაბნეული არ არის, ან თვალებზე ხელაფარებული, ვინც კითხვა იცის და გაგება წაკითხულისა, განა იკადრებს თქმას, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ შემქმნელი ერი იმდენად ბრიყვი იყოო, რომ ისტორიის საჭიროების გრძნობაც არა ჰქონიაო“ [131]. „ვისაც სურს უფრო მეტად დააჯეროს გული,—ჩა ხერხები სცოდნია პატკანოვს, წაიკითხოს დ. ბაქრაძის წერილი: „პროფ. პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები“. მაშინ უფრო აშკარად დაინახავენ—რა ოსტატობით მოჰქცევია ლანგლუას და სტეფანოზის სიტყვას საოცარი პროფესორი... დ. ბაქრაძე ამტყუნებს ამ გაოსტატებულ პროფესორს და ამისთვის მრავალი საბუთი მოჰყავს და, სხვათა შორის, იმასაც ამტკიცებს, რომ, პირიქით, თვით სომხურს ისტორიულ წყაროებზე ზედ გავლენა ჰქონია ქართულ ქრონიკებს“[132].

ილია მიუთითებდა აგრეთვე, თუ რამდენად უსაფუძვლო და არაკეთილსინდისიერი იყო პატკანოვის ხელაღებით განცხადება იმის შესახებ, რომ „მოსხები და კოლხები ქართველების ნათესაობისანი არ არიანო“. მანვე მიუთითა, თუ რაოდენ უსუსური იყო მისი მსჯელობა ტაოს-კარის კუთვნილების შესახებ და სხვ.[133] ერთი სიტყვით, ილიამ სათანადო მეცნიერული სიღრმით გამოაშკარავა ტენდენციურად, ნაციონალისტურად განწყობილი პატკანოვის „მეცნიერული მსჯელობის“ სათავეები.

ბაქრაძისა და ილიას აღნიშნულ წერილებში ნათლად გამომ-

ჟღავნდა ორი მოღვაწის ურთიერთ გაგება, სრული სოლიდარობა, საქართველოს ისტორიის ფრონტზე, ეროვნულ-კულტურული ბრძოლის ამ მთავარ ფრონტზე, გაერთიანებული ბრძოლა.

12. ბრძოლა სიძველეთა ძეგლების დაცვა-შეგროვებისათვის

ბაქრაძის მოღვაწეობის მთელი ისტორია საქართველოს ისტორიისათვის მასალების შეგროვებისა და ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნისათვის ბრძოლის ისტორიაა. ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა წინ ბაქრაძეს—მოხელეობა, მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკა, უსახსრობა და უამრავი სხვა, მაგრამ მას ბრძოლა არ შეუწყვეტია. ასეთმა შეუპოვარმა, ენერგიულმა მოქმედებამ თანდათანობით გამოიღო ძვირფასი ნაყოფი. იმ დროის საზოგადოებრივ-კულტურულ მოძრაობაში ცხადი გახდა ის დიდი წვლილი, რომელიც მასში შეჰქონდა ბაქრაძის საქმიანობას. ამ მოღვაწეობას მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკისათვის საწინააღმდეგო და სახიფათო შედეგი მოჰქონდა. ეს მთავრობაც ბოლომას აგუბებდა, გულს ღვარძლით ივსებდა, რომ შემდეგ ეს ღვარძლი გადმოენთხია და შეტევა გაემწვავებინა. 80-ანი წლებიდან მართლაც გამწვავდა მთავრობის შემოტევა. მანამდის გარუსებისათვის ბრძოლა შენიღბულ ფორმებში ხორციელდებოდა, ახლა ამ ბრძოლამ უფრო აშკარა ხასიათი მიიღო. ოფიციალური ბრძანებებით იკრძალებოდა ქართული ენის სწავლება ყველა ტიპის სასწავლებელში, იდევნებოდა მშობლიურ ენაზე წერა-ლოცვაც კი, ავიწროებდნენ პრესას, ლიტერატურას, ახშობდნენ ეროვნული თავისუფლების იდეებს და სხვ. ეს რეაქციული პოლიტიკა თავს იჩენდა საზოგადოებრივ-კულტურული მოძრაობის ყველა სფეროში.

რუსული ოფიციალური პრესა ზოგჯერ თავის მოწინავე წერილებშიაც კი ეზოპურად გამოთქვამდა ერთგვარ მოწოდებას, რომ საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლისათვის „ენერგიის დახარჯვა არ ღირდა“, მაშინ როდესაც მრავალი ყოველდღიური, „საჭირბოროტო საკითხები“ იყო გადასაწყვეტი. ასე მაგალითად, ილია ჭავჭავაძე გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“-ს ერთი მოწინავის გარშემო წერდა:

...„Новое Обозрение“ შეჰნანის ავტორს «Письма о Грузии»-სას და თითქოს სწუხს კიდეც, რომ მან თავისი ძვირფასი დრო და არანაკლებ ძვირფასი ცოდნა-სიბრძნე შეახარჯა და შეალია იმისთანა მკვდარს საგანს, როგორიც საქართველოს ძველი ისტორიაა,

და არა იმ დღევანდელ ჭირბოროტსა, რომ შიმშილით კუჭი გვეწვის და თავზე სახურავი ჭერი არ გვაქვს"[134].

თუ ჩვენ ჩავუკვირდებით საქართველოს სიძველეთა ძეგლების საერთო მდგომარეობას XIX საუკუნეში, ნათელი გახდება, რომ ამ ძეგლების გაქრობის პროცესი ყოველთვის უბრალო გულგრილობის შედეგი არ ყოფილა; მათი დაცვა - გადარჩენისადმი უყურადღებობა მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკისათვის სავსებით ბუნებრივი მოვლენა ჩანდა. ცარიზმს პირველ რიგში ქართული ენისა და ისტორიის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა. შემთხვევითი როდი იყო, რომ სენკოვსკი ქართველებს კავკასიაში მე-12 საუკუნეში მოსულებად თვლიდა.

ცნობილია, რომ მე-13 საუკუნიდან მოყოლებული საქართველო, ადრეულ ხანასთან შედარებით უფრო მეტად, კატასტროფულ ნგრევას განიცდიდა. ასეთ პერიოდში ნადგურდებოდა დამწერლობისა და ნივთიერი კულტურის უძვირფასესი ძეგლები. მეფის რუსეთის გაბატონების პერიოდში საგარეო სიმშვიდის ხანა განმტკიცდა. ამიტომ ეროვნული კულტურის ძეგლთა გაქრობის პროცესიც უნდა შეჩერებულიყო, მაგრამ მშვიდობიან პერიოდშიაც აღნიშნულ ძეგლებს, ხელისუფლების შეგნებული უყურადღებობის გამო, წარსულთან შედარებით, არანაკლები ზიანი ადგებოდა. ეს გარემოება მთელი სიცხადით გამოსჭვივოდა დიმიტრი ბაქრაძის წერილებში.

ჯერ კიდევ 1873 წ. ბაქრაძე „ცისკარის" ფურცლებიდან მოუწოდებდა ქართველ ხალხს, რომ სასტიკი ბრძოლა გამოეცხადებინათ ქართული ისტორიული ძეგლების ნგრევის წინააღმდეგ. იგი აღნიშნავდა, რომ ძეგლებისადმი უყურადღებობის ყოველ დღეს ახალი ზიანი მოჰქონდა. აქვე იყო მითითებული ახალციხეში ახლად შემოსახლებულთა მიერ ეკლესიების ჩუქურთმიანი და წარწერიანი ქვების გამოყენებაზე სახლების ასაშენებლად, სვანეთში გაძარცული ხატების შესახებ და სხვ... „ამას გარდა,—დასძენდა დიმიტრი,—რამდენი გუჯრები, მანუსკრიპტები და ოქმები... ლპებიან ტყუილ-უბრალოდ დაუდევნელობისა გამო და იკარგებიან"[135].

„ლარგვისის მონასტრის ხელნაწერები, — წერდა ბაქრაძე სხვა წერილში,—სრულებით არაა ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ნახა გარდაცვალებულმა ბროსემ; ამათგან ქაღალდებზე დაწერილები სინესტისაგან ყრულებით დაიღუპნენ, ეტრატზე ნაწერები კი იმავე მიზეზის გამო, ფურცელი ფურცელს შეეწება ისე, რომ ნამდვილად № 3 ოთხთავთან ერთად დაიღუპებოდა... რომ მე შემთხვევით არ მოვმხდარიყავი ლარგვისში და

არ მეთხოვა ადგილობრივი მღვდლისათვის საბუთების გაშრობა და მშრალ ადგილას შენახვა"[136]. ასეთ მდგომარეობაში იშყოფებოდა საქართველოს თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერში არსებული სიძველის ძეგლები. ამ მეტად მძიმე მდგომარეობის შესახებ ბაქრაძემ რამდენჯერმე მოაგონა საქართველოს ეგზარქოს პავლეს—80-ანი წლების ცნობილ რუსიფიკატორს. პავლესთან საქართველოს ისტორიისა და საერთოდ ეროვნული კულტურის ინტერესებისათვის პირდაპირ ლაპარაკი მომგებიანი არ იყო. ამიტომ ძეგლების დაცვის შესახებ მოთხოვნები უნდა დასაბუთებულიყო ისეთი რამითაც, რაც ეკლესიისა და მეფის მსახურს დააინტერესებდა. ბაქრაძემ, როგორც ჩანს, ეს გარემოება რამდენადმე გაითვალისწინა, როდესაც 1883 წ. 11 მაისს ეგზარქოსს სპეციალური განცხადებით მიმართა. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ეკლესიებში არსებული ძეგლები საჭირო იყო „საქართველოს სამეფოს ცხოვრების" შესწავლისათვის, რომ გარკვეულიყო მისი ურთიერთობა ბიზანტიასთან, **რუსეთთან** და სხვ. ამასთანავე, რაც ალბათ ძალზე დააინტერესებდა ეგზარქოსს, დაუცველობით ფუჭდებოდა ოთხთავის ძველი ვარიანტები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ სახარების შესახებ ლიტერატურის შესწავლისათვის; გარდა ამისა, არსებულ წერილებში ხშირად იყო მითითებული, სხვათა შორის, „ეკლესიებისადმი ბოძებული უამრავი ქონება" და სხვ.

თავის საკმაოდ ვრცელ განცხადებაში ბაქრაძეს ძალზე ბევრი ფაქტი მოჰყავდა იმის დასამტკიცებლად, რომ ძეგლების გადარჩენისათვის სათანადო ღონისძიება დაუყოვნებლივ უნდა მიეღოთ. ასეთი მოთხოვნა დასაბუთებული იყო თვით ეგზარქოსის ინტერესების თვალსაზრისითაც. მაგრამ დიმიტრი უბრალო მოთხოვნით არ კმაყოფილდებოდა. იგი პრაქტიკულ ღონისძიებასაც აყენებდა; ეს იყო ძეგლების დასაცავად სპეციალური მუზეუმის შექმნა.

„ეხლანდელ დროში,—წერდა ბაქრაძე ეგზარქოსს, — როგორც ევროპის, ისე რუსეთის... საზოგადო წრეებში სულ უფრო და უფრო მკვიდრდება აზრი მეცნიერების ინტერესებისათვის სიძველეთა დაფანტული ძეგლების ცენტრალურ პუნქტებში თავმოყრის შესახებ... ამ მიზნით ყალიბდება მუზეუმები: არქეოლოგიის, ისტორიის, საეკლესიო და სხვ". იქვე ნათქვამი იყო, რომ საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო არქეოლოგიური სიმდიდრე „რამდენიმე ხნის წინათ თითქმის პირველ ადგილს იჭერდა, მაგრამ რადგან არქეოლოგიური ძეგლების თბილისში დაგროვებისათვის არავითარი ზომები არ იქნა მიღებული..., ბევრი მათგანი ადვილად ჩავარდა კერძო პირთა ხელში, ან ადგილზევე დაიკარგა, ან კიდევ საქართველოდან გაიზიდა". ბაქრაძე

საკუთარი დღიურების მიხედვითაც ხედავდა, თუ როგორ ქრებოდა ეს ძეგლები; იქ, სადაც მას ხელმეორედ უხდებოდა მისვლა, წინათ მოხილული ძეგლები უკვე დამპალი და დანესტიანებული იყო[137].

აღნიშნულთან ერთად ბაქრაძის განცხადებაში ერთგვარი კატეგორიული ტონი ჩანდა. იგი წერდა, რომ ეგზარქოსი ვალდებული იყო საზღვარი დაედო სიძველეთა ძეგლების განადგურებისათვის, ვიდრე ეს გვიანი არ იქნებოდა.

ბაქრაძე ეხებოდა მუზეუმის საორგანიზაციო საკითხებსაც. მისი მოთხოვნით, საჭირო იყო მცოდნე პირთა დაგზავნა ადგილებზე სათანადო კატალოგების შესადგენად; თუ ეს არ მოხერხდებოდა, მაშინ საქართველოს ეკლესია-მონასტრების ზედამხედველებისთვის უნდა დაევალებინათ, რომ მათ, მცოდნე პირთა თანდასწრებით შედგენილ აღწერილობებთან ერთად, მუზეუმში გადმოეგზავნათ „სიძველის ყველა საგანი, რომელიც ინახება ზედამხედველთადმი მინდობილი რაიონების ეკლესიებსა და მონასტრებში, მაგ., ყველა ძველი ავეჯი, ტანსაცმელი, სიგელ-გუჯარი, ყველა წიგნი, როგორც ხელნაწერი, ისე დაბეჭდილი" და სხვ.[138].

ბაქრაძის წინადადებით, მუზეუმი უნდა ჩაბარებოდა მუდმივ კომიტეტს, რომელშიც უნდა შესულიყვნენ საქართველოს სიძველეების შესწავლაზე მომუშავე უმაღლესი განათლების მქონე პირები. თვით დიმიტრი გამოთქვამდა მუზეუმის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების სურვილს.

მუზეუმის ხელმძღვანელ კომიტეტს უნდა შეედგინა მეცნიერული აღწერილობის მსგავსი კატალოგი.

ბაქრაძის შეუპოვარი მოთხოვნების შედეგად მართლაც მეტად სერიოზულად და მწვავედ დაისვა სათანადო მუზეუმის შექმნის საკითხი. ეგზარქოსმა, როგორც ჩანს, აღნიშნულ მოთხოვნებში საკუთარი ინტერესებიც საკმაოდ ძნელიშნა და იგი იძულებული გახდა, რომ ამ დიდებული წამოწყების განხორციელებაზე თანხმობა გამოეცხადებინა. საქმეც დაიწყო. 1886 წ. ბაქრაძე სწერდა აკადემიას, რომ საეკლესიო მუზეუმის შენობა უკვე აგებული იყო; შეიმუშავეს მუზეუმის წესდებაც. მუზეუმი გაიხსნა 1888 წ.

ბაქრაძეს შეეძლო ეამაყნა, რომ დიდი სნის სურვილი განახორციელა და ამით თავის სამშობლო ქვეყანას უდიდესი ღვაწლი დასდო. მის მითითებათა საფუძველზე ჩამოყალიბებული მუზეუმი ფაქტიურად მასვე ჩაბარდა სახელმძღვანელოდ. ბაქრაძის მოღვაწეობაში სხვა რომ არა იყოს რა, მისი ინიციატივით მუზეუმის დაფუძნება, რომელმაც ათასობით ხელნაწერი და ხე-

ლოვნების უიშვიათესი ძეგლი დაღუპვას გადაარჩინა, საკმაო იქნებოდა რომ დამსახურებული მოღვაწის სახელი შემდგომ თაობას ყოველთვის პატივისცემითა და მადლობის გრძნობით წარმოეთქვა.

მუზეუმის დაარსების გამო დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდა ილია ჭავჭავაძე. მან სპეციალური წერილი მიუძღვნა ამ მოვლენას. „...ამ მუზეუმის დაარსებას,—წერდა ილია,—ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიხარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმაო მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს“[139].

ცნობილი მოღვაწე—პეტრე უმიკაშვილი წერდა, რომ მუზეუმს საფუძვლად დაედო ბაქრაძის მიერ შედგენილი წესდება, შედგა კომიტეტი მუზეუმისა, რომელშიაც „გროვდება ძველი ნივთეულობა და საუკუნოდ უნდა დაცულ იქნას დროთა შემუსვრისა და გახრწნისაგან. ეს ნატვრა ამისრულდაო, იტყოდა ხოლმე განსვენებული“. მაგრამ ამ ნაბიჯს დიმიტრი საქმის მხოლოდ დაწყებად თვლიდა: „აი, როცა სულ შეგროვდება ეს აუარებელი საუნჯე,—ამბობდა იგი,—როცა ეს გამოიკვლევა და დაიბეჭდება, აი მაშინ, შეგვიძლია ვთქვათ საქმე გავაკეთეთო“[140].

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ თავისი მოღვაწეობით ბაქრაძემ დიდად შეუწყო ხელი სიძველეთადმი ხალხის დამოკიდებულებაში ერთგვარი გარდატეხის მომზადებას. ეს რამდენადმე ჩანს მოსე ჯანაშვილის შემდეგი სიტყვებიდან:

„განსვენებულის სურვილი (აქ იგულისხმება არა მარტო „სურვილი“, არამედ მოღვაწეობაც მ. დ.) უქმად არ რჩება. დღეს, უკვე მცირესაც ესმის ღირსება თვით ხელის-გულის ტოლა ფარატინაზედ დაწერილ ძველ ხელთ-ნაწერისა. ბაქრაძის მეოხებით დღეს ამ ხელთნაწერებისა და ჭურჭელ-სამკაულისათვის არის დადგმული მკვიდრი სავანე—საეკლესიო ნივთთა მუზეი თბილისის სიონის კარი-ბჭეში. განსვენებულისავე შთაგონებითა და ქადაგებით ძველი ძეგლების წინაძღვარნი და მათი მაშენებელნი დღეს აღარ სცლიან ძველს აღნაჭსს, ძველ ჩუქურთმას არ აოხრებენ და ძველს მხატვრობას აღარ ათეთრებენ თეთრი კირითა და გაჯით“.[141]

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დღეისთვის დაცული მრავალი ასეული ხელნაწერი და ხელოვნების უიშვიათესი განძი ბაქრაძის ენერგიული მოღვაწეობის შედეგად გადაურჩა ჟამთა სიავისაგან გაოხრებას. ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეფის მსახურმა მოხელეებმა თავის დროზე ძველს მუზეუმშიაც კი ბევრი განძი გაანიავეს.

1903 წ. კიევის სასულიერო აკადემიის რექტორმა პლატონ-

მა, საეკლესიო მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, აღნიშნა: „ვთხოვ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას მიაქციოს თავისი განსაკუთრებული ყურადღება ამ ...უძვირფასესი განძეულობით აღსავსე კარადებს. მადლობას იტყვის ყველა"[142].

პროფ. კონდაკოვი მუზეუმში დაცული ქართული ხელოვნების უძვირფასესი ძეგლების გაცნობის შემდეგ წერდა:

„საჭიროა მივცეთ ჭეშმარიტი შეფასება ქართულ ხელოვნებას, რომ მან შესძლო ამ ფორმის (წნელის ფორმა) ყველაზედ უფრო ფართო გამოყენება... არც საკუთრივ ბიზანტიაში, არც იმ ადგილებში, სადაც ვნახულობთ ამგვარი ხელოვნების ნარჩენებს,—მაგ., ჩრდილოეთ იტალიაში (განსაკუთრებით კი ვენეციაში), არც სერბიაში, არც რუსეთში, — არსად ჩვენ არ ვხვდებით ასეთ სრულ დამუშავებას; გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ირლანდია, მაგრამ ქართული ხელოვნების ფორმებს ირლანდიურთან შედარებით უპირველესი მნიშვნელობა აქვთ" [143].

ბაქრაძე ეგზარქოსისადმი წერილში აუცილებელ საჭიროებად თვლიდა საეკლესიო მუზეუმისათვის შინაარსიანი კატალოგის შედგენას. მანვე მიუთითა, თუ რა ფორმით უნდა შემდგარიყო ეს კატალოგი. ძირითადად ამ მითითებათა საფუძველზე გამოსცეს კატალოგები 1902-1908 წლებში თ. ჟორდანიამ და მ. ჯანაშვილმა.[144]

1907 წ. წერა-კითხვის გამ. საზ. წევრთა მიერ დაარსებულმა „ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ" მიზნად დაისახა „საქართველოს ერთვნული წარსულისა და აწმყოს ძეგლების შეკრება, დაცვა და შესწავლა..." ამ საზოგადოების საქმიანობა, როგორც აკად. გ. ჩუბინაშვილი შენიშნავს, იყო დიმიტრი ბაქრაძის მიერ თავის დროზე დაწყებული საქმის გაგრძელება[145].

ბაქრაძე ცდილობდა არა მარტო სიძველეთა ძეგლების შემოკრებას, დაცვას, შესწავლას, არამედ საქართველოში იმ დროისთვის ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველი ზნე-ჩვეულებების, ხალხის ყოფა-ცხოვრების შესწავლას. ამ თვალსაზრისით იგი ხაზს უსვამდა ერთ დიდმნიშვნელოვან მოვლენას და მისგან გამომდინარე ამოცანას: „...ევროპიულს განათლებას თავის სიკეთესთან ერთად ეს ვნებაც მოაქვს, რომ სადაც ხვდება მისი ფეხი, შლის ადგილობრივ ჩვეულებასა... მთის ხალხნი არიან მხოლოდ დარჩომილნი თავიანთ ჩვეულებაზედ, რადგანაც ევროპიულს განათლებას გზა არ აძლევს ნებას იქ შევიდეს. არ არის ეჭვი, ცოტა ხნის

შემდგომს ყოველი ძველი ფეოდალურის დროებისა ჩვეულება განქრება ისე, რომ სწავლა ვერ გამოიკვლევს...“ [146]

„ხალხის ზნე-ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“, ცოტა უფრო გვიან, ერთგვარი საპროგრამო წერილი გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ[147].

13. მოღვაწეობის უკანასკნელი წლები

1879 წ. მარტიდან ბაქრაძე ინიშნება ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებლად.[148] კომისიის წინაშე დასახული სარეფორმო ამოცანების შესრულება მხოლოდ სათანადო ცოდნით აღჭურვილ პირებს შეეძლოთ და ამ თანამდებობაზე ბაქრაძის დანიშვნა გასაგები ჩანდა. აქ მუშაობის დროს დიმიტრიმ დატოვა მეტად საინტერესო ნაშრომი — **„Заметки о Закатальском округе“**

1883 წ. ცალკეული საადგილმამულო კომისიების ნაცვლად ჩამოყალიბდა ერთი საერთო კომისია, რომელიც თაეჯდომარედ ბაქრაძე დაინიშნა. განსაკუთრებით სამხედრო-სახალხო მმართველობის ქვეშ მყოფ ოლქებში „წოდებრივ საადგილმამულო საქმეთა“[149] დასრულებისათვის მოწოდებული ამ კომისიის თავმჯდომარედ ბაქრაძე მუშაობდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. როგორც ვხედავთ, ბაქრაძის მოხელეობა თიოქმის ყველგან ისეთ ადგილებთან იყო დაკავშირებული, სადაც მისი სამეცნიერო ინტერესი არ იზღუდებოდა და მას ისტორიაზე მუშაობის გაგრძელების საშუალება რამდენადმე ეძლეოდა.

რაც მთავარია, აღნიშნული კომისია საქართველოს რაიონებში მოგზაურობათა მოწყობის საშუალებას იძლეოდა. მაგ., 1886 წ. მას საშუალება მიეცა ემოგზაურა აფხაზეთში—„სოხუმის ოლქში“, სადაც მან მეტად ნაყოფიერი არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ ამ წელს ჩატარებულ მუშაობას. ბევრმა მხოლოდ ბაქრაძის მოღვაწეობის შედეგად გაიგო, რომ აფხაზეთი იგივე საქართველოს ქვეყანა იყო. ეს ჩანდა ჟურნ. „მწყემსის“ ერთ კორესპონდენციაში, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთში ძველი ტაძრებისა და მოპოვებული საინტერესო ნივთების განხილვამ „მოგვცა საფუძველი მსჯელობისა, რომ აფხაზეთში ქრისტიანობა მტკიცე ფეხით მდგარა და ქართველებს დიდი გავლენა ჰქონიათ აფხაზებზედ“... აქ ნაპოვნი ქართული ნაწერები გვარწმუნებენ, რომ „ოდესმე აქ ქართულ წირვა-ლოცვას ჰყოლია მსმენელნი“. დ. ბაქრაძემ განაცხადა, რომ წებელში ნაპოვნი „წარწერანი ხატებზედ ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნეს, გარდა ამისა ბ-მა ბაქრაძემ გვაჩვენა ის

შესანიშნავი სპილენძის ჯვარი, რომელიც მან იპოვნა წებელ-ში“[150].

იმავე 1886 წ. ბაქრაძემ მის მიერ დაარსებული „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების“ სხდომაზე წაიკითხა უაღრესად საინტერესო მოხსენება, რომელსაც ქართული არქეოლოგიის განვითარების ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება[151].

უპირველეს ყოვლისა ბაქრაძე აღნიშნავდა, რომ იმ დროს თითქმის ყველა არქეოლოგიური მონაპოვარი „შემთხვევითი იყო“ და ნივთებს პოულობდნენ ასევე შემთხვევითი პირები. ამიტომ უაღრესად საჭირო იყო ამისთვის თვალყურის დევნება და აღნუსხვა, თუ სად იყო ნაპოვნი ესა თუ ის ნივთი. ამასთან დაკავშირებით ბაქრაძემ მოახსენა სხდომას იმ ფართო კავშირ-ურთიერთობის შესახებ, რომელიც მას ჰქონდა გაბმული საქართველოს რაიონებში სხვადასხვა პირებთან; ამის საუკეთესო შედეგის მაუწყებელი იყო ბაქრაძის მიერ ზემოაღნიშნულ სხდომაზე მოყვანილი რამდენიმე ფაქტი:

1. ახალციხის მაზრის უფროსმა ნ. ი. ალექსი-მესხიშვილმა სპეციალური წერილით აცნობა ბაქრაძეს ვინმე სპივარევსკის სახლისთვის საძირკველის თხრის დროს ნაპოვნი 3 თეთრი და პატარა დოქის შესახებ. ეს დოქები უპოვნიათ მდ. კურცხანის-წყლისა და ოცხის-წყლის შესართავთან, ოცხესაგან მარჯვნივ. მესხიშვილი ბაქრაძისადმი წერილში გამოთქვამდა აზრს, რომ აღნიშნულ ადგილებში უნდა ყოფილიყო საძებარი ქალაქი ოცხე. იგი მოითხოვდა, რომ საზოგადოებას იქ თავისი წევრი მიევლინებინა[152].

2. „ერთმა ჩემმა ნაცნობთაგანმა, — ამბობდა ბაქრაძე, — გამომიგზავნა მლეთიდან... სპილენძის მახვილი ანუ ხანჯალი და უცნობი მოხმარების რკინის საგანი“. ხანჯალი გულისშვილს უნახავს სოფ. ნინოწმინდაში, ხოლო რკინის ნივთი — მთიულეთის ერთ ძველ ეკლესიაში[153].

3. „წარსულ ზაფხულს არტანუჯის სატელეფონო სადგურის უფროსმა ს. ე. ასლანოვმა მაცნობა არტანუჯის ციხესთან ნაპოვნი მეტად საინტერესო ნივთის შესახებ. იქ, 3 აპრილს, რომელიღაც გლეხმა, რომელიც ციხის ძირთან მიწას თხრიდა, ნახა საუკეთესოდ შენახული ზარი და მასთან ერთად თიხის ქოთანი (с ядрами) ზარი 12 ფუთიანი აღმოჩნდა, ერთი არშინი და 1 ვერშოკი სიგრძისა, რომელსაც ირგვლივ ჰქონდა წარწერა ასომთავრული ხუცური ანბანით“. ასლანოვს გაურკვეველად გადმოუღია წარწერა. ამასთან იგი იტყობინებოდა, რომ არტანუჯის მიდამოებში ძალზე

ბევრი არქეოლოგიური მასალა იყო.[154]

აღნიშნული და მსგავსი მრავალი მაგალითის მოყვანის შემდეგ ბაქრაძე ეხებოდა საკითხს, სოხუმის ოლქში მის მიერ წარმოებული დაზვერვის შესახებ. მან მოახსენა საზოგადოებას ჩვენი არქეოლოგიისათვის დღესაც არანაკლებ საინტერესო მრავალი შენიშვნა და, დასასრულ, განაცხადა:

„ყოველივე აღნიშნული უნდა გაითვალისწინოს აფხაზეთისა და წიბელდის მომავალმა მკვლევარმა და ვიმედოვნებთ, რომ მეცნიერებისათვის მეტად სერიოზულ შეღეგებს მივიღებთ, თუ გამოკვლევის ობიექტად აფხაზეთ-წიბელდის მთელი რაიონი იქნება. ეს რაიონი უნდა გახდეს აგრეთვე არქიტექტურული ძეგლების შესწავლის უბნად"... „რომ ვიმსჯელოთ იმ ნაპოვნი ნივთების მიხედვით, რაც ჩვენ სავსებით შემთხვევით მოგვცა სამიოთხი ეკლესიის ნანგრევის უბანმა, ეჭვს გარეშეა, რომ სიძველის ბევრი ნაშთი მიწის ქვეშ ინახება..." [155]

1881 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1886 წლამდე ბაქრაძე ხელმძღვანელობდა ფაქტიურად მის მიერ შექმნილ „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებას". ივი დიდი თავდადებით, დაუშრეტელი ენერგიითა და უტეხი ნებისყოფით ცდილობდა გადაერჩინა სულთმობრძავი, სახსრებს მოკლებული და მთავრობისგან მოძულებული ეს საზოგადოება. 1881-1885 წლების მანძილზე მოხერხდა ნაშრომთა ორი ტომის გამოშვება. ქვეყნის მრავალ უბანში, წალკის რაიონში, სოხუმში, ახალციხე-ახალქალაქში და სხვ., მოეწყო არქეოლოგიური დაზვერვები და გათხრები, გაიზარდა კორესპონდენტთა რიცხვი, გაფართოვდა მოქმედების მასშტაბი; მაგრამ უსახსრობა კვლავ აახლოებდა „საზოგადოების" სიკვდილს. „ნუ დავეცემით სულით!"—მოუწოდებდა ბაქრაძე საზოგადოების წევრებს 1886 წ. სხდომაზე, სადაც მას ხელმძღვანელობა ახალი თავმჯდომარისათვის უნდა გადაეცა. „დაიმედებული ვიქნებით,—ამბობდა იგი,—რომ ხელმძღვანელობა და მზრუნველობა ახალი თავმჯდომარისა, რომელიც დღევანდელ სხდომაზე უნდა ავირჩიოთ, შესძლებს, რომ ჩვენ ახალი ცხოვრებისაკენ მოგვიწოდოს"[156].

უკანასკნელ ღონისძიებათა მიუხედავად, აღნიშნული საზოგადოების შემდგომი არსებობა დღემოკლე აღმოჩნდა. მისი გაქრობის მიზეზს იმ დროის ოფიციალური პრესაც კი ხსნიდა; კერძოდ გაზ. „ნოვოე ობოზრენიე"-ს მოწინავე წერილში ნათქვამი იყო, რომ ბაქრაძეს, ისე როგორც „მის მიერ დაარსებულ კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებას", საისტორიო კვლევა-ძიებისათვის საჭირო თანხები არ გააჩნდა[157].

1887 წ. ბაქრაძეს სამსახურებრივი მოვალეობის გამო კონსტანტინოპოლში გამგზავრება მოუხდა. ბათუმ-ყარსის ოლქების შემოერთებასთან დაკავშირებით, სამიწათმფლობელო დავთრები თურქეთში გაზიდეს. ამან წარმოშვა მკვიდრთა ერთი ნაწილის მიერ სამიწათმფლობელო ყალბი აქტების შედგენა; ხელისუფლებაც უნდობლად უყურებდა ყოველ აქტს. ეს დიდ არეულობას ქმნიდა ახლად შემოერთებულ რაიონებში[158]. ამ გარემოებამ გამოიწვია ბაქრაძის სამთვიანი მივლინება თურქეთში. ბაქრაძეს კვლავ მიეცა საშუალება თავისი მეცნიერული ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის მიწისმფლობელობის აქტების გაცნობა მას საშუალებას მისცემდა გამოეკვლია თურქული რეჟიმის ქვეშ ჩავარდნილი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, რის გაცნობაც ძალზე საინტერესო და მეტად საჭირო იყო საქართველოს ისტორიისათვის.

კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს ბაქრაძეს მოუხერხებია ასლის აღება 46.762 აქტიდან, ანუ ე. წ. „თურალი თაფუ"-ებიდან. ეს აქტები ეხებოდა ბათუმის, ყარსის, ართვინისა და შავშეთის სანჯაყებს; მასვე შეუდგენია აქტებისა და დავთრების ზუსტი სია ოლქების, სოფლებისა და საბუთების გაცემის წლების მითითებებით[159].

აღნიშნული მივლინების დროს ბაქრაძე ასულა ათონის მთაზე, დაუთვალიერებია ქართველთა მონასტერი და გადმოუღია რამდენიმე წარწერა. მაგრამ იგი ძალზე უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ მთაზე ასვლისას ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი, რამაც ხელი შეუშალა მის ნაყოფიერ მუშაობას[160].

კონსტანტინოპოლში მივლინების შედეგად, როგორც მოსალოდნელი იყო, ბაქრაძემ დაგვიტოვა დიდი მეცნიერული ღირსების ნაშრომი, რომელიც თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებში ფორმაშეცვლილი მიწისმფლობელობის წესს ეხება.

1888 წ. „ივერიაში" ბაქრაძემ გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიის პირველი წიგნის პროგრამა[161]. პროგრამა ითვალისწინებდა ქართველი ხალხის არა მარტო საგარეო-პოლიტიკური ისტორიის გაშუქებას, არამედ, საშინაო—სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების შესწავლასაც. ეს იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი მოვლენა, რასაც არ შეეძლო არ გამოეწვია ილია ჭავჭავაძის აღტაცება. ილიამ დიდი გრძნობითა და სურვილებით გამოეხმაურა პროგრამას. მისი წერილიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ერის

ცხოვრების განვითარებაში იგი უდიდეს როლს ანიჭებდა ამავე ერის მიერ თავისი სამშობლოს ისტორიის ცოდნას.

„...რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რად და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენიერ შემკულ წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით—რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას".

„...არ არის არც ერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, როგორც სხვისაც, რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება რა, ვიმეორებთ, იმიტომ რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და გამმარტებელი ისტორია"...[162].

„დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთვნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის; აქეზებენ, ამხნევებენ... ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს"...

აქვე ილიამ თავისებურად გაბაზა, რომ სამშობლოს ისტორია, მისი გაცნობა ხალხისათვის ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარი იარაღი იყო:

„ეს მრავალგვარი მნიშვნელობა ისტორიისა ერის გამოცოცხლებისათვის კარგად იცოდნენ თავის ერის გულშემატკივართა სხვა ქვეყნებში. **იგი სახელოვანნი მამულიშვილნი, ყველაზედ უწინარეს, ერის გამოკეთებისათვის დავიწყებულის ისტორიის აღდგენას შეეცადნენ. გამოღვიძებამ ერისამ უგემურის ძილისაგან ყველგან აქედამ დაიწყო თავისი დასაწყისი, და ამ გზით გამოფხიზლებულ ერის კეთილდღეობასა და ხელახლად აღორძინებას დღეს ბევრგან ჩვენის თვალითა ვხედავთ**". აქედან ილია უშუალოდ გადადის დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლზე და მის უდიდეს როლზე „ერის გამოღვიძების" საქმეში:

„ჩვენ გვწამს ესეთი სასწაულთმოქმედება ისტორიისა და ამიტომაც დიდი სიხარულით ვეგებებით იმ ამბავს, რომ ჩვენს დაუღალავ მოღვაწეს, ბ-ნს დ. ბაქრაძეს, განუზრახავს ჩვენის დავიწყებულის ისტორიის აღდგენა და გახსენება. „ივერიაში" დაბეჭდილის პროგრამისაგან სჩანს, რომ ბ-ნ ბაქრაძეს სანატრელის

სიდიდით შემოუფარგლავს. თავისი საგანი ასე, რომ თუ პროგრამა შესრულდა, ჩვენ, ქართველებს, ხელთ გვექნება მთელი დიდი და ვრცელი სურათი ჩვენის აწ დავიწყებულის წარსულისა. ვისაც-კი გაეგება რამ, სიხარულით აღტაცებულნი მოუთმენლად მოელიან იმ დღეს, როცა დაიბეჭდება ეს ისტორია, ვითარცა დიდს დღესასწაულს რასმე, მართალნიც არიან".

„ზემოხსენებულისაგან ცხადად დაინახავს ჩვენი მკითხველი, თუ რა დიდსა და სახელოვან ღვაწლსა და სამსახურს სდებს ბ-ნი ბაქრაძე ჩვენს ერს, ჩვენს ქვეყანასა. კიდევ ვიტყვით, აღდგენა ისტორიისა—ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამოკვლევაა სიბნელისაგან. ყოველ ამ დიდ სიკეთის მომნიჭებელი იქნება ჩვენი პატივცემული ბ-ნი ბაქრაძე, რომელსაც მადლობელი ერი და დავალებული ქვეყანა თავის დღეში არ დაივიწყებს თვისთა სახელოვანთა კაცთა შორის"[163].

დღეისთვის მოტანილი სიტყვები შეიძლება გადაჭარბებულად გვეჩვენოს, მაგრამ თუ ჩვენ ზოგადად მაინც წარმოვიდგენდით იმ ეპოქის ქართველი ხალხის ცხოვრებას, რომელშიაც მოღვაწეობდნენ დიდი ილია და დიმიტრი ბაქრაძე, მაშინ ნათელი გახდებოდა რომ ილია ოდნავადაც კი არ აჭარბებდა. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ეს იყო ნათქვამი 80-ან წლებში, როდესაც ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარების საფრთხემ ყველაზე უფრო მწვავედ იჩინა თავი. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით საჭირო იყო საქართველოს ისტორიის გაცნობა მასებისათვის, რომლებსაც დაეფიქრებდა თავისი ქვეყნის წარსული, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, წინაპრების დაუშრეტელი ენერგიის წყალობით შექმნილი ქართული კულტურის უიშვიათესი ძეგლები და სხვ. სამშობლოს ისტორიაში ამოკითხული გმირული ეპიზოდები მართლაც „გამოაცოცხლებდა" და „გაამხნევებდა" ხალხს, შეჰმატებდა მას ენერგიას განთავისუფლებისათვის, უკეთესი მომავლის შექმნისათვის ბრძოლაში. ყველაფერს ამას, როგორც ჩანს, ილია გულისხმობდა, მაგრამ მეტის თქმის საშუალებას ცენზურა არ იძლეოდა, თუმცა მითითებულ წერილშიაც სავსებით ნათლად იგრძნობოდა, რომ ილია აშკარად მოუწოდებდა მეფის რუსეთის ბატონობის ქვეშ მყოფ ჩაგრულ ხალხს გამოღვიძება-გამოცოცხლებისაკენ, აწმყოს „გაგება — წარმართვისაკენ".

აღნიშნული გარემოება გასაგებს ხდის იმას, თუ რატომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში საქართველოს ისტორიის შესწავლას კოლოსალურ მნიშვნელობას ანიჭებდა, ხოლო ამ შესწავლის მეთაურ მებრძოლ ისტორიკოსს—

დიმიტრი ბაქრაძეს—ისეთ დიდ მოღვაწედ თვლიდა, რომელსაც „მადლობელი ერი და დავალებული ქვეყანა თავის დღეში არ დაივიწყებდა“.

1889 წ. ქართული არქიტექტურის ძეგლების შესწავლის მიზნით საქართველოში ჩამოვიდა პროფ. კონდაკოვი. განზრახული იყო ბაქრაძესთან ერთად საქართველოს ზოგიერთი ეკლესია-მონასტრის სიძველეთა ძეგლების აღწერა. ბაქრაძეს კვლავ მოუხდა მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში და მთავარ ეკლესია-მონასტრებზე დაცული წარწერების შემოწმება, მათი თარგმნა რუსულ ენაზე. მოგზაურობა გრძელდებოდა 1აგვისტოდან 9 სექტემბრამდე. ბაქრაძემ უკანასკნელად მოიხილა მოწამეთის, გელათის, ნიკორწმინდის, ჭელიშის, ხობის, მარტვილის, ცაიშის, ჯუმათის, შემოქმედის, კაცხის, ჯრუჭისა და სხვა ეკლესიები. მის მიერ შეგროვილი მდიდარი მასალა საფუძვლად დაედო კონდაკოვთან თანაავტორობით შედგენილ წიგნს — „Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии“, რომელიც ბაქრაძის სიკვდილის შემდეგ გამოვიდა.

ზემოაღნიშნული პროგრამის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ გამოიცა ბაქრაძის ისტორიის პირველი წიგნი. მეორე წიგნის გამოცემა, რითაც მას ქართველი ხალხის საშინაო ცხოვრების ისტორიის კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ფურცელი უნდა გადაეშალა, ბაქრაძეს არ დასცალდა.

14. ბაქრაძის გარდაცვალება და ქართველი საზოგადოება

საქართველოს ისტორიის მეორე წიგნზე მუშაობისას შეწყდა დიმიტრი ბაქრაძის ძვირფასი და ღრმა შინაარსით სავსე მოღვაწეობა, თავისი სამშობლოსა და ხალხის უდიდესი სიყვარულით ანთებული ცხოვრება. იგი გარდაიცვალა ფილტვების ანთების ხანმოკლე ავადმყოფობის შედეგად, 1890 წ. 10 თებერვალს, თბილისში.

შავი სვეტებით შემოსილი „ივერია“ დიდი გულისწუხილით იუწყებოდა ბაქრაძის გარდაცვალებას. მოწინავე წერილში, რომელიც ილია ჭავჭავაძის კალამს უნდა ეკუთვნოდეს, ხათქვამი იყო:

„დიდი უბედურება გვეწვია! გულმა შემოგვკვნესა და საზარელი გულჩამწყვეტი ხმა გაისმა, ელდასავით შემოირბინა ამ ხმამ მთელი ქვეყანა და მისწვდა ყოველს კუთხეს, ყოველს კუნჭულს, საცა-კი ერთი ქართველი მაინც არის; მისწვდა და თავზარი დასცა...“,



დ. ბაქრაძე აკადემიკოსი. სიცოცხლის უკანასკნელი დღეები

„დიმიტრი თითქმის მარტოდ-მარტო შეეჯიდა ამ ორმოცის წლის წინათ დიდსა და ძნელს საქმეს ჩვენის წარსულის გამორკვევისა და გამოძიებისას და სიკვდილამდე მარტომ ჰზიდა ეს ტვირთი. ბევრმა არ იცოდა მაშინ, რა დიდს საქმეს მოჰკიდა ხელი და ეს დიდი საქმე რა დიდს სიყვარულს, რა თავდადებას ითხოვდა შესასრულებლად...“

„და აი, როცა ღვაწლი იმისი მოიმწიფა, ამაგმა მისმა გამოიღო ნაყოფი, როცა სახელი დიმიტრისა გაისმა თავმოწონებით, არა თუ ჩვენში, არამედ ევროპაშიაც-კი, როცა დიმიტრის მეოხებით განათდა, გაშუქდა ამბავი ჩვენთა წინაპართა, როცა გვაკვდინა, ვინა ვართ და რანი ვართ, როცა ყველამ დავინახეთ საქმენი მისნი, თავდადება დიმიტრისა, და აღვივსენით იმის სიყვარულითა და პატივისცემით, როცა იგი ჯერ კიდევ მხნე იყო და მეტის იმედს იძლეოდა, სწორედ ახლა დადუმდა, ახლა გადუტყდა კალამი ხელში, ახლა გამოეთხოვა, გამოესალმა ყოველსავე, რაც უყვარდა უმეტეს საკუთარის თავისა, უმეტეს სიცოცხლისა, რასაც ემსახურა თითქმის ნახევარი საუკუნე!..“

„შენ წარხვედ და საქმენი შენნი დაგვრჩნენ ჩვენ შენდა სახსოვრად. ჩვენ არ დაგივიწყებთ არც შენ და არც შენს თავდადებას ისტორიისათვის, იმიტომ რომ გვახსოვს სახელოვანის მიშლეს ნათქვამი: ისტორია აღდგომა არისო, და შენ ისტორიით აღგვადგინე“.

„არ დაგივიწყებთ იმიტომ, რომ არ დავიწყება ისტორიისა, რომელსაც შენ შესწირე შენი სიცოცხლე, ანთებული კერაა მამულიშვილობისა, სამშობლოს სიყვარულისა, და ეს კერა შენ აღგვინთე“.

„არ დაგივიწყებთ იმიტომ, რომ მხოლოდ იმას შეუძლიან თვალი გაუსწოროს და უშიშრად უცქიროს მერმისს, ვინც იცის წარსული, და ეს წარსული შენ გვაცოდინე“.

„არ დაგივიწყებთ იმიტომ, რომ მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა, და ეგ წარსული შენ მოგვეცი“.

„არ დაგივიწყებთ იმიტომ, რომ „ყოველი ერი ისტორიით სულდგმულობს, რომ ისტორიაა საგანძე, საცა ერი ჰპოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ძგერას, თვის ზნეობრივსა და გონებრივს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას, და შენ ყოველივე ეს გაგვითვალისწინე“.

დასასრულ, არ დაგივიწყებთ შენ იმიტომ, რომ შენნი საქმენი ჩვენზედ უკეთესად ღაღადებენ შენს დაუვიწყრობას“[164].

„ივერიის“ ნეკროლოგიც, რომელსაც აგრეთვე ილიას ხელი

ეტყობა, განსაკუთრებით ღრმა გრძნობებით იყო სავსე და დაწვრილებით განმარტავდა განსვენებულის დიდ ღვაწლს სამშობლოს წინაშე. ნეკროლოგი მიუთითებდა, რომ დიმიტრის გარდაცვალება ქართველი საზოგადოების ყველა ფენისათვის სამწუხარო იყო, რომ დიმიტრი „დაჰკარგა ჩვენმა ქვეყანამ, დაჰკარგა ქართველობამ, დავკარგეთ ყველამ, დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, გლეხმა და თავადმა, ერმა და ბერმა“.

„...არც საქართველო დაივიწყებს იმ კაცს, რომელმაც თვით არ დაივიწყა საქართველო და თავისი ძალღონე, სწავლა-ცოდნა, შრომა, გარჯა არ დაუზოგა და ვით ერთგულმა შვილმა თავისი წილი სამსახური გაუწია თავის მშობელს ქვეყანას“.

განსვენებულისადმი ღრმა სიყვარულით გამსჭვალული „ივერიის“ რედაქცია შემდეგი სიტყვებით მიაცილებდა სახელოვანი მოღვაწის გვამს:

„მშვიდობით ჩვენო წყნარო, ჩვენო უწყინარო, ჩვენო თავმდაბალო მოღვაწევ! შენი ცუდი არავის ახსოვს, იმიტომ რომ არა გქონია, შენი კარგი-კი ყველას თვალწინ უდგას, იმიტომ-რომ შენ კარგის მეტი არა მიგიძღვის რა წინ და არა გრჩება-რა უკან“... [165]

ბაქრაძის გარდაცვალება ქართველმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა როგორც უდიდესი დანაკლისი. მაგრამ მეფის მმართველობამ თავისი მოხელის—„ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველის“—დაკარგვისა გამო მწუხარება არ გამოთქვა.

მთავრობამ, როგორც ჩანს, გვიან იგრძნო, თუ რა შინაარსის მოღვაწე იყო ბაქრაძე და რისთვის იბრძოდა იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე.

ახლა, როდესაც ქართველი ხალხი ბაქრაძეს მხოლოდ იმიტომ დასტიროდა, რომ იგი ამ ხალხის სამსახურში დაეცა, რომ მან მთელი ღონე შეალია მშობლიური ხალხის ეროვნულ-კულტურული განვითარების, ეროვნული თვითშემეცნების განვითარების საქმეს, მთავრობას არ შეეძლო ბოლმით არ შეეხედნა იმ გარემოებისათვის, რომ მოხელე ბაქრაძეს ქართველობა ამ მოხელეობის გარეშე გაწეულ მოღვაწეობას უფასებდა მხოლოდ და უფასებდა არა უბრალოდ, არამედ, როგორც უდიდესს, დაუვიწყარ ღვაწლს.

მთავრობის ღვარძლი მით უფრო მზამიანი უნდა ყოფილიყო, რომ ბაქრაძის გარდაცვალება გადაიქცა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნამდვილ დემონსტრაციად.

საქართველოს თითქმის ყველა კუნჭულს მოედო სამწუხარო ცნობა. შეძრწუნდა თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმის, გო-

რის, თელავისა და სხვა ქალაქების ინტელიგენცია. „ივერიასთან“ ერთად გლოვობდნენ ჟურნალ-გაზეთები— „Тифлисский Листок“, „თეატრი“, „ნაკადული“, “Новое Обозрение“, სომხური გაზეთი „ტარასი“, „Одесские Новости“ და სხვ. სდუმდა მხოლოდ მთავრობის ოფიციალური ორგანო— „Кавказ-ი“ რომელიც თითქმის არაფერის მთქმელი და მშრალი ინფორმაციით დაკმაყოფილდა.

ბაქრაძის ჭირისუფალის როლში გამოვიდა ქართველი საზოგადოება, რომელმაც თავისი ხარჯით იკისრა მისი დასაფლავება.

13 თებერვალს, მიუხედავად თებერვლის სუსხიანი ამინდისა, დიდძალი ხალხი მოაწყდა თბილისს, როგორც ახლო, ისე შორეული რაიონებიდან. ჩამოვიდნენ დელეგაციები ქუთაისიდან, ბათუმიდან, ფოთიდან და საქართველოს თითქმის ყველა სამაზრო ცენტრიდან.

საქართველოს მთელი მოწინავე საზოგადოება მიაცილებდა დიმიტრის ცხედარს დიდუბის სასაფლაოსაკენ. მიუხედავად სუსხიანი ამინდისა პროცესია „გაიშალა თითქმის ნახევარი ვერსის მანძილზე“.

სამგლოვიარო მიტინგზე პატრიოტული გრძნობით აღსავსე სიტყვა წაოძოთქვა ცნობილმა მწერალმა გ. წერეთელმა. მისი სიტყვებიდან კარგად ჩანდა, თუ როგორ კმაყოფილი იყო ქართველი ინტელიგენცია დიმიტრის ღვაწლით, მის მიერ წარსულის ბრწყინვალე ფურცლების გამომზეურებით, რამაც ამ ინტელიგენციის ქედმაღლურ თავმოყვარეობას საფუძველი გაუმაგრა და სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა გაუძლიერა. ბაქრაძის ცხედართან წერეთელი, სხვათა შორის, აცხადებდა:

„...თურმე როცა სახელგანთქმულნი ბერძენნი და რომაელნი ჯერ კიდევ ველურის ცხოვრებიდგან არ გამოსულიყვნენ, ჩვენთა წინაპართა — ხალიბთა და თობელთა—თავისი მშვენიერი ფოლადისა და ბრინჯაოს ნაწარმოები ტირში და ბაბილონში გაჰქონდათ გასასყიდათ. კოლხების ნაკეთების ტურფა სამოსლით ასურელთა და ისრაილთა მეფენი იმოსებოდნენ, კოლხების სელის ტურფა ქსოვილები ეგვიპტელების ნაწარმოებს უდრიდნენ. მაშინდელი ჯერ კიდევ გონება გაუხსნელი საბერძნეთის ხალხი შურის თვალით თურმე უყურებდა კოლხიდის მეფის აეტის სიმდიდრესა, ფრიქსი და იაზონი, როგორც ზღვის მეკობრეები, ისე მოდიოდნენ კოლხიდაძი ოქროს მატყლოვანის სამოსლების მოსატაცებლად...“ მანვე აღნიშნა აგრეთვე, რომ დიმიტრი ბაქრაძის მეცნიერული კვლევის შედეგად ნათელი მოეფინა სიბნელით მოცულ წარსულს, რომ ამ კვლევამ ნათელჰყო ქართველი ხალხის „უძველესი დროიდან“ მოყოლებული „გონებითი წარმატება“.166

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ მაშინ ცნობილი მეცნიერი ა. დ. ერიცოვი[167], სიტყვები წარმოთქვეს ნ. დადიანმა და სხვებმაც. დიდმა აკაკიმ წაიკითხა დიმიტრისადმი მიძღვნილი ლექსი—„სახსოვარი", რომელსაც შემდგომი თაობა იმეორებდა, როგორც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის ლექსს:

„სამაგალითო შრომასთან ცოდნა
და სიყვარულით ავსილი გული...
აი, ვის ჰქონდა ჩვენში უტყუვრად
მინაქებული!.. შეთვისებული!..

—:—

დადუმდა ბაგე მართლის მეტყველი,
გულზე დაეკდო მშრომელი ხელი,
წარსულ სიბნელის ნათლის მომფენელს
ამიერიდან დაჰფარავს ბნელი.

—:—

მაგრამ დაჰფარავს მარტოდ მხოლოდ გვამს
და სახელი-კი, შვილთა დიდება,
ნათლის სხივებით გაბრწყინვებული
ბნელს სამარეშე თან არ ჩაჰყვება.

—:—

ის აქ დარჩება საშვილი-შვილოდ,
ვით რჯული ჩვენთვის... ვით წმინდა მცნება
და ყველას გულზე დაგვებეჭდება
სამარადისო მაგის ხსენება.

—:—

მშვიდობით, ძმაო! ნეტარება შენ,
რომ შეასრულე ამ სოფლის ვალი!..
შენს ნაყოფიერს წარსულს და აწმყოს
ძეგლად დაგიდგამს თვით მომავალი.

—:—

ძეგლი იქნება გრძნობა—გონების
და არა ხელით ზე ამართული;
ზედ ეწერება: „კიდევ დიმიტრი...
ესეც ქვეყნისთვის თავ-დადებული!"[168].

დიმიტრის მიერ დაფუძნებული საეკლესიო მუზეუმის წევრთა სახელით მიტინგზე გამოსულმა ლეონიდემ აღთქმა დასდო, რომ საეკლესიო მუზეუმის წევრები შემდგომშიაც პირნათლად შეასრულებდნენ მის ნაანდერძევს და იბრძოლებდნენ საქართველოს ისტორიის ძეგლების გამოვლინებე-დაცვისათვის[169].

დიმიტრის საფლავს ამკობდა უამრავი გვირგვინი, რითაც მწუხარებას გამოსთქვამდნენ: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ. საზოგადოება, თბილისის სასულიერო სემინარიის მსმენელები, სიღნაღის საზოგადოება, გურიის ინტელიგენცია, ნოვოროსიის უნივერსიტეტის ქართველი პროფესორები და სტუდენტები, მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები, ადგილობრივი პერიოდული პრესის რედაქციები და სხვ. დიმიტრის საფლავი შეამკო ილია ჭავჭავაძემ დიდებული გვირგვინით, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობის წარწერა ჰქონდა—**„საფლავი შენისთანა კაცისა სალოცავია მამულისა“**[170].

აურაცხელი დეპეშები მიიღო განსვენებულის სახლობამ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისაგან, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორებისა და ქართველი სტუდენტებისაგან, პეტერბურგის „არქეოლოგიური კომისიისაგან“, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისაგან, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისაგან, ოდესის, კიევის, ვარშავის პროფესორებისა და სტუდენტებისაგან და სხვ.[171]

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დიმიტრი ბაქრაძეს პანაშვიდი გადაუხადეს. ამის შესახებ ცნობები იბეჭდებოდა „ივერიის“ თებერვალ-მარტის ნომრებში (1890 წ.). ასეთი ცნობების გვერდით, როგორც „ივერიაში“, ისე სხვა გზეთებშიაც კარგი ხნის განმავლობაში იბეჭდებოდა წერილები განსვენებულის შესახებ. სახელოვანი ვაჟა-ფშაველა მოკლე წერილით გამოთქვამდა მწუხარებას და იტყობინებოდა თიანეთიდან, რომ იქ ბაქრაძეს პანაშვიდი გადაუხადეს[172].

ოდესაში მყოფმა ქართველებმა ღირსეული პანაშვიდი გადაუხადეს სახელოვან მოღვაწეს. ოდესიდან „ივერიისადმი“ წერილში ილია პონტელი წერდა:

„მით უფრო სამძიმო და უნუგეშოა ჩვენი მწუხარება, რომ შორს, უცხოეთში გარდახვეწილებს, არ შეგვიძლიან ჩვენს მოძმეებთან ერთად უკანასკნელად ვეამბოროთ გარდაცვალებულის საფლავს...“

„დიდებულ ისტორიკოსს ნათლად ჰქონდა შეგნებული, სადა აქვს სათავე ერის წარმატებას...“ აქვე, წერილის ავტორი, სხვათა შორის, ხაზს უსვამდა მეტად საგულისხმო მომენტს, რომელიც ახასიათებს ქართველი მოწინავე საზოგადოების ერთი ნაწილის განწყობილებას XIX საუკუნეში:

„იმ დროს, როდესაც თვით „მოწინავე ქართველი რაზმი“, იმედგამოლეული გლოვის ზარს უგალობდა ჩვენს ქვეყანას და

სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, აი იმ დროს გულმხურვალე პატრიოტი, მაღალ იდეალებით განმსჭვალული „ბნელში იმედით ჰკვესავდა“, სანთლით ხელში მიუძღოდა და თვალწინ უშლიდა იმედდაკარგულს ქართველს ათასწლობით დამტვერიანებულს სიგელგუჯრებს, რომლებშიც იყო დამარხული მისი წარსული დიდება და, მაშასადამე, მომავალი ბედიც“. ამასთანავე პონტელი ამტკიცებდა, რომ აუცილებელი იყო ბაქრაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სათანადო წიგნის შედგენა. ასეთ წიგნს, მისი აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მომავალი თაობის აღზრდისათვისაც[173].

თელავში ჩატარებული პანაშვიდის მაგალითზე შესანიშნავად გამოვლინდა, რომ დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალება გადაიქცა ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლის დემონსტრაციად. სახელოვანი მოღვაწის გარდაცვალების საპასუხოდ ისმოდა ხმამაღალი ძახილი ეროვნული ინტერესების დასაცავად ძალთა მობილიზაციისათვის.

თელავში პანაშვიდზე გამოსული ორატორი, იოანე შიუკაშვილი, აცხადებდა: „დროა დავრწმუნდეთ და გამოვიღოთ თითოეულმა ჩვენგანმა ნაყოფი საზოგადო, შეუდგეთ საერთო საქმესა შეძლებისდა გვარად“. საკუთარი ინტერესებისათვის ბრძოლის საქმეს თუ ერი „თვალს აარიდებს“, „უკეთუ ახლაც გულსა და გონებას დაიხშობს,—დაეცემა, დაირღვევა, განიბნევა თვის მამულისაგან და აღიგვება პირისაგან ქვეყნისა. შევერთდეთ.., ქართველნო, წრფელისა გულით და ქვეყნის სიყვარულით აღსავსენი, საერთო ძმურის კავშირით, დაცემულ ქართველთა ერის საკეთილდღეოდ. გვახსოვდეს და ვიხელმძღვანელოთ აწ განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძის ცხოვრებითა და მაგალითით“. 174

ახალციხეში გადახდილი პანაშვიდის შესახებ იტყობინებოდნენ, რომ „ამ სამწუხარო და გულ-საკლავმა ამბავმა მეტად შეაწუხა ქართველობა ახალციხისა“ და სხვ. 175

„დავით სოსლანი“ (ცნობილი დავით კეზელი) მოხდენილად ახასიათებდა ბაქრაძის გარდაცვალების გამო ფართო მასების გლოვის თავისებურებას:

„თბილისს წინათაც უნახავს საზოგადოებრივი მწუხარების გამოვლინება უფრო გრანდიოზულ ფორმებში, მაგრამ დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძის დასაფლავებას, საზოგადოებრივი თვალსაზრისით, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს და აი რატომ:

განსვენებული არ ეკუთვნოდა ბედით განებივრებულ იმ პირთა ჯგუფს, რომელთა საზოგადოებრივი მდგომარეობა დაბა-

დებითგანვე განისაზღვრა; მათთვის ყველაფერი მზად იყო, გარდა იმისა, რომ უნდა ჰქონოდათ მიდრეკილება საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ იერარქიაში მაღალი ადგილის მოპოვებისაკენ. სოფელი ხაშმის ღარიბი მღვდლის შვილს, რომელმაც დაწყებითი ალზრდა სემინარიაში მიიღო, უნდა გაევლო ცხოვრების უაღრესად მკაცრი სკოლა, გადაელახა ბევრი სიძნელე... რომ მოეპოვებინა ის მდგომარეობა, რომელიც მას ჰქონდა თავის ხალხს შორის და ოფიციალურ სფეროში. იგი თავისი თანამემამულეებისათვის ძვირფასი და სიმპათიური იყო არა იმით, რომ შეეძლო ეთამაშნა იაფფასიანი ლიბერალიზმის სიმებზე და დროის შესაბამისად თავი ამოეყო უვნებელი ოპოზიციის ვარდებში... თავისუფალი ყოველგვარი გაიძვერობისა და ქედმოხრილობისაგან, ყოველთვის უცვლელად მოკრძალებული, დადებითი, ენერგიული და შრომის მოყვარე, განსვენებული განუხრელად მიდიოდა თავისი პირდაპირი გზით და არ ჰღალატობდა ადამიანის მოვალეობას... ამიტომ, ვიმეორებ, საზოგადებრივი მწუხარების ამ გამოთქმას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ ეს ბრწყინვალება მოპოვებულია არაჩვეულებრივი მოკრძალებით. ეს საზოგადებრივი მწუხარება სავსებით დამსახურებული ჯილდოა..." [176]

აღნიშნულის შემდეგ გასაგები ხდება, თუ რატომ გლოვობდა ასე ძლიერად ქართველი საზოგადოება. ამ გლოვაში ისმოდა არა მარტო ქართველი ინტელიგენციის მწუხარება, არამედ ფართო მასების მწუხარებაც. მშრომელთადმი განსაკუთრებული სიყვარულითა და მზრუნველობით აღჭურვილი პირის გარდაცვალება ამ მშრომელებში, რა თქმა უნდა გულისწუხილს გამოიწვევდა. გლეხკაცობისადმი ბაქრაძის მზრუნველობის შესახებ იგონებდნენ მის მისწრაფებასა და მოწოდებას:

„უნდა ვეცადოთ, რომ თითქმის ყოველს სოფელში გავხსნათ საერო სკოლები და ხალხში კითხვა გავრცელდეს. ეს არის ერთად ერთი ჩვენი იმედი, ძალა და იარაღი, ჩვენის გლეხკაცის შვილების განათლებით ჩვენ წინ წავალთ... უნდა ვეცადოთ, რომ ყველა სასწავლებლებში ესენი გამრავლდნენ, ესენი წავიდნენ წინ" [177].

განსაკუთრებული გულისწუხილით უნდა მოეგონებინათ განსვენებული დაბალი რიგის მოხელეებსაც, ტექნიკურ პერსონალს, რადგან დიმიტრი თავის თანამშრომლებს ყოველთვის უნაწილებდა პირადად მის მიერ მიღებულ ჯილდოებს, „რომ ამით რამდენადმე მაინც შეემსუბუქებინა მათი გაჭირვებული მდგომარეობა" [178].

მიუხედავად მთავრობის ოფიციალური ორგანოს დუმილისა, ადგილობრივი რუსული პრესა, განსაკუთრებით „Тифлисский Листок"

დიდი გრძნობით ეხმაურებოდა ბაქრაძის გარდაცვალებას. აღნიშნულ გაზეთში განსვენებულის ხსოვნის განსამტკიცებლად ლექსიც კი გამოქვეყნდა.[179] ამავე გაზეთის რედაქტორმა, ი. ხაჩატუროვმა, მეტად გაბედულად გაილაშქრა მთავრობის ოფიციოზის წინააღმდეგ. მან გამოაქვეყნა სპეციალური წერილი -- „По адресу газеты „Кавказ", რომელშიაც თავისებურად ამხილა ამ გაზეთის თითქმის სრული უყურადღებობა ბაქრაძის გარდაცვალებისადმი.

თავის წერილში ხაჩატუროვი აღნიშნავდა, რომ იგი აღფოთებული იყო „კავკაზის" რედაქციის ინდიფერენტული დამოკიდებულებისა გამო „ჩვენი განაპირა მხარის გამოჩენილი ისტორიკოსის გარდაცვალებისადმი", რომელიც „თავისი მეცნიერული ნაშრომებით ცნობილი იყო ჩვენი სამშობლოს გარეთაც". რედაქციის საქციელი საძრახისი იყო იმიტომაც, რომ განსვენებული ამ რედაქციაში დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდა... ეს მაშინ, როდესაც „კავკაზის" ფურცლებზე ადგილს უთმობდნენ ცნობილ შანტაჟისტებს (ოფიცერ ნოტოვიჩის მაგალითი), გასხვრებს, ჟონგლიორებსა და სხვებს...[180]

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ მთავრობა და მისი ოფიციალური ორგანო „კავკაზი" სავსებით უყურადღებოთ მოეპყრა ბაქრაძის გარდაცვალებას. „კავკაზის" რედაქცია „დასაფლავებაზეც არ გამოჩენილა და მას გვირგვინიც კი არ გამოუგზავნია"[181]. ბაქრაძის მთელი მოღვაწეობის ნაყოფი ეროვნულ-კულტურულ ფრონტზე მეფის მთავრობისათვის მიუღებელი და მავნე იყო. ეს ის მთავრობა იყო, რომელიც აქ მთელი თავისი ბატონობის მანძილზე გააფთრებით ებრძოდა ადგილობრივ ეროვნულ კულტურას და ახშობდა ყველაფერს რაც კი მკვიდრთა გათვითცნობიერებას უწყობდა ხელს. როგორც უკვე ცხადად გამოჩნდა, ბაქრაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქართველმა ინტელიგენციამ აშკარად და ცენზურისათვის თითქმის ძოურიდებლად გამოთქვა თავისი დამოკიდებულება ბაქრაძის მოღვაწეობისადმი ეროვნული თვითმყოფობის დაცვის საქმეში. ამასთან დაკავშირებით ქართველი ინტელიგენციის გამოსვლა, როგორც ზემოთ ვთქვით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დემონსტრაცია იყო. ამით განიმარტებოდა მთავრობისა და „კავკაზის" აღნიშნული დუმილი, რითაც კიდევ უფრო უცილებლად დასტურდებოდა, რომ დიმიტრი ბაქრაძე მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლაში დაეცა.

მაგრამ არა მარტო მეფის მთავრობა აღმოუჩნდა ოპოზიციაში ბაქრაძის გარდაცვალების გამო მასიურ გლოვას, არამედ ქართველ ინტელიგენციაში მოიძებნებოდნენ „ზოგიერთები", რომლე-

ბიც გადაჭარბებულად თვლიდნენ ბაქრაძის გრანდიოზულ დაკრძალვას; აძათგან კიდევ ზოგიერთი პერიოდულ პრესასაც კი ჰკიცხავდა, რომ მან ბაქრაძის ღვაწლი ძალზე გაახვიადა. ეს ზოგიერთები, რომელთა რიცხვში სამწუხაროდ ნ. ნიკოლაძეც იყო, გამოხატავდნენ თავადაზნაურული ინტელიგენციის ერთი ნაწილის აზრს, რომელსაც ბაქრაძე თავის სიცოცხლეში გამუდმებით ჰკიცხავდა უქნარობისა და უსაფუძვლო ქედმაღლობის გამო[182].

„ზოგიერთებს" გამანადგურებელი პასუხი გასცეს ილია ჭავჭავაძემ[183] და დავით კეზელმა[184].

მოწინავე ქართველი მოღვაწეები ცდილობდნენ უკვდავეყოთ სახელოვანი მოღვაწის სახელი. იაკობ გოგებაშვილი სპეციალური მოწოდებით გამოვიდა „ივერიის" ფურცლებზე: „ჩვენის გულწრფელისა და ძლიერის პატივისცემის განსახორციელებლად და განსვენებულის ხსოვნის საუკუნით დასამტკიცებლად შესაბამად მიმაჩნია ორი ღონისძიება: ღირსეული სახსოვრის, ძეგლის აგება და ღირსეულად გამოცემა განსვენებულის თხზულებებისა. მესამე ღონისძიება ამ პატივისცემის საუკუნოდ სიმკვიდრესაც დაეხმარება და აღნიშნულის სიცარიელის შევსებასაც. ეს გახლავთ სახუნივერსიტეტო სტიპენდიის დანიშვნა განსვენებულის დიმიტრის სახელობაზედ იმისთანა სტუდენტთაგანისათვის, რომელიც მომეტებულს ნიჭსა, უნარსა და სიყვარულსა გამოიჩენს სამშობლოს ისტორიის მეცნიერულის გამოკვლევისათვის და უმთავრეს საგნად თავის სიცოცხლეში ექნება ნათელი მოჰფინოს ჩვენს წარსულს. პირველ ხანად ფონდის დასაარსებლად დიმიტრი ბაქრაძის სახელობაზედ ვაგზავნი რედაქციაში 25 მანეთს".[185]

ი. გოგებაშვილის წინადადებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა. „ივერიის" რედაქციაში განუწყვეტლივ შემოდიოდა შეწირულებანი და საქმაო თანხაც შეგროვდა.

ილია ჭავჭავაძემ „ივერიის" რედაქციაში მოიწვია გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილა საკითხი დიმიტრი ბაქრაძის სახელობაზე შემოსული თანხის რეალიზაციის შესახებ. დადგენილებაში ნათქვამი იყო: „აშენებულ იქმნას სახლი მუზეისა და წიგნთსაცავისათვის განსვენებული დიმიტრის ზაქარიას ძის ბაქრაძის სახსოვრად და აშენებული სახლი გადაეცეს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განკარგულებას"... „თუ კომიტეტი ვერ დაინახავს შესაძლებლად მოკლე ხანში ააშენოს მუზეუმისათვის სადგური, მას უფლება ეძლევა მოახმაროს თანხა გუჯრებისა და საისტორიო მასალის გამოცემას".

„ფული, რაც აქომამდე გამოგზავნილია „ივერიის" რედაქციაში დიმიტრი ბაქრაძის სახელობაზედ და კვლავაც გამოიგზავ-



დ. ბაქრაძის ძეგლი დიდუბის პანთეონში

ნება, აბარია „ივერიის“ რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც საჭიროებისამებრ უნდა აძლიოს ზემოხსენებულს კომიტეტს“.

კომიტეტში არჩეულ იქნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, თედო ჟორდანია, ნიკოლოზ ცხვედაძე, ნიკოლოზ მთვარელიშვილი, ალექსანდრე ჭყონია და სხვ. აღნიშნულ პირთა გარდა სხდომის ოქმს ხელს აწერენ: ილია ჭავჭავაძე, იონა მეუნარგია, მოსე ჯანაშვილი, ნიკოლოზ ხიზანაშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე ყიფშიძე, ზაქარია ჩხიკვაძე და სხვები[186].

საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა კომიტეტმა ზემოთ განსაზღვრული დანიშნულებისამებრ მოიხმარა.

დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში, ბაქრაძის საფლავზე დადგმულ იქნა მარმარილოს ძეგლი, რომელსაც დღესაც ამშვენებს წარწერა:

„საქართველოს წარსულის
გულმოდგინე მკვლევარს
დიმიტრი ბაქრაძეს
1827 — 1890
ქართველთა საზოგადოება“

ამ წარწერის ზემოთ, ძეგლზე, ამოკვეთილია გრაგნილი ფურცელი, რომელზედაც იკითხება „საქართველოს ისტორია“ და რომელზედაც დაფენილია მწვანე შტო. ძეგლის ასეთი კომპოზიცია მოგვაგონებს ბაქრაძის გარდაცვალებისა გამო დიდი ილიას მიერ გამოთქმული სიტყვების განსახიერებას: „...თვითონ წავიდა და ჩვენ მოგვცა მწვანე შტო იმედისა, სასოებისა, რომელიც მან ხეს მეცნიერებისას და ცნობადისას მოჰკვეთა“...[187]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაქრაძის გარდაცვალებისას გრძნობდნენ, რომ დამსახურებული მოღვაწის ცხოვრების აღწერა აუცილებლად საჭირო იყო საერთოდ და კერძოდ ახალგაზრდობისათვის.

„ეს ახალგაზრდობა,—ნათქვამი იყო „ივერიის“ ფურცლებზე, **—ნათლად დაინახავს ამ შესანიშნავ კაცის ცხოვრების აღწერიდან, თუ რის შემძლეა კაცი, რომელსაც წაუმძღვარებია წინ ცხოვრებაში მაღალი და წმინდა აზრი ქვეყნისა და მეცნიერების სამსახურისა“**[188].

ქართველმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ღირსეულად და დიდად დაუფასა ღვაწლი დიმიტრი ბაქრაძეს, რომელიც 40 წლის განმავლობაში თავდადებულად და შეუდრეკლად ემსახურებოდა თავისი მშობლიური ხალხის ინტერესებს.

თავი II.

მეცნიერული მემკვიდრეობის ზოგადი დახასიათება

1. ისტორიოგრაფიული შეხედულების მაგიერ

მე-18 საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის—ვახუშტი ბაგრატიონის მდიდარმა მეცნიერულმა შემოქმედებამ ახალი ეტაპი შექმნა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ ვახუშტი ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთში გადასახლებულ ქართველ მოღვაწეთა დასის წარმომადგენელი იყო. როგორც ზემოთ ითქვა, ეს დასი, სამშობლოს მოწყვეტილი, საქართველოში მეცნიერთა ახალ თაობას ვერ ქმნიდა. ძნელბედობასთან ერთად ეს გახდა იმის ერთი მიზეზი, რომ ვახუშტის შემდეგდროინდელმა ისტორიკოსებმა მისი მდიდარი ტრადიციები ვერ აითვისეს. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება შეფერხდა. ასე გრძელდებოდა XIX ს. 40-ან წლებამდის.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა კაპიტალური ნაშრომი მიუძღვნა ქართული ისტორიოგრაფიის შესწავლას[1]. მისი ნაშრომი მოყვანილია მე-18 ს. მიწურულამდე და თავდება ომან მდივანბეგი ხერხეულიძის ნაშრომის განხილვით.[2] ამის აქეთა პერიოდის ისტორიკოსთა სისტემატური შესწავლა არ გაგრძელებულა. ასეთი შესწავლის გარეშე გაგვიძნელდებოდა XIX ს. II ნახევრის ისტორიკოსის—დიმიტრი ბაქრაძის მეცნიერული ღვაწლის წარმოდგენა. ჩვენ ვერ ვკისრულობთ მე-18 საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული ვიდრე ბაქრაძის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლამდე ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევათა სრულ გათვალისწინებას. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს საკითხი შეუსწავლელია და სპეციალური კვლევის საგანს შეადგენს. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ბაქრაძის წინამორბედ ქართველ ისტორიკოსთა მიღწევების ზოგადად მაინც გათვალისწინებას.

ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელსა და მეტად მძიმე ეპოქაში, ხოლო სამეფოს გაუქმების შემდეგ მეფის რუსეთის გაბატონების პირველ შფოთიან წლებში, ჩვენში მეცნიერული კადრების საქმიანობა არ გამქრალა. 1800 წელს, თბი-

ლისში, დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის „ნარკვევი“, რომელიც პირველი ცდა იყო მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოსი ქართულ ენაზე[3].

იგივე დავითი, პეტერბურგში გადასახლების შემდეგ, აქვეყნებს „საქართველოს მოკლე ისტორიას“. ეს ნაშრომი მან დაწერა 1805 წ., რუსულ ენაზე, გენ. ტუჩკოვის დავალებით. ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ ზოგადი ისტორიული ცნობები საჭირო იყო მეფის მთავრობისათვის, რომელიც საქართველო-ამერკავკასიის დაპყრობას განაგრძობდა. რუსი მკითხველისათვის დაწერილი ეს წიგნი იძლეოდა „ქართლის-ცხოვრების“ საფუძველზე შედგენილ პოლიტიკურ მოვლენათა მსვლელობის ერთგვარ სქემას.[4]

დავითის ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებიდან ყურადღებას იპყრობს მისი ე. წ. „ახალი ისტორია“.

„ახალი ისტორია“ დავითმა დაწერა პეტერბურგში, 1814 წ. როგორც თვით გვაუწყებს, მან თავის თხზულებაში შეიტანა „ყოველივე ჰეშმარიტი და უნაკლულო“[5]. შინაარსობრივად ეს „ისტორია“ შეიცავს პერიოდს თეიმურაზ-ერეკლეს გამეფების ხანიდან მოყოლებული ვიდრე 1812 წლამდე.

ბატონიშვილი აღნიშნული ნაწარმოებით, როგორც ჩანს, მიზნად ისახავდა „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ ავტორთა საქმიანობის“ გაგრძელებას: „ნამდვილ ისტორია ესე აღწერილი მეფის გიორგის პირმშოს ძისაგან დავითის მიერ. ისტორია ესე ახლად შეძინებული ქართლის ცხოვრებისადა“.[6]

დავითი იძლევა ისტორიული ფაქტების თანმიმდევრულ მოთხრობას. განსაკუთრებით 1789 წლიდან მოყოლებული დავითი პირადად ჩანს ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური · ცხოვრების ასპარეზზე და მის მიერ ხილულ ამბებს სწორად გადმოგვცემს. 1795 წლის შემდგომი ამბების მოთხრობით დავითი ნამდვილად „ქართლის ცხოვრების“ შემავსებელ ავტორთა მოთხრობების გამგრძელებელია[7].

დავით ბატონიშვილის „ისტორიის“ დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია, რომ იგი მართლაც „ჰეშმარიტი“ ისტორიული ფაქტების მომთხრობელია. სამეფო ტახტის დაკარგვის გამო დიდმა უკმაყოფილებამ, სამშობლოსაგან განდევნამ მის თხზულებაში სათანადო გამოხატულება ჰპოვა, მაგრამ მისი რომანტიზმი არ განვითარებულა ფაქტების ტენდენციურ გაფერადებამდე.

აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია საინტერესო ცნობები XIX ს. დამდეგს საქართველოში შექმნილი ისტორიული ვითარების შესახებ; მოტანილი მასალა მრავალმხრივია. აქ ეხვდებით

ცნობებს როგორც საშინაო-პოლიტიკური, ისე ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

საყურადღებოა, რომ მოსახლეობის მძიმე მდგომარეობის შესახებ მოკლე, მაგრამ მკაფიო ჰითითება მას დასჭირდა, როგორც ჩანს, კახეთის 1812 წ. აჯანყების მიზეზთა დასახელებისათვის.[8] მის მიერ მოვლენის მიზეზობრივი ახსნა თავს იჩენს აგრეთვე იქ, სადაც საუბარია 1812 წ. ყარაბაღის ახლოს, რუსთა და სპარსთა რაზმებს შორის მომხდარი ომის შესახებ. დავითის აზრით, აბას-მირზამ (სპარსეთის შაჰის მემკვიდრემ) ბრძოლაში გაიმარჯვა „მით, რამეთუ შემოიღეს სპარსთა განსწავლება ფრანგთა მსგავსად მხედრობისა“[9].

საინტერესოა, რომ დავითი „გლეხებსა“ და „თავადებს“ ერთმანეთს უპირისპირებდა, მოგვითხრობდა მათ შორის გაჩაღებულ ბრძოლაზე 1812 წ. კახეთში, რადგან „გლეხებმა იხილეს ღალატი თავადთაგან“, „სიცბილი თავადთა“, დაარბიეს და გადასწვეს მათი სახლკარი[10]. ეს შეიძლებოდა მიგვეჩნია აჯანყების კლასობრივი მხარის თავისებურ გახაზვად.

უკანასკნელ დროს ცნობილი გახდა დავით ბატონიშვილის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი „საქართველოს ისტორია“ უძველესი დროიდან ვიდრე 1812 წლამდე. ამ კაპიტალურ ნაშრომში ავტორის მიერ გამოთქმული მრავალი საინტერესო მოსაზრება ისტორიკოსის დაწინაურებული აზროვნების მაჩვენებელია. იგი სამართლიანად აკრიტიკებს იმ უცხოელ მეცნიერებს, რომლებიც არ სცნობდნენ უძველეს ქართულ კულტურას და აყალბებდნენ საქართველოს ისტორიულ წარსულს. დავითის მიერ გამოყენებული წყაროების მასშტაბიც ფართოა. ქართული დოკუმენტალური მასალის გვერდით იგი იცნობდა სომხურსა და ბერძნულ წყაროებსაც. ქართველი ხალხის ცხოვრების ზოგიერთი მხარის გაშუქებაში მან ეთნოგრაფიული მასალაც გამოიყენა. ავტორის ყურადღების ცენტრში ქართული კულტურის ისტორიის საკითხებია, რაც მისი თხზულების ორიგინალობაზე მიუთითებს.

საყურადღებოა აგრეთვე დავითის სპეციალური ნაშრომი— „Обозрение Грузии по части" „права и законоведения“, რომელშიც მოცემულია ერეკლე II-ისა და გიორგი XIII-ის დროინდელი ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილებისა და კანონმდებლობის შესახებ ძვირფასი მასალა.[11]

გასაგები იყო, რომ დავითი მეფის რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიაში აბსოლუტურ ბოროტებას ხედავდა. აქ დანერგილ რუსულ მმართველობასთან შედარებით მას ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობა სწამდა.[12]

დავითის ისტორიული აზროვნებისათვის დამახასიათებელია სამშობლოს წარსულისადმი რომანტიკული განწყობილება, ეროვნული მოტივები. მე-18 ს. დიდი განმაწათლებლის ვოლტერის შეხედულებათა გაცნობა, ვოლტერიანელობა ხელს უწყობდა მას საშუალო საუკუნოებრივი პროვიდენციალიზმისაგან განთავისუფლებაში.

როგორც ეპოქის თანამედროვემ, დავით ბატონიშვილმა დაგვიტოვა მეტად საინტერესო ისტორიული ხასიათის სხვა მასალებიც, რომელთაც საქართველოს XIX ს. ისტორიის შესწავლაში სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებათ.

დავით ბატონიშვილის ძმამ—ბაგრატმა, ისე როგორც დავითმა, თავისი „ახალი მოთხრობა“ მიუძღვნა ძირითადად ერეკლე-თეიმურაზის მეფობის პერიოდს და XIX ს. დამდეგის ამბებს.

ბაგრატმა თავისი ცხზულება დაწერა 1819 წ. პეტერბურგში. იგი თვით მიუთითებდა, რომ ამის შემდეგაც განაგრძობდა წერას და შეიტანდა თავის „თხზულებაში ყველაფერს, რაც კი მოხდებოდა საქართველოსა, რუსეთსა და ევროპაში ღირსი ყურადღებისა“. [13]

ბაგრატ ბატონიშვილი უფრო აშკარად ავლენს თავის რომანტიკულ განწყობილებას, თუმცა ეს მას დიდად არ აბრკოლებს, ისე როგორც მის ძმას დავითს, რამდენადმე ობიექტურად აღნუსხოს ისტორიული ფაქტები. იგი გვაუწყებს, რომ მან აღწერა ერეკლეს მეფობის ხანა „და შემდგომად მისსა ძისაცა მისისა მეფისა გიორგისა და შემდგომადა მეფისა გიორგისა დაპყრობისაგან რუსთა საქართველოისა, და რუსეთსა შინაცა მიერით, რაიცა შეემთხუა. ყოველივე დიდისა ცთითა და უტყუელითა აღმიწერიეს ჴელშმარიტებით, რათა არა დავიწყებულ იყო საქმენი ნეტარხსენებულთა მეფეთანი, ვინაიდან ამ ჟამს ჰფლობდნენ რუსნი მამულთა ჩვენთა, და ჩვენ გაბნეულ ვიყვენით როსიასა შინა მათ მიერ. აღიწერა წელსა 1819...“ [14]

დავითისაგან განსხვავებით ბაგრატი თავისი მოთხრობის შესავალში ასახელებს წყაროებს: ვახუშტი ბატონიშვილი, ანტონ კათალიკოზი, „წერილთა შინა ნანახი“, „წინაპართაგან სმენილი“ და პირადად მის მიერ „ნახული“. [15] მიუხედავად ამისა მისი თხზულება დავითის ნაშრომს ღირსებით ჩამორჩება. დავითის „ახალი ისტორია“, თუმცა იგი ქრონიკის წესზე აგებულ ნაშრომს ჰგავს, მაინც გაბმული და უწყვეტი თხრობის ნიშნების შემცველია. ბაგრატის. მოთხრობა კი ნამდვილი ქრონიკაა. მას ნახტომებიც ხშირად ახლავს, არ ახასიათებს კომპაქტური თხრობა. ამას-

თან ერთად მისი ნაშრომი გადატვირთულია ისტორიისათვის უმნიშვნელო ცნობებით.

ბაგრატის მოთხრობას არ ეტყობა მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი ახსნის ნიშნები. მის აზროვნებას პროვიდენციალიზმიც ახასიათებს. ზოგჯერ იგი ზებუნებრივ „ძალაში“ ხედავს მოვლენის გამომწვევ მიზეზს. 16

მიუხედავად აღნიშნულისა, ბაგრატი თავისი მოთხრობით „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ ავტორთა ნაშრომების გამგრძელებელია. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მხოლოდ ისტორიკოსთა ან მემატიანეთა ნაანდერძევს „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობის გაგრძელებაში. ბაგრატიც, როგორც ჩანს, თავისებურად შეეცადა მოთხრობის გაგრძელებას და მან რამდენადმე ხელი შეუწყო საქართველოს წარსულის შესწავლის საქმეს.

ბატონიშვილთა შემდგომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ჩანს ნიკოლოზ დადიანის მოღვაწეობა. ნ. დადიანის შესახებ აკად. ს. ჯანაშია წერდა:

„მთავარი მისი ლიტერატურული ნაწარმოები არის „ქართველთ ცხოვრება“, საქართველოს ისტორია დასაბამიდან ავტორის დრომდე. ქართული ისტორიოგრაფიისათვის ნიკო დადიანი უკვე იმითაც არის ძვირფასი, რომ ის ერთადერთია ძველ ქართველ ისტორიკოსთა შორის, რომელიც წარმოშობით დასავლეთ საქართველოს ეკუთვნის და რომლის სახელსაც ჩვენ ვიცნობთ. შემდეგ, ავტორის წარმოშობისა და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით საგულისხმო ხდება თხზულების ძირითადი კონცეპცია, რომლის მიხედვით ქართული ისტორიის პროცესი მთლიანობაშია წარმოდგენილი. კერძოდ, სამეგრელოს ისტორიული სინამდვილე ეს არის საქართველოს ისტორიის ძალთა მოქმედების მხოლოდ ადგილობრივი შედეგი. ავტორი, როგორც შვილი მამულისა“, არის „ქართველთ ისტორიის“, და არა განთვითებული პროვინციული თავგადასავლის, მწერალი. სამეგრელოს სამთავროს ამბები,—შედარებით უფრო ვრცლად მოთხრობილი, იმიტომ რომ მათ ავტორი უკეთ იცნობს,—არც კი არის გამოყოფილი საერთო თხრობიდან დასავლეთ საქართველოს ვითარების შესახებ მეთვრამეტე ს. მეორე ნახევარსა და მეცხრამეტე ს. პირველ მეოთხედში, ე. ი. იმ ნაწილში, სადაც ავტორი სავსებით ორიგინალურია. როგორც „უწინდელთა ქართველთ მეისტორეთა“ გამგრძელებელი ნ. დადიანი დამოკიდებულია წინამორბედ ქართულ საისტორიო მწერლობაზე, სხვათა შორის დავით ბატონიშვილის „ნარკვევზე“, რომელიც დაიბეჭდა ტფილის-

ში 1800 წ. და რომელიც პირველი ცდაა მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოსი ქართულ ენაზე. მაგ., ნ. დადიანის ისტორიის წინასიტყვაობა, სადაც განმარტებულია მიზეზი და მიზანი შრომისა და რამდენიმე ზოგადი მოსაზრებაა გადმოცემული (გვ. 9-10), თითქმის სრული განმეორებაა „ნარკვევი“-ს წინასიტყვაობისა (გვ. ე—კ).

ეს სესხების ფაქტი, იმდროინდელ შეხედულებათა მიხედვით, უნდა შეფასებულ იქნას არა იმდენად ავტორული ურთიერთობის, რამდენადაც იდეური ნათესაობის თვალსაზრისით“[17].

ინტერესსმოკლებული არაა ნიკოლოზ დადიანის „სახელმწიფოებრივი საქმიანობის ნაყოფი—„დასტურლამა“, რომელიც მან შეადგინა ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ მიბაძვით[18]. ეს მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია XIX ს. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების შესწავლისათვის. საყურადღებოა, რომ ნიკოლოზ დადიანი, მეფის ერთგული, რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში ნამყოფი და ამ ქვეყნის მართვა-გამგეობის წესის კარგად მცოდნე, თავის პროექტს ვახტანგ VI-ის დასტურლამალის მიხედვით ადგენს, იგი რუსული გავლენისაგან თავისუფალია და მას ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობა ესმის[19].

ნიკოლოზ დადიანის „ქართველთ ცხოვრება“, თავისი ორიგინალური ნაწილის გამოკლებით, ძირითადად „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ცნობების განმეორებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ ითქვა, ამით მისი თხზულების დიდი მნიშვნელობა, საქართველოს ისტორიის მთლიანი და არა დაქსაქსული სახით წარმოდგენის თვალსაზრისით, ოდნავადაც არ იჩრდილება. „ქართველთ ცხოვრების“ იმ მონაკვეთში, სადაც ავტორი მის მიერ გადმოცემული ამბების თანამედროვეა, მეტად საყურადღებო მასალაა მოცემული. აქ მოტანილია ცნობები მე-18 ს. მიწურულისა და XIX ს. დამდეგის დასავლეთი საქართველოს პოლიტიკური ვითარების შესახებ. თხზულება მოყვანილია 1824 წლამდე[20].

XIX ს. 40-ანი წლებიდან ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ერთგვარი გარდატეხა ჩანს. შეიმჩნევა ვახუშტისაგან ნაანდერძევი ძველი მეცნიერული ტრადიციების აღდგენისა და მისი განვითარების ცდები. ეს ცდები აღინიშნა თეიმურაზ ბატონიშვილის შემოქმედებით.

დასაწყისში, როგორც ჩანს, რომანტიკული მიმართულება სძლევდა თეიმურაზს, სამშობლოდან ფაქტიურად დევნილ ამ ბატონიშვილს, თავისებურად შეეფერადებინა ზოგიერთი ისტორიუ-

ლი ფაქტი, მაგრამ ასეთი მიმართულება მისი შემოქმედების განმსაზღვრელი არ ყოფილა.

ისტორიული კვლევისათვის იმ დროს საკმაო ცოდნით აღჭურვილ თეიმურაზს მეცნიერული სიფრთხილე ახასიათებდა. მას, როგორც მართებულად შენიშნავს შ. მესხია, შეგნებული ჰქონდა ამა თუ იმ ერის ისტორიის აღწერის სიძნელე, წყაროების გამოყენების და წესიერად მოთხრობის პასუხისმგებლობაც".[21] იგი საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა „ივერიის ისტორიის" დასაწერად. ეს წიგნი გამოიცა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1848 წ. პეტერბურგში.[22]

თეიმურაზის ძირითადი და უცილებელი წყარო „ქართლის ცხოვრება" იყო. ამავე დროს იგი იყენებდა ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიას, „უძველეს წერილობით ძეგლებს", თქმულებებს, ზეპირგადმოცემებს, **„ზღაპარ-სიტყვაობას"** და, რაც კიდევ მეტად საგულისხმოა იმ დროის მკვლევარისათვის, ხალხში დარჩენილ ზნე-ჩვეულებასაც".[23]

საყურადღებოა, რომ თეიმურაზისათვის პირველწყაროს ცნობა ყოველთვის მისაღები არ იყო. ზოგჯერ იგი სხვადასხვა წყაროების მოშველიებით ასწორებდა საეჭვო ცნობას, იძლეოდა წყაროს კრიტიკასაც, თუმცა წყაროების დასახელებაში თანმიმდევრული არ ყოფილა.[24]

თეიმურაზის წყაროები არც თუ ისე შეზღუდულია. იგი ზოგჯერ აღწევს თავს „ქართლის ცხოვრებას" და საღ მოსაზრებებსაც აყენებს. მაგ., იგი ვახუშტის მსგავსად უბრალოდ არ იმეორებს მროველის მოთხრობას ე. წ. „მამასახლისობის პერიოდის" შესახებ, არამედ „ცდილობს დახატოს ძველი საქართველოს სოციალური წყობილების სურათი".[25]

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი ცდილობდა დამდგარიყო თავისი დროის ისტორიული მეცნიერების განვითარების დონეზე, მოეცა სრულყოფილი ისტორიული ნაშრომი: „...სურვიელ ვიყავ უფრორე ბაძვად ახალთა მსოფლიოთა და საზოგადოთა ისტორიკოსთა"-ო.

თეიმურაზმა პირველმა სცადა ბერძნულ-რომაული წყაროების გამოყენება საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.[26] სხვაც რომ არა იყოს, ესეც საკმაო იქნებოდა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მისთვის მნიშვნელოვანი ადგილი მიგვეჩნეოდა.

თეიმურაზი პირველი შეეცადა იბერ-კოლხთა წარსულის გასაუქმებლად გამოეყენებინა მითები და ამასთან, ასევე პირველმა სცადა დაეკავშირებინა ეგრისის ძველი ისტორია იბერიის ისტორიისათვის.[27]

თეიმურაზის თხზულება საქართველოს ისტორიის უძველეს და ყველაზე უფრო ძნელად გასარკვევ პერიოდს ეხება. იგი მოყვანილია მე-4 ს. პირველ ნახევრამდე—სრულდება მირიან მეფის გარდაცვალებით[28].

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი, ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ, წარმოადგენდა ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ძველი ისტორიოგრაფიდან ახალი ქართული ისტორიოგრაფიისაკენ.

ქართული ისტორიული მეცნიერების შემდგომ განვითარებას საგრძნობლად შეუწყო ხელი პლატონ იოსელიანის მოღვაწეობამ. სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული პლატონი რელიგიურ-მონარქისტული აღზრდის ტიპიური წარმომადგენელი იყო. ნიჭიერი თეოლოგი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, მეფის მთავრობის ერთგული მოხელე, რუსოფილური და ქართულ-ეროვნული ტენდენციების ერთგვარი შემხამებელი, ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი უმთავრესად ქართულ საეკლესიო-ისტორიულ საკითხებს სწავლობდა.

იოსელიანი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნისათვის მებრძოლი მეცნიერი იყო. საქართველოს, თუნდაც საეკლესიო, ისტორიის გაცნობა რუსი მკითხველისათვის, რასაც იოსელიანი ისახავდა მიზნად, უეჭველად სასარგებლო პატრიოტულ საქმედ ჩანდა.

1835 წ. პეტერბურგში გამოვიდა იოსელიანის წიგნი—„ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია“, რუსულ ენაზე[29]. წინასიტყვაობაში ავტორი სამართლიანად მიუთითებდა, რომ საქართველოს ადრე არ ჰქონია „საეკლესიო ისტორია“, რომ ადრე საეკლესიო ამბებს მწერლები იმდენად ეხებოდნენ, რამდენადაც მათ საქმე ჰქონდათ მოქალაქეობრივ ყოფა-ცხოვრებასთან და იგონებდნენ „მოკლედ, უკრიტიკოდ“.

საყურადღებოა, რომ ავტორი გამოდიოდა უპრეტენზიო და ამასთანავე კრიტიკული ტონით. მას ახასიათებდა დასახული ამოცანის სირთულის შეგნება. მისი მომზადებაც დიდად უწყობდა ხელს სწორედ ისეთი თხზულების შექმნას, რომელსაც პირველ რიგში მართლმადიდებლური ეკლესიის სურვილები უნდა დაეკმაყოფილებინა. ავტორი შესავალში აცხადებდა, რომ მან წიგნის შედგენისათვის უცხოური, კერძოთ ბიზანტიური, წყაროებიც მოიშველია, არსებული ცნობები გამოიძია, აწონდაწონა და შესაფერისად აამეტყველა. მის განცხადებაში გაფორმებული მეცნიერი მკვლევარისათვის დამახასიათებელი ტონი ისმოდა. იქვე ჩანდა, რომ მას ასე თუ ისე წარმოედგინა თავისი ისტორიის უარყოფითი

მხარეებიც მეტი წყაროების მოძებნისა და აღწერის სისრულის, თუ სხვა ღირსება-ნაკლოვანებების თვალსაზრისით.[30]

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც მოსალოდნელი იყო თეოლოგი ისტორიკოსისაგან, პლატონ იოსელიანის თხზულება გამსჭვალულია საეკლესიო ნაწარმოებთადმი ნდობით; თუმცა იგი ყოველთვის არაა ამა თუ იმ საეჭვო ცნობის ბრმა გამზიარებელი და სხვადასხვა ცნობების მოშველიებით ცდილობს ჭეშმარიტების დადგენას. ამავე დროს მას ბევრგან სძლევს ძველი დამოუკიდებელი ქართული ეკლესიისადმი რომანტიკული განწყობილება.

როგორც ღვთისმეტყველი, იოსელიანი რელიგიურ-იდეალისტური შეხედულებით იყო აღჭურვილი. ეს ჩანდა არა მარტო მის ეკლესიურ-ისტორიული ხასიათის ნაშრომებში, არამედ ისტორიულ მონოგრაფიებშიც.[31] მიუხედავად აღნიშნულისა, პლატონ იოსელიანის შრომას საქართველოს ისტორიისათვის სათანადო მასალების შეგროვების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მის კალამს ეკუთვნის რუსულ ენაზე შედგენილი მარტყოფის[32], შიომღვიმის,[33] ქვათახევისა[34] და სხვა მონასტრების აღწერილობანი, რომლებშიც ჩვენი ისტორიისათვის ყურადსაღებ მასალას ვპოულობთ.

ინტერესს მოკლებული არაა აგრეთვე იოსელიანის მიერ ხაქართველოს სხვადასხვა რაიონებში მოგზაურობათა შედეგად შეკრებილი ცნობები.[35] ამ მხრივ პლატონ იოსელიანი უეჭველად პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიისათვის ახალი მასალების ძიების საქმეს; ეს ტრადიცია, რომელიც დიდ სიმაღლეზე აიყვანა ჯერ ბროსემ და შემდეგ დიმიტრი ბაქრაძემ, უეჭველად პლატონ იოსელიანისაგან იყო შეთვისებული.

პ. იოსელიანი ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველია, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ქართულ სიძველეთა ძეგლების შესწავლას. მის ნაშრომს „Описание древностей Тифлиса“-თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს[36]. ასევე მან პირველმა მოგვცა საქართველოს ისტორიის ცალკეული მონოგრაფიებად შესწავლის ცდა.

ჩვენი ისტორიული მეცნიერებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იოსელიანის იმ ნაშრომს, რომელიც მან ქართულ ენაზე დაწერა—„ცხოვრება გიორგი მცამეტისა“[37].

აღნიშნული ნაშრომი, როგორც მართებულად შენიშნავს მისი გამომცემელი აკ. გაწერელია, ახასიათებს იოსელიანის მსოფლმხედველობას. ავტორი თავის ნაშრომს მეფის რუსეთის ოფიციალური ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს უხამებდა, როცა აღნიშნავ-

და, რომ „დიდად სწყალობდა ქართველთა იმპერატორი პაველო". მის ნაშრომს ტენდენციურობის უეჭველი დაღი აზის, როდესაც იგი ყველაფერში ამართლებს გიორგი მეფეს. თუმცა პლატონი საქართველოს ხსნას რუსეთთან შეერთებაში ხედავდა, მაგრამ მის წიგნში მაინც გამოსჭვივოდა ერთგვარი სინანული სამეფოს გაუქმების გამო. მასვე ახასიათებდა მოვლენების შეფასებისადმი სუბიექტივისტური მიდგომა[38]. დასახელებულ ნაშრომში ავტორს ახასიათებდა აგრეთვე „ნაციონალიზმიც", რომელიც შეხამებული იყო მეფის ერთგულებასთან. ეს იყო ნიშანდობლივი თვისება XIX ს. ქართული არისტოკრატიის ერთი ჯგუფისა, რომელიც „ითავსებდა ერთმანეთთან პატრიოტიზმსა და პოლიტიკურ რენეგატობას"[39].

აღნიშნულ თხზულებაშიაც ავტორი ვერაა განთავისუფლებული თეოლოგი ისტორიკოსის თვისებებისაგან, რაც თავს იჩენს „ქრისტიანე მეფის" ბიოგრაფიის აღწერაში[40]. მიუხედავად ამისა „გიორგი XIII–ის ცხოვრება" ძვირფას ისტორიულ წყაროს წარმოადგენს და მას დღეისათვისაც მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

როგორც ჩანს, პლატონ იოსელიანი გრძნობდა, რომ საქართველოს ისტორიის დაწერა არსებული მასალების საფუძველზე, მით უფრო ძველი პერიოდისა, ძალზე ძნელი და შეუძლებელიც იყო. ამის შესახებ უნდა მიუთითებდეს ზ. ჭიჭინაძის გადმოცემა იმ დროს თბილისში „პატარა წრის" შექმნის შესახებ, რომელსაც განზრახული ჰქონდა წიგნების ბეჭდვა, და „სხვათა შორის საქართველოს ისტორიის დაწერაც. ისტორიის დაწერა რამდენიმე კაცმა გაინაწილა, ძველი დროების დაწერა პ. იოსელიანს აკუთვნეს. ახალ დროის დაწერას ყველა ჰკიდებდა ხელს და ძველს კი არავინ. ნ. ბარათაშვილმა სთქვა, რომ მაგის დაწერა ჩვენს მღვთისმეტყველს ვაკუთვნოთო"...[41] როგორც ვხედავთ, ახალგორვანი პოეტის ნ. ბარათაშვილის წინადადებით, იოსელიანისათვის პირდაპირ დაუვალებიათ საქართველოს ძველი ისტორიის დაწერა, მაგრამ ამ დავალებას შედეგი არ მოჰყოლია. ამის მიზეზი, ზემოთ უკვე ნათქვამთან ერთად, ის უნდა ყოფილიყო, რომ აღნიშნული წრე საქართველოს ისტორიის დაწერისათვის მზად არ ყოფილა.

ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა ცნობილმა მარი ბროსემ, რომელმაც საქართველოს ისტორია თავის ძირითად და საყვარელ საგნად გაიხადა. როგორც პირველ თავში ითქვა, ბროსე ჯერ კიდევ პარიზში, XIX ს. 30-იან წლებში, თანამშრომლობდა ორიენტალისტებთან ერთად. მან კლაპროტთან თანაავტორობით ქართული გრამატიკაც კი გამოსცა. პარიზიდან მას თითქმის განუწყვეტელი ურთიერთო-

ბა ჰქონდა ქართველ ბატონიშვილებთან და განსაკუთრებით თეიმურაზ ბატონიშვილთან, რომლის მადლიერ მოწაფედაც თავს აღიარებდა. თეიმურაზმა მართლაც დიდად შეუწყო ხელი ბროსეს წარმატებას საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში. 1836 წლიდან ბროსე პეტერბურგში იმყოფება და მისი კავშირი ქართველ ბატონიშვილებთან, ისე როგორც ქართველი მეცნიერული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან, უფრო ცხოველი ხდება.

ბროსე ფლობდა რომაულ-ბერძნულსა და ევროპულ ენებს. მან შეისწავლა ქართული და სომხური ენები. ამასთან ერთად დიდი ერუდიცია, სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისათვის მაღალი მომზადება ხელს უწყობდა მას სათანადო წარმატების მოპოვებაში. დასაწყისში იგი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა რაც შეიძლებოდა მეტი მასალების შეგროვებას. მისი ძალზე ფართო წერილობითი კავშირ-ურთიერთობა ქართველ ინტელიგენციასთან ამ მიზანს ემსახურებოდა. ამავე მიზნით მან საქართველოში იმოგზაურა, რის შედეგადაც მეტად ძვირფასი ისტორიულ-არქეოლოგიური მასალა შეაგროვა და გამოსცა[42].

1849 წლიდან მოყოლებული ბროსე უაღრესად რთულ სამუშაოებს ასრულებს. ამ წელს მან გამოსცა „ქართლის ცხოვრების" ვახტანგისეული ვარიანტი—ქართული ტექსტი[43]; ცალკე გამოსცა ამ ტექსტის ფრანგული თარგმანიც[44]. ხოლო ორი წლის შემდეგ გამოაქვეყნა სქელტანიანი ნაშრომი, რომელიც შეიცავდა „ქართლის ცხოვრების" „დამატებებსა და განმარტებებს"[45]. 1856 წ. ბროსემ „ქართლის ცხოვრების" მეორე ნაწილის ფრანგული თარგმანიც გამოსცა სათანადო მეცნიერული დამატებებით[46], 2 წლის შემდეგ კი მისი ნაყოფიერი შემოქმედება კიდევ ახალი კაპიტალური ნაშრომით აღინიშნა,—ეს იყო „ქართლის ცხოვრების" შესავალი და საგნობრივი სძიებელი"[47].

გარდა აღნიშნულისა ბროსეს კალამს კიდევ მრავალი და არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაშრომი ეკუთვნის. 1855-1858 წლებში ბროსეს დაუწერია „საქართველოს ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა" ორ ნაწილად, რუსულ ენაზე. ეს მიმოხილვა ბროსეს შვილს—ლავრენტის გადაუცია ნიკოლოზ ღოღობერიძისათვის, რომელმაც მიმოხილვის ქართული თარგმანი გამოაქვეყნა[48].

ბროსეს მდიდარი შემოქმედება ჯერ კიდევ არაა შესწავლილი. ამიტომ მისი ზოგადი დახასიათებაც გაძნელებულია. ბროსე უდავოდ თავისი დროის ისტორიული მეცნიერების განვითარების დონეზე იდგა. მან მოგვცა ისტორიული ტექსტის მეცნიერული აპარატით გამოცემის ნიმუში. ისტორიული ხასიათის მასალა ბროსეს მრავალმხრივი მნიშვნელობით ჰქონდა წარმოდგენილი.

საბუთებში იგი არამარტო პოლიტიკურ-ისტორიულ მოვლენებს ამჩნევდა, არამედ ხალხის საშინაო ცხოვრების მომენტებსაც. მას ახასიათებდა შედარებითი და ანალიზური მეთოდების გამოყენება, მოვლენათა შეფასება, სრული შეუზღუდველობა წყაროების გამოყენებაში და საერთოდ რთული მეცნიერული აპარატი. თავისი მეთოდოლოგიით ბროსე უახლოვდებოდა პოზიტივისტური ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის პოზიციებს.

ბროსეს, როგორც XIX ს. შუა წლების ისტორიკოსს, კიდევ უფრო ნაკლებად ვიდრე პოზიტივისტებს, შეეძლო თანმიმდევრულად განხორციელება იმ დროის ისტორიოგრაფიის მიერ შემუშავებული მოთხოვნებისა, კერძოდ ქვეყნის საშინაო სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების შესწავლის საქმეში. წყაროების ბროსეული კრიტიკაც შორს ვერ წავიდა. „ქართლის ცხოვრების“ სა-ეჭვო გადმოცემები მისთვის ძირითადად მისაღები იყო. ისტორიის მთავარ შინაარსს იგი პოლიტიკურ მოვლენათა ვითარებაში ხედავდა. ამავე დროს მან თავი ვერ დააღწია „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობის პრინციპს, მის სქემას, სისტემას. იგი, ისე როგორც მისი წინარე ხანის ქართველი ისტორიკოსები, თავის მთავარ ამოცანად ისახავდა ამ ძეგლის შევსებას ახალი ფაქტობრივი მასალით, მისი უსწორო ადგილების გამართვას, მოტანილი ცნობების შემამოწმებელი პარალელების მოძებნას; რაც შეეხებოდა ძეგლის პოლიტიკურ-ისტორიულ ფონს, ეს ბროსესთვის მისაღები იყო. ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ მაღალი ერუდიციის მქონე ისტორიკოსს მუშაობა უხდებოდა საქართველოს ისტორიაზე, რომლის პრობლემათა, განსაკუთრებით ძველი პერიოდის, სათანადო გაშუქება დღევანდელი განვითარებული ისტორიოგრაფიისათვისაც გაძნელებულია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პეტერბურგში მყოფ უცხოელ ბროსეს, რომელიც საქართველოდან მოწყვეტილი იყო, ქართული წყაროების შემდგომი გამოვლინება-გადამუშავების საშუალება არ ჰქონდა, იგი ადგილზე, საქართველოში, სისტემატური მუშაობის საშუალებას მოკლებული იყო.

ბროსეს ნაყოფიერმა შემოქმედებამ დიდად შეუწყო ხელი ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის განვითარებას. მისმა ღვაწლმა საგრძნობლად გაუადვილა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა XIX ს. II ნახევრის ქართველ ისტორიკოსებს, მათ შორის დიმიტრი ბაქრაძესაც.

ბაქრაძის წინაპარ ქართველ ისტორიკოსთაგან ჩვენს ისტორიოგრაფიაში გარკვეული ადგილი უკავია სულხან ბარათაშვილს; თუმცა იგიც, ისე როგორც ბროსე, საქართველოდან მოწ-

ყვეტილი იყო. ამასთანავე ბარათაშვილი თავისი ქვეყნის ისტორიას რუსულ ენაზე, რუსი მკითხველისათვის წერდა. ამ შემთხვევაში მისი მიზანდასახულება, როგორც ჩანს, ისეთივე იყო, როგორც პლატონ იოსელიანისა, რომელიც თვლიდა, რომ საჭირო იყო საქართველოს გმირული ისტორიის გაცნობა რუსი მკითხველისათვის, რომ არ შელახულიყო მეფის რუსეთის მიერ ქართველი ფეოდალური ინტელიგენციის თავმოყვარეობა, რომ ქართველობა არ მოენათლად „უკულტურო", „გაუნათლებელ" ხალხად, „აზიელებად", რაც მეფის შოვინისტი მოხელეებისაგან ხშირად ისმოდა. ამასთანავე ისიც აღსანიშნავია, რომ ბარათაშვილი თავიდანვე მეფის სამხედრო მოხელის ყაიდაზე რუსულად აღზრდილი პიროვნება იყო და მას რუსულად წერა უფრო ემარჯვებოდა. იგი, როგორც გავლენიანი ქართული თავადური სახლის შვილი, ქედს უხრიდა რომანოვების სამეფო კარს, როგორც მათი მორჩილი მსახური. ქართველი თავადაზნაურობის ინტერესების მეფის რუსეთის ინტერესებთან შეგუების ცდები, ამასთან რწმენა, რომ მეფის მთავრობისთვის სასარგებლოც კია ანგარიში გაუწიოს მდიდარი კულტურის მქონე ქართველობას, რადგან ქართველები ტახტის ერთგულნი არიან, თავისებურად განმარტავდა ბარათაშვილის შემოქმედებას[49].

ბარათაშვილის მთავარი ნაშრომია „საქართველოს ისტორია". იგი ხელნაწერიდან ითარგმნა 1863 წ. და დაიბეჭდა „საქართველოს მოამბე"-ში. „საქართველოს ისტორიის" დასრულება მან ვერ მოასწრო. იგი გარდაიცვალა 45 წლის ასაკში—1866 წ.[50] მის სიცოცხლეში მხოლოდ ისტორიის „პირველი რვეული" გამოვიდა რუსულ ენაზე, პეტერბურგში; დანარჩენი 4 რვეული, რომლის დაწერაც მან მოასწრო, ბარათაშვილის სიკვდილის შემდეგ გამოსცეს[51]. V რვეულის რუსულიდანის მეფობით თავდება. არსებობს პირველი 3 რვეულის ქართული თარგმანი[52].

როგორც მისი „საქართველოს ისტორიიდან" ჩანს, ბარათაშვილი იმ დროისათვის დიდი ერუდიციის ისტორიკოსი იყო. მის შესახებ სპეციალური მონოგრაფიის ავტორი, პროფ. გ. ნათაძე, მართებულად მიუთითებს, რომ ბარათაშვილი კარგად იცნობდა მსოფლიო ისტორიის შესახებ მაშინ არსებულ ლიტერატურას ვებერს, შლოსერსა და სხვებს. იგი იცნობდა რომის ისტორიასაც (გიბბონის მიხედვით) და, რაც მეტად საყურადღებო იყო, იგი ბერძენ-რომაელ მწერალთა ნაშრომების დედნებს იცნობდა და თავის ისტორიაში იმოწმებდა. ანტიკური მწერლობის მონაცემებს იგი უდაზებდა

„ქართლის ცხოვრების“ ცნობებს, ვახუშტისა და თეიმურაზის ნაშრომებს. „მსოფლიო ისტორიის ცოდნა უპირატესად ასხვავებს ს. ბარათაშვილს მისი წინაპრებისაგან“. იგი ცდილობს თავისი ისტორიის აშენებას მსოფლიო-ისტორიულ მოვლენებთან კავშირში[53].

მიუხედავად იმისა, რომ აკად. მ. ბროსეს ბარათაშვილი ხშირად იმოწმებდა, მას საკმაოდ არ ჰქონდა შეთვისებული ბროსეული წყაროების ანალიზისა და ისტორიული ფაქტების დადგენის ხერხები. კვლევის მეთოდში იგი ჰბაძავდა გიზოს, ბოკლს, ანუ აგებდა თავის ისტორიას ერთი რომელიმე ძირითადი პრინციპის მიხედვით. მაგ., ბარათაშვილის ნაშრომში არის ისეთი ადგილები, სადაც იგი გვპირდება განიხილოს ისტორია „ჩვენი ქვეყნის საერთო ისტორიულ პროცესზე ნიადაგისა და რელიეფის გავლენის თვალსაზრისით“[54]. იზიარებდა რა აღნიშნული ისტორიკოსების მეთოდოლოგიას, ბარათაშვილი ვერ იყო მისი თანმიმდევრული შემსრულებელი და ხშირად უხვევდა ძირითად შეხედულებას. ამავე დროს იგი თავისუფალი არ ყოფილა პროვიდენციალიზმისაგან[55].

თავისი ისტორიის „რვეულებში“ ბარათაშვილი მისდევდა იმ დროისთვის საერთოდ მიღებულ პერიოდიზაციას. მან, ისე როგორც მისი დროის სხვა ისტორიკოსებმა, არ იცოდა, რომ ისტორია ფორმაციების მიხედვით უნდა აგებულიყო.

მიუხედავად აღნიშნულისა, სულხან ბარათაშვილმა ქართველ ისტორიკოსთაგან პირველმა ზოგჯერ მსოფლიო ისტორიის ცნობების მოშველიებით საქართველოს ისტორიის მეცნიერული გაშუქების ცდა, ზოგიერთი ისტორიული მოვლენების (კერძოდ ქრისტიანობის გავრცელების) მსოფლიო-ისტორიულ ფონზე წარმოდგენის ცდა, რომელსაც ახლავს თუმცა სუსტი, მაგრამ მაინც თავისებური მეცნიერული აპარატი. მის მიერ გამოყენებული წყაროების მასშტაბი ფართოა. ყოველივე ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლის მაუწყებელი იყო.

ბარათაშვილის ისტორიის პირველი რვეულის გამოსვლას, როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, დიმიტრი ბაქრაძე აღტაცებით შეხვდა. ერთ საპასუხო წერილში იგი სწერდა ბარათაშვილს: „...იმედი არა მქონდა, თუ ჩვენთაგანი, საქართველოს შვილთაგანი, აწინდელს დროში ასეთს შრომას დაუდებდა თავსა და ან თუ ვინმე ასე მომზადებული იქნებოდა. ამას უსაფუძვლოთ არ მოგახსენებთ“[56]. დ. ბაქრაძეს განსაკუთრებით მოსწონებია ბარათაშვილის მიერ გამოყენებული წყაროების სიმრავლე. შექებასთან

ერთად იგი ბარათაშვილს უსაყვედურებდა იმის შესახებ, რომ მის ნაშრომში არ იყო გასწორებული ევროპელ ავტორთა მიერ დაშვებული უხეში შეცდომები სომხეთ-საქართველოს საზღვრების გარშემო[57].

ამგვარად, შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ ბაქრაძის წინარე ხანის ისტორიკოსები ძირითადად რჩებოდნენ „ქართლის ცხოვრების“ ტყვეებად. ბატონიშვილებიდან დაწყებული ვიდრე ბროსემდის, ყველა მიზნად ისახავდა ამ ძეგლის შევსება-შესწორებას, მისი საკონტროლო პარალელების მოძებნას. ისტორიის პრინციპული გამართვა მათ ნაშრომებში ძირითადად „ქართლის ცხოვრების“ სქემის საფუძველზე ხდებოდა. მიუხედავად ამისა, როგორც დავინახეთ, აღნიშნულმა ისტორიკოსებმა დიდად შეუწყვეს ხელი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას: „ქართლის ცხოვრების“ შემდგომი შევსება-გაგრძელება, ახალი ისტორიული მასალის გამოვლინება-შეგროვებისათვის ბრძოლა, ძველი მეცნიერული ტრადიციების აღდგენის ცდები, მეცნიერული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის გაუმჯობესებულ საფეხურზე აყვანა, ისტორიისათვის გამოყენებული წყაროების მასშტაბის გაფართოება, ზოგიერთი საკითხების მსოფლიო-ისტორიულ ფონზე განხილვის ცდები, ქართულ ისტორიოგრაფიასთან მჭიდროდ დაკავშირებული ბროსეს მიერ ქართული ისტორიული ძეგლების გამოცემა სათანადო მეცნიერული კომენტარიებით და სხვა, ყოველივე ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ ქართული ისტორიოგრაფია მე-19 ს. 40-ანი წლებიდან მოყოლებული შეუჩერებლივ ვითარდებოდა.

ზოგად ფორმებში ასეთი იყო ის მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც ბაქრაძის შემოქმედებას წინ უძღოდა.

2. დ. ბაქრაძის მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისი.

ნაშრომები: „სვანეთი“, „საქართველო“, „კავკასიის ძველი ქრისტიანული ძეგლები“.

ბაქრაძის მეცნიერული მოღვაწეობა იწყება 1850 წლიდან ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილების გამოქვეყნებით[58].

სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულ ბაქრაძეს სამშობლოში დაბრუნების დღიდან უხდებოდა ნაკლული ცოდნის შევსება. საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობის დაწყებით მას ერთბაშად უნდა ეგრძნო, თუ რაოდენ სერიოზულ საქმეს ჰკიდებდა ხელს და რამდენად ბევრი უნდა ემუშავნა, რომ მეცნიერების უკანასკნელი მოთხოვნების დონემდის ასულიყო.

ჯერ კიდევ 1865 წ., როდესაც იგი თავისი მომზადებით საკმაოდ შორს იყო წასული, ბარათაშვილს სწერდა: „თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ყმაწვილობაში ჩვენი მშობლები რა გვარ გზაზე გვაყენებენ და რა შეუძლიანთ, თუნდ მონდომილნიც იყვნენ“... იქვე იგი აღნიშნავდა, მის მიერ და მისი კოლეგა ახალგაზრდების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების ნაკლულობას და დასძენდა: „თავში ბევრი მწყრები გვყავს“-ო[59]. აქ, ცოდნის ნაკლებობის აღიარების გარდა, ჩანდა ბაქრაძის თავმდაბლობა, მეცნიერული მოკრძალება—მეცნიერი მუშაკის წარმატებისათვის უეჭველი ნიშნები, რაც მას ბოლომდის, თავისი შემოქმედების სიმწიფის დრომდეც კი, შერჩა.

მეცნიერული მუშაობის პირველ პერიოდში (1850-1860) დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომები თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა დილეტანტი დამკვირვებლების ნაშრომებისაგან, მაგრამ შემდეგში იგი ეცნობა ისტორიული მეცნიერების ახალ მოთხოვნებს და თანდათანობით ცდილობს ავიდეს თავისი დროის მეცნიერების განვითარების დონემდე. დ. ბაქრაძის წარმატებას ხელი შეუწყო მის მიერ აკად. ბროსესთან ცხოველი ურთიერთობის გაბმამ, მაგრამ ბაქრაძე მაინც სამეცნიერო ცენტრებს მოწყვეტილი და საკუთარი ძალების ანაბრად რჩებოდა. თბილისში არ არსებობდა საქართველოს ისტორიაზე მომუშავე მეცნიერთა წრე. პლატონ იოსელიანი თავისი საეკლესიო-კლერიკალური მიმართულებითა და ცოდნით ახალ მოთხოვნებს უკვე ვერ უპასუხებდა. ასე რომ ბაქრაძეს მარტოდ-მარტოს უნდა მოესინჯა თავისი მეცნიერული მოღვაწეობის ასპარეზი, გადაეხედა მის წინაპართა ნამუშაკევისათვის და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნისათვის ბრძოლა უპირველესი საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტით დაეწყო.

დ. ბაქრაძე თავს თვლიდა აკად. ბროსეს საქმის გამგრძელებლად. მან მართლაც ღირსეულად განაგრძო საუკეთესო წინაპრის საქმიანობა და ახალი მასალების საფუძველზე გაასწორა ბროსეს ნაშრომებში დაშვებული მრავალი შეცდომა.

რამდენიმე წლების მანძილზე გაწეულმა მუშაობამ დ. ბაქრაძე დაარწმუნა, რომ არსებული მასალებით არ შეიძლებოდა ისტორიის ღირსეული სახელმძღვანელოს დაწერა. სინთეზური მუშაობა, რასაც მისი წინაპრები აწარმოებდნენ, უმჯობეს შედეგს ვერ მოიტანდა, თუ ისტორიისათვის საჭირო ახალი მასალები არ იქნებოდა შეგროვილი და სათანადოდ შესწავლილი. ამიტომ მასალების ძიების ტრადიცია, პლატონ იოსელიანის მიერ დაწყებული და ბროსეს მიერ სათანადო სიმაღლეზე აყვანილი, დ. ბაქრა-

ძემ კარგად შეითვისა და ახალ მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა.

დ. ბაქრაძის მიერ დაწყებული ისტორიულ-არქეოლოგიური მასალების ძიების პირველი სერიოზული შედეგი აღინიშნა მისი ნაშრომით—„სვანეთი", რომელიც გამოიცა 1864 წ.[60] ეს არის ბაქრაძის, შეიძლება ითქვას, პირველი სოლიდური ნაშრომი, რომელშიც მოცემულია მდიდარი ისტორიული მასალა.

ნაშრომის დასაწყისში ბაქრაძე სამართლიანად მიუთითებდა სვანეთის შესახებ ისტორიული ცნობების ნაკლებობაზე. არსებული ქართული წყაროების საფუძველზე იგი გვაძლევდა სვანეთის ადრინდელი პერიოდის შესახებ ისტორიულ ექსკურსს, რომელიც შეიძლება ითქვას, დღეისთვისაც ერთადერთია[61].

ნაშრომში დიდი ყურადღება ექცევა სვანეთის ქრისტიანული ძეგლების ეპიგრაფიკას.

„განსაკუთრებით მაინტერესებდა,—წერდა ბაქრაძე,—წარწერები და ვიწერდი ყველას, რაც კი მხვდებოდა, ისე რომ შევაგროვე 120-ზე მეტი წარწერა. წარწერები გამოკვეთილია ეკლესიის კედლის ქვის ზოდებზე კი არა, როგორც ქართლში და განსაკუთრებით ახალცხის მაზრაში, არამედ ამოჭედილია, როგორც თითქმის მთელს იმერეთში, ხატებსა და ჯვრებზე, ან მიწერილია სახარებებსა და სხვა წიგნებზე. მათი უმეტესობა ასომთავრულითაა დაწერილი... ბევრი გადაშლილია დროის გამო, ან დაფარულია სქელი პვარტლით და ძლივს იკითხება. ხატებზე გვხვდება აგრეთვე ბერძნული წარწერები, ზარებზე კი—ლათინურიც. ეს უკანასკნელნი შეიცავენ უპირატესად შემოწირველთა და ხელოსანთა სახელებს. ტაძრების მშენებლები მოხსენებულნი არ არიან, მხოლოდ ლატალის ეკლესიის წარწერა გვეუბნება, რომ ეს ეკლესია ლატალელების საზოგადოებას აუშენებია"...[62]

მოტანილი ცნობა მკვლევარს მრავალმხრივ ინტერესს აღუძრავს და ბევრ საკითხზე დააფიქრებს. როგორც ვხედავთ, ბაქრაძე, ამდროისთვისაც კი, მასალის უბრალო შემგროვებელი კი არა, არამედ საკმაო მეცნიერული მომზადებით აღჭურვილი დამკვირვებელია. იგი ეძიებდა როგორც ქართულ, ისე ბერძნულ-ლათინურ წარწერებში და ფაქტების განზოგადოების ცდასაც იძლევა. რაც შეეხება დასრულებულ ანალიზს, ასეთის მოცემას ბაქრაძე შეგროვილ მასალათა წარმოდგენისას მიზნად არ ისახავდა. მისი აზრით, შეგროვილი მასალების ამეტყველება ისტორიისათვის იმის შემდეგ უნდა მომხდარიყო, როდესაც ეს შეგროვება ძირითადად დასრულდებოდა.

ნაშრომში მოტანილი მასალა დღეისთვისაც, შეიძლება ითქვას, ყველაზედ უფრო ძვირფასია სვანეთის სოციალურ-პოლი-

ტიკური წყობილების შესწავლისათვის. ბაქრაძე თითქოსდა უპასუხებს ისტორიული მეცნიერების ასეთ მოთხოვნას, როდესაც გახაზავს წყაროების მეტად საინტერესო მითითებებს. ამ მხრივ საყურადღებოა უკვე მოხსენებული ფაქტი ლატალელთა მიერ ეკლესიის აშენების შესახებ, ტერმინი „საზოგადოების“ სინონიმი „ხევი“, გამოთქმა „ერთობილნი სვანნი“ და სხვ.

ბაქრაძემ გადმოიღო აგრეთვე საეკლესიო წიგნების მინაწერები. მისი თქმით, ეს მინაწერები მოგვიანო ხანას ეხება. საინტერესოა მათი შინაარსიც: სისხლის ფასი, ხელშეკრულებანი ცალკეულ პირებსა და სოფლებს შორის „საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედების შესახებ“[63].

ნაშრომიდან ნათლად ჩანს, რომ ბაქრაძის მოგზაურობა სვანეთში არ ყოფილა უბრალო ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, ან კიდევ რუსული მმართველობის მოხელის მიერ წარმოებული დაზვერვა, როგორც ეს მაშინ ერთგვარ მოდაში იყო შემოსული (ვგულისხმობთ ბარტოლომეის მოგზაურობას თავისუფალ სვანეთში).[64] ბაქრაძის მიზანი უპირველეს ყოვლისა ისტორიისათვის საჭირო მასალის შეგროვება იყო; იგი ჩიოდა კიდეც, რომ „ისტორიული წარწერები“ სვანეთში ნაკლებად აღმოჩნდა—„არა უმეტეს 30-სა“; იგი მეტს მოელოდა: „ეჰვს გარეშეა, რომ ისტორიული წარწერები ბევრი იყო ხატებზე, რომლებსაც ჩამოგლეჯილი აქვთ სამოსელი და მოჭედილობა. ისინი საბოლოოდ დაიღუპნენ“[65].

შეკრებილი წარწერები ეკუთვნის XI-XVIII ს. ს. წარწერებში იხსენიებიან: ბაგრატ IV, რუსუდანი, დავით ნარინი, იმერეთის მეფე გიორგი, კახთა მეფე ალექსანდრე და მისი შვილი დავითი, დადიანი ლევან, ვამეყი, შამადავლე და სხვები.

ფართო თვალსაწიერის მქონე მეცნიერი არ შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო მარტო ეპიგრაფიკული მასალის შეკრებით. მას აინტერესებდა სვანეთის ცხოვრების თავისებურებათა შესწავლა. ბაქრაძეს ღრმად სწამდა ისტორიული პროცესის პროგრესი. მან იცოდა, რომ თუ იმ მომენტში არა, შემდეგში უკვე შეუძლებელი იქნებოდა მეცნიერებისათვის სვანეთში შემონახულ ძველ ურთიერთობათა ნათელი წარმოდგენა:

„ამ ტომის ცხოვრების სურათის შესწავლა, რომლის წარმოშობა შორეულ წარსულში იკარგება და რომელმაც, ევროპული ცივილიზაციის მიერ ხელშეუხებელმა, შემოინახა პირველყოფილ ჩვეულებათა ნიშნები, მაღალი ინტერესის საგანია. აქ თქვენ ხედავთ კაცობრიობის მოდგმის ბავშვურ მდგომარეობას მისი სათნოებითა და მანკიერებით“[66].

ბაქრაძე დაინტერესებული იყო აგრეთვე სვანთა წარმოშობის საკითხის მეცნიერული დასაბუთებითაც. მას ღრმად სწამდა, რომ სვანები ქართველურ ტომს შეადგენდნენ, მაგრამ ამ რწმენას იმ დროს, როდესაც ბევრს ეს საკითხი სადავოდ მიაჩნდა, დასაბუთება სჭირდებოდა. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის მან დაიწყო სვანური ენის შესწავლა, მაგრამ, როგორც ჩანს, უსახსრობისა გამო, მან სვანეთში ხანგრძლივი დარჩენა ვერ შესძლო; ამიტომ დაკვირვებებს ამ თვალსაზრისით იგი არადამაკმაყოფილებლად თვლიდა. მიუხედავად ამისა მან შენიშნა რამდენიმე საგულისხმო მომენტი, რომელიც ქართულ-სვანურის ორგანულ კავშირზე მიუთითებდა[67].

ბაქრაძის ამ ნაშრომში საყურადღებო ცნობას იპოვის ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, გეოგრაფი და ეკონომისტიც. მოტანილია საყურადღებო ცნობები სვანეთის საშინაო ყოფა-ცხოვრების, სოფლის მეურნეობის, შინამრეწველობისა და სხვათა შესახებ[68]. ნაშრომი, დანართთან ერთად, 117 გვერდს შეიცავს.

„წიგნში სვანეთის შესახებ,—წერს აკად. გ. ჩუბინაშვილი,—ბაქრაძე იძლევა საერთო მიმოხილვას ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, შემდეგ კი მისი ნაშრომის დიდ ნაწილს შეადგენს საზოგადოებების, სოფლების და ეკლესიების სტატისტიკურ-არქეოლოგიური ცხრილი... მის მიერ შეგროვილი 120-ზე მეტი წარწერის მოტანით. შესრულების სიზუსტის წყალობით ბაქრაძის ნაშრომი ვიდრე დღემდის რჩება სვანეთის ეპიგრაფიკისა და სიძველეთა გარშემო ძირითად ნაშრომად. თავის გამოკვლევას ბაქრაძემ დაურთო 41 წარწერის პალეოგრაფიული ნიმუში და სვანეთის ხუთვერსიანი რუკა"[69].

ბაქრაძის აღნიშნული ნაშრომი დიდად იყო შეფასებული თავის დროზედაც ბროსესა და ევგ. კოვალევსკის მიერ[70].

1869 წ. საქართველოს ისტორიის დაწერის ნაადრევი ცდა ბაქრაძეს მარცხით დაუმთავრდა. როგორც უკვე ნათქვამი იყო, იგი მეტად საყურადღებო მოწოდებით მიმართავდა ქართველ ხალხს, ცდილობდა ფართო საზოგადოების ჩაბმას სამშობლოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნისა და მისი გამოცემის საქმიანობაში. მისი „საქართველო", პირველი რვეული, შესავალი—„კავკაზია", 1869 წელს იბეჭდებოდა გაზეთ „დროებაში", შემდეგ 1870 წ. ცალკე გამოიცა.

საყურადღებოა, რომ ბაქრაძეს „საქართველოს ისტორიის" შესავალი ნაწილი ფართო სქემით ჰქონდა წარმოდგენილი, რომელსაც უმთავრესად ბერძენ-რომაელი მწერლების ცნობების საფუძველზე იძლეოდა. ბარათაშვილის მიბაძვით,

იგი თავის ისტორიას ჰყოფდა „რვეულებად". ამავე დროს დ. ბაქრაძე ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს სამეურნეო ისტორიული ცხოვრების ცალკე, სპეციალურ გამოკვლევას. წიგნის შესავალში იგი აუწყებდა მკითხველს, რომ V რვეულში მას განზრახული ჰქონდა გამოეკვლია „განსაკუთრებით შინაური ცხოვრება ჩვენის ტომისა, დამყარებული ძველს ქართულს და უცხო-ტომთ ლიტერატურაზე, ეკლესიებისა და ხატების წარწერებზე, გუჯრებზე და სიგელებზე"[71]. მისი ნაშრომი ამავე დროს პირველია, რომელსაც ცალკე ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. ეს ნიშნები იმაზე მიუთითებდა, რომ ბაქრაძე მისი დროის ისტორიული მეცნიერების განვითარების დონეს თანდათანობით უახლოვდებოდა.

„პირველი რვეულის" წყაროები არც თუ ისე შეზღუდული ჩანს. აქ ვხვდებით იმ მომენტში რუსულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ ნაშრომებს, უცხოელი მეცნიერების — დრეპერის, შლოსერის, მიულერის, რიტერის, ლებოს გამოკვლევებს, ბროსეს სქელტანიან ნაშრომებს, დუბას წიგნებსა და სხვებს. რა თქმა უნდა, ქართულ ენაზე მაშინ მისაწვდომი მასალა გათვალისწინებულია მთლიანად[72].

როგორც პირველ თავში იყო ნათქვამი, ქართველი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი აღტაცებით შეხვდა ბაქრაძის წიგნს. ეს იმას ნიშნავდა, რომ წიგნი გამიზნული იყო ფართო მკითხველისათვის, დაწერილი იყო პოპულარული ენით. მაგრამ მეორე ჯგუფი მეცნიერული კრიტიკით შეხვდა ამ წიგნს და აღნიშნა, რომ ისტორიის წერა ჯერ ნაადრევი იყო. ამ გარემოებასაც უნდა ჰქონოდა ერთგვარი გავლენა იმაზე, რომ ბაქრაძეს შემდგომი რვეულები არ გამოუცია. მაგრამ თუ გაითვალისწინებდით იმასაც, თუ როგორ მოთხოვნებს უყენებდა თვითონ ბაქრაძე შემდგომ რვეულებს, კერძოდ მე-5 რვეულს, ცხადი გახდება, რომ ავტორის წინაშე გადაულახველმა სიძნელეებმა იჩინა თავი. მას ყოველ ნაბიჯზე უნდა ეგრძნო ცნობების ნაკლებობა. არსებული მასალების უფრო ნაყოფიერი გამოყენება ძეცნიერული ისტორიისათვის გაცილებით უფრო მეტს მომზადებასა და გამოცდილებას მოითხოვდა, ვიდრე ეს ბაქრაძეს ჰქონდა. საერთოდაც ამ მეცნიერების მდგომარეობა იმ ეპოქაში უკეთესის მოცემის იმედს ნაკლებად იძლეოდა. ამიტომ დ. ბაქრაძე კვლავ ინტენსიურად განაგრძობდა საქართველოს ისტორიისათვის საჭირო მასალების შეგროვებას.

დ. ბაქრაძის ხანგრძლივი შემგროვებელი მუშაობის ნაყოფია მისი კაპიტალური ნაშრომი — „კავკასიის ძველი ქრისტიანული

ძეგლები", რუსულ ენაზე[73]. ეს სქელტანიანი წიგნი წარმოადგენს საქართველოსა და სომხეთის მთავარი ქრისტიანული ძეგლების მეცნიერულს, ენციკლოპედიური ხასიათის, აღწერილობას. ეკლესია-მონასტრები აქ ალფაბეტის რიგზეა დალაგებული. აღწერილობაში შესულია თურქეთის მიერ შეტაცებული ქართული რაიონების ძეგლებიც. ყოველი ძეგლის აღწერილობას, როგორც წესი, ახლავს სამეცნიერო აპარატი, მითითებულია წყაროები, რომელთა საფუძველზეცაა ნაშრომი აგებული. როგორც თვითონ ავტორი გვაუწყებს, აღნიშნული ძეგლების შესახებ ცნობები მან ამოიღო „ადგილობრივი ქრონიკებიდან", ძველი საეკლესიო და „საერო ქარტიებიდან". საარქეოგრაფიო კომისიის „აქტებიდან", ევროპელ მოგზაურთა ნაშრომებიდან და სხვ. ძირითადი მასალა კი ის იყო, რაც თვითონ დ. ბაქრაძემ შეკრიბა „ქვეყანაში მის განუწყვეტელ მოგზაურობათა შედეგად"[74].

აღწერილობის ხასიათის შესახებ დ. ბაქრაძე გადმოგვცემს: „აღწერისას მე შეძლებისდაგვარად ვიძლევი ადგილმდებარეობის მოკლე მიმოხილვას და მივუთითებ ძველ საეკლესიო და საერო ნაგებობებს, რომლებიც ახლო-შახლოს არიან; ვაშუქებ ძეგლებს მათთვის დამახასიათებელ თავისებურებათა მიხედვით და ვაჯგუფებ მათი წარსული ბედის შესახებ მონაცემებს. ამის გარდა, მთავარი ტაძრის, თუ მონასტრის, აღწერას წინ უძღვის მოკლე ისტორიული და ზოგჯერ ეთნოგრაფიული მიმოხილვა იმ რაიონისა, რომლის შემადგენლობაშიც ის შედიოდა..."[75].

აღნიშნული ნაშრომი, რა თქმა უნდა, არ ამოწურავდა საქართველოსა და სომხეთის ყველა ქრისტიანულ ძეგლს. ამ გარემოებას დ. ბაქრაძეც აღნიშნავდა; აგრეთვე, სწორი იყო იგი, როცა ამბობდა, რომ წიგნში გამოტოვებული არ ყოფილა „არსებულთაგან უმნიშვნელოვანესი ძეგლები".

როგორც უკვე ითქვა, წარმოდგენილი ნაშრომი მეცნიერული ხასიათის აღწერილობაა. ავტორი მიახლოვებით ათარიღებს ძეგლებს იმ შემთხვევაშიაც კი, როცა საამისოდ რაიმე წერილობითი საბუთი არ არსებობს და ეს დათარიღება ყოველთვის ან სწორია, ან ჭეშმარიტებასთან ახლოა. ასეთი მიახლოებითი დათარიღებისას ავტორისათვის ამოსავალია „არქიტექტურის სტილის ხასიათი".

მართალია, ბაქრაძე, ისე როგორც იმ დროის მსხვილი სხვა მეცნიერებიც, ცდებოდა, როცა საქართველოსა და სომხეთის IX-XIII ს.ს. არქიტექტურის ძეგლების სტილს „ბიზანტიური, არაბული და ახალგოთური" სტილების „შენაერთად" თვლიდა, მაგრამ იგი ამავე დროს არ ივიწყებდა აღენიშნა ამ ძეგლების დიდი ღირსება, როგორც ადგილობრივი განვითარების შედეგი: სი-

ბეტრიულობა, პროპორციულობა, სკულპტურის, მხატვრობის საუკეთესო ნიმუშები და სხვ. „ყოველივე ეს,—მისი თქმით,—მოწმობდა აღნიშნულ პერიოდში საქართველოსა და სომხეთში საეკლესიო ხუროთმოძღვრების მაღალ განვითარებას...“

დასახელებული ნაშრომების შექმნა დ. ბაქრაძემ განახორციელა ფართო გეგმის საფუძველზე. ქრისტიანული ძეგლების (აქ მარტო საეკლესიო ძეგლები არ იგულისხმება, როგორც ეს შეიძლება გვეჩვენოს, არამედ საერონიც) აღწერა დ. ბაქრაძეს სჭირდებოდა არა „საეკლესიო ისტორიის“ შესწავლის მიზნით, რომ ამით დაეკმაყოფილებინა სასულიერო ორგანიზაციებისა და პირების მოთხოვნილებანი, არამედ საქართველოს ისტორიისათვის, ხალხის ისტორიული ცხოვრების წარმოდგენისათვის:

„...არას ვამბობ წმინდა ისტორიულ მანუსკრიპტებზე (რომლებიც მან ეკლესიებში ნახა, **ვ. დ.**), რომელთა მნიშვნელობა თავისთავად ცხადია, და ვჩერდები რა ტაძრების წარწერებზე, ქარტიებსა და მინაწერებზე, უნდა შევნიშნო, რომ ისინი ხანათლეს ჰფენენ მათ თახადროულ ისტორიულ მოვლენებს, აგვიწერენ ნაკლებად ცნობილს, თუ სავსებით უცნობ პირებს, ახასიათებენ სოციალური ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს, განმარტავენ ქრონოლოგიას, ადგილობრივ გეოგრაფიას და სხვ.“[76].

ტაძრები და მონასტრები დ. ბაქრაძეს ესმოდა როგორც ძველი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ერთი სერიოზული უბანი[77]. ეს იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ იყვნენ „ეკლესიის ისტორიის“ ავტორები, რომლებსაც მთელი ისტორია ქრისტიანობისა და ეკლესიის ისტორიამდე დაჰყავდათ.

წიგნში მოცემული ამა თუ იმ ძეგლის აღწერის მაგალითებიდან ჩანს, თუ რაოდენ შორს წავიდა ბაქრაძე მის წინამორბედ მკვლევარებთან შედარებით. მაგ., სხალთის ეკლესიას (ხულოს რაიონში) ბაქრაძე შემდეგნაირად აგვიწერს:

„სხალთის ეკლესიას გარს ეკვრის დანგრევის პროცესში მყოფი ნაგლეჯი ქვებით ნაშენი ზღუდე (**из рваного камня**), რომელსაც დასავლეთ ნაწილში, როგორც ჩანს, ახლდა კვადრატულ ფუძიახი ქვის სამრეკლო. ზღუდეს იქით ახლაც ჩანს ნაშთები ძველი საეკლესიო შენობებისა და მიწაში ჩამარხული დიდი ქვევრებისა. ეკლესიის აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ფასადის სამოსელი, სახურავის ქვებთან (ფილებთან) ერთად, უმეტესად უკვე გაძარცულ-ჩამონგრეულია; ამ ქვებს მე ვნახულობდი როგორც მუსლიმანთა სასაფლაოზე, ისე შერიფ-ბეის ეზოში. ეკლესიას, რომელიც აშენებულია უგუმბათო, საუკეთესო ნაცრისფერი პორფირისაგან, პარალელოგრამის ფორმა აქვს. ნაგებობის სიგრძე 9

საეენია, ცოტა ნაკლები, ხოლო სიგანე რ-დე აღწევს; კედლების სისქე დაახლოებით ორი არშინია. ეკლესიას აქვს სამკუთხიანი მაღალი ფრონტონი, რომლის დასავლეთით კარიბჭეა, სამხრეთით კი —ეკვდერი; მისი აღმოსავლეთის ნაწილი თავდება 8 წახნაგოვანი ნახევარწრით. კარნიზი, ფრონტონისა და მთელი შენობის კიდურებზე, ღრმა-ღაროვანია. ქვების თლა, მათი წყობა, ფანჯრებისა და კარების ძირთა სხვადასხვაგვარი ჩუქურთმები, ხვეული კოლონები და კარიბჭეებისა და ეკვდრების არაბესკები, შესრულებულია საქმის განმაცვიფრებელი ცოდნით. ეკლესიის შიგნით კედლები (стени наоса) შედგება სამი ყალბი ნიშისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოიყოფიან ოდნავ გამოწეული პილასტრებით. კანკელი უკვე აღარაა. საკურთხეველის ნაწილი ორივე მხრიდან ღრმადაა შეჭრილი კედლებში: ორი დიდი და ორი მცირე, რომლებიც სამკვეთლოსა და სალაროს მოვალეობას ასრულებენ. იგი მთლიანად მხატვრობითაა დაფარული..." შემდეგ ბაქრაძეს მოჰყავს ეკლესიაში შემონახული ფრესკებისა და წარწერების ზუსტი აღწერილობა და დასძენს: „მთელი მხატვრობა და განსაკუთრებით უკანასკნელი ფრესკები ოსტატურადაა შესრულებული; მათ საღებავებში იმ სიწრელისა და სიბრწყვიალის ლანდიც კი არ ჩანს, რაც მე მაოცებდა გურიის ძველ ეკლესიებში, რომლებიც არქიტექტურული თვალსაზრისით, ჩემი აზრით, სხალთის ეკლესიის უიღბლო მიბაძვას წარმოადგენენ"[78].

აღნიშნული აღწერილობის შესახებ აკად. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს:

„ვადარებთ რა ამ აღწერილობას პლატონ იოსელიანისა და განსაკუთრებით აკადემიკოსი ბროსეს აღწერილობასთან, ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად წინ წავიდა იგი: ბაქრაძე აღნიშნავს, თუ სად რა არის... მას არ აქვს არქიტექტურული თუ ორნამენტალური მოვლენის არსებითი აღწერა. მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ საერთო წარმოდგენა, თუ რას უნდა მოველოდეთ ძეგლისაგან. ეს მაშინ, როცა ბროსესთან, და ძალზე ხშირად პლატონ იოსელიანთანაც, ჩვენ ამასაც ვერ ვპოულობთ"[79].

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დროის ვითარებაში სიძველის ძეგლები თანდათანობით გამოდიოდნენ წყობილებიდან და რესტავრაციების შედეგად ხშირად ამ ძეგლებზე ქრებოდნენ დიდი მნიშვნელობის წარწერებიც, მაშინ კიდევ უფრო მეტი სერიოზულობით გამოჩნდებოდა ბაქრაძის აღნიშნული ნაშრომი, რომელშიაც სიძველის 321 ძეგლი კეთილსინდისიერად აღწერილი და დაფასებულია. ავტორი ცდილობდა, რომ ქართული

სიძველის ძეგლები ამავე დროს საქართველოს ისტორიის ფონზე განეხილა.

ბაქრაძის ნაშრომი თავის დროზე დიდი შენაძენი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის. მას დღეისთვისაც მნიშვნელობა არ დაუკარგავს; იგი ჩვენ სიძველეთა მკვლევარების ნაშრომებში ყოველთვის სათანადოდ გამოიყენება.

3. გურია-აჭარისა და სამხრეთ საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლა

უპირველეს ყოვლისა ყურადღების ღირსია ის, რომ ბაქრაძემ თავისი კვლევა-ძიების ერთ ყველაზედ უფრო სერიოზულ უბნად გაიხადა თურქი დამპყრობლების მიერ მიტაცებული ქართული რაიონების შესწავლა. შეიძლება ითქვას, რომ მისი მეცნიერული მემკვიდრეობიდან ყველაზედ უფრო ძვირფასია სწორედ ის ნაწილი, რაც გურია-აჭარისა და მთლიანად სამხრეთი საქართველოს ისტორიულ წარსულს ეხება.

სამხრეთ საქართველოს (ანუ „თურქულ საქართველოს"—ეს ტერმინი გვხვდება იმ დროის ლიტერატურაში) ბაქრაძე თვლიდა „არქეოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე უფრო მდიდარ რაიონად"[80]. როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ბაქრაძემ ბროსეს მხარდაჭერით 1873 წ. მიიღო გურიასა და აჭარაში მივლინება, რასაც შედეგად მოჰყვა მისი კაპიტალური ნაშრომი—„არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში". ამ დროს აჭარა, საქართველოს ეს მშვენიერი კუთხე, სამხრეთი საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად, თურქი დამპყრობლების ხელში იყო.

ალნიშნული ნაშრომის გამოცემამდე დ. ბაქრაძემ 1874 წ. გამოაქვეყნა წინასწარი ანგარიში—„გურიის, ჩურუქ-სუსა და აჭარის მოკლე მიმოხილვა"[81], ხოლო 1877 წ. ოფიციალურ ორგანოს, გაზეთ „კავკაზის", ფურცლებზე გამოქვეყნდა მისივე ვრცელი წერილები ყაზბეგის წიგნის გამოსვლის გამო. ამ წერილებში მოცემული იყო სარეცენზიო ნაშრომის არა მარტო ბეფასება, არამედ დამატებითი უხვი მასალაც, რომელიც მოპოვებული ჰქონდა ბაქრაძეს თავისი მოგზაურობის შედეგად[82].

„არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში" გამოქვეყნდა 1878 წ., პეტერბურგში, საიმპერატორო აკადემიის მიერ. წიგნი წარმოადგენს საბოლოოდ გაფორმებული მკვლევარის—ისტორიკოსისა და არქეოლოგის საკმაოდ მაღალი მეცნიერული შემოქმედების ნიმუშს. იგი თავისი შესავლით, გამოკვლევით, წარწერებით, საბუთების ტექსტებით, ქრონოლოგიური ცხრილით, შედარებითი ლექსიკური მასალით, პირთა და გეოგრაფიულ სა-

ხელთა საძიებლითა და სხვა, შეიცავს 390 გვერდს.

განსაკუთრებით ძვირფას მასალას, და არა მარტო მასალას, იძლევა აღნიშნული ნაშრომი აჭარის ისტორიული წარსულის შესახებ. მაშინ იმის მტკიცებაც კი იყო საჭირო, რომ აჭარლები იგივე ქართველები იყვნენ. ამის დასაბუთებას, რა თქმა უნდა, დიდი შრომა არ სჭირდებოდა, მაგრამ დ. ბაქრაძეს ასეთი მტკიცება მოჰქონდა საკითხის სპეციალური დასმის წესით კი არა, რადგან საკითხის ასე დაყენებაც კი გულუბრყვილო იქნებოდა მთელი სიცხადისა გამო, არამედ, აჭარის დაკავშირებით საქართველოს მთლიან ისტორიულ პროცესთან.

წიგნის პირველ თავში მოცემულია ძვირფასი ცნობები ჭობულეთის უბნისა და ბათუმის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბათუმს, მის მიდამოებში მყოფ ძველ ძეგლებს. აქვეა ცნობები ლაზების—ჭანების შესახებ.

ბაქრაძის დაზვერვის რთული მეთოდი ითვალისწინებდა არა მარტო უშუალო შთაბეჭდილებების შეკრებას ამა თუ იმ ძეგლის, თუ რაიონის გარშემო, არამედ ზეპირგადმოცემებისა და დოკუმენტური მასალის შეკრებასაც. ზეპირგადმოცემებს იგი დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა და მათგან წიგნში მხოლოდ ის შეშოჰქონდა, რაც მის მიერ ისტორიული წყაროების მოშველიებით, თუ დამატებითი მასალების წყალობით აწონილ-დაწონილი და გაცხრილული იყო. მისი ასეთი დამოკიდებულება ზეპირგადმოცემებისადმი კარგად ჩანს ჭანეთ-აჭარის შესახებ ცნობების შეკრების დროს. მის ნაშრომში ძნელია მოძებნოთ რომელიმე სახელდახელოდ მოტანილი გაუსინჯავი მასალა. მაგ., ისტორიულად დასტურდება ბაქრაძის მიერ ჩაწერილი გადმოცემის სიმართლე, რომ „წარსულ დროებში ბათომი მდებარეობდა დიდ დაბლობზე, ყოროლის-წყალის მარცხნივ. ეს ადგილი ახლაც აღინიშნება დიდი კედლისა და 6-7 ეკლესიის ნაშთებით"[83].

მეტად საყურადღებოა ბაქრაძის მიერ ჩაწერილი ლაზის—გათურქებული ჰასან-აღა მოურავიშვილის — გადმოცემა ჭანეთის (ბაქრაძე მაშინ გავრცელებულ ტერმინს, „ლაზისტანს", ხმარობს) შესახებ. გადმოცემაში ჭანეთის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრად მითითებულია „რკინის პალო", ანუ „ქემერი" — „ვებერთელა კლდე, ზღვიდან რომ ჩანს, ბუნებრივად გაკვეთილი"[84]... გადმოცემა ადასტურებდა აგრეთვე, რომ ჭანეთის სოფლებში ჯერ კიდევ ისმოდა ქართული ენა—„წმინდა სახით იგი შემონახულია სოფლის მოსახლეობაში". ჰასან-აღა, სხვათა შორის, მოახსენებდა ბაქრაძეს: „საერთოდ ჩვენი გადმოცემის მიხედვით, ჩვენ, ლაზები, მეგრელებთან ერთად ერთ ტომს შევადგენდით. ამბობენ, რომ ამ ტომს ოდესღაც ეკავა მაცი ზღვის მთელი სანაპირო, ქე-

მერიდან ვიდრე ბიჭვინტამდის და რომელიღაც ქართველთა მეფემ, მას შემდეგ რაც ლაზებს ჯარით თავს დაესხა, გაჰყო ისინი და მათ შორის ქართველები ჩაასახლაო"[85]. ეს მოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი გადმოცემა ძველი კოლხეთის ისტორიის თვალსაზრისით ინტერესსმოკლებული არ ჩანს. მარტო ის რად ღირს, რომ ლაზებს ისტორიულად შერჩათ მეგრელებთან ერთიანობის ცნობიერება, შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ძველი ქართული მოსახლეობის მთლიანობის შეგნება. აქვე მოცემულია ჭანეთის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი ცნობები.

არანაკლებ საინტერესოა მოტანილი გადმოცემების ბაქრაძისეული ანალიზიც. იგი დაწვრილებით განიხილავს ლაზის გადმოცემათა ისტორიული ღირებულების საკითხს, გვაცნობს ჭანეთის ისტორიული წარსულის შესწავლის მდგომარეობას იმ მომენტში[86]. დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ადგილებზე, ჭანეთში, არავის უცდია ჭანების ცხოვრების შესწავლა. ერთადერთი როზენი იყო, რომელმაც 1844 წ. ჭანეთის მხოლოდ რამდენიმე სანაპირო პუნქტი მოიხილა. მაგრამ როზენმაც, მთის ლაზების ხასიათით შეშინებულმა, ამ რაიონის სათანადო გაცნობა ვერ შესძლო. ბაქრაძე სამართლიანად იწუნებდა როზენის სიზუსტეს, როცა როზენი აღნიშნავდა, რომ „ლაზებმა, როგორც კარგა ხნის წინათ გათურქებულებმა, არ იცოდნენ იმის შესახებ, თუ როგორი რელიგია ჰქონდათ მათ და ვინ იყვნენ ისინი", რომ თითქოს მათ არ ჰქონდათ არავითარი ძეგლები და არც საერთო ენა. თითოეულ ხევს ერთმანეთისაგან „მნიშვნელოვნად განსხვავებული მეტყველება ჰქონდა"[87].

ბაქრაძეს არ მიაჩნია სწორად გადმოცემა ჭანეთის დასავლეთი საზღვრის შესახებ. ეს საზღვარი მას ესმის ფართო გაგებით— ძველი კოლხური მოსახლეობის სამხრეთ-დასავლეთით განფენილობის თვალსაზრისით.* ბაქრაძე წერდა:

„...ამ საკითხზე (ჭანეთის დასავლეთი საზღვრის შესახებ, **მ. დ.**) მიღებულია ჰასან-აღას მოსაზრება; ასეთი შეხედულება აქვს ვახუშტისაც, რომელიც ამ მხრიდან ლაზისტანის საზღვრად რკინის პალოს—რიზესთან—ასახელებს[88]. მაგრამ ასეა?... ამ საკითხის გადასაწყვეტად მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი მონაცემები: ჯერ კიდევ ჰეროდოტესა და სტრაბონის დროს ლაზები სახლობდნენ შორს დასავლეთისაკენ, ტრაპეზუნტიდან ვიდრე მდ. ღალისამდის, ანუ ახლანდელ ყიზილ-ირმაკამდე[89]. ქსენოფონტეს ტრაპეზუნტი იყო კოლხების (ლაზების) ქვეყანაში[90]. თავის მხრით ქართული მატიანეები პირველ საუკუნეში ქრ. შ. მას

მეგრულ სოფელს უწოდებენ[91]. XVII ს. I ნახევრის გეოგრაფი ჰაჯი-ხალფა ტრაპეზუნტის მცხოვრებთა დიდ ნაწილს ლაზებად თვლის[92]. ზოგიერთი გვიანდელი მწერლების აზრითაც კი, მაგ. ფონტანიეს (წერდა 1830-1833 წ. წ.), ლაზური მოსახლეობა განფენილია ტრაპიზონის დასავლეთით, თვით ჩალდირშიაც, „თუმცა, შენიშნავს იგი, ბერძნული ენა იჭრება აღმოსავლეთით, ტრაპეზუნტიდან ქემერის კონცხის ქვემოთ, მაფრავემდე“[93].

მოტანილ მითითებებში, რომლებსაც ყველგან სათანადო წყარო ახლავს, ჩანს, რომ ბაქრაძე სამართლიანად ადასტურებდა ძველი კოლხური მოსახლეობის — ლაზების (მთლიანად კოლხური მოსახლეობის) ბინადრობას შავი ზღვის მთელს სამხრეთ სანაპიროზე ვიდრე ყიზილ-ირმაკამდის. დღეისთვისაც ჩვენი ისტორიული მეცნიერება უცილობლად ასაბუთებს ამავე დებულებას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბაქრაძე მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენდა ჰასან-აღას ზემოაღნიშნული გადმოცემისადმი. მას შესაძლებლად მიაჩნდა, რომ გადმოცემა ჰასან-აღას შეიძლება გაგონილი ჰქონდა როგორც კერძო მოსაზრება, რომელიც მან გამოაცხადა როგორც ლაზთა თქმულება. ბაქრაძეს აქ ეტყობოდა ლაზების შესახებ იმდროინდელ ლიტერატურაში გავრცელებული ყალბი წარმოდგენების (თითქოსდა ლაზები „ველურები“ იყვნენ) გავლენა, რის გამოც მან საეჭვოდ მიიჩნია ლაზებში ასეთი თქმულების არსებობის შესაძლებლობა[94].

ბაქრაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჭოროხის აუზის, როგორც ძველი ქართული რაიონის, შესწავლას. იგი სამართლიანად და ურყევი საბუთიანობის მოტანით ეკამათებოდა ზოგიერთი უცხო მწერლისა და სომეხი მეცნიერის უსაფუძვლო მტკიცებას იმის შესახებ, რომ თითქოს ჭოროხის აუზი და მტკვრის ზემო წელის უბნები ისტორიულად სომხეთს ეკუთვნოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაქრაძეს არ სძლევდა ვიწრო „ნაციონალისტური“ პოზიცია. მისთვის ამ შემთხვევაში მიზანი იყო მხოლოდ ისტორიული ფაქტის დადგენა. საბუთიანობა მას ჰქონდა ბერძენ-რომაელ ავტორთა და უცხო სხვა მწერალთა დამოწმებით[95]. ამის გარდა, რაც შეიძლება კიდევ უფრო საინტერესო იყოს, დ. ბაქრაძეს პირადი დაკვირვებების შედეგად გამოვლენილი ფაქტები მოჰყავდა:

„რომ მთელი ჭოროხის აუზი მტკვრის ზემო წელით, უმნიშვნელო დროთა გამოკლებით, ყოველთვის ქართველთა ხელში იყო, ეს ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: მთების, მდინარეების, სიმაგრეებისა და მთელი უბნების სახელწოდებანი, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე კარგა ხნის წინათ...

ახლანდელ დრომდისაც შემონახულია; ასეთებია, — მივუთითებთ ჭოროხის აუზის მხოლოდ სოფლებს,—კლარჯეთი, ლიგანის-ხევი, ტაოს-კარი, შავშეთი და აჭარა; მტკვრის ზემო წელში: კოლა, არტაანი, ერუშეთი, სამცხე და ჯავახეთი. ამ სივრცეზე განფენილია მრავალი ქართული ტაძარი და მონასტერი, რომლებსაც აშენებდნენ V და XIV საუკუნეთა შუაში. მათგან უმთავრესნი არიან: კოლაში—დადეშის, არტაანში—ნაქალაქევის, სამცხეში—აწყურის, ზარზმისა და საფარის, ჯავახეთში—წყაროს-თავისა და კუმურდოს, შავშეთში—ტბეთის, შავშეთსა და ლიგანის-ხევს შუა—ოპიზა და ანჩა, კლარჯეთში—ბანას, იშხანის, ეღრეკის **(Егрекский)**, ეოშხისა და ხახულის, აჭარაში—სხალთის"[96]. ამის შემდეგ საუბარია დასახელებული ეკლესიების წარწერებზე, საბუთებზე, საეპისკოპოსო ქართულ კათედრებზე, კლარჯეთის როლზე საქართველოს გაერთიანებასა და მის გაძლიერებაში (X-XII ს. ს.) და სხვ.[97]

აჭარის სოფლებში მოგზაურობის დროს ბაქრაძე ალაგ-ალაგ იწერდა თურქი დამპყრობლების ქვეშ მყოფი აჭარის ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ნიშნებსაც, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ ჩვენი ისტორიისათვის. ქვემო აჭარაში მან ნახა თითქმის გაუვალი გზები. ამის გამო იგი შეეკითხა სულტნის მიერ იქ ხელდასმულ ბეგებს—„რატომ ისინი საკუთარი სარგებლიანობის თვალსაზრისით მაინც საერთო ძალებით არ აკეთებენ თავიანთ გზებს?" ბეგებმა უპასუხეს მას, „რომ ამას განგებ არ აკეთებენ, რომ არ მისცენ საშუალება მთავრობას თავიანთი უბნის სრულ დამორჩილებაში"[98]. ამ სიტყვებში ჩანდა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ აჯანყების ხმა, ბრძოლის ერთი არც თუ ისე უვარგისი საშუალება. აჭარის მოსახლეობას ისე სძულდა სულტნის მთავრობა, რომ მას კარებს უკეტავდა. ანდა რა სიყვარული უნდა ჰქონოდათ ისეთი მთავრობისადმი, რომელსაც თავისი ქვეშევრდომებისაგან მხოლოდ ხარკი და სამხედრო სამსახური აინტერესებდა.

სიძველეთა შესწავლის გვერდით, აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია აჭარის საერთო მდგომარეობის დახასიათებაც (მოსახლეობის რაოდენობა, სოფლები, საბაზრო ადგილები, გზები და სხვ.), საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ ქართული ყოფა-ცხოვრების ელფერი შემონახული იყო—ენა, სიმღერები, საქორწილო წეს-ჩვეულებანი და სხვ.[99].

ბაქრაძემ შეისწავლა როგორც ქვემო, ისე ზემო აჭარა. სოფ. დანდალოდან მან გადაიარა შუა-ხევი და თითქმის ორი დღის სიარულის შემდეგ სოფ. სხალთას მიაღწია.

ზემო აჭარაში ბაქრაძის მიერ შეკრებილი მასალიდან ჩანს, რომ მოსახლეობა ჯერ კიდევ მე-12 ს-ში, თამარ მეფის დროს, აშენებული ხიდებით სარგებლობდა. ეს ხიდები შერჩნენ საუკუნეებს; რაც შეეხებოდა თურქეთის მთავრობის აღმშენებლობითს მოღვაწეობას ხულოს რაიონში, 1871 წ., სოფ. დოლოღანში ამ მთავრობამ ხიდი ააგო, „მაგრამ იგი ჩქარა გაიბზარა"[100]. საყურადღებო იყო, რომ იმ დროისათვის აჭარაში თამარ მეფის სახელი ისეთივე პოპულარობით სარგებლობდა, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში[101].

განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ნაშრომში სოფ. სხალთისა და იქ მყოფი განთქმული მონასტრის მეცნიერულ შესწავლას[102]. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორი მეცნიერულობით აღწერდა ბაქრაძე სხალთის მონასტრის ნაშთს. გარდა აღნიშნულისა ბაქრაძე იძლეოდა მონასტრის აშენების დათარიღების ცდას. აშენების სტილის მიხედვით იგი თვლიდა, რომ სხალთა მოგვაგონებდა „ქართული საეკლესიო არქიტექტურის უკეთესი განვითარების ეპოქას, კერძოდ X-XIII ს. ს. დ. ბაქრაძე აქაც არ ივიწყებდა აღენიშნა სხალთის შესახებ წერილობითი წყაროების მდგომარეობა.

სხალთა იმის ნიმუში იყო, თუ როგორ თანდათანობით ანგრევდნენ თურქი დამპყრობლები ქართულ-ქრისტიანულ ძეგლებს (წარწერიანი ქვების სრული გაქრობა, სამოსლის ჩამოძარცვა და სხვ.). ეკლესიის იმ ნაშთსაც კი, რომელიც დ. ბაქრაძემ ნახა, სრულ დანგრევას უპირებდნენ: „დასასრულ, — წერდა იგი,— მე არ შემიძლია დავმალო, რომ, როგორც გავიგე, ამ ეკლესიას დანგრევას უპირებენ, რომ მისი მასალისაგან მეჩეთი ააშენონ. ასეთი განზრახვა, ეჰვს გარეშეა, ადრე თუ გვიან განხორციელდება"[103]. ხულოში მოხუცებმა აცნობეს დ. ბაქრაძეს, რომ მათ ახსოვდათ ხულოს ეკლესია, რომელიც იდგა „ახლანდელი მეჩეთის ადგილას და უფრო დიდი იყო, ვიდრე სხალთის ეკლესია. იგი დაანგრიეს 40 წლის უკან..." საინტერესო იყო აგრეთვე გადმოცემა იმის შესახებ, რომ სხალთაც იყო გადაქცეული მეჩეთად, მაგრამ დატოვეს იმის გამო, რომ ჩამოვარდნილმა ქვებმა მოლები დაზიანეს"[104]. ამ გადმოცემაში, თუ იგი სწორი იყო, შეიძლება, ქრისტიანი მოსახლეობის შურისძიების ხელი ჩანდა. ბაქრაძე იძლევა აგრეთვე აჭარის ბეგთა—ხიმშიაშვილების (რომელთა წარმომადგენელი სელიმი ახალციხის ფაშა გახდა) გენეალოგიას, რუსეთის მთავრობასთან მათი ურთიერთობის შესახებ ცნობებს და სხვ.[105].

ნაშრომში მოცემულია აჭარის ზოგადი ისტორიულ-ტოპო-

გრაფიული მიმოხილვა, რომელიც შედგენილია ქართულ-რუსული და უცხოური წყაროების საფუძველზე. საზღვრებისა და მოსახლეობის შესახებ ცნობების გვერდით, ბაქრაძე იძლევა აჭარის ძველი ისტორიული წარსულის შესახებ წყაროების — ქართულ-სომხური და უცხოური საისტორიო მწერლობის — მონაცემებს. მასვე გამოთვლილი აქვს „ბარბაროს თურქთა“ ბატონობის ხანგრძლივობა აჭარაში, იგი ახასიათებს გამათურქებელ ტერიტორიულ რეჟიმს.

დ. ბაქრაძემ სწორად დაათარიღა ხინოს საეპისკოპოსო კათედრის გაუქმება, დაახლოებით 1780 წ. მანვე მოგვცა სამხრეთ-დასავლეთიდან, ზღვისპირის გაყოლებით, საქართველოს წინააღმდეგ მუსლიმანური აგრესიის განვითარების ზოგადი მიმოხილვა, დაახასიათა ისლამის როლი დამპყრობლების გამათურქებელ პოლიტიკაში. იგი აღნიშნავდა, რომ აჭარა-ქობულეთის მოსახლეობა მთლიანად ქართული იყო; „იქ არც თურქები ჩანდნენ“, მაგრამ დამპყრობლების ენის გავრცელება მაშინ აქაც საშიშროებას უქადდა ქართულ ენას. „ამ მოვლენას,—წერდა დ. ბაქრაძე,—არ შეიძლება არ მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება“. მართალია, იგი გადაჭარბებით აფასებდა ისლამის როლს, როდესაც წერდა, რომ „თურქი დამპყრობლების ენის გამარჯვება ისლამის მიღწევას მოსდევსო“, მაგრამ იგი იქვე ფაქტიურად უკავშირებდა ისლამის დანერგვას ოსმალეთის მთავრობის გამათურქებელ პოლიტიკას: „ადგილობრივი მოლები და განსაკუთრებით ეფენდიები, რომლებსაც თურქეთის მთავარ ქალაქებში ამზადებენ, გახელებულ თვალყურს ადევნებენ, რომ მთელი სიმკაცრით შეასრულონ ლოცვათა და სხვა ჩვეულებანი, რომ პარასკევობით ყველა ჯამეებში იყოს... მეჩეთებთან არსებულ სკოლებში ასწავლიან თურქულად ლოცვებს“[106].

აჭარლების მდგომარეობის გაცნობის შემდეგ დ. ბაქრაძე 1874 წ. დაასკვნიდა: „...აჭარლებს მთლიანად არ დაუკარგავთ მათი ისტორიის საუკეთესო ეპოქებში განვითარებული თვისებები მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელ საუკუნეებში საქართველოს მმართველობის აშლილობამ და თურქეთის აწლანდელმა ყოვლის ჩამხშობმა სისტემამ მათზე დამღუპველად იმოქმედა“[107].

საერთოდ, როგორც დ. ბაქრაძე შენიშნავდა, აჭარა-ქობულეთი არქეოლოგიური მასალებით შედარებით ღარიბი აღმოჩნდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან შეკრიბა აჭარელი „მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის“ დახასიათებისათვის საინტერესო ფაქტობრივი მასალა, რომელიც აგრეთვე იძლეოდა უეჭველ

მტკიცებას აჭარლების ნათესაობისა აღმოსავლურ-ქართული მოდგმის ტომებთან, „კერძოდ გურულებთან“ და არა დასავლურ-ქართული მოდგმის „ლაზებთან, რომლებიც მეგრელთა ახლო ნათესავები არიან“[108].

ბაქრაძემ საფუძვლიანად აღწერა აგრეთვე ხინოს საკათედრო მონასტერი, სადაც მე-18 ს. მიწურულამდე ჯერ კიდევ იჯდა ეპისკოპოსი. „საეკლესიო შენობა,—წერდა იგი,—მე ვნახე შესაბრალის მდგომარეობაში: იგი ზღუდესთან ერთად, ჩანს განგებ, დანგრეულია, როგორც ამბობენ, 8-9 წლის წინათ... შტუკატურკა კედლის მხატვრობასთან ერთად მთლიანად ჩამოქცეულია“[109]. ბაქრაძე იძლეოდა ხინოს გარშემო არსებულ გადმოცემებს და მის შესახებ წერილობითი წყაროების მითითებებს[110].

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დ. ბაქრაძე სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა ოსმალთა მიერ დამონებული ქართველების განმათავისუფლებელი ბრძოლის აღწერას. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის გავლენის ქვეშ მყოფი დამკვირვებელი არ ამახვილებდა ყურადღებას სოციალური ბრძოლის საკითხებზეც. მისი ანალიზი მხოლოდ ძეგლის პოლიტიკურ-ისტორიულ და ნაწილობრივ სამეურნეო-ეკონომიური საკითხების გარშემო იჩენდა თავს. მაგ., მის ნაშრომში (გვ. 94) მოცემულმა ყრუ ცნობამ, იმის შესახებ, რომ 1871 წ. ქობულეთლები „იარაღით გამოვიდნენ მთავრობის წინააღმდეგ“ სახაზინო გადასახადის მოსალოდნელი გაზრდის გამო, ავტორის სათანადო ყურადღება ვერ ჰპოვა. ამის ხსენება მას დასჭირდა როგორც ქობულეთლების უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი ფაქტი. რა თქმა უნდა, ეს მოვლენა უპირველეს ყოვლისა მიუთითებდა აჭარა-ქობულეთის მოსახლეობის გამუდმებულ ბრძოლაზე ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ.

ახალი ისტორიული მასალის გამოვლინების თვალსაზრისით, გაცილებით უფრო დიდი შედეგი მოჰყვა გურიაში მოგზაურობას. აქ მეცნიერი დამკვირვებლის მოღვაწეობისათვის შედარებით უკეთესი პირობები იყო. სხვას რომ თავი დავანებოთ, სხვა რაიონებთან შედარებით გურიის ისტორიული ძეგლები ოსმალო დამპყრობელთა მიერ განადგურებას ნაწილობრივ გადაურჩა. დ. ბაქრაძეს გურიაში ბევრი ხელისშემწყობიც აღმოუჩნდა.

დ. ბაქრაძე, ვიდრე გურიის ძეგლების გამოკვლევას შეუდგებოდეს, იძლევა გურიის ტოპოგრაფიულ მიმოხილვას, ისტორიული წყაროების ძუნწ ცნობებსაც კუთხის წარსულის შესახებ და სხვ. გურიაში მიღებული შედეგებით კმაყოფილი მეცნიერი აღნიშნავდა: „რომ თავის დროზე დაწყებულიყო გურიის არქეოლოგიური შესწავლა, სამჯერ-ოთხჯერ უფრო მეტ შედეგს მივიღებდით“[111].

ეს გასაგებიც იყო, რადგან სიძველეთა ძეგლების მდგომარეობა დღე-დღეზე უარესდებოდა. განსაკუთრებით იკარგებოდა წერილობითი მასალა.

ალნიშნულ ნაშრომში ბაქრაძემ მოგვცა გურიის სიძველეთა ძეგლების დახასიათება, ეკლესია-მონასტრებში დაცული წარწერების შინაარსი და მათი განხილვა. მოხილული სოფლები ბაქრაძეს შესწავლილი აქვს მეცნიერი ისტორიკოსისა და არქეოლოგის ფხიზელი თვალით. მას არ ავიწყდება ჩაინიშნოს ისტორიული გადმოცემა, გეოგრაფიული სახელები, სოფლის მეურნეობის დამახასიათებელი ნიშნები და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იგი წერილობითი წყაროების გამოვლინებას და ყოველთვის ამა თუ იმ მნიშვნელოვან დოკუმენტს განიხილავს საქართველოს ისტორიის ფონზე. მაშინდელი ლიტერატურისა და მიღწევების საფუძველზე საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნა, ამა თუ იმ სიგელში მოხსენებული ისტორიული ფაქტისა თუ პირისანების ადგილის მოძებნა ცალკეული ეპოქების მახედვით და ვრცელი, ზოგჯერ სრული, მეცნიერული აპარატის მოტანა ქართულ-რუსული და უცხოური ლიტერატურის დამოწმებით, მთელი სიცხადით იჩენს თავს მის ნაშრომში. ყოველივე ეს მისი მრავალწლოვანი, დაუღალავი, მუშაობის შედეგი იყო.

ბაქრაძემ თითქმის მთლიანად შეისწავლა გურიის ქრისტიანული ძეგლები. მის მიერ შეგროვილი მასალა დალაგებულია სოფლების მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით: ქაქუთი („არქეოლოგიური მოგზაურობა", გვ. 102), ჭანიეთი (102), აჭი (104), ლეხოური (107), შემოქმედი (114), ზარზმა—შემოქმედთან (132), გუნების-კარი (201), გომი (202), ბახვი (202), ასკანა (206), ვანის-ქედი (209), ბასილეთი (210), ოცხანა ანუ ხიდისთავი (211), ერკეთი (215), ხევი (223), სურები (227), ნანეიშვილის უბანი (228), ქვემოხეთი (230), ზემოხეთი (231), გამოჩინებული (233), უდაბნო (239), აკეთი (241), აცანა (247), ნიგოითი (252), ჯუმათი (257), ბაილეთი (269), ციხე (272), ვაშნარი (275), ნაგომარი (278).

აქაც, ისე როგორც ჩვეულებრივ, ბაქრაძე მასალების უბრალო შემგროვებელი კი არაა, არამედ იძლევა ამ მასალების თავისებურ მეცნიერულ ანალიზსაც.

შეკრებილი საბუთების, ანუ, როგორც ბაქრაძე ამბობს, „გურიის აქტების", განხილვას ნაშრომში სპეციალური—V თავი აქვს მიძღვნილი. საბუთების შეკრებისას იგი გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა: „მხედველობაში მქონდა,—წერს იგი,—მათი (საბუთების, **ვ. დ.**) დახმარებით გამომერკვია გურიის ტაძრებისა და ხატების წარწერები, რომლებშიც უმეტეს შემთხვევაში არაა გან-

მარტებული მათი წარმოშობის დრო, არც მათში მითითებული პირები და მოვლენები, და არც გურიის მთავართა დროინდელი წყობილება და ცხოვრების ხასიათი. სწორედ ამ თვალსაზრისით მე ვიღებდი ასლებს ყველა აქტიდან, რომელიც კი ხელთ მომხვდა. ასეთი ძალზე ბევრი აღმოჩნდა"... შემდეგ ბაქრაძე აღნიშნავს, რომ თავდგირიძისა და ერისთავ-შარვაშიძეების საგვარეულოთა შესახებ „ყველაზედ უფრო არსებითი" დოკუმენტებიდან ნაწილი დაიკარგა და ნაწილი მისთვის მიუწვდომელი გახდა[112].

მოტანილი საბუთების ანოტაციები, თანდართული შენიშვნებით, დალაგებულია ქრონოლოგიურად. დ. ბაქრაძის მიერ მოცემული მართებული ანალიზის მიხედვით რომ ვთქვათ, საბუთები ახასიათებს სოციალურ ცხოვრებას, ქვეყნის სამოქალაქო და სამხედრო წესრიგს, საკუთრებისა და ყიდვა-გაყიდვის წეს-ჩვეულებებს, საგადასახადო სისტემას, ხალხის მიდრეკილებას, ფენებსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობას და სხვ.[113]. წიგნში მოტანილია ისტორიისათვის უძვირფასესი მასალა არა მარტო საკუთრივ გურიის გარშემო, არამედ მთლიანად საქართველოს შესახებ. ძნელია მოეძებნოთ ხალხისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიის შემადგენელი ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც განსახილველ ნაშრომში საყურადღებო ცნობა არ ჩანდეს. უმთავრესად კი იმ ნაწილში, რომელიც გურიაში მოგზაურობას ეხება, ვპოულობთ გურიის სამთავროს ისტორიული წარსულის ამსახველ მდიდარ მასალას. აქ მოცემულია საქართველოს ამ უბნის სამეურნეო ეკონომიური და სოციალური ცხოვრების, სამთავროს პოლიტიკური წყობილებისა და პოლიტიკურ-ისტორიული ვითარების, ხელოვნებისა და კულტურის, სამართლისა და წეს-ჩვეულებების, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის შესახებ ძვირფასი ცნობები.

ნაშრომში მთელი სიზუსტითა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მოტანილია მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა. თითქმის ყველა წარწერა, რომელიც კი ავტორს გადმოუღია, გამოქვეყნებულია ორიგინალური ფორმით—ასომთავრული, ნუსხური, თუ მხედრული ასოებით. ამავე დროს მოცემულია ყველა წარწერის ზუსტი და თითქმის ყოველთვის შეუცდომელი რუსული თარგმანი.

გურიაში მოპოვებული მასალის სიმდიდრე იმითაც აიხსნებოდა, რომ ეს უბანი გადაიქცა თურქული აგრესიის შედეგად დანგრეული მესხეთისაგან ლტოლვილთა თავშესაფრად. სამცხე-საათაბაგოდან გურიაში შემოზიდული ძვირფასი ხატების წარწერებში დ. ბაქრაძემ ამოიკითხა ცნობები მესხეთის ძველი საგვარეულოების, ხურციძის, კავკასიძისა და სხვათა შესახებ. ბაქრაძე

შენიშნავს, რომ მიუხედავად არქეოლოგიური მასალის დიდი რაოდენობისა „გურიაში არ იყო არქიტექტურის ძველი ძეგლები", რომ მას იქ XIV საუკუნეზე ადრე აშენებული ეკლესია არ უნახავს და რაც ნახა, იგიც „სტილის უკიდურესი უბრალოებით ხასიათდებოდა, ასე რომ ამ თვალსაზრისით აჭარა, თუ სხალთის ეკლესიის მიხედვით ვიმსჯელებდით, უფრო საინტერესო აღმოჩნდა"[114].

ბაქრაძის მიერ მოპოვებულმა მასალამ დაამტკიცა ქართული სახისტორიო მწერლობის ბევრი ცნობა; დადასტურდა სახელოვანი ისტორიკოსი ვახუშტის რამდენიმე მითითება: გურიის ერისთავთა წარმოშობა შარვაშიძეებისაგან, გურიელის წარმოშობა ვარდანიძეებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ XI ს. სვანთა ერისთავებად ჩანან. გარდა ამისა, „მეტნაკლებად სარწმუნო გახდა მათი ნათესაობა დადიანთა პირველ დინასტიასთან ჩამეგრელოში"[115].

გურიის ისტორიული საბუთების გაცნობამ და ამასთანავე გვიანფეოდალურ ხანაში აქ შექმნილი მდგომარეობის შედარებამ წარსულ დაწინაურებულ ცხოვრებასთან, ბაქრაძე იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ გურია, ისე როგორც დასავლეთი საქართველო მთლიანად, ამ ხანაში დაცემის გზით მიდიოდა:

„ამ თავში (V) მოყვანილი აქტები ჩვენ ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ გურიის ზნე-ჩვეულებათა დაცემის შესახებ. რომ ჩვენ არ გვქონოდა გურიის წარსული ცხოვრების ეს უეჭველი წყაროები ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა მისი საზოგადოებრივი ორგანიზმის ასეთი მოშლა. ამ შემთხვევაში, სხვათა შორის, გურია არაა გამონაკლისი: იგივე მდგომარეობაშია მთელი დასავლეთი საქართველო..."[116] ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ დ. ბაქრაძე ვერ იძლევა დაცემის პროცესის მიზეზთა მეცნიერულ ახსნას. მას ეს დაცემა მორალურ-რელიგიური თვისებების სამოსელში ესმის. იგი არც ცდილობს ახსნას „საზოგადოებრივი ორგანიზმის მოშლის" მიზეზები. ანალიზური ხერხის ეს ნაკლოვანება ბაქრაძის ნაშრომებში ხშირად იჩენს თავს. მის მიერ მოტანილი მასალებიდანაც კი ირკვევა, რომ კერძოდ გურიისა და მთლიანად საქართველოს დაცემის მიზეზები ბატონ-ყმური, თავადური საქართველოს საშინაო ცხოვრებასა და XV ს. II ნახევრიდან დაწყებულს ახალს საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციაში იყო.

გურიაში შოპოვებული მასალის საფუძველზე დ. ბაქრაძე გვაძლევს ოსმალთა მიერ ბათუმის დაპყრობის თარიღის მიახლოებით განსაზღვრას.

ვანის-ქედის ეკლესიაში (ასკანის ახლოს) დ. ბაქრაძემ ნახა ჟამნ-გულანი, რომელსაც ახლდა „1729-1749 წ. წ. ქორონიკონი".

მან ყურადღება მიაქცია ჟამნ-გულანის ბუნდოვანს, მაგრამ საინ-. ტერესო მონაწერს, რომელშიც ნათქვამია: „ამ ქრნკს დაწერამდე 60 წლის კაცი მე გრიგოლ; 48 წინამძღვარი მახარაძე; 44 წლით გურიელი გიორგი; 41 წლით მამია გურიელი; 26 ხალი-ფაშა გა-მოაზახა ხვანთქარმან 80.000 კაცი, ციხები დაგვიტეხა, ბათომი მაშინ წაგვერთვა. თეროსანი (ქალესია ქობულეთში, მ. დ.) აფხაზ-მა მაშინ წაგვართვა. ერთი წლით ომი. 20 მწიფობის თვეს თოვ-ლი მოვიდა, მფრინველი მოყუა რო ნახევარი კაცმა ვერ იცნა; ხი-სა და მიწის ნამუშევარი განქარვა. ბეჟან დადიანიც იმ წელიწადს მოკლა თათარმა ქუთაის. ესენი ყოველი ამ ქკის დაწერამდი იქმ-ნა“[117].

ბაქრაძის ახსნით, „მინაწერი, როგორც მისი შინაარსიდან ჩანს, მასში მითითებულ ყველა ფაქტს და მოვლენას გულისხმობს ერთსა და იმავე წელს, რომელიც წინ უძღვის ქორონიკონის და-წერას. თუ ეს მე-26-ე წელია, ანუ 1726-ე, მაშინ იგი ხვდება მატია-ნეში მითითებულ წელს, როდესაც გარდაიცვალა გიორგი IV გურიელი და მისი ადგილი დაიკავა მისმა შვილმა მამია IV-მ;[118] ამასთან, თუ მამია მაშინ იყო 41 წლის, მაშინ გიორგი, თუ მას-ზეა საუბარი, როგორც მამა, უკიდურეს შემთხვევაში 15 წლით უფროსი მაინც უნდა ყოფილიყო. უნდა შევნიშნო აგრეთვე, რომ იმავე მატიანეების მონაცემების მიხედვით, ისე როგორც შემო-ქმედის გულანის კინკლოსით, ბეჟან დადიანის მოკვლა ახალცი-ხის ისაყ-ფაშის შვილის იუსუფ-ფაშის მიერ მოხდა 1728 წ., რო-მელიც უახლოვდება მინაწერის 26 წელს“. იქვე ბაქრაძე დას-ძენდა, რომ მინაწერის სხვა ცნობები — ბათომის აღება, ხალი-ფაშის მოსვლა 80 ათ. კაცით და სხვა „მატიანეებში დადასტურე-ბული არ იყო“[119].

ამასთან დაკავშირებით, თუ გავიხსენებდით ლევან გურიე-ლის ქიერ ლიტვინოვისადმი 1804 წ. გაგზავნილ წერილს, რომელ-შიც ნათქვამი იყო—„ბათომი რომ დაკარგული გვაქვს ოთხმოცი წელიწადია“-ო, [120] მაშინ ზემოთ მოტანილი ცნობა უფრო ჭეშმა-რიტი გამოჩნდება. აღნიშნული ანგარიშით, ოსმალებმა გურიელს ბათომი წაართვეს 1724 წელს. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ვა-ნის-ქედის ჟამნ-გულანის მინაწერში დაცული თანმიმდევრობაც ამ თარიღს უახლოვდება. 26 წელს ხალი-ფაშის შემოსევა, ბათუ-მის დაკარგვა, თეროსანის დაკარგვა, ერთი წლით ომი, ნოემბერ-ში თოვლის მოსვლა და ბეჟან დადიანის სიკვდილი. ეს უკანასკნე-ლი ფაქტი, როგორც ჩანს, 1726 წელზე გვიანაა ნაგულისხმევი და უახლოვდება დადასტურებულ თარიღს (1728 წ.)[121]. ამგვარად, მოტანილი ცნობების შეჯერების სპფუძველზე შეიძლებოდა მიგ-

ველო, რომ ბათუმი ოსმალებმა მიიტაცეს 1726 წ.

დასახელებულ წიგნში დ. ბაქრაძემ მოგვცა ლინგვისტური თვალსაზრისით იმ დროისთვის მეტად მნიშვნელოვანი ქართლურ-კახურ-იმერულ-გურულ-ქობულეთურ-აჭარული ქართული მეტყველების შედარებითი მოკლე ლექსიკონი[122].

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წიგნში დანართების სახით გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალა. ასეთია, მაგალითად, „კათალიკოსის სამწყსო სამცხე-საათაბაგოს“, რომელიც ბაქრაძემ ჯერ კიდევ 1865 წ. გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“[123]. მაგრამ ამ გამოცემას არ ახლდა სათანადო შენიშვნები. განსახილველად აღებულ წიგნში ბაქრაძე მას ხელმეორედ აქვეყნებს[124]. ეს დოკუმენტი საინტერესოა როგორც შინაარსობრივად, ისე ბაქრაძისეული კომენტარიებით.

მოტანილი საბუთიდან ჩანს, რომ ქართული საეპისკოპოსო კათედრები ერთიანებდნენ ოსმალთა მიერ მიტაცებული სამხრეთი საქართველოს ტერიტორიას. მაგ., იშხნელი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა „გურჯი-ბოღაზს აქეთ, სულა თორთომი, ტაოს ქვემოთი, არტანუჯს თავის საკრულავი ჰქვიან იმას აქეთი, გალმა ორჯოხის მთის აქეთი, სულა საკავკასიძო, ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდმოღმა“. სხვა საეპისკოპოსოებში გაერთიანებული იყო პარხალი, კოლა-არტაანი, ვალაშკერთი, ყაღზევანი, დევაბოინი, კარი, ოლთისი, ბანა, ტაოს-კარი, ფანასკერტი და სხვ. ზემო აჭარა, შავშეთთან და სხვა უბნებთან ერთად, მტბევარის სამწყსოში შედიოდა, ხოლო ქვემო აჭარა—ქუთათელის სამწყსოში. სიის ბოლოში ნათქვამი იყო:

„ამ ეპისკოპოსებთ მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათალიკოზია: იმის ხელთ არის ყველა“[125].

ბაქრაძე იძლევა მოტანილი საბუთის მეცნიერულ განხილვას. ამასთან ერთად საყურადღებოა, რომ იგი იძლევა საბუთის დათარიღების ცდას ორთოგრაფიული ანალიზის მოშველიებითაც: „აქტის წარმოშობა უნდა მიეკუთვნოს იმ ეპოქას, როცა ახლანდელ თურქულ საქართველოს ჰქონდა როგორც საერთო სახელი —მესხეთი ან ზემო-ქართლი, ისე კერძო საუბნო ქართული სახელები და, როცა, როგორც ჩანს, ერთი მცხეთის კათალიკოსი განაგებდა მთელ საქართველოს. აქტის ზოგიერთი სიტყვები, როგორიც არის: სამცხე-საათაბაგო, აფხაზეთის კათალიკოზი და სხვ... როგორც გვიან ხანაში გაჩენილი, საფიქრებელია, გვიან ჩართული უნდა იყოს. ასევე ასო ფ რომელიც ქართულ ალფაბეტში პირველად ანტონ I კათალიკოზმა შემოიღო, ეჭვს გარეშეა, გვიანდელი გადამწერის საქმეა“[126].

„აფხაზეთის კათალიკოზი“ ტექსტში არ ჩანს, და ეს გაუგებრობას ქმნის. გარდა ამისა, ბაქრაძე ვერ უკვირდება „კარელი“ ეპისკოპოსის სამწყსოს, რომლის დასახელება იმაზე მიუთითებს, რომ კარი თავისი სანახებით, საბუთის შედგენის დროს საქართველოს ხელშია. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნული დოკუმენტი მე-14 ს. 60-ან წლებზე ადრეა შედგენილი. მაგრამ „თავადთა“ საგვარეულოების მოხსენიება საბუთის თარიღს უფრო გვიან (XV ს.) უნდა გულისხმობდეს. ეს ის დროა, როდესაც საქართველოს მთლიანობა დარღვეულია, მაგრამ ეკლესია მთლიანობას ჯერ კიდევ ინარჩუნებს. მართებულად მიაქცევს ყურადღებას ბაქრაძე „სამცხე-საათაბაგოს“, „ზემო-ქართლს“, როგორც შედარებით გვიანდელ ხანაში გაჩენილ გეოგრაფიულ ტერმინებს. იქვე ბაქრაძე იძლევა საბუთში მოხსენიებულ თავადთა საგვარეულოების შესახებ ისტორიულ მონაცემებს არსებული წერილობითი წყაროების საფუძველზე („ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი, ბროსე და სხვ.)[127].

გარდა აღნიშნულისა, დასახელებულ წიგნში გამოქვეყნებულია კიდევ მრავალი დოკუმენტი, ბევრი შინაწერი, დიდი რაოდენობის საბუთების ანოტაციები[128]. ყურადღებას იპყრობს ბაქრაძის მიერ ხიდისთავში ნახული „სამარხო ტრიოდი“, რომელიც მას მეწიეთის ეკლესიიდან მიუტანეს. ბაქრაძე აქვეყნებს ამ ტრიოდის „ძეგლის წერა“-ში მოხსენებული ქართველი მოღვაწეების სახელებს, რომელთა შორის არიან თავიანთი დიდი ტიტულებით დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ექვთიმე და გიორგი ათონელები, „ქართველი ტომების „მასპინძელი“ გრიგოლ ბაკურიანის ძე, სევასტოსი და დასავლეთის დიდი „დემესტლიკოსი“ და სხვები. ეს „ძეგლის წერა“ იკითხებოდა წმ. სოფიას ტაძარში, კონსტანტინოპოლში, დიდმარხვის ყოველ პირველ კვირას[129].

წიგნში შესული საბუთებიდან მეტად საინტერესოა აგრეთვე გურიის მდივანბეგთა განაჩენების ოქმები, რომლებიც გურიის სამთავროს სასამართლო დაწესებულების მიერ ძველი ქართული სამართლის ტრადიციების შემონახვის დამადასტურებელია.[130]

განსაკუთრებით დიდია ბაქრაძის მიერ შეგროვილი ფაქტიური მასალის მნიშვნელობა ბაილეთის, ლეზოურის, შემოქმედის, ჯუმათისა და სხვა ისეთი მონასტრების შესახებ, რომელთა ძეგლების ნაწილი დაიღუპა და მეცნიერებისათვის ცნობილია მხოლოდ ფოტოსურათების მიხედვით. საერთოდ, ბაქრაძის მიერ გაწეულ ღვაწლს ამ შრომით „ჩვენთვის ახლაც უშუალო რეალური ღირებულება აქვს“. მისი ნამოქმედარი, „ჩვენ ცოდნათა გაღრმავე-

ბის თვალსაზრისით, ყოველთვის შეინარჩუნებს თავის ისტორიულ ღირებულებას"[131].

„არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში" ჩვენი ისტორიული მეცნიერებისათვის დღესაც ისეთი ძვირფასი განძია, რომელიც თავის მნიშვნელობას მომავალშიაც არ დაკარგავს.

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ ბაქრაძის იმ გამოუქვეყნებელი ნაშრომის შესახებ, რომელიც აჭარა-ქობულეთს ეხება და მდიდარ მასალას შეიცავს. ასეთია ნაშრომი—„ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანი". იგი დაწერილია 1879 წ., ე. ი. მის შემდეგ, რაც ბათუმის ოლქი რუსეთმა შემოიერთა.

ომის შედეგად აჭარა-ქობულეთი დიდად დაზარალდა. ოსმალებმა უკან დახევისას ყველაფერი გადაწვეს და გაანადგურეს. განსაკუთრებით გადაბუგეს იმ მცხოვრებთა სახლკარი, რომლებიც რუსთა მხარეზე გადავიდნენ. ოსმალები მთელი სისასტიკით იყრიდნენ ჯავრს მცხოვრებლებზე, აიძულებდნენ მათ დაეტოვებინათ მშობლიური კერა და ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ. ისინი უკანასკნელ ლუკმა-პურს აცლიდნენ მშრომელ მოსახლეობას. „ან აქ სიკვდილი, ან იქ (ოსმალეთში. მ. დ.) სიცოცხლე", ასეთი იყო ეს სამკვდრო-სასიცოცხლო არჩევანი, რომლის წინაშე ოსმალო ბარბაროსებმა აჭარა-ქობულეთის მოსახლეობა დააყენეს.[132]

ასეთ მდგომარეობაში მყოფ კინტრიშის უბანში აწარმოებდა დაკვირვებებს ბაქრაძე, რომელმაც ისტორიისათვის მრავალი და მეტად ღირსშესანიშნავი ფაქტი აღნუსხა.

ნაშრომში საინტერესო მასალას ვხვდებით კინტრიშის უბნის მოსახლეობის შესახებ. აქ ზოგიერთი სოფლები განხილულია მათი დინამიურობის თვალსაზრისით (წარმოშობა, განშტოება, გაქრობა); მოყვანილია მოსახლეობის რიცხვის შესახებ შედარებითი ცხრილი, რომელშიც შესულია როგორც 1877 წ. „თურქული კალენდრის" მონაცემები, ისე ახალი რუსული მმართველობის ცნობები. ბაქრაძე იძლევა მოტანილი ცხრილის ანალიზს და ეხება საკითხს გადასახლებულ მკვიდრთა რაოდენობის შესახებ. მოცემულია აგრეთვე ცნობები უბნის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გარშემო.

ყურადღებას იპყრობს ბაქრაძის მიერ ხაზგასმული ცნობა იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა 1854 წ. სულტნის ფირმანს „ტყვეთა ვაჭრობის აკრძალვის" გარშემო. სინამდვილეში ტყვე ადამიანებით ვაჭრობა ამ ნატყუარი ფირმანის ნიღაბქვეშ გრძელდებოდა. ბაქრაძე შენიშნავდა: „ეს ვაჭრობა ჩვენს დრომდის წი-

ნანდებურად ავსებდა სულტნისა და თურქეთის დიდკაცობის ჰარამხანებს".133

ძვირფასი ცნობების შემცველია აგრეთვე ბაქრაძის შენიშვნები ბათუმის ოლქის შესახებ. ეს შენიშვნებიც გამოუქვეყნებელია. იგი წარმოადგენს შავ მასალას, რომელიც ავტორს ჩაუწერია თავის მოგზაურობათა დროს. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მასალებში არასრული ცნობები „ბათუმის ოლქში ოსმალეთის მთავრობის დროს არსებული გადასახადების" შესახებ; ჩამოთვლილია მხოლოდ ხუთამდე სხვადასხვა გადასახადი: 1. ვერგი ემლაყი—გადასახადი კარ-მიდამოზე, მისი ღირებულების $^1/_2$%; 2. თახშირი ანუ აშარი—მოსავლის მეათედი; 3. ბედელათი—გადასახადი ბაღებზე, ხილის მოსავლის მეათედი; 4. უნგამ რუსუმათი — გადასახადი წვრილ რქოსან საქონელზე, მეთევზეობაზე, ტყეზე; 5. ინთიზანი—გადასახადი ყველა ნაწარმზე, რომელსაც კი მცხოვრებნი ჰყიდიან ქალაქში.

მასალებში ვხვდებით ცნობებს მეტად საინტერესო არქეოლოგიური მონაპოვრების შესახებ. როგორც ცნობილია, თურქები ანგრევდნენ ქართულ ქრისტიანულ ძეგლებს, რომელთა მასალით მეჩეთებს აშენებდნენ. მაგრამ უკულტურო დამპყრობლები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ყოველგვარი ქართულის მოშლას, მეჩეთების კედლებში ქართულ ჩუქურთმიან და წარწერიან ქვებსაც დაატანებდნენ. ზოგჯერ ასეც იყო, რომ ქრისტიანულ ეკლესიას პირდაპირ მეჩეთად გადააკეთებდნენ; ასე მაგ., ბაქრაძემ სოფ. ქვაბაჩის — მეჩეთად გადაკეთებული ეკლესიის კედლებზე ნახა ორი მოჰიდავის ქანდაკება, დიდ მთლიან ქვაზე რომ იყო გამოკვეთილი... მის მასალებში ეს ქანდაკება გადმოხატულია. იქვეა ჩახატული სურათი ცხენზე ამხედრებული საერო კაცისა, რომელსაც ხელში ჯვარი უჭირავს და სხვ.

აღნიშნულ მასალებში ვხვდებით საინტერესო ცნობებს არტანუჯის, გიუმიშხანეს, კლარჯეთისა და ქართული სხვა თემების შესახებ134.

თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული რაიონების ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბაქრაძის ნაშრომებს: „წერილი ბათუმის ოლქის შესახებ"135, „ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა" 136 და „თურქული მიწათმფლობელობის ისტორიული მიმოხილვა".137

აღნიშნულ ნაშრომებში საინტერესოა ბაქრაძის მიერ მოცემული მტკიცება სამხრეთი საქართველოს ისტორიული პროვინციების კუთვნილების შესახებ. განსაკუთრებით ჩერდება ავ-

ტორი ჭოროხის ხეობის გასწვრივ მდებარე ქართულ რაიონებზე; იგი ქართული ისტორიული წყაროების მოშველიებით იძლევა მათ გეოგრაფიულ ნომენკლატურას: „ჭოროხის აუზმა, რომელიც მრავალი ხეობებისაგან შედგება... ძველადგანვე შექმნა შემდეგი ცალკეული ოლქები: ა) კლარჯეთი, რომელშიაც შედის თორთომი, ისპირი, ბაიბურთი და ჭანეთი, ანუ ახლანდელი ლაზისტანი; ბ) ტაო ანუ ტაოს-ყარი ოლთისით, ბანათი (ახლა პენიაკი), კალმახით, იშხანითა და ფანასკერტით; გ) არტანუჯი, ახლანდელი არტანუჯის უბანი, დ) შავშეთი; ე) აჭარა"... და სხვ.[138]. შემდეგ საუბარია საქართველოს ისტორიაში ჭოროხის ხეობის მოსახლეობის დიდი როლის შესახებ; მოთხრობილია ამ უბნის არქიტექტურული ძეგლების გარშემო და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ოლთისის ოლქში მოსახლეობას კვლავ შერჩენილი ჰქონდა ძველი ქართული ინტენსიური სოფლის მეურნეობის ტრადიციები:

„ოლთისის ოლქში,—წერდა ბაქრაძე, — მოგზაურის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს არხების შესანიშნავი სისტემა, რომელიც უეჭველად შემონახულია შორეული წარსულიდან. არხები აქ ვებერთელა მანძილზეა გაყვანილი; ისინი ჰკვეთენ ყველაზედ უფრო მაღალი კლდეებისა და მთების ქანობებს, იყოფიან მეორე ხარისხოვანი არხების მრავალ შტოებად, მიედინებიან ხეობის გრძელ ღარებში, მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე, წყლის ამწევი მანქანებით ხელახლა ადიან სიმაღლეებზე და ქმნიან ახალ არხებს..." ასეთივე არხები ნახა ბაქრაძემ ართვინის უბანშიაც, განსაკუთრებით იმერ-ხევში[139].

დ. ბაქრაძე სათანადო საბუთების მოტანით ამტკიცებდა, რომ ყარსის ოლქი ძველადგანვე საქართველოს ეკუთვნოდა. იგი ეკამათებოდა სენ-მარტენს და ზოგიერთ სომეხ მეცნიერებს, რომლებიც წინააღმდეგს ამბობდნენ.

აღნიშნულის დასადასტურებლად დ. ბაქრაძე მიუთითებდა, რომ ყარსის ოლქის უდიდესი ტერიტორია ქართული ძეგლებით იყო დაფარული. საბუთიანობისათვის უფრო მეტი ძალა რომ მიეცა, იგი უპირველეს ყოვლისა ჩამოთვლიდა იმ ძეგლებს, რომელთა ქართული წარწერები გადმოიღო სომეხმა ნერსეს სარგისიანმა, შემდეგ კი მოჰქონდა ცნობები კერძოდ მის მიერ აღწერილი მონასტრების გარშემო.

საკუთრივ ქალაქი ყარსის შესახებ, სხვათა შორის, დ. ბაქრაძე წერდა: „ქალაქ ყარსში, ციხეში მთავარი შესასვლელის კარებზე, ჩუქურთმიან ქვაზე, რომელიც, როგორც ჩანს, ეკლესიიდან იყო ჩამონგრეული, ვნახე ნახევრადგადაშლილი ძველი წარ-

წერა რომელიღაც „აფხაზთა მეფის“ სახელით, ციხის კედლებზე კი—საქართველოს მეფის რუსუდანის სახელი“. აქვე ავტორი სათანადო წყაროზე დაყრდნობით ასახელებს 3 ქართველ ეპისკოპოსს (ანისში, ყარსში და ვალაშკერტში) და შენიშნავს, რომ სომეხი ისტორიკოსის ლასტივერტელის ცნობით, ვალაშკერტელი ქართველი ეპისკოპოსი ზაქარია 1022 წ. მონაწილეობას ღებულობდა გიორგი პირველის მოლაპარაკებაში ბიზანტიის იმპერატორ ბასილთან. 140

მოტანილი მტკიცებანი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც დ. ბაქრაძე პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელიც ცდილობდა ისტორიული ფაქტების მოტანით და მეცნიერული წესით დაემტკიცებინა საქართველოს მიერ დაკარგული სამხრეთი რაიონების კუთვნილება. ცხადია, რომ მოტანილი საბუთიანობა, თუმცა მისი უტყუარობა ეჭვს არ იწვევს, სათანადო წყაროების ცოდნისა და გამოყენების თვალსაზრისით, შეზღუდულია. მიუხედავად ამისა მას თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი, როგორც უშუალო მეცნიერი დამკვირვებლის მიერ შეგროვილი საყურადღებო მასალების შემცველი, თავის მნიშვნელობას დღესაც არ ჰკარგავს.

დღეისთვისაც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ღირსებას არ ჰკარგავს ბაქრაძის გამოკვლევა — „თურქული მიწათმფლობელობის სისტემის ისტორიული მიმოხილვა“, რუსულ ენაზე. ამ საკითხის გარკვევას, მაშინ, როდესაც რუსეთს ძველი ქართული პროვინციების დიდი ნაწილი შემოერთებული ჰქონდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. „კავკასიის იურიდიულ საზოგადოებაში“ კარგა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა კამათი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გაგებული „საახჩო“ და „თაფური“ მიწისმფლობელობის წესები. ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას.

საყურადღებოა, რომ ბაქრაძე საკითხის გადაწყვეტას უდგებოდა „ისტორიული და შედარებითი მეთოდის“ გამოყენებით. ასეთი მეთოდის უქონლობას თვლიდა იგი იმის ერთ მიზეზად, რომ აქამდის საკითხის გარკვევაში სინათლე ვერ შეიტანეს. ამ რთულ საკითხთან დაკავშირებით ბაქრაძე ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ ამოცანის გადასაწყვეტად სრულებით არ იყო საკმარ „მუსლიმანური მიწათმფლობელობის პრინციპის“, როგორც საფუძვლის, წარმოდგენა: „ჯერ კიდევ არაა გამოკვლეული, ჰქონდა თუ არა მას აუცილებელ ისტორიულ გარემოებათა შედეგად რაიმე გადახვევები აღნიშნული პრინციპიდან. არ ვიცით, ხომ არ განუცდია მას თურქების მიერ ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის

შემდეგ რომაული წესის რაიმე გავლენა და მათ მიერ ქართული პროვინციების დაკავების შემდეგ ხომ არ შეუთვისებიათ, ან ხელუხლებლად ხომ არ დაუტოვებიათ მანამდის იქ არსებული წესების რომელიმე ფორმა"...[141] ამასთანავე, დ. ბაქრაძის სწორი მოსაზრებით, საჭირო იყო ძველი საქართველოს ცალკეულ პროვინციებში არსებულ ურთიერთობათა შედარება ერთმანეთთან, მათ შორის სხვაობის, თუ მსგავსების გამოყვანა და მათი შეფარდება თურქეთში არსებულ კანონმდებლობასთან, საჭირო იყო აგრეთვე უცხოური ლიტერატურის გაცნობაც.

დ. ბაქრაძე არ კისრულობდა აღნიშნული პროგრამის გადაწყვეტას. იგი თვლიდა, რომ მის მიერ მოხაზული ეს პროგრამა სამართლის სპეციალისტებს უნდა გადაეწყვიტათ. თვით დ. ბაქრაძე კი იძლეოდა თურქული მიწათმფლობელობის „ზოგად ისტორიულ მიმოხილვას". ამასთან დაკავშირებით იგი აყენებდა საინტერესო დებულებას იმის შესახებ, რომ მუსლიმანურმა კანონმდებლობამ მიწათმფლობელობის სფეროში განიცადა თურქთა მიერ დაპყრობილი ხალხების კანონმდებლობათა გავლენა.

ნაშრომში მოცემულია თურქული სამამულო მფლობელობის ფორმების განხილვა, რის შემდეგაც ავტორს გამოაქვს მეტად საგულისხმო დასკვნები.

დ. ბაქრაძე უარყოფდა მაშინ გავრცელებულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ სულტნის მოხელეებს ეძლეოდათ ერთგვარი „ახჩები", „ბარათები", ხაზინიდან ჯამაგირის თუ მიწებიდან შემოსავლის მისაღებად. იგი თვლიდა, რომ თურქეთს არ შეეძლო თავისი მოხელეების დაკმაყოფილება ჯამაგირით, რადგან თურქეთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო და იმ მომენტშიაც კი, როდესაც ბაქრაძე წერდა, იძულებული ხდებოდა, რომ მოხელეებისათვის ნახევარი ხელფასი ნატურით ეძლია. ბაქრაძე ეკამათებოდა იმათ, ვინც ამტკიცებდა, რომ თურქეთში არ ჩანდა სამემკვიდრეო გვარები, რომ ეს თითქოს საჯამაგირო (საახჩო) სისტემის შედეგი იყო. ამასთან ერთად იგი აღნიშნავდა, რომ საქართველოს სამხრეთ რაიონებში ფეოდალურმა საგვარეულოებმა დიდხანს შეინარჩუნეს თავიანთი პრივილეგიური მდგომარეობა, რომ ეს გარემოება ვერ ურიგდებოდა ე. წ. „საჯამაგირო სისტემას".

აღნიშნულთან დაკავშირებით ბაქრაძემ წამოაყენა მეტად მნიშვნელოვანი დებულება: „საათაბაგოს ფარგლებში, თურქების მიერ მისი დაპყრობის შემდეგ, ერთი ხელის დაკვრით არ შეიძლებოდა ძველი სამიწათმფლობელო ურთიერთობის დამსხვრევა და ქართული ლენური სისტემა, რამდენადმე სახეცვლილი თურქული სისტემით, დიდხანს დარჩა"[142]. ამის შემდეგ გაშლილია

მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად იძულებული უნდა ყოფილიყო თურქეთის მთავრობა დასაწყისში, რომ ანგარიში გაეწია საათაბაგოს გაბატონებული საზოგადოებისათვის; მთავრობას მხოლოდ თანდათანობით შეეძლო მესხეთის გაბატონებული ფენებისათვის თავზე მოეხვია თავისი სისტემა[143].

დასასრულ, ბაქრაძე აჯამებს თავის საფუძვლიან ნარკვევს და იძლევა დასკვნით დებულებებს. ნაშრომი თავისი დასკვნითურთ განსაკუთრებით საყურადღებოა არა მარტო იმით, რომ ავტორი სიზუსტით განიხილავს თურქული მიწისმფლობელობის კატეგორიებს, არამედ იმით, რომ მასში მოცემულია ცდა ამ კატეგორიების დაკავშირებისა ქართული სამამულო მფლობელობის ფორმებთან. ამავე დროს ნაშრომს ორიგინალურს ხდის ის გარემოება, რომ ავტორმა დაასაბუთა ძველი ქართული ურთიერთობის გამძლეობასთან ერთად შეუსაბამობა ოსმალეთის მთავრობის კანონმდებლობასა და ფაქტიურად არსებულ მდგომარეობას შორის.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ დ. ბაქრაძის აღნიშნული ნაშრომი თურქეთის მფლობელობის ქვეშ ნამყოფი და აწ მყოფი ქართული პროვინციების სამამულო მფლობელობის ისტორიის გარშემო დღეისთვისაც ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში ერთი სერიოზული ნაშრომია.

4. „ისტორია საქართველოსი"

მეცნიერული მოღვაწეობის მთელ მანძილზე დ. ბაქრაძე ცდილობდა მოემზადებინა ნიადაგი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნისათვის. როგორც უკვე აღნიშნული იყო, მისი პირველი ცდა ასეთი სახელმძღვანელოს შექმნისა მარცხით დამთავრდა. იგი განაგრძობდა მასალების შეგროვებას და ისტორიული მეცნიერების ახალ მოთხოვნილებათა შეთვისებას.

თუ გავითვალისწინებდით იმ გარემოებას, რომ ბაქრაძემ ისტორიის წიგნის პირველი ნაწილი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს (1889) გამოაქვეყნა, მაშინ მთელი მისი მეცნიერული მოღვაწეობა შეიძლებოდა განგვეხილა როგორც საქართველოს ისტორიის მასალების შეგროვებისა და მეცნიერული შესწავლისათვის ბრძოლა. აქასთან ერთად ბაქრაძის მოღვაწეობაში ჩანდა ისტორიის ცალკეული საკითხების მონოგრაფიებად შესწავლის სერიოზული ცდა. მისი მონოგრაფიები, როგორც მაგ. „მირიან მეფე და წმინდა ნინო", „მითრიდატ დიდი", „ტაციტის ცნობა საქართველოზე", „სომხეთისა და საქართველოს დამოკიდებულება ბიზანტიასთან საზოგადოდ და მე-10 საუკუნეში კერძოდ", „ბაგრატ IV", „ვახტანგ VI" და სხვ., ასეთი ცდის ნიმუშები იყო[144].

მრავალწლოვანი ენერგიული მუშაობის წყალობით ბაქრაძემ დიდძალი ისტორიული მასალა შეაგროვა. ახალი მასალის გამოყენება ისტორიისათვის მან სცადა ვახუშტის საქართველოს ისტორიის გამოცემასთან დაკავშირებით 1885 წ. გამომცემელი თვითონ აუწყებდა მკითხველს, რომ იგი ვახუშტის ისტორიას სცემდა „განმარტებულსა და შევსებულს ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით". მართლაც, წიგნში დართულ შენიშვნებში ვხვდებით მეტად საინტერესო ახალ მასალას, რომელიც იმ დროისთვის ჩვენი ისტორიის ცოდნას საგრძნობლად აღრმავებდა.

აღნიშნული გამოცემა ამჟღავნებდა, რომ მისი ავტორი წინანდელთან შედარებით შესამჩნევად წინ იყო წასული. უფრო მდიდარი ერუდიციით, ქართულ-რუსული და უცხოური წყაროების ფართო მასშტაბით, დ. ბაქრაძე ავლენდა, რომ იგი კიდევ რამდენიმე წლის დაძაბული მუშაობით შესძლებდა საქართველოს ისტორიის ისეთი სახელმძღვანელოს შედგენას, რომელიც იმ დროის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. ამას მოითხოვდა მისგან ქართველი საზოგადოება, რომელიც გულდასმით ადევნებდა თვალყურს მის ნაშრომებს. თვით დ. ბაქრაძე ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენისათვის წინამოსამზადებელ მუშაობას დასრულებულად არ თვლიდა. მიუხედავად ამისა ქართველი საზოგადოება თავისი გაზრდილი მოთხოვნებით დ. ბაქრაძის წინაშე ასეთ ამოცანას გადაუდებლად სვამდა. ამოცანა მეტად რთული ჩანდა იმითაც, რომ რუსეთისა და ევროპის ისტორიულ ლიტერატურას გაცნობილ დ. ბაქრაძეს სახელმძღვანელო უკვე დიდად გაზრდილი ისტორიული მეცნიერების მოთხოვნათა საფუძველზე უნდა გაემართა.

საერთოდ XIX ს. II ნახევარში, განსაკუთრებით ამ ნახევრის პირველ ათეულ წლებში, ნაციონალურ ისტორიოგრაფიაზე დიდი გავლენა ჰქონდა რომანტიკულ იდეებს. ამავე დროს ევროპაში შეიმჩნეოდა XVIII ს. რაციონალისტური კონცეფციის გავლენა, რაც გაპირობებული იყო ბურჟუაზიის პოლიტიკური გამარჯვებით, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ზრდით[145].

აღნიშნული პერიოდის ისტორიულ აზროვნებაში დიდი როლი ითამაშა ლიბერალურ-პოზიტივისტურმა შეხედულებებმა. თუ რაციონალიზმი ეფუძნებოდა მათემატიკისა და მექანიკის განვითარებას, პოზიტივიზმი ფორმდებოდა ბუნებისმეტყველების დიდი განვითარების ეპოქაში. ამასთან დაკავშირებით იგი ისტორიულ განვითარებაში განმსაზღვრელ როლს ანიჭებდა მეცნიერულსა და ტექნიკურ ცოდნას. პოზიტივისტურ-ბურჟუაზიული სოცი-

ოლოგია კისრულობდა საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების დადგენას კონკრეტულ-ისტორიული მონაცემების საფუძველზე, ბუნებისმეტყველებაში გამომუშავებული მეთოდებით. მაგრამ ბურჟუაზიის იდეოლოგებმა, თავიანთი კლასობრივი შეზღუდულობისა გამო, ვერ შესძლეს საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებისა და მოვლენების მეცნიერული ახსნა.

ბურჟუაზიული პოზიტივისტური ისტორიოგრაფია, მიუხედავად თავისი იდეალისტური ხასიათისა, რეალისტური მიმართულების შემცველი იყო. იგი აიგივებდა საზოგადოებრივ-ისტორიულ სამყაროს ბუნების სამყაროსთან, ცდილობდა ისტორიული პროცესის ობიექტურ შეცნობას; მიუხედავად არადიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდოლოგიისა, იგი გაჟღენთილი იყო ოპტიმიზმით, მეცნიერების, ტექნიკის, ადამიანის გონების უსაზღვრო პროგრესისადმი რწმენით[146].

XIX ს. 60-ანი წლებიდან რუსეთსა და საქართველოში გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა ბოკლი, რომელმაც თავის ერთადერთ ნაშრომში—„ცივილიზაციის ისტორია ინგლისში"—მოგვცა პოზიტივიზმის პრინციპების განხორციელება ისტორიოგრაფიაში. ყველა პოზიტივისტის მსგავსად იგი კაცობრიობის ისტორიას განიხილავდა როგორც ბუნების განვითარების ისტორიას. იგი ხიდს სდებდა ბუნებასა და საზოგადოებას შორის სტატისტიკის მეშვეობით. სტატისტიკა მას წარმოედგინა როგორც უმთავრესი საშუალება საზოგადოების ისტორიის კანონთა გახსნისათვის. მისი აზრით, ისტორიკოსი ხელს უნდა ჰკიდებდეს ცალკეული პირების ბიოგრაფიებს კი არა, არამედ ბუნებრივი გარემოს შესწავლას, სიმდიდრის განაწილების, მოსახლეობის ზრდის, განსაკუთრებით ცოდნის გავრცელებისა და მისი დონის შესწავლას. XVIII ს. განმანათლებლების გავლენით, იგი აიგივებდა საზოგადოების პროგრესს ცოდნათა პროგრესთან. ისტორიული განვითარების ბოკლისეული „კანონები" ასახული იყო უპირველეს ყოვლისა „ადამიანის ინტელექტის განვითარების კანონებად"[147]. ამავე დროს ბოკლი იყო 50-ანი წლების ინგლისური ბურჟუაზიის ტიპიური წარმომადგენელი. მას ახასიათებდა ინგლისელი ლიბერალის შეზღუდულობა, ინგლისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების უპირატესობისადმი ბრმა რწმენა. მიუხედავად ამისა ბოკლის ოპტიმიზმი, რწმენა ადამიანის გონების უსაზღვრო ძლისადმი, ბრძოლა სიბნელესა და უვიცობასთან, ცრუმორწმუნეობასთან, საშუალო საუკუნეობრივ გადმონაშთებთან, მისი წიგნისადმი სიმპათიურ განწყობილებას ქმნიდა 60-ანი წლების ინტელიგენციაში.[148]

ჯერ კიდევ 1866 წ. დიმიტრი ბაქრაძე „დროების“ ფურცლებზე საკმაოდ ვრცლად შეეხო იმ დროის ისტორიული მეცნიერების მოთხოვნებს:

„უძნელესი სამეცნიერო საგანი ეხლანდელს დროში არის ისტორია. უწინ ისტორია სხვა გვარათ ესმოდათ, ახლა სხვა გვარათ ესმით. შედარება ძველსა და ახალს ისტორიაში არ შეიძლება. ჩვენი წინა-პარები თავიანთს მოთხრობაში გვიამბობდნენ მხოლოდ ომიანობას, ჩამოსთვლიდნენ დინასტიებს და თუ რომელიმე ხელმწიფე სხვებში უფრო გამოიჩენდა თავს, მაშინ დიდის დაწვრილებით აგვიწერდნენ, თუ რამდენს ომში გაიმარჯვა იმან. ხალხის შთამომავლობა ყოველთვის ნოემდე აჰყავდათ... ხალხის ცხოვრების წარმოდგენა, რომელსაც უნდა შეემოწმებინა ეს თქმულება, საჭიროდ არ მიაჩნდათ. ასე იყო როგორც ჩვენს კვეყანაში, აგრეთვე მთელს ევროპაში...“[148]

„ისტორიკოსმა... უნდა წარმოგვიდგინოს მთელის ხალხის ცხოვრების თვისება, უჩვენოს გავლენა სხვადასხვა კანონების და შემთხვევებისა ხალხის ხასიათზედ, იმის ყოფა-ცხოვრებაზედ. იმან უნდა აგვიწეროს, ამა და ამ დროს მეცნიერებას რა მიმართულება ჰქონია, რა გვარათ ვრცელდებოდა საზოგადოებაში, რა ცვლილებას შემოიტანდა, რა დაბრკოლებას შეჰხვდებოდა, რა ყოფილა მიზეზი იმ დაბრკოლებისა; რა გვარია იმისი ზნეობა, ან როგორ ესმის იმას ზნეობა.—კერძოობით პირებს, რაც უნდა მაღლა იდგნენ ისინი, ის მნიშვნელობა აღარ აქვთ ახლანდელს ისტორიაში, როგორც უწინ... იმათი ღირსება ის არის, რომ ისინი მოწინავე პირნი არიან. **თუ საზოგადოებაში ესა და ეს იდეები ჯერ არ არის, იმას არც ეყოლება ამ იდეების წარმომადგენელი, მოწინავე, და როდესაც არის, თუ არ როსტომი, არჩილი მაინც მოწინავეთ გამოჩნდება.**—ეს უეჭველია. ხალხის სწავლა, ყოფა-ცხოვრება, ისტორიკოსმა უნდა შეადაროს ხოლმე სხვა ხალხის სწავლას და ყოფა-ცხოვრებას...“

„...რა უნდა იყოს ისტორია, როგორ უნდა იწერებოდეს, ისე ცხოვლად და დახელოვნებულის კალმით ჯერ არავის უჩვენებია ისე... როგორც გვაჩვენა ბოკლმა“[149].

მოტანილ სიტყვებში ნათლად ჩანს ბოკლისადმი თანაგრძნობა, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელ თვისებათა გაზიარება. მაგრამ აღნიშნული არ ამოწურავს ბაქრაძის დამოკიდებულებას ისტორიის გაგებისადმი. თავისი შეხედულებებით ისტორიაზე იგი კვალდაკვალ მისდევს იმ დროინდელი ისტორიოგრაფიის მიღწევებს.

შემდგომს ხანაში უფრო პროგრესული ბურჟუაზიული ის-

ტორიული აზროვნება მეტად ითვისებს ე. წ. „ეკონომიზმს“, რომელიც ისტორიულ განვითარებაში სამეურნეო ცხოვრების მოვლენებს გადამწყვეტ როლს ანიჭებდა. ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა „ეკონომიური ფაქტორისადმი“ ყურადღების გამახვილება ბარქსიზმის გავლენით დაიწყეს[150], თუმცა მათ ხელში ეს პრინციპი საკითხის მარქსისტულ გაგებამდე არასდროს არ ასულა.

1873 წ. ბაქრაძე წერდა: „ახლანდელ დროში, როგორც ცნობილია, ხალხის ისტორიად, სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით, აღიარებულია საგარეო მოვლენათა აღწერა და ცალკეულ პირთა ბიოგრაფიები კი არა, არამედ ხალხის საშინაო ცხოვრების, მისი სოციალური და ეკონომიური ყოფის ჭეშმარიტი და საფუძვლიანი ასახვა. ასეთი ისტორია მხოლოდ მაშინ შეიძლება შედგეს, როდესაც შესწავლილი და გაგებული იქნება საშინაო ცხოვრების ყველა მხარე, როდესაც გულმოდგინედ შესწავლილი იქნება მის შესახებ ყოველგვარი მონაცემები“[151].

აღნიშნულიდან ჩანდა, რომ დ. ბაქრაძე ემიჯნებოდა ძველი სკოლის ისტორიკოსებს. მას ხალხის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება ისტორიის ძირითად შინაარსად წარმოედგინა. მაგრამ იგი თავის კვლევა-ძიებაში ვერ იძლეოდა ამ პრინციპის განხორციელებას. მან მხოლოდ საამისო ცდა მოგვცა. გარდა ამისა, აღნიშნული პრინციპი დ. ბაქრაძეს მთელი თავისი სირთულით ვერ ჰქონდა წარმოდგენილი, მას ახასიათებდა ის, რაც საერთოდ პოზიტივისტ-ისტორიკოსებს: იმ დროს ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპების ცოდნა და მისი არათანმიმდევრული გამოყენება. ამასთან ერთად ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბაქრაძე ქართველი ხალხის საშინაო ცხოვრების ისტორიის შესწავლას შეუძლებლად თვლიდა მანამდის, ვიდრე არსებული წყაროები სათანადოდ შესწავლილი არ იქნებოდა[152]. ამავე მიზეზისა გამო დ. ბაქრაძის ნაშრომებში შედარებით ნაკლებად ჩანდა ანალიზური და სინთეზური მიდგომა მოვლენათა შეფასებაში; ასევე, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი ახსნა, რაც მას ზოგჯერ მხედველობიდან რჩებოდა.

მიუხედავად აღნიშნულისა ბაქრაძე არ დასულა ემპირისტი ისტორიკოსის დონემდის. იგი არ იზღუდებოდა მხოლოდ ფაქტების აღწერით და ცდილობდა მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მოძებნას.

თავისი „ისტორიის“ წინასიტყვაობაში ბაქრაძემ ძირითადად გაიმეორა მის მიერ უკვე ადრე გამოთქმული და შეთვისებული ისტორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც მისი აზრით, „შეადგენდნენ შეურყეველს საძირკველს ახალის მეთოდის

ისტორიისას". აქედან ჩანდა, რომ ავტორი ახალი მეთოდების შეგნებით იყო აღჭურვილი, მაგრამ იგი იქვე აღნიშნავდა, რომ ამ მეთოდის საფუძველზე სათანადო ცნობების შემოკრება და „საფუძვლიანად შემუშავება" მოითხოვდა „ხანგრძლივსა და მცოდნე პირთა შეერთებულ შრომასა"153.

ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენის მთელი სირთულის შეგნებასთან ერთად, როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძე თვლიდა, რომ ამ ამოცანის დაძლევა ერთი მკვლევარის ძალას აღემატებოდა. ამასთანავე, მის მიერ მეთოდის არათანმიმდევრულ დაცვაზე მიუთითებდა ის გარემოება, რომ აღნიშნულ წინასიტყვაობაში მას მხედველობიდან გამორჩა ხალხის ეკონომიური ცხოვრების შესწავლის, როგორც „ახლებური მეთოდის" ძირითადი ნიშნის, შესახებ ხაზგასმა, ანუ გამორჩა ის, რაც მან თვითვე აღნიშნა 1873 წ. მიუხედავად ამისა დ. ბაქრაძის მიერ წამოყენებული პრინციპები, ისტორიის ახლებურად გამართვას რომ ისახავდა მიზნად, ქართული ისტორიოგრაფიისათვის სრულიად ახალი მოვლენა იყო.

შეცდომა იქნებოდა, რომ დ. ბაქრაძე იმდროინდელი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ბრმა მიმდევრად წარმოგვედგინა. საქართველოს მაშინდელი სპეციფიური მდგომარეობა თავისებურად განსაზღვრავდა მის ისტორიულ აზროვნებას. დ. ბაქრაძეს, როგორც ეროვნულ-კულტურული მოძრაობის დიდ მოღვაწეს, თავის მეცნიერულ მუშაობაში საკუთარი ხალხის ინტერესები, ეროვნული ინტერესები, ამოძრავებდა; მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლიდა მას განთავისუფლებულიყო რომანტიკული გავლენებისაგან და, როგორც მეცნიერ ისტორიკოსს, კვლევის მთავარ მიზნად დაესახა ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ობიექტური შემეცნება. როგორც ჩანს, მას შეგნებული ჰქონდა, რომ ასეთი მიზნის განხორციელებით უკეთესად შეუწყობდა ხელს ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის საქმეს.

დ. ბაქრაძეს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ისტორიას უნდა გამოეკვლია და დაედგინა, თუ როგორ მიაღწია კაცობრიობამ აწმყომდე. აწმყო მას წარმოდგენილი ჰქონდა არა „განგების" მიერ შექმნილ ხალხთა ცხოვრების სინამდვილედ, არამედ ისტორიული პროცესის განვითარების საფეხურად, ისტორიულ ძალთა მოქმედების შედეგად. სამშობლოს ისტორია მას უკეთესი მომავლის გამოკვეთისათვის საბრძოლო იარაღად მიაჩნდა. ეს მან თავისებურად გამოთქვა ჯერ კიდევ 1870 წ. „საქართველო"-ს გამოცემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მოწოდებაში:

„გამოკვლეული არის, რომ წარსულს დროზეა მჭიდროდ დამყარებული აწინდელი დრო. ვინც ძველის დროს ამბები არ იცის,

იმან ახლის დროს მნიშვნელობა არ იცის... ჩვენ არ ვიცით ჩვენი წარსული სვე და ამიტომ გულგრილად შევცქერით აწინდელს"[154].

დ. ბაქრაძის აზრით, ისტორიის, როგორც მეცნიერების, ერთი მთავარი ამოცანი იყო იმის გამორკვევა, თუ „რა სამსახური მიუგია" ამა თუ იმ ერს „საზოგადოდ კაცობრიობისათვის კულტურის წარმატებაში".

დ. ბაქრაძეს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნისათვის წინარე ხანის ისტორიკოსებთან შედარებით უკეთესი მომზადება გააჩნდა. მან ქართულ-რუსული ენების კარგ ცოდნასთან ერთად საუკეთესოდ იცოდა ფრანგული ენაც. იგი სარგებლობდა აგრეთვე ბერძნული, ლათინური და გერმანული წყაროებითაც. სხვა ენების ცოდნა მის ნაშრომებში არ ჩანს. ბაქრაძის მიერ თავის ისტორიაში დამოწმებული წყაროები მოწმობს, რომ იგი ფართო ერუდიციის მეცნიერი იყო. იგი იცნობდა ბროსეს, დუბუას, გატერიასის, ლანგლუას, ლებოს, ლენორმანის, მასპეროს, მილერის, სენ-მარტენის, უსლარის, რამბოს, კლაპროტისა და სხვათა ნაშრომებს. რა თქმა უნდა, იმ დროისთვის, როდესაც ბაქრაძე ისტორიას წერდა, რუსეთსა და ევროპაში, აღნიშნულ ავტორებთან შედარებით, უკეთესი მეცნიერი ისტორიკოსებიც იყვნენ, მაგრამ ყველა მათგანის ნაშრომი დ. ბაქრაძეს საქართველოს ისტორიისათვის არ გამოადგებოდა და მაშინდელ თბილისში ბევრი საყურადღებო წიგნის შოვაც შეუძლებელი იყო.

მაგრამ ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი" წყაროების გამოყენების თვალსაზრისით, ყველაზე მეტად საინტერესოა იმ ნაწილში, სადაც ავტორი მის მიერ მოპოვებულ ახალ მასალებს იყენებს.

დ. ბაქრაძემ წინარე ხანის ისტორიკოსებთან შედარებით უფრო საფუძვლიანად გამოიყენა ისტორიისათვის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები. მართალია, მას ამ ძეგლებიდან არ ამოუღია ყველაფერი ის, რასაც მასში დღევანდელი მეცნიერება ხედავს, მაგრამ მან მაინც პირველმა სცადა, რომ წმინდათა ცხოვრებაში მოცემული მასალა ისტორიის პროცესთან დაეკავშირებინა[155].

დ. ბაქრაძემ თითქმის მთლიანად გამოიყენა ისტორიისათვის არსებული წერილობითი მასალა, რომელიც პირადად მისი მოღვაწეობის შედეგად იყო გამდიდრებული. მან აღმოაჩინა და მეცნიერულ-კრიტიკული თვალსაზრისით განიხილა არა ერთი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი, შეისწავლა და დაიმოწმა თავის ნაშრომებში მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა, მრავალი სიგელ-გუჯარი და სხვ. ასეთი მასალების სია ერთვის მისი ისტორიის წიგნს[156].

ისტორიის პირველ წიგნში დ. ბაქრაძეს არ შეეძლო მის განკარგულებაში მყოფი გაცილებით უფრო მდიდარი წერილობითი თუ ნივთიერი წყაროების ცოდნის სრული გამომჟღავნება, რადგან მისი „ისტორია“ X საუკუნის ბოლომდეა მოყვანილი და ისიც ამ პერიოდისთვის ნავარაუდევი 2 ნაწილისაგან მან მხოლოდ ერთის დასრულება მოასწრო. ბევრი მასალა, რომელიც მან მოიპოვა და შეისწავლა, უნდა ამეტყველებულიყო მისი ისტორიის მე-2 ნაწილში, სადაც იგი ფიქრობდა ქართველი ხალხის საშინაო-ისტორიული ცხოვრების ასახვას.

დ. ბაქრაძე ხალხის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების შესახებ ცნობებს ხედავდა არა მარტო წერილობით ძეგლებში, არამედ მატერიალური კულტურის ძეგლებშიაც, „საეკლესიო და საერო“ ძეგლებში, „სხვადასხვა ხელოვნებაში, ხელ-საქმობაში, არხიტექტურაში, მანუსკრიპტების მინიატურებში და ტაძრების მხატვრობაში“[157]. ბაქრაძეს არ დასცალდა, აგრეთვე, მის მიერ გამოვლენილი იმ ახალი მასალის გამოყენება, რომელიც X ს. შემდგომ პერიოდს ეხება[158].

დ. ბაქრაძის „ისტორიის“ მასალა მარტო წერილობითი წყაროებით არ იფარგლებოდა. წინარე ხანის მკვლევარებთან შედარებით დ. ბაქრაძემ უფრო სრულად გამოიყენა ისტორიისათვის ამ საგნის დამხმარე და მომიჯნავე დისციპლინები: არქეოლოგია, ეთნოგრაფია, პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, ხელოვნებათმცოდნეობა, ლინგვისტიკა, გეოლოგია, გეოგრაფია და სხვ. დ. ბაქრაძე ისტორიკოსისაგან მოითხოვდა ამ დისციპლინების ცოდნას, მათ გამოხატვას ისტორიაში: „ჩვენის დროის ისტორიკოსი ძალიან მომზადებული და განვითარებული კაცი უნდა იყოს. იმას უნდა ესმოდეს თითქმის ყოველივე სამეცნიერო საგნები, რომელნიც ისტორიაში უნდა გამოიხატებოდნენ“[159].

კიდევ უფრო მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ დ. ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა ისტორიის დამხმარე ზოგიერთ დისციპლინას — ქართულ პალეოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას; ამავე დროს იგი ქართველთაგან პირველი მეცნიერი—არქეოლოგი იყო. დ. ბაქრაძის, როგორც არქეოლოგის მოღვაწეობა განსაკუთრებული განხილვის ღირსია და სპეციალისტებს მოელის.

დ. ბაქრაძის სწორი მოსაზრებით, ისტორიკოსს ენაში უნდა მოეძებნა „უძველეს საუკუნეთა კვალი“, „ყოფა-ცხოვრების“ შესწავლით უნდა დაედგინა ამა თუ იმ ერის მიერ შეტანილი წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში. ამდენად მას წარმოდგენილი ჰქონდა ენათმეცნიერების უდიდესი მნიშვნელობა ის-

ტორიისათვის; ასევე ითქმის ზემოაღნიშნულ სხვა დისციპლინებზედაც.

ისტორიისათვის საჭირო მასალას დ. ბაქრაძე პოულობდა აგრეთვე ხალხის ზნე-ჩვეულებებში, ზეპირ-სიტყვაობაში, გადმოცემა-ლეგენდებში, მითოლოგიაში და სხვ. მასვე შეგნებული ჰქონდა, რომ ყოველგვარი მასალა მეცნიერ-დამკვირვებელს კრიტიკულად უნდა შეესწავლა.

დ. ბაქრაძე შეიძლებოდა მიგვეჩნია ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი მეცნიერულ-კრიტიკული აზროვნების პირველ წარმომადგენლად. მან პირველმა სცადა, მოეცა „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული კრიტიკა, საერთოდ საქართველოს ისტორიის წერილობითი ძეგლების კრიტიკული განხილვა. იგი პირველი იყო, რომელმაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში წყაროთმცოდნეობის პრობლემა დასვა და მის გადასაწყვეტად გარკვეული ნაბიჯი გადადგა.

ისტორიული წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება დ. ბაქრაძემ ჯერ კიდევ 1857 წ. გამოამჟღავნა[160]. შემდგომ პერიოდში მისი საისტორიო კრიტიკა უფრო მაღალ საფეხურზე ადის. მისი აზრით, ქართული წყაროები უნდა შემოწმებულიყო „სომხურით, სირიულით, ბერძნულით, რომაულით და სხვ.“[161].

1885 წ. გამოქვეყნებულ წერილში—„ქაროლის ცხოვრების პირველ-გადმოცემათა წყაროები და მათი ხასიათი“—ბაქრაძე თავისებური მეცნიერული სიფრთხილით აფასებს აღნიშნულ კრებულში შესულ მასალას[162]. იგი აღნიშნავს, რომ „პირველ-გადმოცემა“ არ შეიძლება ვაღიაროთ ისტორიულ ჭეშმარიტებად. მიუხედავად ამისა მითებსა და ლეგენდებში, მისი აზრით, ისტორიკოსმა ჭეშმარიტების მარცვალი უნდა დაინახოს: „სადაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს ამ უკანასკნელთ დასაწყისი: იბადებიან იგინი თვით ერში, თუ შემოდიან გარედამ, მაინცა და მაინც ჩვენ არ შეგვფერის მათდამი უყურადღებობა, რადგან, როგორც ცნობილია, ხშირად აღბეჭდავენ იგინი ერში დანერგილს რომელსამე მოაზრებას, უჩვენებენ ერის შეხედულობას ქვეყნიერობაზე, სტოვებენ კვალს მის ცხოვრებაში და საფუძვლად ხდებიან შემდეგ მწერლობის ნაწარმოებში“[163]. გადმოცემა-ლეგენდებში ბაქრაძე მართებულად ხედავდა ისტორიული ცხოვრების ანარეკლს „იმ ხმას, რომელიც ცრუდ გამოისმის ისტორიის უწინარეს დროის მოვლენათა და შემთხვევათაგან; რაც უნდა ფანტასტიკურ ფორმებში იყვნენ იგინი ჩამოსხმულნი, რაც უნდა დაუჯერებელი იყოს მათი თვით შინაარსი, მაინც შედარებითს

მეთოდს შესწავლისას შეუძლიან ამ გადმოცემათა შორის აღმოაჩინოს ვეშაპარიტება"[164].

ამავე წერილში ბაქრაძე ცდილობს მოგვცეს „ქართლის ცხოვრების" ლინგვისტური განხილვა კრებულის სიძველისა და მის შემდგენელ ავტორთა გამოკვლევის თვალსაზრისით.

მაშინ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, „ქართლის ცხოვრება" ვახტანგ VI-ის მატიანედ იყო აღიარებული. ბაქრაძემ პირველმა აღნიშნა, რომ ეს მოსაზრება ძეგლისადმი არაკრიტიკული მიდგომის ნაყოფი იყო, რომ თვით ძეგლი უტყუარად ამტკიცებდა თავის სიძველეს: „არას ვიტყვით იმ გარემოებაზე, რომ კერძო ქრონიკების შემადგენელნი ხშირად ჰმალავენ თავიანთ სახელს. მაგრამ „ქართლის ცხოვრება" თვითვე გვიჩვენებს, როდის, რა რიგად და ვინ სწერდა და ადგენდა მატიანეთა..."[165] იქვე აღნიშნული იყო ისტორიკოსი ჯუანშერის ანდერძული მინაწერი, რომელიც მიუთითებდა „ ქართლის ცხოვრების " „ჟამითი ჟამად" შედგენაზე და საიდანაც ჩანდა, რომ ვახტანგისა და მის მომდევნო მეფეთა ისტორია ერთი ავტორის მიერ იყო დაწერილი.

„ქართლის ცხოვრების" კრიტიკას დ. ბაქრაძე იძლევა აგრეთვე თავის ისტორიაში. იგი ასწორებს წინარე ხანის ქართულსა და უცხოურ მწერლობაში დაშვებულ შეცდომებს აღნიშნული კრებულის შესახებ[166].

ბაქრაძის მიერ მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების" აღმოჩენის შემდეგ ძნელი არ ყოფილა ამ ძეგლების შესახებ არსებულ მცდარ შეხედულებათა უარყოფა[167]. ამ აღმოჩენამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი „ქ. - ცხოვრების" თანდათანობითი შედგენის ისტორიის შესწავლის შესახებ.

მაგრამ დ. ბაქრაძეს, აღნიშნული ხელნაწერის პირველ მკვლევარს, ჯერ კიდევ არ მიაჩნდა შესაძლებლად „ქ. - ცხოვრების" შედგენის ისტორიის გამოკვლევა. მიუხედავად ამისა იგი აღნიშნავდა მისთვის დამახასიათებელ ზოგიერთ თავისებურებას. კერძოდ, ახალმა ვარიანტმა შესაძლებელი გახადა სუმბატის მატიანის, როგორც მასში განცალკევებით შესული ნაწარმოების, გაცნობა: „არ ვიცოდით... აქამომდე, რა ეკუთვნოდა სუმბატს, რადგანაც იმაზე მხოლოდ შენიშვნაა მიწერილი ძველს აკადემიის ვარიანტში; მაგრამ როდესაც მარიამ დედოფლის ვარიანტი გავიჩხრიკეთ, ვნახეთ, რომ აქ სუმბატის ხრონიკა მთლად ცალკეა შეტანილი ქართლის ცხოვრების ტექსტში, იწყება მეექვსე საუკუნიდამ და თავდება მეთერთმეტე საუკუნეში ბაგრატ IV დროს; დაბეჭდილს „ქ. - ცხოვრებაში" და სხვა დედნებში კი დაგლეჯილია და აქა-იქ გაფანტული"[168].

როგორც აკად. ი. ჯავახიშვილმა აღნიშნა, დ. ბაქრაძე ვერ იძლეოდა „ქ. - ცხოვრების“ ტექსტში მოხსენებულ ავტორთა ნამუშევრის ცალ-ცალკე გამოკვლევას: „რა ეკუთვნის „ქართლის ცხოვრებაში“, ანუ მროველს ანუ ჯუანშერს ანუ იოანე დეკანოზს, არ ვიცით“-ო. მას ჰგონია, რომ „უნდა იყოს აქა-იქ „ქართლის ცხოვრებაში“ დაბნეული თვით მროველისა, ჯუანშერისა და იოანე დეკანოზის ხრონიკები“-ო და ამიტომ შეუძლებლად მიაჩნია გამოარკვიოს, ვის რა ეკუთვნის. მას იმედი აქვს მხოლოდ: „იქნება ესეც აღმოჩნდეს რომელსამე ვარიანტში“-ო. ამგვარად ცხადია, რომ დ. ბაქრაძეს „ქ. - ცხოვრების“ შედგენის ისტორიასა და შემადგენელ ნაწილებზე ლაპარაკი მაშინ შეუძლებლად მიაჩნდა“[169].

ზემოთ ნათქვამი იმის შესახებ მიუთითებდა, რომ ბაქრაძე ტექსტის არსებით ანალიზს არ იძლეოდა. მისი მეცნიერული კრიტიკა ამდენად შეზღუდული იყო. მიუხედავად ამისა ბაქრაძე მაინც პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ პალეოგრაფიულ-ლინგვისტური ანალიზის მოცემა სცადა. მან პირველმა შეაფასა ამ ძეგლის ისტორიული ღირებულება. იგი ზოგჯერ სწორად აფასებდა „ქ. - ცხოვრების“ ავტორებსა და მათი ნაწარმოებების ზოგად ხასიათს. მაგ., ლეონტი მროველს იგი მართებულად თელიდა მემატიანედ და არა „უბრალო გადამწერად“, როგორადაც იგი შემდეგში თ. ჟორდანიამ ჩასთვალა[170]. ბაქრაძე ჯუანშერის ისტორიაში ვახტანგ გორგასალის შესახებ ხედავდა ზღაპრულ ამბებს: „ვახტანგის ცხოვრება, რომელსაც განსხვავება თითქმის არა აქვს არც ერთ ქ. - ცხოვრების ვარიანტში, ისეა შედგენილი, რომ ზღაპრულ მოთხრობას მიემსგავსება; მაგ., იმისი გმირული თვისება და პირადი ბრძოლა სხვადასხვა ბუმბერაზებთან ან გოლიათებთან, იმისი ბევრთა ბევრული ლაშქრები; ასიათასობით მტრის დატყვევება, ყველგან ძლეგა-მოსილი გამარჯვება,—ყოველივე ეს, ვიმეორებთ, სრულიად არაკი თუ არ არის, უეჭველად გაზვიადებულია პანეგირისტისაგან“[171]. ამ სწორი შეხედულების გვერდით ბაქრაძე ჯუანშერს თელიდა თანამედროვე მემატიანედ, რომლმაც ვახტანგის ისტორია ზღაპრული ამბებით გააზვიადა.[172]

როგორც შემდეგში აკად. ჯავახიშვილმა ნათელჰყო, „არც ლეონტი მროველი და არც ჯუანშერი მათ მიერ აღწერილი ამბების თანამედროვენი არ ყოფილან“[173].

დ. ბაქრაძემ პირველმა გამოიყენა ისტორიისათვის „უძველესი სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოები“, „მოქცევაი ქართლისაი“ მატიანე, რომლის არსებობის შესახებ უფრო ადრე აღნიშნულ იქნა ნ. მარისა და თ. ჟორდანიას მიერ. ამ უკანასკნელის წერილი „ივე-

რიაში“ ბაქრაძის წერილზე ორი დღით ადრე გამოქვეყნდა. აღნიშნული წყარო მოთავსებული იყო „შატბერდის კრებულში“, რომელიც 1888 წელს ალექსისძე—მესხიშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა.[174]

ბაქრაძის შეხედულებას ქართლის მოქცევის მატიანეზე ყურადღება მიაქცია აკად. ს. ჯანაშიამ, რომელიც წერდა: „ივერიაში“ ბაქრაძემ გამოაქვეყნა მთელი კრებულის შინაარსი და ანდერძ-მინაწერებიც მეტნაკლებად. ბაქრაძის აზრით, „შატბერდის კრებული გადაწერილია აშოტის შვილის, ბაგრატ კურაპალატის, ზეობაში (826-876 წ. წ.), იოანე ბერის მიერ. „მოქცევაი ქართლისაი“ შეიცავს არა მარტო ჩვენს ქრონიკას, ანუ „ქართულს მოკლე მატიანეს“, როგორც მას ბაქრაძე ეძახის, არამედ წმ. ნინოს ცხოვრებასაც. „ეს მატიანე, გამოკრებული, როგორც ეტყობა, სხვა დიდის მატიანიდამ,—წერს ბაქრაძე,—ბევრში ეწინააღმდეგება ქ. -ცხოვრებას; მაგალითებრ, მატიანეში პირველ ქართლის მეფედ სახელწოდებული არანი, რომლის შვილი აზო თურმე მიემხრო ალექსანდრე მაკედონელსა და ალექსანდრესაგან თვით არანის სიცოცხლეშივე დადგენილ იქმნა მეფედ მცხეთაში“. ავტორი შემდეგშიაც ლაპარაკობს „ქართლის მეფის არანის ძეზე, აზოზე, რომელიც... ალექსანდრე მაკედონელმა არანის სიცოცხლეშივე დაადგინა ქართლის მეფედ“. „არც მატიანეში, არც „ქართლის მოქცევაში“, ამბობს ბაქრაძე, ჩვენ არ ვხედავთ არაეითარ კვალს არც უცხოელთ მწერლობის გავლენისას და არც შემდეგ საუკუნეთა ცვლილებისა“[175].

ძირითადად ასეთი იყო იმ დროს „ქართლის მოქცევის“ მატიანის შესახებ გაბატონებული შეხედულება, ვიდრე იგი სათანადო მეცნიერული ანალიზით არ განიხილა აკად. ჯავახიშვილმა,[176] ხოლო შემდეგ აკად. ს. ჯანაშიამ, რომელმაც ეს განხილვა ახალ მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა.

როგორც შემდეგში აკად. ს. ჯანაშიამ დაამტკიცა, „ქართლის მოქცევის“ მატიანის ტექსტში მოხსენებული „არიან ქართლის“ ქვეყანა (და არა „არან მეფე“) წინააზიური სამყაროს „ჰარი-ქვეყანას“ უნდა გულისხმობდეს და ქართველ ტომთა წინაპრების უძველესი ბინადრობის ადგილზე მიუთითებს.[177]

ისტორიის წიგნში დ. ბაქრაძე იძლეოდა საქართველოს ისტორიის საგამოკვლეო პროგრამას, მიუთითებდა პროგრამის სარეალიზაციოდ საჭირო მასალებზე და აღნიშნავდა:

„იმ გვარი მასალა ჩვენის ისტორიისა, როგორსაც ზემოთ

ეუჩვენებთ, ჯერ-ჯერობით ჩვენ არა გვაქვს და რაცა გვაქვს, ისიც ნაწყვეტ-ნაწყვეტი, აქა-იქ გაფანტული, **ხელ-უხლებელი კრიტიკის მხრით; ამის გამო ჩვენი შრომა არა თუ სრული არ არის, არამედ რამდენადაც უძველეს ხანებს ეხება, იმდენად უფრო ზღაპრულის თვისებისაა...**" იქვე აღნიშნული იყო, რომ მან მის განკარგულებაში არსებული მასალა—ქართულსა და უცხოურ ენებზე—„შეძლებისდაგვარად აწონა, გაარკვია" და თავის წიგნში შემოიტანა.[178]

ბაქრაძის მიერ მოტანილი ახალი მასალის „შეძლებისდაგვარი აწონვა და გარკვევა", შეიძლება ჩავთვალოთ როგორც ერთგვარი გარდამავალი საფეხური წყაროების ძველი გარეგნულ-ფორმალური კრიტიკიდან ახალი მეცნიერულ-ისტორიული კრიტიკისაკენ. უმართებულო იქნებოდა ამაზე მეტი მოგვეთხოვა იმ დროის მკვლევარისათვის, როდესაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში მეცნიერულ-კრიტიკული მიმართულება მხოლოდ ფრთებს ისხამდა. ბაქრაძე, შეიძლება ითქვას, ამ საქმის სერიოზული წამომწყები იყო.

ყურადღებას იპყრობს ბაქრაძის მიერ სახარების ქართული თარგმანების შესახებ წყაროების კრიტიკა, ქსნისა და ურბნისის ოთხთავის ვარიანტების ანალიზი, შუშანიკის წამების შესახებ საკითხის კრიტიკული განხილვა და სხვ.[179].

ბაქრაძე კრიტიკულად ეკიდება ლიტერატურულ წყაროებსაც. იგი ეკამათება სენ-მარტენს, რამბოს, პატკანოვს, სტოანოვსა და სხვებს. მაგ., მან სათანადო საბუთიანობით უარჰყო რამბოს, სენ-მარტენის, ლანგლუას და სხვათა არა სწორი მითითებანი საქართველოსა და სომხეთის ისტორიული გეოგრაფიის გარშემო და სხვ.[180].

დ. ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ისტორიის დამხმარე დისციპლინას—ქართულ პალეოგრაფიას. ამის შესახებ მ. ჯანაშვილიც კი წერდა, რომ ბაქრაძემ „დაადგინა და შექმნა ახალი დარგი ქართულის მეცნიერებისა, ე. ი. ქართული პალეოგრაფია".[181] მართალია, დ. ბაქრაძეს ქართული პალეოგრაფია სათანადო მეცნიერულ სიმაღლეზე არ აუყვანია, ეს მხოლოდ აკად. ივ. ჯავახიშვილმა გააკეთა, მაგრამ დ. ბაქრაძის მიერ მოპოვებულმა მასალამ და მისმა პირველმა დაკვირვებებმა ეს საგანი თავისებურად გააფორმეს.

1881 წ. რუსეთის V არქეოლოგიურ ყრილობაზე დ. ბაქრაძე **გაეცნო მოხსენებით—„Грузинская Палеография", რომელიც ყრილობისავე მასალებში გამოქვეყნდა.** გამოკვლევას ახლდა ქართული დამწერლობის ტაბულები და ნიმუშები, რომლებიც თვით ავტორის მიერ იყო დედნებიდან გადმოხატული და წარმოადგენდა განმაზოგადოებელ ელემენტებს. ავტორი განიხილავდა ქარ-

თული მონასტრების: ურბნისის, რკონისა და მცხეთის ჯვრის წარწერებს; ყურადღება ექცეოდა ქართული მონეტების წარწერებსაც. განხილული იყო აგრეთვე მომდევნო პერიოდის დამწერლობაც—ვიდრე XVIII საუკუნემდე. გამოქვეყნებულ 10 ტაბულაში თანმიმდევრული განვითარების მაჩვენებელი საკმაოდ მრავალი ნიმუშია მოცემული.

დ. ბაქრაძე იძლეოდა მოტანილი მასალის საინტერესო ანალიზსაც. იგი ეხებოდა აგრეთვე ისეთ რთულ პრობლემას, როგორიცაა ქართული დამწერლობის წარმოშობა-სადაურობის საკითხი. მისი მოსაზრებით, ქართული ანბანი უნდა წარმოშობილიყო შავი ზღვის ნაპირზე, ბერძნული კოლონიების ხანაში, ბერძნული კულტურის გავლენით. ამის საბუთად მოყავდა მას „ბერძნულიდან შეთვისებული ქართული ტერმინები—„ძელანი და „კალამი“[182]. ქართული ანბანის სიძველის შესახებ დ. ბაქრაძე ყურადღებას მიაქცევდა. ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. აკრიტიკებდა რა ანბანის წარმოშობის მესროფისეულ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ თეორიას, იგი აღნიშნავდა: „რომ მესრობის დრომდე ჩვენში ხუცური ასო-მთავრული ხმარებაში იყო, ეს ცხადია. ის მე-IV-VII საუკ. გვიჩვენებს **ისეთ წარმატებას, რომელიც პალეოგრაფიულის კანონით მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში ეძლევა ყველა ალფაბეტსა**“[183].

დ. ბაქრაძეს, როგორც ჩანს, წარმოდგენილი ჰქონდა, რომ დამწერლობა სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად უნდა გაჩენილიყო. იგი ამტკიცებდა, რომ ორივე მათგანი წინაქრისტიანულ ხანაში გაჩნდა[184].

ბაქრაძემ შეადგინა აგრეთვე ქართული ანბანის თანდათანობითი განვითარების მაჩვენებელი ცხრილი, რომელიც გამოქვეყნდა ცაგარელის რედაქციით[185].

აღნიშნულ წერილში გამოთქმული მოსაზრებები დ. ბაქრაძემ გაიმეორა „ისტორიის“ წიგნშიაც. დ. ბაქრაძემ პირველმა შეიტანა გარკვეულობა ქართული ანბანის თანდათანობითი განვითარების საკითხში. აკად. ბროსე მხედრული ანბანის წარმოშობას ფარნავაზ მეფის მოღვაწეობას მიაწერდა. იგი მხედრულს ხუცურის წინამორბედად თვლიდა.[186] ასეთივე მოსაზრებისა იყო ბარათაშვილიც[187].

აღნიშნულ წერილში, და შემდეგ ისტორიის წიგნში, ბაქრაძემ გაარკვია ქართული ანბანის განვითარების საფეხურები. მან მართებულად დაასკვნა, რომ ქართულმა ანბანმა თავისი განვითარების გრძელი და მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო, რომ ასომთავრული ხუცური ანბანი ჩვენთვის ცნობილი პირველი

საფეხურია, ხოლო ხუცური—მისი განვითარების შემდგომი ფორმა, რომ მხედრული ანბანი, როგორც ხუცურიდან განვითარებული, წარმოადგენს უმაღლეს დახვეწილ ფორმას. თავისი დებულება ბაქრაძემ გაამაგრა პალეოგრაფიული ანალიზით. მან დაამტკიცა, თუ როგორ თანდათანობით დაიხვეწა ასომთავრულიდან და შემდეგ ნუსხა-ხუცურიდან მხედრული ასო „უ"[188]. ეს უკანასკნელი მოსაზრება გაზიარებული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილსაც.[189]

ბაქრაძის ნაშრომებში გამოქვეყნებული მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა სათანადოდ გამოყენებულ იქნა აკად. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალურ ნაშრომში—„ქართული პალეოგრაფია".

ცალკეულ პრობლემათა დასმის თვალსაზრისით ბაქრაძის მეცნიერულ მოღვაწეობაში ორიგინალურია აგრეთვე მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხის სპეციალური დასმა. იმ დროის ისტორიკოსის აზროვნებისათვის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ქართველთა და სომეხთა ისტორიული ურთიერთობის შესახებ მეცნიერული ნარკვევის მოცემის ცდა; 1882 წ. „დროებაში" დ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ცალკე შეეხო საკითხს ქართველებისა და სომხებს „სარწმუნოებრივი და ლიტერატურული კავშირის" შესახებ.[190] ისტორიის წიგნში ბაქრაძე სპეციალურ ქვეთავში იხილავს საკითხს: „სომხეთის შინაგანი მდგომარეობა და დამოკიდებულება სომხობისა ქართველობასთან"[191].

დ. ბაქრაძეს თავისი „ისტორიის" აგებულების ერთ სერიოზულ პრინციპად მიაჩნია საქართველოსა და სომხეთის, როგორც ისტორიულად ერთმანეთთან დაკავშირებული ქვეყნების, ისტორიული წარსულის მჭიდრო კავშირში განხილვა. დამახასიათებელია, რომ ამ შემთხვევაში იგი ყოველგვარი ტენდენციურ-ნაციონალისტური განწყობილებისაგან თავისუფალია, მის აზროვნებას ერთა შორის სოლიდარობის, კეთილმეზობლური განწყობილების შეგნება ახასიათებს:

„ორი ძველისძველათგანვე მოსაზღვრე ტომი, ქართველობა და სომხობა, არიან ერთი მეორესთან მჭიდროდ დამოკიდებულნი"... როგორც ქართველმა, ისე სომეხმა ისტორიკოსებმა ამ „ორი ტომის... ურთიერთ კავშირი ცხოვლად უნდა აღნიშნონ", „ამ საფუძველს ჩვენ არას დროს არ ვივიწყებთ"-ო.[192]

პირველ თავში საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ ბაქრაძის მეცნიერულ-კრიტიკული მაღალი აზროვნების მაჩვენებელ ნაშრომზე—„პროფ. პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები". ამ ნაშრომიდან ჩანს, რომ დ. ბაქრაძეს მთელი სერიოზულობით ჰქონდა გათვალისწინებული, თუ როგორ დიდი სიფრთხილით უნდა მოკიდებოდა ისტორიკოსი მეზობელი ქვეყნისა და სა-

ერთოდ ხალხის ისტორიას. მან, როგორც ქართულ, ისე სომხურ ისტორიოგრაფიაში პირველმა გამოთქვა ის პეშმარიტი დებულება, რომ სარწმუნოებრივი განხეთქილება ორ ერს შორის არავითარ შემთხვევაში არ მიუთითებდა ამ ერების ერთმანეთისაგან დაშორებაზე. ბაქრაძე ამ შემთხვევაში ნიღაბს ხდიდა ისტორიაში ვიწრო ნაციონალისტურ შეხედულებათა მთელ შეზღუდულობას და უპირისპირებდა მას სალ ინტერნაციონალისტურ აზროვნებას.

როგორც უკვე ითქვა, ბაქრაძე საქართველოს უძველესი ისტორიის უნაკლოდ გაშუქებას, მასალების ნაკლებობისა და კრიტიკული შეუსწავლელობის გამო, შეუძლებლად თვლიდა. მიუხედავად ამისა იგი არსებული შესაძლებლობის ფარგლებში მაინც შეეხო ამ პერიოდის საკითხებს და მისი მსჯელობა ისტორიის ამ ნაწილშიაც ინტერესსმოკლებული არაა. იგი პირველი ცდილობს გამოიყენოს ისტორიისათვის ახლად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, რომელიც მისივე თქმით, აგრეთვე ნაკლული იყო. მას კარგად ესმოდა, რომ ქართველთა უძველესი წინაპრები იყვნენ „მუსკაი, მოსხნი (შემდეგ მესხნი), ტაბალნი, ტუბალნი, ტიბარენნი, ბოლოს იბერნი“.[193] იგი თვლიდა, რომ აღნიშნულ ტომთა „ყოფა-ცხოვრების, მათი ურთიერთ დამოკიდებულების“ გარკვევისათვის „წინა დროის“ არქეოლოგიური შესწავლა იყო საჭირო.

„ვიდრე იმ დროს (საჭირო მასალების სრულ შეკრებას, მ. დ.) მოვესწრებოდეთ, — წერდა ბაქრაძე,—ჩვენ უნდა ვიკმაროთ იმ წყაროებით, რომლებიც ჯერ-ჯერობით ხელთ გვაქვს. ამ წყაროებში პირველი ადგილი უკავია ბროსეს შრომასა. ამ შრომას შეადგენენ როგორც „ქართლის ცხოვრება“, აგრეთვე სხვა და სხვაგვარნი იმისნი დამატებანი, ბროსესაგან შემოგროვილნი, განხილულნი და გამოცემულნი“.[194]

როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრებას“ და ბროსესეულ „დამატებებს“ დ. ბაქრაძე თავისი ისტორიის უმთავრეს წყაროდ აღიარებს. მაგრამ მას „ქართლის ცხოვრება“ არ მიაჩნია ისეთ ძეგლად, რომლის შევსება-შესწორებით ისტორიის გამართვა შეიძლება. ამ შემთხვევაში დ. ბაქრაძე თავის წინაპარ ისტორიკოსთა მიმდევარი არაა. იგი ახლებური პრინციპის საფუძველზე აშენებს თავის ისტორიას. ამის უეჭველი დამამტკიცებელია დ. ბაქრაძის მიერ საქართველოს უძველესი ისტორიის საკითხების წამოყენება თავის წიგნში.

დ. ბაქრაძის ისტორია იწყება „საზოგადო ცნობით ისტორიის წინადროებაზე“. ესაა მისი ისტორიული მოთხრობის შესავალი თავი, რომელშიც ავტორი ამზადებს ნიადაგს იმისათვის, რომ სა-

ქართველო-ამიერკავკასიის უძველესი წარსული მსოფლიო-ისტორიულ პროცესს დაუკავშიროს. იგი იზიარებს მაშინ გავრცელებულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ადამიანთა ბინადრობის უძველესი ადგილი „ზემო აზია“ იყო. მისი აზრით, ქართველ ტომთა შორეული წინაპრებიც „ზემო-აზიიდან“ მცირე აზიის მიდამოებში გადმოსახლდნენ და დამკვიდრდნენ შავი ზღვის პირზე და კავკასიონის სამხრეთით.[195] ამავე თავში ავტორი განსაკუთრებით ჩერდება მცირე აზიაზე, იქ მოსახლე უძველეს ტომებზე. მან იცის, რომ სწორედ იქაა საძებარი ქართველ ტომთა ძველი კულტურული კერები. მისივე სწორი თქმით, „ქართველ ტომ-ნათესავის წინაპარნი სხვადასხვაგვარ სახელწოდებულნი“ ძველთაგანვე იყვნენ „მცირე აზიიდამ კავკაზამდე გაფანტულნი“[196].

ისტორიის II თავიც, შეიძლება ითქვას, შესავალი ნაწილია. იგი ეხება „კავკასიის უძველეს ისტორიას“ უცხოური წყაროების მონაცემების საფუძველზე. აქ მოცემულია ზოგადი ცნობები კავკასიის ტომებისა და მათი ენების შესახებ. ასეთი ისტორიული შესავლის შემდეგ ავტორი გადადის საქართველოს ისტორიის ეროვნული, ადგილობრივი, ცნობების განხილვაზე. III და IV თავები ძირითადად უჭირავს წყაროთმცოდნეობის საკითხებს. მოცემულია ქართული წერილობითი წყაროების ანალიზი. აქვეა დახასიათებული „ქართლის ცხოვრების“ წარმოდგენით კავკასიელებისა და ქართველების შთამომავლობა, „უძველეს დროთა ყოფა-ცხოვრება.—მამასახლისნი და იმათ დროს სურათი“. სათანადოდ დაფასებულია აგრეთვე უკანასკნელი დროის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ისტორიული მასალა. ამასთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დ. ბაქრაძე, პირველი ჩვენს ისტორიოგრაფიაში, შეეცადა გაევლო პარალელები არქეოლოგიურ მონაცემებსა და სტრაბონის ცნობებს შორის.[197] წიგნის ამ ნაწილში ორიგინალურია ბაქრაძის წარმოდგენა საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების საფეხურზე:

„ქართველი ტომი შავი-ზღვის პირად და კავკაზის მხარეებში დიდის ხნის მომდინარეობაში განცალკევებული ყოფილა; ამის გამო დაშორებიან ერთი მეორეს იმისი მონათესავე ენები; ქართული, სვანური და მეგრული ჰანურითურთ. შინაგანი წყობილება იმისი, საზოგადოებრივი, სარწმუნოებრივი და პოლიტიკური იმ გვარი თურმე იყო, რა გვარსაც ისტორია უძველეს დროებში თვით სხვა მრავალ ტომებსაც მიაწერს: თვითეული ტომი თვითვე განაგებდა სათემო საქმეებსა, საეროსა და სასულიეროსა, მის მიერვე ამორჩეულ პირთ შუამდგომლობით“.[198]

როგორც ვხედავთ, ბაქრაძეს ქართველთა ტომობრივი განცალკევება გარკვეულ ისტორიულ საფეხურზე მომხდარ მოვლენად მიაჩნია, ისე კი, უძველესი პერიოდისთვის, ქართველობა მას წარმოუდგენია მთლიან ეთნიკურ კატეგორიად, რომელმაც ისტორიული პროცესის პროგრესულობის თვალსაზრისით, შემდგომში თავისი მთლიანობა უნდა აღადგინოს და მართლაც, თავისი წიგნის XV და უკანასკნელ თავში ავტორი განიხილავს საკითხს „გაცალცალკევებული საქართველოს ნაწილებისა“, „ვიდრე იმათ შემოერთებამდე“. ერთი სიტყვით, ქართველური ტომები დ. ბაქრაძეს ისტორიულ მთლიანობაში აქვს წარმოდგენილი. გარდა ამისა, აღნიშნულ მითითებაში ყურადღებას იპყრობს ავტორის შეხედულება გვაროვნულ-თემური წყობილების, როგორც ქართველ ტომთა საზოგადოებრივი განვითარების პირველი საფეხურის შესახებ. მას მიაჩნია, რომ ეს საფეხური შეიცვალა საქართველოში „სამეფოს დაარსებით“. ეს პრობლემები მას სათანადო სისრულითა და სიღრმით გათვალისწინებული ვერ აქვს, მაგრამ მის მიერ საკითხების ამ რიგით დასმა იმ დროისათვის უეჭველ მიღწევაზე მიუთითებს.

ზემოაღნიშნული სქემის შემდეგ ავტორი გადადის „სამეფოს დაარსების“ საკითხზე (თავი V), შემდეგ კი თანმიმდევრობით მოგვითხრობს საქართველოს პოლიტიკურ-ისტორიული ვითარების ამბებს ვიდრე X საუკუნის ბოლომდე.

V თავს აქეთ მომდევნო განყოფილებებში ავტორი ძირითადად „ქართლის ცხოვრების“ სქემას მისდევს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ იგი პირდაპირ იმეორებს აღნიშნულ კრებულში შესულ ამბებს. როგორც არა ერთგზის ითქვა, დ. ბაქრაძემ ისტორიის წიგნი ახალი მასალებით გაამდიდრა და წიგნის ამ ნაწილში ეს მასალა კარგად იჩენს თავს. აქ ჩვენ ვხვდებით ცალკეული საკითხების მიხედვით მსოფლიო-ისტორიული ცნობების მოშველიებას. ავტორს შეძლებისდაგვარად გამოყენებული აქვს საქართველო-ამიერკავკასიის შესახებ იმ დროს გამოქვეყნებული ლიტერატურა ქართულ-რუსულსა და უცხოურ ენებზე. ამდენად ეს ნაწილი, როგორც ახალი მასალითა და ფაქტებით გამდიდრებული, ინტერესსმოკლებული არაა. მიუხედავად ამისა ჩვენ მის განხილვას არ შევუდგებით, რადგან წინარე ხანის ისტორიკოსთა ნამუშაევთან შედარებით დ. ბაქრაძის წიგნის დასახელებული V-XV თავები განსაკუთრებულ ყურადღებას ვერ იპყრობს.

ჩვენ მეტი მნიშვნელობისად ვცნობთ ბაქრაძის წიგნის I-V თავებს, სადაც ავტორი ისტორიას სავსებით ახალი პრინციპის საფუძველზე მართავს და „ქართლის ცხოვრების“ სქემა-სისტემი-

სადმი ბრმა მიმდევრობისაგან თავისუფალია.

ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი“ საყურადღებოა აგრეთვე იმით, რომ ავტორი მანამდის ჩვენს ისტორიოგრაფიაში უცნობი, მეტად ვრცელი და მრავალსაგნოვანი პროგრამით შეუდგა ისტორიის წერას. ისტორია „უძველესის დროდამ X საუკუნის დასასრულამდე“ შედგება 15 თავისაგან და 58 ქვეთავისაგან, ზეიცავს 14-დე სალტამბო თაბახს. აქ, ძველსა და ახლად აღმოჩენილ ქართულ ისტორიულ წყაროებთან ერთად განხილულია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ისტორიული ვითარება. ეს განხილვა მოცემულია ისტორიის დამხმარე დისციპლინების მოშველიებით. ამის გარდა, ახალი დროის ისტორიოგრაფიის მოთხოვნილების საფუძველზე ავტორმა წამოაყენა აღნიშნული პერიოდისთვის განკუთვნილი XVI-XVII თავების პროგრამა, რომელიც გამიზნული იყო ძირითადად საქართველოს საშინაო ცხოვრების ისტორიის შესასწავლად. ეს პროგრამა გამოქვეყნდა პირველად „ივერიაში“, ხოლო შემდეგ განმეორდა აღნიშნულ წიგნში. ავტორი თვით აუწყებდა მკითხველს, რომ მისი „ისტორია“ დაუმთავრებელი იყო:

„თუ მკითხველს ახსოვს, წარსულ წელს ნოემბრის „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო პროგრამა XVI-XVII კარისა, რომლითაც ეს ჩვენი წიგნი ბოლავდებოდა. ამ კარში უნდა შემოტანილიყო სურათი საქართველოს შინაგანის წყობილებისა (ნახე „ივერია“, 1888, № 235). ამ პროგრამის შესრულება ჩვენ ვერ შევძლეთ, რადგანაც ზოგიერთმა იმის საგნებმა ცნობების შემოკრება მოითხოვა ისე წიგნებიდამ არა, როგორათაც ადგილობრივ ჩვენის მხარის სხვა და სხვა კუთხეებიდან. ამის გამო ის მეორე ნაწილისთვის გადავდეთ“.[199]

გამოქვეყნებულ პროგრამაში ყურადღებას იპყრობს ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველად დასმული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, კულტურის ისტორიისა და სხვა საკითხები.[200]

ბაქრაძეს კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი ისტორიის წიგნისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებანი. იგი თვლიდა, რომ „დამაკმაყოფილებელი... სახელმძღვანელოს შედგენის დრო ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი, მაგრამ მასისა და კეთილების მოძალებულ და მოუცილებელ თხოვნათა უარყოფა შეუძლებელი გახდა“[201]. მისი სწორი აზრით, ღირსეული სახელმძღვანელოს შექმნა მოითხოვდა „ხანგრძლივსა და მცოდნე პირთა შეერთებულ შრომასა“.[202]

მოტანილი მიმოხილვიდან, ვფიქრობთ, ნათელი ხდება, რომ ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი“ ჩვენს ისტორიოგრაფიაში

ახალი და შესამჩნევი მიღწევა იყო. ამ ნაშრომით ავტორი იმ დროის ისტორიული მეცნიერების განვითარების დონეს უახლოვდებოდა და ქართველი საზოგადოების დაჟინებით მოთხოვნებს ისტორიის სახელმძღვანელოს მიღებაში ნაწილობრივ აკმაყოფილებდა.

დასკვნა

XIX ს. 40-ანი წლებიდან მოყოლებული ქართული ისტორიოგრაფია შეუჩერებლივ ვითარდება. იწყება ვახუშტისეული მდიდარი მეცნიერული ტრადიციების აღდგენა. ქართული ისტორიული მეცნიერება თანდათანობით ცდილობს ავიდეს ახალ მოთხოვნილებათა დონემდის; მაგრამ XIX ს. I ნახევრის ისტორიოგრაფია ვერ თავისუფლდება ძველი სკოლის ისტორიკოსთაგან ნაანდერძევი მანკიერებისაგან; მას მაინც ახლავს რომანტიზმი, რომელიც მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას მოჰყვა, და ზოგჯერ საშუალოსაუკუნეობრივი პროვიდენციალიზმიც. ისტორიის პრინციპული გამართვა ძირითადში „ქართლის ცხოვრების" სქემის მიხედვით, მისი შესწორება-შევსებისა და საკონტროლო პარალელების მოძებნის გზით ხდება. მიუხედავად ამისა, ასეთმა მიმართულებამაც ნაყოფიერი შედეგი მოგვცა: კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის გაუმჯობესებულ საფეხურზე აყვანა, ახალ მასალათა გამოვლინება, ისტორიის ცალკეული საკითხების მონოგრაფიებად შესწავლის პირველი ცდა, ისტორიისათვის გამოყენებული წყაროების მასშტაბის გაფართოება, ზოგიერთი საკითხების მსოფლიო-ისტორიულ ფონზე განხილვის ცდები, ქართულ ისტორიოგრაფიასთან მჭიდროდ დაკავშირებული ბროსეს მიერ ქართული ისტორიული ძეგლების გამოცემა სათანადო მეცნიერული კომენტარიებით და სხვ.

დიმიტრი ბაქრაძე რამდენადმე აფასებს წინარე ხანის ისტორიკოსთა მიერ გაწეულ საქმიანობას. იგი თვლის, რომ ანალიზურ საშუშაოს, სათანადო მოსამზადებელი მუშაობის გარეშე პირდაპირ ისტორიის წერას, წინანდელთან შედარებით უმჯობესი შედეგის მოცემა არ შეუძლია და საჭიროა ისტორიისათვის ახალი მასალების ძიება. ისტორიულ-არქეოლოგიურ მოგზაურობათა შედეგად გამოვლენილი ძვირფასი მასალებით ბაქრაძემ გამოამჟღავნა იმ დროისთვის მაღალი მეცნიერული მომზადება: ქართულ-რუსული და უცხოური (ბერძნულ-ლათინური, ფრანგული, გერმანული) ენების ცოდნა, იმდროინდელი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიურ მოთხოვნათა გათვალისწინება, გარეგნულ-ფორმალური კრიტიკიდან მეცნიერულ-

კრიტიკულ მიდგომაზე გადასვლა, ისტორიული საბუთების გამოცემის ახლებური ხერხები (მეცნიერული კომენტარიები) და სხვ. ასეთი მომზადების მაჩვენებელია მისი ნაშრომები: „სვანეთი“, „კავკასიის ძველი ქრისტიანული ძეგლები“, „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, რომლებიც ჩვენი ისტორიული მეცნიერებისათვის დიდ შენაძენად ითვლება.

დ. ბაქრაძე მეცნიერულ მუშაობაში დიდ ყურადღებას აქცევდა სამხრეთ-საქართველოს რაიონების ისტორიული წარსულის შესწავლას. თავის ნაშრომებში (მოგზაურობანი ჭოროხის ხეობაში, არტაანში, არტანუჯში, ყარსში) მან აღბეჭდა ფაქტები იმის შესახებ, რომ თურქეთის ძალით მიტაცებულ ქართულ რაიონებში, XIX ს. 70-80-ან წლებში ალაგ-ალაგ შემონახული იყო ძველი ქართული ყოფა-ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ელემენტები (ენა, მეურნეობა) და ქართველი მკვიდრნი იცავდნენ მშობლიური კულტურის უიშვიათეს ძეგლებს. სპეციალურ ნაშრომში—„თურქული მიწათმფლობელობის სისტემის ისტორიული მიმოხილვა“ — დ. ბაქრაძემ ისტორიულ ცვლილებათა ფონზე გაარკვია თურქთა ბატონობის ქვეშ მყოფი ქართული რაიონების მცხოვრებთა სამამულო მფლობელობის საკითხები და არა ერთი მნიშვნელოვანი დებულება წამოაყენა.

დ. ბაქრაძემ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ისტორიის ცალკეული საკითხების მონოგრაფიებად შესწავლის ახალი ნიმუშები მოგვცა. ამავე დროს იგი საქართველოს ისტორიის ღირსეული სახელმძღვანელოს შექმნისათვის მებრძოლი ისტორიკოსი იყო.

თავისი შეხედულებით ისტორიაზე, საისტორიო კვლევის მეთოდოლოგიით, დ. ბაქრაძე იმდროინდელი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის განვითარების დონეზე დგას. დასაწყისში იგი იზიარებდა ბოკლისეულ ბურჟუაზიულ-პოზიტივისტურ პრინციპებს ისტორიის გამართვაში, შემდგომში კი ემიჯნება ძველი სკოლის ისტორიკოსებს და ითვისებს, თუმცა ბურჟუაზიულ-ისტორიოგრაფიული აზროვნების ფარგლებში, მაგრამ მაინც, ხალხის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების, როგორც ისტორიის ძირითადი შინაარსის, შესწავლის მოთხოვნებს. დ. ბაქრაძემ თავის კვლევა-ძიებაში ამ მოთხოვნათა განსახიერების მხოლოდ ცდა მოგვცა.

დ. ბაქრაძეს ბავშვობიდანვე მეტაფიზიკური აზროვნების ყაიდაზე ზრდიდნენ. მიუხედავად ამისა, როგორც პროგრესულმა მოაზროვნემ, მან უკუაგდო აზრი „გასგების“ მიერ ადამიანის შექმნის შესახებ და კაცობრიობის ისტორია, რომელშიაც მან ადამიანთა ცხოვრების ალმავალი განვითარების პროცესი დაინახა, ბუნების ისტორიასთან კავშირში წარმოიდგინა. ამავე დროს იგი

მეტაფიზიკური აზროვნებისაგან მთლიანად ვერ განთავისუფლდა.

დ. ბაქრაძე არ ყოფილა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ბრმა მიმბაძველი. მისი ისტორიული აზროვნება საქართველოს იმდროინდელი ცხოვრების სპეციფიურობითაც განისაზღვრებოდა. ეროვნულ-კულტურული მოძრაობის დიდ მოღვაწეს თავის მეცნიერულ მუშაობაში საკუთარი ხალხის ინტერესები, ეროვნული ინტერესები ამოძრავებდა; მაგრამ ეს გარემოება მას ხელს არ უშლიდა განთავისუფლებულიყო რომანტიკული გავლენებისაგან და, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსს, კვლევის მთავარ მიზნად დაესახა ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ობიექტური შემეცნება. ისტორიული ცხოვრების სინამდვილე, აწმყო მას წარმოდგენილი ჰქონდა ისტორიული პროცესის განვითარების ახალ საფეხურად, ისტორიულ ძალთა მოქმედების შედეგად. სამშობლოს ისტორია მას უკეთესი მომავლის გამოჭედვისათვის საბრძოლო იარაღად მიაჩნდა.

დ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი“ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ახალ საფეხურს წარმოადგენს. ავტორმა უპირველეს ყოვლისა წყაროთმცოდნეობის პრობლემა დასვა და მის გადასაწყვეტად გარკვეული ნაბიჯი გადადგა. ქართული წერილობითი ძეგლები მან სპეციალურად განიხილა და, როგორც მეცნიერულ-კრიტიკული აზროვნების სერიოზულმა წარმომადგენელმა, სათანადოდ დააფასა „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული ღირებულება; ახლადმოპოვებული მასალა მან შეუფარდა ისტორიულ სინამდვილეს. მანვე შეისწავლა და სათანადოდ გამოიყენა ისტორიისათვის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებშიც ხალხის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების შესახები ცნობები დაინახა.

დ. ბაქრაძემ ისტორიის გასაშუქებლად გარკვეული სისრულით გამოიყენა ისტორიისავე დამხმარე და მომიჯნავე დისციპლინები: არქეოლოგია, ეთნოგრაფია, პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, გეოგრაფია, ხელოვნებათმცოდნეობა, ლინგვისტიკა, გეოლოგია და სხვ. იგი პირველი შეეცადა გაევლო პარალელები არქეოლოგიურ მონაცემებსა და სტრაბონის ცნობებს შორის. ამასთანავე ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა, ისტორიის დამხმარე დისციპლინებს: ქართულ პალეოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას.

ბაქრაძის მეცნიერულ მოღვაწეობაში ორიგინალურია აგრეთვე მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით სომხეთთან საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხის დასმა. ამავე დროს მას შეგნებული ჰქონდა, თუ როგორი სიფრთხილით უნდა მოკიდებოდა ისტორიკოსი მეზობელი ქვეყნისა და საერთოდ ხალხის ისტორიას. იგი ებრძოდა ისტორიის ფალსიფიკატორებს, ნიღაბს ხდიდა ისტორიაში ვიწრო ნაციონალისტურ შეხედულებათა მთელ შეზღუდულობას (პოლემიკა პატკანოვთან).

საქართველოს უძველესი ისტორიის განხილვისას ბაქრაძე ცდილობს, რომ ეს წარსული მსოფლიო-ისტორიულ პროცესს დაუკავშიროს. ქართველური ტომები (ქართები, მეგრელ-ჭანები, სვანები) მას ისტორიულ მთლიანობაში აქვს წარმოდგენილი. გვაროვნულ-თემური წყობილება მას მიაჩნია ქართველ ტომთა საზოგადოებრივი განვითარების პირველ საფეხურად, რომელსაც სცვლის სახელმწიფოს წარმოშობა—„სამეფოს დაარსება". საქართველოს უძველესი ისტორიის გამართვის პრინციპში დ. ბაქრაძე, წინარე ხანის ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, „ქართლის ცხოვრების" სქემისაგან, ამ ძეგლისადმი ბრმა მიმბაძველობისა და ნდობისაგან თავისუფალია.

საქართველოს ისტორიის აშენების ბაქრაძისეული პროგრამა თავისი მასშტაბითა და მრავალსაგნიანობით სრულიად ახალი მოვლენა იყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში. პოლიტიკურ-ისტორიული ვითარების განხილვის გვერდით იგი აქცევნებდა საქართველოს საშინაო სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების შესწავლის პროგრამას, რომელიც სპეციალურ წიგნში უნდა განეხორციელებინა, მაგრამ ამ პროგრამის შესრულება მას არ დასცალდა.

გასაგებია, რომ ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი" განიხილება უმთავრესად როგორც ჩვენი ისტორიული აზროვნების განვითარების ახალი ეტაპი, სხვა მხრივ იგი დღევანდელი საბჭოური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით მნიშვნელობას მოკლებულია.

სამაგიეროდ დღევანდელს ისტორიოგრაფიაში სერიოზულ მნიშვნელობას ინარჩუნებს ზემოაღნიშნული ის ნაშრომები, რომლებითაც ავტორმა მომავალ მეცნიერულ თაობას ძვირფასი და მდიდარი მეცნიერული მასალა უანდერძა.

შენიშვნები

თავი I

1. გაზ. „ივერიაში“ მოთავსებული ნეკროლოგი დ. ბაქრაძის დაბადების თარიღად მიუთითებდა 1827 წელს. ამის შესახებ ნათქვამი იყო: ბაქრაძის „სამსახურის წიგნი არ ეთანხმება ამ თარიღს, რომელიც მისმა ძმამ ლეონმა გვაუწყა. სამსახურის წიგნიდან ჩანს, რომ იგი დაბადებულა 1831 წ., ხოლო ჩვენ გვგონია, რომ პირველი თარიღი უფრო მართალი უნდა იყოს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ განსვენებულმა 1850 წელს გაათავა სასულიერო აკადემია და სამსახურის წიგნს რომ დაუჯეროთ გამოდის, რომ ცხრამეტის წლისას გაუთავებია აკადემიის კურსი“ („ივერია“, 1890 წ. № 32). 1827 წელს მიუთითებს ზ. ჭიჭინაძეც თავის მონოგრაფიაში—„დიმიტრი ბაქრაძე“ (1891 წ., თბილისი, გვ. 7).

თბილისის სასულიერო სემინარიის 1841-1846 წ. წ. საბუთებში ნათქვამია: „Дмитрий Бакрадзе, рожденный в 1826 году, в октябре месяце, Телавского уезда (теперь Тифлисского) в селении Хашми, от законного супружества умершего священника Хашмской церкви Захария Бакрадзева сНиной Кокрадзною, крещен 26 октября того же года в Иоанно-крестительском монастыре...“ (საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი № 112, საქ. № 310, ფურც. 372). ეს თარიღი საბუთებში ხშირად მეორდება; იგი გაზიარებულია ბროკჰაუზ-ეფრონის მიერ გამოცემულ ენციკლოპედიაშიც, სადაც ბაქრაძეს საკმაოდ ფართო ადგილი აქვს დათმობილი (Энциклопед. словарь под редакцией проф. Андреевского, изд. Брокгауза и Ефрона, т. 4, СПБ, 1891 стр. 754—755).

2. Френкель А. С., „Об юридической дѣятельности Д. З. Бакрадзе“ („Протокол заседания Закавказского юридического общества 14 апреля 1890 г., № 13, журн. „Юридическое Обозрение“, 1890 г.).

3. ვ. ი. ლენინი, ახალგაზრდათა კავშირების ამოცანები; საქ. პოლიტ. გამომც., თბილისი, 1933 წ., გვ. 6.

4. საქ. ცენტრ. არქ., ფ. 112, № 175.

5. იქვე, ფ. № 174, ფურც. 140.

6. საგამოცდო ფურცელი წარმოადგენს შავ ეგზემპლარს. მასში ყველა საგანი არაა წარმოდგენილი იმიტომ, რომ იგი სრული კურსის დამთავრებას არ ეხება (იქვე, ფ. 112, № 310, ფურც. 286).

7. ფრენკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 6. 1846 წ.; საქ. ცენტრ. არქ., ფ. 112, № 310, ფ. 286.

8. ინტერესს მოკლებული არაა ამასთან დაკავშირებით არსებული მიწერ-მოწერა: ბაქრაძისა და ცორაევისათვის მისაცემი სამგზავრო ხარჯების დაანგარიშება დაევალა მთხელე ბულგარეევიჩს, რომელმაც ვრცელი მოხსენება წარუდგინა მმართველობას. მან მოიშველია 1842 წ. „სანფსტო ცნობარი“, რომელშიც მითითებული იყო თბილისიდან ვიდრე მოსკოვამდე სამგზავრო მარშრუტი ვერსებისა და სამგზავრო ღირებულების აღნიშვნით, და დაასკვნა: „Всего прогонных денег отправляющимся ученикам в Московскую Академию следует выдать 71 р. 96 3/4 к.с. На путевое содержание, согласно заключению семинарского правления: полагая проезжать в день 50 верст—на 39 дней и на человека 30 к. с. в сутки, потребуется 23 р. 40 к. с. Итого с прогонными—95 р. 36 3/4 к.с.“ (იქვე, ფ. 112, № 310. ფ. 279.).

სემინარიის ადმინისტრაცია დიდ სიძუნწეს იჩენდა და არ ითვალისწინებდა მოსალოდნელ შემთხვევებს ასეთ შორეულ გზაზე; ბაქრაძეს და ცორაევს ყოველდღიურად რომ 50-50 ვერსი არ გაერბინათ, განსაცდელში ჩავარდებოდნენ. ამიტომ სემინარიის მმართველობას დამატებითი ფული სთხოვეს. დიდი ყოყმანის შემდეგ სემინარიამ კიდევ გაიღო 16 მანეთი.

9. Энциклопед. словарь т-ва „Гранат и К°“, 7-е изд., т. XIX, стр. 208.

10. როგორც თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიგვითითა, კანდიდატის წოდების მიღება მაშინ პირველი ხარისხის დიპლომის მიღებას ნიშნავდა.

11. ზ. ჰიჰინაძის გადმოცემით, დ. ბაქრაძეს სძულდა სასულიერო წოდების წარმომადგენლები, რადგან ხედავდა მათ უარყოფით თვისებებს: მუქთამჭამელობას, ლოთობას, მოღალატეობას, გამცემლობას და სხვ. (ზ. ჰიჰინაძე, დ. ბაქრაძე, გვ. 17-18).

12. „ივერია", 1890 წ. № 32. ნეკროლოგი.

13. ზ. ჰიჰინაძის ცნობით (დასახ. ნაშრ. გვ. 8), ბაქრაძე „გამორიცხულ" იქნა სასულიერო წოდებიდან. საქმე გვაქვს ნებაყოფლობით გამოსვლასთან და არა გარიცხვასთან, თუმცა ბაქრაძე გარიცხვას იმსახურებდა.

14. ნეკროლოგებისა და ზ. ჰიჰინაძის (გვ. 8) ცნობით, ბაქრაძემ ბნსწავლებლობა დაიწყო 1851 წელს. ეს თარიღი სწორი არ უნდა იყოს. ბაქრაძე თბილისში ჩამოვიდა 1851 წ. ოქტომბერს. რამდენიმე თვე მან უმუშევრად გაატარა. ეურნ. „Кавказский календарь"-იც პირველად იხსენიებს ბაქრაძეს 1852 წ., როგორც გორის სამაზრო სკოლის უფროსი კლასების მასწავლებელს (დასახ. ეურნ. 1852 წ., გვ. 550).

15. აკად. ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944 წ. ნაკვ. I, თბილისი, გვ. 17).

16. იქვე, გვ. 18. კურსივი ავტორისაა.

17. ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 388.

18. ჩვენ ვისარგებლეთ გ. ნათაძის გამოუქვეყნებელი ნაშრომით— Д. Бакрадзе, რომელიც წარმოადგენს საწერ მანქანაზე გადაბეჭდილ შავ ეგზემპლარს. ეს ნაშრომი ინახება საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების არქივში (№ 417). მოტანილი მითითება ხაზგასმულია დასახ. ნაშრომის მე-16 გვერდზე.

19. ივ. ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, გვ. 3; ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, გვ. 207.

20. დ. ბაქრაძე. საქართველოს მეფე ვახტანგ მე-6, თბილისი, 1880 წ., გვ. 1.

21. აკად. გ. ჩუბინაშვილი, ბაქრაძის გარდაცვალებისადმი 50 წ. თავის აღსანიშნავ საღამოზე წაკითხული მოხსენების შავი ეგზემპლარი— „Димитрий Бакрадзе и его современники", глава VI, ხელნაწერი, გვ. 79-80.

22. იხილეთ ბაქრაძის ნაშრომების აქ დართული სია.

23. Élements de la langue Géorgienne.

24. ერთ წერილში ბაქრაძე მოგვითხრობს ევროპელი მეცნიერებისა და კერძოდ ბროსეს დამსახურების შესახებ საქართველოს ისტორიის შესწავლაში; ნათქვამია ქართული გრამატიკის შედგენის შესახებაც და სხვ. („შრომა ევროპიელთა მსწავლულთა, განსაკუთრებით ბროსესი, ქართულის საისტორიო წყაროების გამოკვლევაში" ცურნ. „ივერია", 1883 წ. № III).

25. Journal Asiatique.

26. ეურნ. „ივერია", 1883 წ. № III. დ. ბაქრაძის დასახელებული წერილი.

27. იქვე, ნაწ აგრეთვე: შოთა მესხია. თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1939 წ.).

28. საქართველოს სახ. მუზეუმი, ხელნაწერთა განყ. ფ. S. № 1258.

29. Rapports sur un Voyage Archéologique dans La Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—1849 par M. Brosset. St. Pét. 1849.

30. იხილეთ ბაქრაძის ნაშრომების აქ დართული სია.

31. საქ. სახ. მუზეუმი, ფ. S, № 1258.

32. იქვე.

33. იქვე.

34. „Кавказский Календарь" на 1859 г., стр. 453.

35. აღნიშნულის შესახებ პირადად გვაცნობა დიმიტრი ბაქრაძის ასულმა ოლღა აბულაძემ, რომელსაც ჩვენ მადლობით ვიგონებთ. იგი გარდაიცვალა 1942 წ., ხოლო მისი უმცროსი და—ნინო დიმიტრის ასული მანსვეტაშვილი— 1944 წ. მადლობას ვუცხადებთ ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელ რუსუ-

დან ნაცვლიშვილს, რომელმაც 1939 წ. დაგვაკავშირა ბაქრაძის შვილებთან.

36. Д. Бакрадзе, Сванетия (Записки Кавказского отд. И. Р. Г. О. кн. VI, Тифлис, 1864 г., стр. 19—20).

37. დ. ბაქრაძე წერდა: „ძლიერ შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველო; მას სწეწდნენ ახლო და შორეული მტრები.—ხშირად შინაგანი არეულობანიც. 20 საუკუნის მანძილზე მას ძლივს ჰქონდა ორი საუკუნის მყუდრო ცხოვრება. ამგვარად ქართველებს წერისათვის არ ეცალათ და, თუ არსებობდნენ მატიანეები, ისინიც უნდა დაკარგულიყვნენ იმ სისხლიან მოვლენების დროს, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ მაშინ კავკასიას“. ამის შემდეგ ნათქვამია, რომ უკანასკნელმა გამოკვლევებმა გაჰფანტა საქ. ისტორიის წყაროებზე უარყოფითი შეხედულება და ამ წყაროებს დიდი მნიშვნელობა მიანიჭა (Д. Бакрадзе, Об источниках ист. Грузии. Журн. „Кав. Календарь“, 1857 г. 405).

38. В. Дондуа. Царевич Иоанн, Калмасоба или хождение по сбору. Изд. „Заря востока“, Тбилиси, 1945 г. Введение, стр. X.

39. „ცისკარი“, 1861 წ., № 3, გვ. 445-447.

40. იქვე, 447-448.

41. იქვე, გვ. 453.

42. იქვე, გვ. 455.

43. „ცისკარი“, 1861 წ. № 4, გვ. 523-555.

44. „კალმასობა“, თხზ. იოანე ბატონიშვილისა, „ცისკარის“ გამოცემა, ნაწ. პირველი, თბილისი, 1862 წ. დიმ. ბაქრაძის შესავალი, გვ. 1-XXVII.

45. „კალმასობა“, აღწერილი იოანე ბატონიშვილის მიერ დიმიტრი ბაქრაძის წინასიტყვაობით, მეორე გამოც. ჰიპინაძის, 1896 წ. თბილისი, გვ. II.

46. იქვე. გვ. II-III.

47. იქვე, გვ. XI.

48. 1862 წლიდან ბაქრაძე იხსენიება კავკასიის „გამმიჯნველი კომისიის“ წევრად, შემდეგ თავმჯდომარედ (ხ. ჰიპინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 8; „ივერია“, 1890 წ. № 32). ამ თანამდებობაზეა იგი 1863-1864 წლებშიაც („Кавказский календарь“, 1864 г., стр. 303, 454). 1865-1866 წლებში დიმიტრის მუშაობა ჯუხდება მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უწყებაში. ამ დროს იგი გაგზავნილ იქნა საქართველოს სამრევლო სკოლების დასათვალიერებლად ჯერ სამხრეთ-ოსეთის, თიანეთისა და ზაქათალის რაიონებში, შემდეგ კი აფხაზეთ-სამურზაყანოში.

1865 წელს დ. ბაქრაძეს ცოლად შეურთავს იოსებ ქრისტოფორეს-ძე მამაცაშვილის ქალი.

1865 წელს დიმიტრი წერდა სულხან ბარათაშვილს: „...ცოლი ამ ცოტა ხანში შევირთე“-ო (თ. სახოკია. თავადი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი. ცხოვრების აღწერა. ჟურნ. „მოამბე“, 1896 წ. № VII, გვ. 39).

იოსებ ქრისტოფორეს-ძე მამაცაშვილი იყო 1832 წ. შეთქმულების მონაწილე. იგი დოდაშვილთან ერთად გადაასახლეს ვიატკაში. საქართველოში დაბრუნდა 1836 წ. მარტში. გარდაიცვალა 1874 წ. 6 დეკემბერს (მაქს. ბერძნიშვილი. „მასალები საქ. კავკ. ისტორიისათვის, 1944 წ., ნაკ. II ბიბლიოგრაფია („მიმომხილველი“, თბილისი, 1949 წ., გვ. 435-436).

49. აკად. გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ხელნაწერი, გვ. 94-95.

50. ზ. ჰიპინაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 28.

51. ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. პირველი, 1927 წ., თბილისი, გვ. 163.

52. „დროება“, 1866 წ. №№ 5, 13, 14, 15, 16, 17, 19, 20.

53. იქვე, № 13. ხაზი ჩვენია.

54. იქვე, № 17. წერილი VII.

55. „დროება“, 1866 წ. № 25. მოწინავე; ს. ხუნდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

56. დ. ბაქრაძე, დასახ. წერ. VII. შეად. ბიბ. ზანდუკელი, ახალი ქართ. ლიტერატურა, ტ. II, გვ. 226-227.

57. იხილე აქ დართული სია ბაქრაძის ნაშრომებისა.

58. დ. ბაქრაძე. საქართველო, პირველი რეული, წინასიტყვ., გვ. 1. ხაზი ჩვენია.

59. იქვე გამოქვეყნებულია ხელისმომწერთა სია, რომელშიც სხვებს შორის ირიცხებიან თბილისიდან: გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ჯორჯაძე, რევაზ ანდრონიკაშვილი, იოანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ—მუხრანსკი, ზაალ ბარათაშვილი, გიორგი, მიხეილ და დიმიტრი ივანეს-ძე მუსხელიშვილები და სხვ.—ქუთაისიდან: რაფიელ ერისთავი, გაბრიელ ეპისკოპოსი, იაკობ ნიკოლაძე და სხვანი.

60. იქვე, გვ. II.

61. ჟურნ. „მნათობი", 1872 წ. № 1.

62. ჟურნ. „კრებული", 1872 წ., № 10-12.

63. „უფ. დიმიტრი ბაქრაძის „საქართველოზე",—წერდა ნიკოლაძე,—ჩვენ ორჯერ-სამჯერ განხილვა კინალამ დაგწერეთ „კრებულში", მაგრამ ეს განხილვა ნამეტნად სასტიკი გამოდიოდა. ჩვენ დიდი პატივისცემა გვაქვს უფ. დიმ. ბაქრაძისა. ამიტომ რომ ვაფასებთ მის შრომას ქართული მწერლობის სასარგებლოთ, იმ შრომას, რომელიც თითქმის თუთხმეტი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა..." „... ჩვენ ან უნდა გვეძებნა უფ. ბაქრაძის თხზულება, უნდა გამოგვეშკარავებინა მისი სისუსტე, უსაფუძვლობა და ნაკლულოვანება, უნდა ვთქვა, რომ ის უსარგებლოა, ან სრულებით ხმა არ უნდა ამოგვეღო ამ შრომაზე. გამოვტყდებით, ან. ფურცელაძეს რომ დაეწერა „საქართველო", ჩვენ იმას არც ერთს დაცინვას, არც ერთ უპატიურებას არ დავაკლებდით. მაგრამ უფ. ბაქრაძე და ფურცელაძე სხვადასხვა მწერლები: უფ. ბაქრაძეს არ ეკადრება ის, რაც უნდა აკადროს კაცმა ფურცელაძეს... ამისათვის ჩვენ ვარჩიეთ სრულებით ხმა არ ამოგვეღო უფ. ბაქრაძის შრომაზე, იმ პატივისცემას ხსოვნით, რომელიც გვაქვს ჩვენ და რომელიც უნდა ჰქონდეს ყოველ ქართული ლიტერატურის მომხრეს,—უფ. ბაქრაძის პატიოსანი ლიტერატურული წარსულისა და ამაგისათვის.." (იქვე, № 10-12, გვ. 146, 148-149).

64. საქ. სახ. მუზეუმი, ხელნაწერთა განყ. ფონდი S, № 1258.

65. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ, 1878 г. стр. VI и XIV—XV.

66. იქვე, გვ. XV.

67. იქვე, გვ. XIV.

68. იქვე, გვ. XVII.

69. იქვე, გვ. 1.

70. ამ დროს აღნიშნულ მაგისტრალზე (208 ვერსი) ყოფილა 12 სადგური (იქვე, გვ. 3).

71. იქვე, გვ. 18.

72. იქვე.

73. მ. დუმბაძე, დიმიტრი ბაქრაძე (გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1950 წ. 22 თებ.). Д. Бакрадзе, Три месяца в Турецкой Грузии Г. Н. Казбека („Кавказ", 1877 г., № 4); Арх. путешествие по Гурии и Адчаре, 75—76.

74. Bulletin de l'Acad. ...t. XXII, p. 264—277; Mél. Aziat., t. VIIIp. 1—20. მოტანილი თარგმანი ამოღებულია ჟურნ. „თეატრი"-დან (1890 წ. № 8).

75. Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией.

76. ეს მოხდა 1877 წ., როდესაც ბაქრაძე უკვე საცენზურო კომიტეტში მუშაობდა. საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე აცნობებდა მფინანსაცვლის მთავარ სამმართველოს: „Долгом своим считаю довести до сведения... что Императорским русским археологическим обществом в общем собрании 13 марта сего 1877 г. присуждена большая золотая медаль младшему цензору... Бакрадзе за его труд „Кавказ в древних памятниках христианства" и что медаль вместе с дипломом на оную уже получена им при письме секретаря общества от 14 прошлого мая за № 69". (საქ.ცენტრ. არქივი, ფ. 114, № 226, ფ. 14).

77. საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 114, საქმე № 160 „О привлечении к занятиям ценз. комитета Бакрадзе Д. З." (ბაბი ჩვენია. მ. დ.)

78. იქვე.

79. პროფ. გ. ნათაძე, დასახელებული ხელნაწერი, გვ. 19-20

80. საქ. ცენტრ. არქივი, დასახელებული საქმე.

81. 1875-1878 წლებში ძალზე ხშირად ვხვდებით პერიოდულ გამოცემათა რედაქტორების პასუხისგებაში მიცემის შემთხვევებს. ცენზურას გამუდმებული კონფლიქტი ჰქონდა გაზეთ „ობზორ"-თან, რომლის რედაქტორად ცნობილი ქართველი მოღვაწე ნ. ნიკოლაძე იყო. ამავე პერიოდში ქართულ გაზეთ „დროებასთან" ერთი სერიოზული კონფლიქტი მოხდა, აქ რამდენადმე ჩანდა „დროების", როგორც ქართული გაზეთის შედარებით უპირატესი მდგომარეობა. „დროების" რედაქტორმა ს. მესხმა საცენზურო კომიტეტის ნებართვის გარეშე თავის გაზეთში მთელი წერილი მოათავსა—„სადილი შერიფ ბეგთან" („დროება", 1878 წ. № 224), რის გამოც მესხის საქმე საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ფურცელაძემ სასამართლოს გადასცა, მაგრამ ამას საქმის გართულება არ მოჰყოლია.

რაც შეეხება გაზ. „ობზორ"-ს, რომლის ცენზორობა მელიქ-მეგრაბოვს ეკისრა, იგი დიდ შეეწროებას განიცდიდა. როგორც მეგრაბოვთან, ისე კომიტეტის თავმჯდომარე ფურცელაძესთან ნიკოლაძეს ძალზე მწვავე ურთიერთობა შეექმნა. საქ. ცენტრ. არქივში დაცულია სპეციალური საქმე —„ О вызове редактором „Обзора" Николадзе на дуэль председателя цензурного комитета Пурцеладзе 1878 г. 21 июня" (ფ. 114, საქ. № 325). ნიკოლაძემ აკრძალული წერილები მოათავსა გაზეთის 134-ე ნომერში, მისი საქმე, ცენზორ მეგრაბოვის განცხადების საფუძველზე, გადაეცა პროკურორს, ხოლო ნიკოლაძემ, როგორც ჩანს კომიტეტის თავმჯდომარე ფურცელაძე დუელში გამოიწვია. ეს უკანასკნელი პოლიციას სთხოვდა შველას და თავის განცხადებაში აჭარბებდა, როცა აღნიშნავდა, რომ ნიკოლაძე დაემუქრა მელიქ-მეგრაბოვს და ბაქრაძესაც. ცხადია თქმა უნდა, არ შეიძლებოდა, რომ ნიკოლაძე დამუქრებოდა ბაქრაძეს, ვინაიდან ეს უკანასკნელი არაფერ შუაში იყო. როგორც ჩანს, ბაქრაძის სახელი აქ მიტმასნილი იყო იმ მიზნით, რომ უფრო მეტი შთაბეჭდილება მოეხდინათ პოლიციაზე ნიკოლაძის საწინააღმდეგოდ. როგორც შემდეგ გამოირკვა, ნიკოლაძეს ბრალდება ვერ დაუმტკიცეს და ამჯერად იგი რისხვას გადაურჩა (იქვე, ფურც. 20-35).

82. საცენზურო კომიტეტიდან ბაქრაძის წასვლის შემდეგ „დროებას" სერიოზული კონფლიქტი მოუხდა. კონფისკაცია უკვე გამოშვებულ ნომერს (1879 წ. № 249). ამოღებულ იქნა 270-დე ცალი გაზეთი, რაც საცენზურო კომიტეტში, პოლიციის მოხელის თანდასწრებით, დაწვეს (საქ. ცენტრ. არქ., ფ. 114, № 377, ფ. 4). მიუხედავად ასეთი მოქმედებისა ვერც ფურცელაძემ დაიმსახურა სათანადო ავტორიტეტი მთავრობის თვალში. მასადმი ექვი უნდა გაეძლიერებინა იმ გარემოებასაც, რომ „დროების" აღნიშნული ნომრის კონფისკაციასთან დაკავშირებით ფურცელაძე თითქოს არ აპირებდა რედაქტორის პასუხისგებაში მიცემას, რომ ამის შესახებ მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოდან სპეციალური მიმართვა არ მოსულიყო (იგივე საქმე). 1879 წ. შემდეგ საცენზურო კომიტეტში არც ფურცელაძე იხსენიება და საერთოდ ქართველებიც იშვიათად გვხვდება.

83. როგორც უკვე აღინიშნა, 1876 წ. მარტში, ბროსემ მეცნიერებათა აკადემიას მოახსენა თავისი აზრი ბაქრაძის აღნიშნული ნაშრომის შესახებ. ნაშრომი ბაქრაძეს, როგორც ჩანს, ამ წლის დასაწყისში გაუგზავნია.

84. Бакрадзе, Заметка о Батумской области (Известия Канк. Отд. И.Р.Г.О. т. VI. 1879-1881, стр. 154).

85. აკადემიის 1880 წ. ოქმებში ნათქვამი იყო: „Д.З. Бакрадзе, письмом из Тифлиса от 6 февраля, благодарит за его избрание в члены-корреспонденты Академии и уведомляет о получении диплома на это звание" (Записки Имп. А. Н. т. 36, стр. 429).

86. Заметка о Батумской области, стр. 155.

87. იქვე, გვ. 159.

88. იქვე.

89. იქვე, გვ. 163.

90. Бакрадзе, Историко-этнографический очерк Карсской области (Известия Кав. отд. И.Р.Г.О., т. VII, 1881 г., № 1).

91. „დროება“, 1880 წ. № 13.

92. Записки Общества любителей Кавказской археологии, кн. I, изданная под ред. помощника председ. Общества Ад. Берже и члена комитета Общества Дм. Бакрадзе, Тифлис, 1875 г., стр. 185.

93. Протоколы подготовительного комитета V арх. с'езда в Тифлисе, изд. 1882 г. стр. 4.

94. აკად. გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ხელნაწერი, გვ. 167.

95. „ბათუმში მოპოვებულ ქართული არქეოლოგიისათვის ფრიად საყურადღებო ხელნაწერი, რომელიც ეხება მე-13 ს. პირველ ნახევარს; იგი ნაწერია არა ეტრატზე, არამედ მკვრივ ქაღალდზე. ეს, როგორც ჩემთვის ცნობილია, პირველი ხელნაწერია, რომელიც გვაჩვენებს საქართველოში მე-13 საუკუნეში ქაღალდის ხმარებას. ხელნაწერის სიძველეში ეჭვის შეტანის ნებას არ გვაძლევს არც ორმაგი ქრონიკონი: მსოფლიოს შექმნიდან (6845) და ქრისტეს დაბადებიდან (461), რომელსაც მივყავართ 1241 წელთან“; იქვე ნათქვამი იყო, რომ ჯოროხის აუზის მფლობელ კაკაძისეულთა „საკუთარი მინაწერები“ და ბათუთის პალეოგრაფიული ხასიათიც ამტკიცებდნენ აღნიშნული თარიღის სისწორეს (Протоколы подгот. комитета V арх. с'езда, в Тифлисе, стр. 58). იმ დროისთვის აღნიშნულ მონაპოვარს, მითითებული თვალსაზრისით, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. შემდეგში კი ცნობილი გახდა, რომ ქაღალდი ჩვენში უფრო ადრე (XI ს.) იყო ხმარებაში.

96. О гуджаре грузино-имеретинской синодальной конторы“; „О древних вариантах грузинского четвероевангелия“ (იქვე, გვ. 382, 483.)

97. იქვე, გვ. 430.

98. ყრილობის წინასწარი კომიტეტის მე-5 სხდომაზე ვედენსკიმ წარადგინა რქის მაგვარი ბრინჯაოს ნივთი. ამასთან დაკავშირებით რ. ერისთავმა მოაგონა კომიტეტს არსებული თქმულება იმის შესახებ, რომ წმ. გიორგის დღეს, ილორის საყდრის ეზოში, საღმრთო ხარი ცხადდებოდა. ამასთან დაკავშირებით მან დასვა საკითხი—ხომ არ წარმოადგენდა ეს რქის მაგვარი ნივთი საღმრთო ხარის ბრინჯაოთი გამოსახულების ნიშნებს“. რ. ერისთავმა სხდომას წარუდგინა აგრეთვე სამგრელოს ეკლესიების მოკლე მიმოხილვა. მე-6 სხდომის ოქმში რ. ერისთავი მოხსენებულია ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის წევრად.

აღსანიშნავია აგრეთვე დ. ვ. ფურცელაძის მიერ წაკითხული მოხსენება—„Научное значение грузинских церковных грамот“.

99. როდესაც ყრილობის დელეგატები ქუთაისიდან თბილისში ბრუნდებოდნენ, ბაქრაძე მატარებლიდან გადმოვარდა, რის შედეგადაც მისი ჯანმრთელობა დიდად შეირყა. ამის შესახებ იგი სწერდა „პალესტინის მართლმადიდებლური საზოგადოების“ წარმომადგენელს, 1882 წ. 12 ოქტომბერს. ეს იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა „საზოგადოების წინადადებაზე სინას მთაზე გამგზავრების შესახებ: „ ...Я имел несчастье упасть из вагона во время хода поезда, и здоровье мое не настолько еще восстановлено, чтобы я мог решиться на дальную поездку...“ გარდა აღნიშნულისა, მას სამსახურებრივი მოვალეობაც აბრკოლებდა (საქ. სახ. მუზ. ხელნაწერთა განყ., ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. წიგნთსაცავის კატალოგი, №, 49. „წერილი ვასილ ნიკოლოზის-ძეს“). იქვე ბაქრაძე იძლეოდა სათანადო პროგრამას, რომლის მიხედვით უნდა ემუშავნა სინას მთაზე გამგზავრებულ მეცნიერს. ბაქრაძის მიერ უარის განცხადების შემდეგ აღნიშნული საზოგადოების დავალებით სინას მთაზე იმოგზაურა ალ. ცაგარელმა.

100. მ. ჯანაშვილი, დიმიტრი ბაქრაძის მოღვაწეობა („ივერია“, 1890 წ. 13 თებერვალი).

101. ავტორი აღნიშნავდა აგრეთვე, რომ მეცნიერული საუბრების მოსაწყობად სათანადო ბინა უზრუნველყოფილი იქნებოდა („დროება“, 1884 № 79).

102. ზ. ჭიჭინაძე, „დ. ბაქრაძე", გვ. 25, 10. იგივე აღნიშნავს, რომ ბაქრაძე „თავისი დროის უპირველესი ისტორიკოსი იყო", მან „ისეთნაირად იცოდა ქართველი ერის პირველი დროების ცხოვრებანი, შემდეგი დრო... რომლის მსგავსად ჯერ-ჯერობით ნურავინ რას დაიკვეხნის"... მისივე თქმით, „ერთად ერთი ეს პირი იყო თბილისში, რომელიც მთელს ევროპის მწერლობას ავლებდა თვალყურს" (იქვე, გვ. 6, 20).

103. იქვე, გვ. 7.

104. „ზოგიერთთა გულმტკივნეულთა პირთა მეცადინეობით ტფილისში შეპსდგა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს მზრუნველობა ღარიბთა ყრმათა აღზრდისათვის. ამ საზოგადოებას ამოურჩევია შემდეგნი პირნი ამა კეთილის საქმის წარმოებისათვის: თ. გიორგი რომანის ძე ერისთავი, კონსტანტინე ქრისტოფორეს ძე მამაცაშვილი, დავით გიორგის ძე ერისთავი, ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე და დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე" („ივერია", 1877, № 12, გვ. 3).

105. ეს საზოგადოება დაარსდა 1879 წ. მან ნაყოფიერი მუშაობა გაშალა კულტურულ-საგანმანათლებლო ფრონტზე. მანვე დაღუპვას გადაარჩინა საქართველოს ისტორიისათვის მრავალი ძვირფასი წერილობითი ძეგლი. დიმიტრი ბაქრაძე საზოგადოების დამაარსებელთა ჯგუფს ეკუთვნოდა. იგი ხშირი სტუმარი იყო საზოგადოებასთან დაარსებული სამკითხველოსი (1879 წ.), რომელსაც მან მრავალი ხელნაწერი და წიგნი შესწირა. აქვე იგი ხშირად მართავდა საუბრებს სხვადასხვა თემებზე.

1886 წ. საზოგადოებამ განიზრახა თავისი წერილობითი ფონდის ვრცელი კატალოგის შედგენა, რისთვისაც გამოიყო კომისია დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, ნ. მთვარელიშვილის და პ. კარბელაშვილის შემადგენლობით. კომისია მუშაობას შეუდგა, მაგრამ მან კატალოგს ფართო მოთხოვნილება წაუყენა, რამაც დიდი დრო მოითხოვა; ამიტომ სრული კატალოგის შედგენამდის გამოიცა მოკლე კატალოგი, რომელიც პ. კარბელაშვილმა შეადგინა. ამ საქმის გაგრძელება იყო ე. თაყაიშვილის მიერ 1902-1904 წლებში გამოცემული—„Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения".

საზოგადოების გამგეობის 1889-1890 წ. წ. ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ „საზოგადოებას გამოაკლდა დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საზოგადოების წინაშე"-ო. (ქართვ. შორის წ. კ. გამაურ. საზოგადოების გამგეობის ანგარიში 1889-1890 წ. წ.. გვ. 1-2).

106. აკად. ა. შანიძე, ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის („ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული", 1939 წ. გვ. 1.).

107. აკად. ს. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, 1938 წ. თბილისი, გვ. 7.

108. ამასთან დაკავშირებით, როგორც აკად. ჩიქობავა შენიშნავს, ბაქრაძე აყენებდა „საინტერესო დებულებას ენისა და გრამატიკის ურთიერთობის შესახებ (მას მხედველობაში აქვს ანტონის ნორმატული გრამატიკა): გრამატიკა ისევე ვერ გვასწავლის ენას, როგორც ლოგიკა—აზროვნებას. ენის შესასწავლად „ორი წყარო" გვაქვს: ცხოველი საზოგადო თუ დარბაისლური ენა „და უფრადღებით კითხვა იმ მწერალთა, რომელნიც შეიცავენ უკეთესს საზოგადო საუბარსა" (იქვე, გვ. 8, შენ. 1). ამასთან ერთად დიმიტრი ბაქრაძე და ორბელიანი გამოთქვამდნენ აზრს, რომ გლეხკაცის ენა ვერ გამოდგებოდა სალიტერატურო ენად. ეს უნდა გავიგოთ მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ისინი წინააღმდეგნი იყვნენ ლიტერატურულ ენაში ზოგიერთი პროვინციული და არაოფიციალური სიტყვების შეტანისა.

მიუხედავად აღნიშნულისა, „ალ. ჭამბაკურ-ორბელიანი და დიმ. ბაქრაძე ანტონის მიმართ მაინც იყვნენ რევიზიონისტულად განწყობილი. მოიპოვებოდნენ ანტონის ორთოდოქსალური მიმდევრებიც" (იქვე, გვ. 9).

109. **Николай Георгиевич Бердзенов и его литературная деятельность, стр. 14.**

110. ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს ილიას ენის შესახებ ბაქრაძის ამ შეხედულებას და განაგრძობს ბაქრაძისავე სიტყვებით: „ასე ლაპარაკი და წერა არც ერთ ქართველ მწერალს არ შეუძლიანო. მისი ენა შუქია ბინდისაო... მან დასძლია უველაფერი და ქართული ენა ძლევამოსილებით აღჭურვა. გაზ. „ივერიაში“, როცა კი ამის წერილი იბეჭდება რამე და ამ წერილს თუმცა სახელი და გვარი არ აქვს მოწერილი, იგი წერილი მაინც ცხადად ანიშნებს ილია ჭავჭავაძის ქართულ ენას და შნოს, იგი იკითხება დიდის აღტაცებით, დიდის სიამოვნებით. რამდენი ბრწყინვალე წერილი დაუწერია ამ პირს, რამდენი წერილი მოურთავს თავის მშვენიერის მოქარგულის ქართულის ენით, უველა ამეებს კაცი ვერ მოთვლის, უველა ამეებს კაცი ვერ აღწუსხავს“ (ციტირებულია აკად. ა. შანიძის დასხელებული წერილიდან, გვ. 32).

111. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი. ლევან ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1936 წ., გვ. 82.

112. ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. 1938 წ., გვ. 16.

113. პროფ. ნათაძე, დასახ. ხელნაწერი, გვ. 94-95.

114. Журнал министерства народного просвещения, часть CCXXX, за декабрь 1883 г.

115. ბაქრაძის ეს წერილი დაიბეჭდა „ივერიაში“, „დროებაში“, გამოიცა ცალკეც 1884 წ. ჩვენ მივუთითებთ ცალკე გამოცემის გვერდებს.

116. იქვე, გვ. 2-3.

117. იქვე, გვ. 4-5. ამ საკითხის გარშემო აკად. ს. ჯანაშიამ ქართულ-სომხური და უცხოური წყაროების მოტანით უცილებლად გაანათლა პატკანოვის გვიანდელი შემკვიდრის—ტოკარსკის ყალბი მოსაზრება (Акад. С. Джанашиа, Об одном примере искажения исторической правды, Тбилиси, 1947., стр. 23-24).

118. „ქართლის ცხოვრება“, ბროსეს გამოც., 1849 წ., გვ. 313-317.

119. პროფ. პატკანოვი და ქართ. ისტ. წყაროები, გვ. 5.

120. იქვე, გვ. 6. ხაზი ჩვენია.

121. იქვე, გვ. 7.

122. Патканов, О древней грузинской хронике (Журнал министерства Нар. просвещения, ч. CCXXX, за декабрь 1883 г.. стр. 202, 203). თავის მოსაზრებათა შეფარდებისათვის პატკანოვს არაკეთილსინდისიერად გამოუყენებია ბაქრაძის წერილიდან ერთი ადგილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ქართლის-ცხოვრებაში“ შესული უძველესი დროის შესახებ ცნობები ძუნწია და ზოგიერთი ზღაპრულ ხასიათს ატარებსო (Об источниках ист. Грузии „Кавк. Календарь“, 1853 г., стр. 405, 407). რა თქმა უნდა, არ იყო სწორი პროფ. ცაგარელი, რომელიც ზ. ჭიჭინაძეზე გაბრაზებული თვლიდა, რომ ბაქრაძემ აღნიშნულ წერილში მოტანილი მითითებით საფუძველი მისცა პატკანოვს გაეყალბებინა საქ. ისტორიის წერილობითი წყაროები (ა. ცაგარელი, „პასუხი ბ-ნ ზ. ჭ-ს“, „ივერია“, 1896 წ. № 31).

123. დ. ბაქრაძე, დასახ. ხელნ., გვ. 11-12.

124. იქვე, გვ. 13. აქ გამოვტოვეთ ის ადგილი, სადაც ბაქრაძეს შეცდომით გამოუცხადებია „ქილილა და დამანას“ ქართველთა შიერ ძველთაგანვე თარგმნა. როგორც ცნობილია, ეს თხზულება ითარგმნა მე-18 ს. ვახტანგ VI-ის მიერ. მოტანილი ციტირებიდან ჩანს ბაქრაძის მიერ წარმოდგენილი სუსტი დახასიათება ძველი კულტურულ-ლიტერატურული წარსულისა. ეს უნდა აიხსნებოდეს საკითხის მეტის-მეტი სიცხადით.

125. როგორც ჩანს, პატკანოვი ემყარებოდა გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ შესავალში არსებულ მითითებას („ქ. - ცხოვრება“, ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 7.

126. ამის შესახებ იხილე II თავი.

127. პატკანოვი ყალბად იწერებოდა სტეფანოზ ორბელიანს იქ, სადაც საუბრობდა ქართული წერილობითი წყაროების სიღარიბეზე. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ სტეფანოზს (XIII ს.). ქართული წყაროების სიღარიბეზე საერთოდ არა-

ფერი უთქვამს. სტეფანოზი, როგორც ორბელთა გვარის შთამომავალი, ჩიოდა მხოლოდ, რომ მან XIII ს. ბოლოს ორბელიანთა საგვარეულოს შესახებ მცირეოდენი ცნობები იპოვა. ამის მიზეზად იგი თვლიდა იმას, რომ გიორგი მეფემ, რაკი ორბელიანთ გვარი საქართველოში ღალატისათვის ამოწყვიტა, ისტორიაში მისი სახელიც აღმოფხვრა (ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 3). როგორც შემდეგ აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაამტკიცა, XIII საუკუნის დასასრულს თამარ მეფის ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებები „ქ.-ცხოვრების“ კრებულში არ იყო შეტანილი. ამიტომ მოხდა, რომ სტ. ორბელიანმა ორბელთა შესახები ცნობები „ქართლის ცხოვრებაში“ ვერ ნახა. აღნიშნული თხზულებები შეტანილ იქნა „ქ.-ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეულ კრებულში (ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916 წ., გვ. 266).

128. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

129. იქვე, გვ. 34-35.

130. ამის შესახებ ცნობა არის ჟურნ. „თეატრში“, 1886 წ., № 46, გვ. 543. იქ ნათქვამია: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჩვენს პატივცემულს ქართველ კათოლიკე მღვდელს ვინმე მესხს (ივანე გვარამაძე) ქართველის ენიდამ სომხურ ენაზე გადაუთარგმნია ისტორიული სტატია ჩვენი ისტორიკოსი დ. ბაქრაძისა—პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები... შევიტყეთ, რომ სტატია თბილისის ერთ-ერთ სომხურ გაზეთში იბეჭდებაო“.

131. ი. ჯავახიშვილი, სომეხთა მეცნიერნი და ქკნი ღაღადი (ილია ჭავჭავაძე, ტ. II, თბილისი, 1941 წ. წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე, გვ. 427).

132. იქვე, 428.

133. იქვე, 430. თავის კრიტიკულ წერილებში—„ახ ისტორია“—ილიამ დასაყრდენად გაიხადა ბაქრაძის ნაშრომები. აკრიტიკებდა რა ჯაბადარის მიერ ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის არსებობის უგულებელყოფას, ამ ლიტერატურის გაჟალებას, ილია აღნიშნავდა: „...ამ შემთხვევაში—ჩვენი, მის მიერ კიდეც აგდებული ლიტერატურა ცოტაოდნად მაგალითს აჩვენებდა—რა არის კრიტიკა და შედარებითი მეთოდი, თუ რომ ავტორი თავის ახირებულს გუნებას არ გაჰყოლოდა და წაეკითხა ბ-ნ ბაქრაძის წერილი „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები“. დავარწმუნებთ ავტორს, რომ ეს ბ-ნ ბაქრაძის წერილი—თუმცა ქართული ლიტერატურისაა—არამც თუ მასალად გამოსადეგია, ჰკუის მასწავლებელიც არის ახირებულისათვის“ (იქვე, გვ. 328).

134. ილია ჭავჭავაძე, ტ. II, 1941 წ., გვ. 407.

135. დ. ბაქრაძე, შესახებ „კავკასიის არხეოლოგიის მესიყვარულე საზოგადოებისა“, რომლის დაფუძნებასაც ამირებენ ტფილისში („ცისკარი“, 1873 წ., მარტი და აპრილი, გვ. 8-9. წერილი ნათარგმნია რუსულიდან).

136. Д. Бакрадзе, Статьи по исторпи и древностям Грузпи, стр. 35.

137. იქვე, გვ. 36.

138. იქვე ნათქვამი იყო ისეთი ნივთების გადმოგზავნაზე, რომლებიც საეკლესიო ხმარებაში არ იმყოფებოდნენ.

139. ილია ჭავჭავაძე, ტ. II, წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე, 1941 წ. გვ. 507. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საეგზარქოსომ, მას შემდეგ რაც მან ბაქრაძის ინიციატივა და გეგმა მიიღო, ინიციატივა უკვე თავისად გამოაცხადა. მაგრამ მოწინავე ქართველებმა, როგორიც იყვნენ ილია და სხვები, იცოდნენ, რომ მუზეუმის ჩამოყალიბება ძირითადად ბაქრაძის ენერგიული ბრძოლით და მისი ინიციატივით მოპოვებული შედეგი იყო. ბაქრაძის შემდეგ საეკლესიო მუზეუმს ხელმძღვანელობდა თ. ჟორდანია. შემდეგ კი მ. ჯანაშვილი (აკად. გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ხელნაწერი, გვ. 109).

140. „ივერია“, 1890 წ. № 33. უშიკაშვილის წერილი — „დიმ. ბაქრაძის შრომა“.

141. მ. ჯანაშვილი, „დიმიტრი ბაქრაძის მოღვაწეობა“ („ივერია“, 1890 წ. 13 თებერვალი).

142. Описапие рукоп. церк. музея дух. груз. епарх., книга III, 1908. მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობა, გვ. III-IV.

143. Проф. Кондаков. Древняя архптектура Грузии, стр. 50.

144. Описание рукописей и старопечатных книг церковного музея дух. Груз. епархии, книга 1, составленное Ф. Д. Жордания; მის მიერვე შედგენილ იქნა II წიგნი 1902 წ. მესამე წიგნი 1908 წ. გამოსცა მოსე ჯანაშვილმა. 1908 წლისათვის საეკლესიო მუზეუმში არსებული ხელნაწერები, სიგელებს გარდა, 1040-ს შეადგენდა; ამათგან ეტრატზე ნაწერი იყო 170 ეგზ., რომლებშიც ეტრატის 30900 ფურცელი ითვლებოდა.

145. აკად. ჩუბინაშვილი, დასახ. ხელნაწერი, გვ. 109-110.

146. დ. ბაქრაძე, შესახებ „კავკასიის არხ. მოსიყვ. საზოგადოებისა"... („ცისკარი", 1879 წ., მარტი-აპრილი, გვ. 8-9).

147. ილია ჭავჭავაძე, დასახელებული ტომი, გვ. 502.

148. ზაქათალის კომისია ჩამოყალიბდა 1869 წ. დროებით; შემდეგ იგი გადაკეთდა მუდმივ კომისიად (1870 წ.). მის მოვალეობაში შედიოდა მკვიდრთა სამიწათმფლობელო და წოდებრივი უფლებების შესწავლა. კომისიის დასკვნის საფუძველზე მთავრობას იქ სათანადო რეფორმა უნდა ჩაეტარებინა.

149. Комиссия для окончания сословно-поземельных дел в местностях, состоящих в ведении военно-народного управления".

150. „სოხუმიდამ" (ჟურნ. „მწყემსი", 1886 წ., № 17, გვ. 4-5).

151. „Отчет об археологических находках в 1886 г. на Кавказе, преимущественно в Сухумском округе" (საქ. სახ. მუზ. ფ. Н, № 2668).

152. იქვე, გვ. 2.

153. იქვე, გვ. 4.

154. იქვე, გვ. 5.

155. იქვე, გვ. 18. ბაქრაძის აღნიშნული მოხსენების შესახებ ცნობა მოთავსდა რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების გამოცემაში (Записки Имп. ат. Русск. Археолог. общества, т. II, СПБ, 1887 г. Прилож. стр. XI. II) საყურადღებოა აგრეთვე ბაქრაძის ხელნაწერის სახით დაცული მეორე მოხსენება —„Летопись Кавказской археологии за 1885—1886г.г.", საიდანაც მეღავნდება, რომ ბაქრაძე თავის სამეცნიერო მოღვაწეობაში ფაქტიურად მარტოდმარტო რჩებოდა.

156. Обозрение деятельности Кавказского Археологического общества (საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ.. ქ. შ. წ. კ. გ. საზ. წიგნსაცავის კატალოგი, № 21). მოხსენებას თარიღი არ უზის, მაგრამ ტექსტიდან ჩანს, რომ იგი წაკითხულია 1886 წლის ახლოს.

157. „Новое Обозрение", 1890 г., 14 თებერვალი. მოწინავე.

158. საქ. სახ. მუზეუმში დაცულია ბაქრაძისათვის მიცემული უცხოეთში სამგზავრო პასპორტი 1887 წ. (ხელნაწ. ფ. А., № 1747). ჭიჭინაძის არა სწორი მითითებით ბაქრაძემ კონსტანტინოპოლში იმგზავრა „საქ. ისტორიის დაწერის მიზნით" (ხ. ჭიჭინაძე, „დ. ბაქრაძე", გვ. 32-33).

159. ა. ფრენკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

160. საქ. სახ. მუზეუმში დაცულია ბაქრაძის „უბის წიგნაკი", რომელშიც მოთხრობილია აღნიშნულის შესახებ (ფ. S, № 5328).

161. „ივერია", 1888, № 231-235.

162. ილია ჭავჭავაძე, დასახ. ტომი, გვ. 510.

163. იქვე, გვ. 511-512. ხაზი ყველგან ჩვენია.

164. „ივერია", 1890 წ. 13. თებერვალი. ხაზი ჩვენია.

165. იქვე, ნეკროლოგი.

166. „ივერია", 1890 წ. № 33, 14 თებერვალი.

167. ა. ერიცოვმა ბაქრაძის გარდაცვალების გამო ერცელი წერილი გამოაქვეყნა გაზ. „Тифлисский листок"-ში (1890 г. № 35—„Димитрий Захарьевич Бакрадзе"). იმავე გაზეთში საინტერესო წერილი მოათავსა დავით სოსლანმა (იქვე, № 35).

168. „ივერია", 1890 წ., № 33.

169. იქვე. მღვდელ-მონაზონი ლეონიდე აღნიშნავდა დ. ბაქრაძის მიერ საეკლესიო მუზეუმის დაარსების შესახებ.

170. „ივერია", 1890 წ., № 34. ვგირგვინთა წარწერების სია გამოქვეყნე-

ბელია „ივერიის“ ამავე ნომერში. მოიყვანთ ზოგიერთებს: გორის მაზრის თავადაზნაურობისა: „სახელგანთქმულ მეცნიერს, საქართველოს ისტორიისა და არხეოლოგიის დამაარსებელს“, სიღნაღის მაზრის ქართველებისაგან: „ჩვენს თავ-მოსაწონებელს მამულიშვილს“, თბილისის მაზრის საზოგადოების: „მამათმთავარს ჩვენის ისტორიისა“; ბათუმის ქართველებისაგან: „ჩვენს თანამემამულეს“; გურულებისაგან: „ძველი აგებული გაქვს გულთა შინა ჩვენსა, კურთხეულ იყოს სახელი შენი ამიერ და უკუნისამდე, მუშაკო დაუცხრომელო“; „შენს დაკარგვას ჰგლოვობენ მთელ საქართველოსთან ერთად ოდესის უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები“; ნიკოლოზ ცხვედაძისაგან: „მოღვაწეს ჩვენის ქვეყნისას, დიმიტრი ბაქრაძეს“; ხახანაშვილისაგან: „პირველ ისტორიკოსს საქართველოსას“ და ბევრი სხვ. გვირგვინები შემოვიდა თბილისის ყველა სასწავლო დაწესებულებიდან, პერიოდულ გამოცემათა რედაქციებიდან, გარდა „კავკაზის“ რედაქციისა.

171. დეპეშების სია 1939 წ. გაგვაცნო ოღლა დიმიტრი ბაქრაძის ასულმა ანულაძემ.

172. „იერია“, 1890 წ. № 38.

173. „იერია“, 1890 წ. № 42. „ილია პონტელი“ ილია ჩიქოვანია. ამას შესახებ გვაცნობა თამარ მაჭავარიანმა, რომელსაც მადლობას მოვახსენებთ.

174. სხვათა შორის, მღვდელი შიუკაშვილი თავის სიტყვაში ბაქრაძის გარდაცვალებას თვლიდა „განგების მიერ მოგზავნილ რისხვად“ იმ მიზნით, რომ ქართველებს შეეგნოთ: „არა კმარა მცირე მუშაკი ასე ერცელსა სარბიელსა ზედა“... (თელავიდან კორესპონდენცია. „იერია“, 1890 წ. № 42).

175. „იერია“, 1890 წ. № 42.

176. „Тифлисский листок“, 1890 г. № 36. 14 февраля.

177. ზ. ჭიჭინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 37.

178. პროფ. გ. ნათაძეს მოჰყავს ოღლა დიმიტრის ასეღი აბულაძის გადმოცემა აღნიშნულის შესახებ (დასახ. ხელნაწერი, გვ. 7-8).

179 „НА СМЕРТЬ Д. З. БАКРАДЗЕ

